

991 / 2

ISSN—0132—6058



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მანქანა

ისტორიის  
ეთნოგრაფიისა და  
სელოვნების  
ისტორიის  
სერია

7

1

1991

ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1991



**სარედაქციო კოლეჯია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. ვიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, ვ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, თ. ჟორდანია, ე. ზოსტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), თ. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гюргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 10.1.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.IV.91; ანაწყოების ზომა 7×12-  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.45; სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 12.86;  
შეკვეთა № 121; ტირაჟი 1200  
ფასი 2 ზან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ა რ ი ლ ა ზ ი

ა. წირითილი, საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა . . . . .	7
რ. კიკნაძე, ლ. კუშპარნიკი, სიახლენი ქართულ წყაროთმცოდნეობაში . . . . .	24
ბ. ტირ-ობანნიკი, სპარსეთის კახეთა ბრძადა — რუსეთის ცარიზმის ფორპოსტი ირანში (1900—1921 წწ.) . . . . .	87
პ. დიმიტროვა, ლენინური შეხედულებები ინტელიგენციაზე და მათი ასახვა საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკაში . . . . .	98
კ. მარტბელი, დავათის ქვანახტის ადგილი ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში . . . . .	67

ც ე მ ბ ა ზ ი დ ა შ ე ნ ი შ ე ნ ე ა ზ ი

ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან . . . . .	86
შ. ზიდაშელი, არქაული საზოგადოების მსოფლხატი . . . . .	102
შ. მებრძვილი, ინგლისის რელიგიური პოლიტიკა იმერიორდანიაში . . . . .	120
შ. ითონიშვილი, კავკასიის უძველესი ეთნონიმიიდან . . . . .	132
ნ. ბრეზაძე, ქართულ-ბულგარული ეთნოგრაფიული პარალელები . . . . .	145
რ. ხუციშვილი, ლაიოშ ტარდი და ქართველ-უნგრელთა ნათესაობის პრობლემა . . . . .	160

კ ა ზ ა ლ ი კ ა ც ი ა

შ. ნატიშვილი, 1944 წელს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან დემორტირებული მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ . . . . .	167
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ნ ი ს ტ ო რ ი ო მ ე წ ე ნ ი ა რ ა ზ ა ს ო ლ ზ ა ზ ე ნ ი

ბ. ურანაშვილი, სიმონ ჭანაშიას კონცეფცია საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ . . . . .	171
------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

ქ ვ ე ლ ი ც ი ვ ი ლ ი შ ა ც ი ა ზ ი: ა ხ ა ლ ი ა ლ მ ო ჩ ე ნ ე ა ზ ი

ი. ტატიშვილი, ახალი აღმოჩენა ბოლშეკოში . . . . .	177
--------------------------------------------------	-----

რ ე პ ლ ი კ ა

შ. აბდუშელიშვილი, სამხრეთ ოსეთი: შეწყდეს ძალადობა . . . . .	187
-------------------------------------------------------------	-----

პ რ ი მ ი ა ზ ა დ ა ბ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ა. მბანნიკი, თ. ბერაძე, ზღვაოსნობა და საზღვაო ვაჭრობა შუასაუკუნეობრივ საქართველოში . . . . .	189
----------------------------------------------------------------------------------------------	-----

ქ რ ო ნ ი ა ზ ა დ ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ლ. ლაზარაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება . . . . .	191
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----



# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

К. Г. ЦЕРЕТЕЛИ, Арамейские надписи Грузии и их историко-культурное значение	7
Р. К. КИКНАДЗЕ, Л. Н. ПУШКАРЕВ, Новое в грузинском источниковедении	24
И. К. ТЕР-ОГАНОВ, Персидская казачья бригада — форпост царской России в Иране (1900—1921 гг.)	37
П. ДИМИТРОВА, Ленинские взгляды на интеллигенцию и их преломление в культурной политике Советского государства	53
К. Г. МАЧАБЕЛИ, Даватская стела в развитии грузинского пластического искусства	67

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

К. А. ЧХАТАРАИШВИЛИ, К толкованию одного текста «Картлис цховреба»	86
М. Ш. ХИДАШЕЛИ, Картина мира архаического общества	102
М. Г. МЕТРЕВЕЛИ, Религиозная политика Англии в Заиорданье	120
М. В. ИТНИШВИЛИ, Из древнейшей кавказской этнонимии	132
Н. А. БРЕГАДЗЕ, Грузино-болгарские этнографические параллели	145
Р. Т. ХУЦИШВИЛИ, Лайош Тарди и проблема грузино-венгерских родственных связей	160

## ПУБЛИКАЦИЯ

М. В. НАТМЕЛАДЗЕ, О депортации в 1944 г. мусульманского населения из пограничных районов	167
------------------------------------------------------------------------------------------	-----

## ДЕЯТЕЛИ ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Г. В. КОРАНАШВИЛИ, Концепция С. Н. Джанашиа о возникновении государства и классов в Грузии	171
--------------------------------------------------------------------------------------------	-----

## СТАРЫЕ ЦИВИЛИЗАЦИИ: НОВЫЕ ОТКРЫТИЯ

И. М. ТАТИШВИЛИ, Новые открытия в Богазской	177
---------------------------------------------	-----

## РЕПЛИКА

М. Г. АБДУШЕЛИШВИЛИ, Южная Осетия: Прекратить насилие!	187
--------------------------------------------------------	-----

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. Г. ЕМАНОВ, Т. Н. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии	189
-------------------------------------------------------------------------------------	-----

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Л. И. ЛАЗАРАШВИЛИ, Общее собрание отделения общественных наук Академии наук Грузии	191
------------------------------------------------------------------------------------	-----



# CONTENT

## Articles

K. Tsereteli — Aramaic inscriptions From Georgia and their Historical and Cultural Importance . . . . .	7
R. Kiknadze, L. Puskarev, — Novelties in Georgian Source Studies	24
H. Ter-Ogʻanov, — The Persian Cossack Brigade—The Stronghold of the Russian Tsarism in Iran (1900—1921) . . . . .	37
P. Dimitrova, — Lenin's Views about Intelligentsia and their Refraction in the Soviet State . . . . .	53
K. Machabeli, — The Place of Davati Stele in the Development of Georgian Plastic Art . . . . .	67

## Proceedings and Notes

K. Chkhataraisvili, — About the History of Georgian Feudal Law (Ukhmari) . . . . .	86
M. Khidasheli, — The Image of the World of the Archaic Society . . . . .	102
M. Metreveli, — Religion Policy of England in Transjordan . . . . .	120
V. Itonishvili, — From Ancient Caucasus Ethnonymy about the Ethnical Attribution and Localization of „HONS“ and HONS Country . . . . .	132
N. Bregadze, — Georgia-Bulgarian Ethnographical Parallels (Kumeti) . . . . .	145
R. Khutsishvili, — Liosh Tard and the Problem of Relation between Georgian and Hungarian People . . . . .	160

## Publication

M. Natmeladze, — Concerning Deportation of Muslem Population From Border Regions of Georgia in 1944 . . . . .	167
---------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

## The Statesmen of Georgian Historic Science

G. Koranashvili, — The Conception by Simon Janashia about the Origin of Classes and State in Georgia . . . . .	171
----------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

## Old Civilization and New Findings

I. Tatishvili, — New Finding in Bogazkoi . . . . .	177
----------------------------------------------------	-----

## Remark

M. Abdushelishvili, — The South Ossetia: Stop Violence! . . . . .	187
-------------------------------------------------------------------	-----





Criticism and Bibliography

A. Emanov, T. Beradze,— Navigation and Naval Trade in Middle Age Georgia 189

Chronicle and Information

L. Lazarashvili,—The General Meeting of the Department of Public Science  
of Academy of Science of Georgia . . . . . 190





საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
კონსტანტინე წარეთელი

**საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა**

0080  
1980

1. საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (იბერიაში) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა წარწერები, შესრულებული არამეული დამწერლობით. როგორც მათი შესწავლის შედეგად ვაირკვა, წარწერათა ერთი ნაწილი არ არის არამეული (ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არამეოგრაფიკულ ძეგლებთან), მათი მეორე ნაწილი კი ენობრივადაც არამეულია. არამეული გრაფიკის გამოყენება სხვა ენისათვის (არა-არამეულისათვის), კერძოდ, საშუალო ირანული ენებისათვის (პართულისა და სასანურ-ფალსურისათვის) არშაკიდებისა და სასანიდების ხანაში (ძვ. წ. III—ახ. წ. VII სს.) ახლო და შუა აღმოსავლეთში, ასევე ამიერკავკასიაში (საქართველოსა და სომხეთში) ფართოდ გავრცელებული მოვლენა უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, უნდა შეინიშნოს, რომ არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის ენის დადგენა, ამ დამწერლობის იდეოგრაფიკულად გამოყენების გამო, ყოველთვის მარტივი არ არის. ეს სირთულე თავს იჩენს საქართველოს არამეოგრაფიკული ტექსტების ენის გარკვევისასაც.

2. საქართველოს არამეული წარწერების (ასე ვხმარობთ პირობით როგორც არამეოგრაფიკული, ისე არამეულენოვანი წარწერის მიმართ ზოგადად) გამოვლენას კარგა ხნის ისტორია აქვს. ყველაზე ადრე ცნობილი ვახდა ამეთვისტოს ბეჭედი ქალის პორტრეტული გამოსახულებით, რომელიც თბილისში შეიძინეს და პირველად 1873 წელს იყო აღწერილი<sup>1</sup> (ამჟამად დაკუთვნილია ლენინგრადში სახელმწიფო ერმიტაჟში). ძნელია ითქვას ამ ბეჭდის პოვნის ადგილი. მოსალოდნელია, რომ იგი საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილიყო აღმოჩენილი. 1877 წელს ყაზბეგის მახლობლად ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა მთელი განძი (დაახლ. 200 ნივთი), რომელსაც ძვ. წ. VI—V სს. ვანაკუთნებენ. მათ შორის იყო აქემენიდური ხელოვნების ნიმუშები, რომელთაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს ვერცხლის თასი არამეული წარწერით<sup>2</sup>. 1902 წელს ხარაგაულის მახლობლად სოფ. ბორში იპოვნეს ცხენის გამოსახულებიანი პინაკი, რომელზეც არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერაა მოცე-

<sup>1</sup> Butkowsky, Recueil spécial de grandes curiosités, inédites etc., Genève, 1873, p. 17.

<sup>2</sup> Я. И. Смирнов, Восточное серебро, С.-Пб. 1909, Альбом, табл. III, рис. 13; Ш. Я. Амиранашвили, История грузинского искусства, М. 1950, с. 73—74, табл. 20, 21.





მული<sup>3</sup>. მათ მოჰყვა სხვა არამეული წარწერების აღმოჩენა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1940 წლის არქეოლოგიურ გათხრებს მცხეთა-არმაზში. აქ არქეოლოგები წააწყდნენ ორი ქვის სტელას, რომელთაგან ერთზე 14-სტრიქონიანი არამეული წარწერაა, ხოლო მეორე წარმოადგენს ორგონვან წარწერას — ბილინგვას: სტელის ზემო ნაწილში გაკეთებულია 9-სტრიქონიანი ბერძნული წარწერა, რომლის ქვემოთ მოთავსებულია 11-სტრიქონიანი არამეული წარწერა. ბერძნული წარწერა პირველად გამოსცეს სიმონ ყაუხჩიშვილმა<sup>4</sup> და აკაკი შანიძემ<sup>5</sup>, ხოლო არამეული ნაწილი ბილინგვისა — გიორგი წერეთელმა<sup>6</sup>. არამეულად შესრულებული წარწერები ნაპოვნი იქნა როგორც არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს, ისე შემდეგშიც როგორც მცხეთაში, ისე ქართლის (იბერიის) სხვა პუნქტებში (ზღუდერი, უფლისციხე, ურბნისი, ე. წ. დედოფლის მინდორი არადეთთან, ძალისი). მათ შორის არმაზის წარწერები ყველაზე დიდია, მაშინ, როდესაც სხვა წარწერები, გაკეთებული სხვადასხვა ნივთზე (ქვევრებზე, პინაკზე, სამაჯურზე და სხვ.) მცირე ზომისაა, ხოლო ძალისში აღმოჩენილი წარწერები ფრაგმენტულია.

როგორც ირკვევა, ამ საგნების ერთი ნაწილი შემოტანილია უცხოეთიდან, მეორე კი ადგილობრივი, ქართული წარმოშობის უნდა იყოს.

3. თუ ჩვენ არამეული წარწერების აღმოჩენების გეოგრაფიას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ყველა დღემდე ცნობილი წარწერიანი ძეგლი თუ ნივთი, მათ შორის შემოტანილიც, ქართლზე, ე. ი. ძველ იბერიაზე მოდის. (შესაძლებელია გამონაკლისი წარმოადგენდეს ვანში ნაპოვნი ოქროს ფირფიტა წარწერით, თუკი ის საერთოდ წარწერაა, მაგრამ მას ჯერ კიდევ დადგენა სჭირდება). წარწერების პალეოგრაფიული შესწავლა და ისტორიული თუ სხვა რელიეების გათვალისწინება საშუალებას იძლევა უმეტესად დავათარილოთ (თუნდაც დაახლოებით) წარწერები, ამასთანავე, და ეს მეტად მნიშვნელოვანია, დავადგინოთ ამ წარწერათა დამწერლობის ტიპი თუ სახეობა.

როგორც ითქვა, საქართველოს ტერიტორიაზე გვაქვს არამეოგრაფიკული წარწერებიც, რომლებიც ენობრივად აშკარად არაარამეულია, კერძოდ, ირანულია (თუმცა ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარწერა მხოლოდ საკუთარ სახელს შეიცავს, მის ენაზე საუბარი ძნელია. ამაში არ გვეხმარება ამ სახელთა ეტიმოლოგიაც, რადგან იმ ხანებში ირანული თუ ბერძნული წარმოშობის საკუთარი სახელები ფართოდ იხმარება). ასეთია ზემოაღნიშნული წარწერა ამეთვისტოს გემმაზე, რომელზეც, როგორც ამ წარწერიდან ჩანს, „დედოფალთ დედოფლის“ დენაქის პორტრეტია გამოსახული. წარწერა, როგორც ითქვა, არამეული დამწერლობითაა შესრულებული და შეიცავს რამდენიმე არამეულ სიტყვას, რომლებიც აქ იდეოგრაფებს წარმოადგენენ (ZY — რელიეც. ნაწილა-

<sup>3</sup> მისი ფოტო პირველად გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა 1904 წელს: „Известия Кавказского отделения Московского Археологического Общества“, Тифлис, 1904, вып. I, გვ. 90-91. იგივე მასალა შემდეგში გამოაქვეყნა ი. სმირნოვა ალბომში, ტაბ. XXI, სურ. 305.

<sup>4</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (=სამამ), ტ. 2, № 1—2, გვ. 171—175.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 181—187.

<sup>6</sup> „Армазская билингва. Тбилиси, 1941; ქართულად და ინგლისურად დაიბეჭდა კრებულში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942.



კი, MLKT „დედოფალი“) და ირანულ კომპლემენტებს დაირთავენ (მრავლობითი რიცხვის დაბოლოება \*n = an). წარწერაში მოცემულია ირანული სიტყვებიც არამეული გრაფიკით. წარწერა რამდენიმეჯერ გამოიცა (ა. მორდტმანი, პ. ჰორნი, ე. ჰერცფელდი, ბ. კუფტინი, გ. წერეთელი). უკანასკნელად იგი გამოაქვეყნა ვ. ლუკონინმა<sup>7</sup>. წარწერა პართულია და განეკუთვნება ახ. წ. III ს.-ს. ბ. კუფტინი ამ წარწერას ახ. წ. V ს-ით ათარილებს (457 წ. ?)<sup>8</sup>, თუმცა, როგორც ვ. ლუკონინი შენიშნავს, დამწერლობა pahlavik (= პართულს) III—IV საუკუნეების მიჯნაზე იკარგება. (ასეთი დამწერლობით შესრულებულ წარწერათა შორის უკანასკნელია პაიკულის წარწერა)<sup>9</sup>. ირანულია მცხეთის 1940 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს არმაზისხევეში II სამარხში ნაპოვნი ვერცხლის პინაკი<sup>10</sup>, რომლის გარეთა კიდეზე პუნქტირით გაკეთებულია არამეული ასოებით შესრულებული წარწერა, ე. წ. პაპაკ პიტიახშის წარწერა. ეს წარწერა მისი პირველი წაკითხვისთანავე ფალაურად (სასანურ-ფალაურად) იყო მიჩნეული და ახ. წ. III ს-ის ბოლო მეოთხედს განეკუთვნება (გ. წერეთელი, შ. ამირანაშვილი, გ. ჰენინგი). დავას მათ შორის ტექსტის ცალკეული ადგილების წაკითხვა იწყვეს. ასე მაგალითად, ჰენინგის მიხედვით, წარწერაში rthštr სიტყვის წინ უნდა გვექონოდა არა bgy „ღვთიური“, როგორც ეს გიორგი წერეთლისეული წაკითხვითაა, არამედ brh „ძე“. ამასთანავე, წარწერის ბოლო ნაწილი უნდა იყოს შემდეგგვარად წაკითხული: 'symy s XX XX X III ZWZNI, სადაც 'symy ფალაური სიტყვაა და „ვერცხლს“ აღნიშნავს, ხოლო „53“-ის აღნიშვნელი ნიშნების წინ ასო s უნდა წარმოადგენდეს წონის ერთეულის შემოკლებას, ალბათ satēr-ისათვის (ბერძნ. σάτηρ)<sup>11</sup>. რაც შეეხება წარწერის ენას და მისი შესრულების თარიღს, ეს საკამათო არ ჩანს. ენის საკითხის ადვილად გადაწყვეტაში გვეზმარება ფალაური სიტყვა bgy („ღვთიური“), რომელიც ამ წარწერაში 2-ჯერ გვხვდება საკუთარი სახელის წინ (ართაზშთარ და პაპაკ სახელების წინ), ასევე, როგორც ჩანს, მეორე ფალაური სიტყვა 'symy „ვერცხლი“<sup>12</sup>. შესაძლებელია, პართულ (და არა სასანურ-ფალაურ) ენაზე იყოს დაწერილი მცხეთა-სამთავროში ნაპოვნი ვერცხლის ლანგრის წარწერა, რომელიც შესრულებულია არამეული დამწერლობის ე. წ. პართული ტიპის ასოებით. ვამბობთ, შესაძლებელია, რამდენადაც წარწერის ყველა სიტყვა (4) არამეულია და არამეულად ადვილად იკითხება, მაგრამ თუ აქ არამეულ სიტყვებში პართულ იდეოგრამებს ვივარაუდებთ, მაშინ მისი წაკითხვა პართულად უნდა მოხდეს.

<sup>7</sup> В. Лукоини, Резной аметист с изображением царицы царя Денак. — «Исследования по истории культуры народов Востока», Ленинград, 1960, с. 383, 385.

<sup>8</sup> Б. А. Куфтин, О некоторых неразъясненных случаях иностранной этно- и топонимии в Грузии. — Сообщ. АН СССР, т. X, № 5, с. 316.

<sup>9</sup> E. Herzfeld, Paikuli. Monument and inscription of the early history of the Sasanian Empire. vol. 1. Berlin, 1924 გვ. 75.

<sup>10</sup> კრებ. „მცხეთა“, I, გვ. 45—46, ტაბ. XIX.

<sup>11</sup> W. B. Henning. A sasanian silver bowl from Georgia. — Bulletin of the School of Oriental and African Studies. Vol. 24/2. 1961.

<sup>12</sup> იქვე.

ყველა სხვა წარწერა ტექსტის ენის თვალსაზრისითაც არამეულად გვეჩვენება, თუმცა ზოგი რამ სადავო დღემდე შემორჩა. პირველ რიგში ეს ეხება არმაზისხევში აღმოჩენილ სტელებს, რომელთაგან ერთი, ე. წ. ბილინგვა, შედარებით კარგადაა შესწავლილი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი წერეთლის მიერ ჩატარებული მუშაობა არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტის გამოცემისათვის. მან არა მარტო წაიკითხა ტექსტი და სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა, არამედ დაადგინა მანამდე უცნობი სახეობა არამეული დამწერლობისა, რომელსაც სტელის აღმოჩენის ადგილის მიხედვით „არმაზული დამწერლობა“ უწოდა<sup>13</sup> („არმაზული დამწერლობა“, თავის მხრივ, განეკუთვნება არამეული დამწერლობის ჩრდილო-მესოპოტამიურ ტიპს, როგორც ეს მისმა შემდგომმა კვლევამაც დაადასტურა). დიდხანს გრძელდებოდა მსჯელობა ბილინგვის ენის შესახებ: იყო ეს არამეოგრაფიკული ტექსტი ირანულ (პართულ/ფალაურ) თუ ქართულ ენაზე, თუ ეს წარწერა არამეულ ენაზეა შესრულებული. ტექსტის ენის საკითხს შეეხო მრავალი მეცნიერი, ძირითადად სემიტოლოგები და ირანისტები. ჯერ კიდევ გიორგი წერეთელი იხრებოდა ტექსტის ენის არამეულობის სასარგებლოდ, თუმცა იქვე მოჰყავდა ტექსტის არამეულობის საწინააღმდეგო არგუმენტები, ხოლო 1948 წელს იგი დაასკვნის, რომ არმაზის ბილინგვის ტექსტი დაწერილია ორ ენაზე: ბერძნულად და იმ ენაზე, რომლის ხასიათი საბოლოოდ არ არის დადგენილი<sup>14</sup>. ჩვენთვის აღნიშნული ტექსტის, როგორც ყველა სხვა არმაზული დამწერლობით შესრულებული ტექსტის ენა არამეულია (ამაზე სპეციალურად ქვემოთ).

4. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არამეული წარწერების დამწერლობა სამ განსხვავებულ ტიპს ავლენს: (1) ჩრდ. მესოპოტამიური, (2) პართული და (3) ძველი (სახელმწიფო) არამეული. ეს უკანასკნელი კურსივია, რომელიც ძირითადად ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება, ხოლო სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ (ძვ. წ. IV ს.) განიცდის „დაშლას“: იქმნება არამეული დამწერლობის ცალკეული ტიპები, მათ შორის ზემოაღნიშნული ჩრდ. მესოპოტამიური და პართული.

4.1. საქართველოში აღმოჩენილ წარწერათა უმრავლესობა შესრულებულია არამეული დამწერლობის იმ სახეობით, რომლითაც სარგებლობდნენ არმაზის სტელეების დაწერისას, და ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს. დაახლოებით იდენტურია მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებიც — ახ. წ. I—III სს. მათგან ყველაზე ადრეული ჩანს არმაზის მონოლინგვა — შარავას პიტიახშის წარწერა (ახ. წ. I ს.), ხოლო ყველაზე გვიანდელი — ბორის პინაკის წარწერა (ახ. წ. III ს.). (ჯერ კიდევ შესასწავლია ზემოხსენებული ზოგიერთი წარწერა, რომელთაგან, შესაძლებელია, ზოგი III ს-ის დასასრულს ან IV ს-ის დასაწყისსაც განეკუთვნებოდეს). არმაზული დამწერლობითაა შესრულებული არა მარტო არმაზისხევში აღმოჩენილი წარწერები (მათ შორის მცირე საგნებზე), არამედ იბერიის სხვა პუნქტებშიც ნაპოვნი საგნების წარწერები, როგორცაა ქვევრის პირის ნატეხებზე გაკეთებული წარწერები ურბნისის ნაქალაქარიდან, დედოფლის მინდორზე (არადეთთან) აღმოჩენილი ფირფიტები ნადირობის სცე-

<sup>13</sup> გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 5; Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета.—Вестник Древней Истории (-ВДИ), 1948/2, გვ. 50.

<sup>14</sup> Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета, იქვე.



ნებით, რომელთაც მარცხენა ზემო კიდეში, ზოგჯერ ქვემოთაც, აქვთ წარწერები, რომლებიც ციფრების გამომხატველ ნიშნებსაც უნდა შეიცავდეს, ზღუდერის ნივთებზე გაკეთებული წარწერები, წარწერები ძალისის ტაძრის კაპიტელზე, და ზოგიერთი სხვაც.

არმაზული დამწერლობის სათავე, როგორც ყველა ჩრდ. მესობოტამიური ტიპის დამწერლობისა, აქემენიანთა ხანის (ე. წ. სახელმწიფო არამეულის) დამწერლობაში ძვეს. იგი ადგილობრივ (საქართველოში ან საქართველო-სომხეთის რეგიონში) უნდა ყოფილიყო ფორმირებული, რაც აისახა საქართველოსა და სომხეთის I—III სს. არამეულ წარწერებში და ჰათრის, ასურის, პასენ-ქეფისა და ზოგიერთ სხვა წარწერათა არამეულ დამწერლობასთან ერთად ერთ ტაშს (ჩრდ. მესობოტამიურს) ქმნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ უაღრესად საინტერესო ფაქტი. სომხეთში, ქ. სისიანის სანახებში 1970 წელს გათხრილი იქნა სამარხი, რომელშიც სხვა მრავალ ნივთს შორის აღმოჩნდა ვერცხლის თასი არამეული წარწერით. სამარხში დაცული მონეტებისა და სხვა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ხსენებული თასი უნდა განეკუთვნოს არა უგვიანეს ძვ. წ. I ს-ისა<sup>15</sup>. წარწერაში 16 არამეული ასოა გამოყენებული და, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ა. ფერიხანიანი, მათი დიდი ნაწილი მოგვაგონებს არმაზულს და გარნის წარწერის ასოებს<sup>16</sup>. ზოგი მათგანი არმაზულისაგან განსხვავდება და ანალოგიებს პოულობს არამეული დამწერლობის სხვა სახეობებთან (ჰათრა, სარი, ასური). ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია სისიანის წარწერის დამწერლობა ჩავთვალოთ ზემოაღნიშნული არმაზული დამწერლობის წინა საფეხურად. „ადრეულ არმაზულად“, რომელიც არმაზულ დამწერლობას უკავშირებს არამეული დამწერლობის გარკვეული ტიპის (ე. წ. ჩრდილო-მესობოტამიური ტიპის) სხვა სახეობებს<sup>17</sup>. საყურადღებოა, რომ თვით გიორგი წერეთელი არმაზულ დამწერლობას სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელ შტოდ თვლის და მას ისეთი დამწერლობების გვერდით განიხილავს, როგორცაა „პალმირული დამწერლობა“, „ნაბატეური დამწერლობა“ და ა. შ.<sup>18</sup> მაგრამ არამეულ დამწერლობათა შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ძისინი პალეოგრაფიულად გარკვეულ ტიპებად და სახეობებად ჯგუფდებიან. ამასთანავე, ცხადია, „არმაზული“ ვერ იქნება სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელი შტო. ასეთია თვით არამეული დამწერლობა, რომელიც შემდგომში მთელ რიგ განშტოებას იძლევა. ჯერ კიდევ ირანისტი ა. ფერიხანიანი თავის ნაშრომში გარნის წარწერის შესახებ მართებულად აღნიშნავს, რომ არა-

<sup>15</sup> А. Г. Периханиян, Армейская надпись на серебряной чаше из Сисиана. — Историко-филологический журнал АН Арм. ССР, 1971, № 3, с. 80.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 76. შდრ. გვ. 81.

<sup>17</sup> К. Г. Церетели, Армазское письмо (იბეჭდება).

<sup>18</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 5. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მოგვიანებით გიორგი წერეთელი არმაზული დამწერლობის შესახებ მსჯელობისას წერს: „ბილინგვის გამოცემისასვე აღნიშნული იყო ჩვენი წარწერების დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც გვაძლევენ უფლებას გამოვყოთ იგი როგორც სემიტური (არამეული) დამწერლობის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც ჩვენ არმაზული ვეწოდეთ“ Г. В. Церетели, Армазская надпись эпохи Митридата Иверийского. — Труды XXV Международного конгресса востоковедов, М., 9—16 августа 1960 г., т. I, М., 1962, გვ. 376) ამრიგად, აქ „სემიტურის“ გვერდით ფრჩხილებში მოცემულია „არამეული“, რითაც ავტორი ერთგვარად ახსენებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას.



მეული დამწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებობდა არამეული წერითი კულტურის რამდენიმე კერა, რომელთაგან ერთ-ერთი ჩრდ. მესოპოტამიაში იყო. აქედან განვითარდნენ: პალმირის კურსივი, სირიული ესტრანგელო, ჰათრის, ასურისა და ნიფურის მაგიკური თასების, ასევე მანიქეური, სარისა და ჰასან-ქეფის, გარნისა და არმაზული დამწერლობანი<sup>19</sup>. ასეთივე აზრი მოგვიანებით გამოთქვეს ი. ელსნერმა და ი. ნავემ. ამ უკანასკნელმა საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლა არამეული დამწერლობით შესრულებული ძეგლები და ამ დამწერლობის განვითარების სურათი წარმოადგინა<sup>20</sup>. ი. ნავე ვარაუდობს, რომ არამეული დამწერლობა ასურეთის, ბაბილონისა და სპარსეთის იმპერიების დროს ერთიანი იყო და მხოლოდ მოგვიანებით (დაახლოებით ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან) იწყება მის საფუძველზე ადგილობრივი დამწერლობების შექმნა. ეს ლოკალური დამწერლობანი ოთხ მთავარ ტიპადაა დალაგებული (სირიისა და ჩრდ.-დას. მესოპოტამიისა, ჩრდილო-მესოპოტამიური, სამხრეთ-მესოპოტამიური და პართული), რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ განვითარებას არამეული დამწერლობის ორი შტოდან: დასავლურიდან და აღმოსავლურიდან. ჩრდ. მესოპოტამიურ ტიპს განაკუთვნიებს ი. ნავე ჰათრის, ასურის, სარისა და ჰანსა-ქეფის წარწერებს, ასევე გარნისა და არმაზის წარწერებს<sup>21</sup>. მსჯელობს რა არამეული დამწერლობის მოცემული ტიპის შესახებ, ი. ნავე აღნიშნავს, რომ იგი გავრცელდა მესოპოტამიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით — სომხეთსა და საქართველოში<sup>22</sup>. აქვე დალაგებულია ამ ტიპის ყველა დამწერლობა იმის მიხედვით, თუ როგორია მისი დაშორება პირველადი დამწერლობისაგან. განხილული შვიდი დამწერლობიდან არმაზული, როგორც ყველაზე დაშორებული მას, ბოლო ადგილზეა, თუმცა ეს წარწერები თანადროულია<sup>23</sup>. მეცნიერი ცდილობს ახსნას არამეული დამწერლობის ლოკალური ვარიაციები: „ეს (პირველადი) დამწერლობა გადადიოდა ერთი ცენტრიდან მეორეში და მისი მიმღებნი უფლებას აძლევდნენ თავს მცირე ცვლილებები შეეტანათ მასში, რათა განესხვავებინათ ერთმანეთისაგან მსგავსი ასოები“<sup>24</sup>. მაგრამ ყოველთვის ასეთი ახსნა არ გამოგვადგება. კერძოდ, იმ ასოთა ვარიაციის შემთხვევაში, რომლებიც სხვა იდენტური ნიშნებისაგან კარგად განსხვავდებიან<sup>25</sup>. სავსებით მართებულია ი. ნავეს დასკვნა: „მიუხედავად ლოკალური ვარიაციებისა, კანონზომიერია, ეს დამწერლობანი განვიხილოთ როგორც ერთი შტოს კუთვნილება, რადგან მათ ჯერ კიდევ აქვთ მრავალი საერთო ნიშანი, არ არსებობს სხვაობა შუა და ბოლოკიდურ ასოთა ფორმებს შორის, ამასთანავე, მრავალი ასო დამწერლობის ამ ტიპისთვისაა დამახასიათებელი“<sup>26</sup>.

<sup>19</sup> Арамейская надпись из Гарни. — Историко-филологический журнал АН Арм. ССР, Ереван, 1964/3, с. 127.

<sup>20</sup> J. Naveh, The Development of the Aramaic Script, Jerusalem, 1970.

<sup>21</sup> J. Naveh, The North-Mesopotamian Aramaic Script-type in the Late Parthian period. — Israel Oriental Studies, II, Tel-Aviv, 1972, გვ. 293—304.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 297.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 298.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 299-ზე მოცემულია არამეული დამწერლობის ჩრდ. არამეული ტიპის 9 სახეობის შედარებითი ტაბულა.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 300.

არმაზის წარწერების საკითხს, დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისით, სპეციალურად შეეხო გერმანელი ორიენტალისტი ი. ელსნერი<sup>28</sup>. იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ არმაზული დამწერლობა არამეული დამწერლობის ჩრდ. მესოპოტამიური ვარიანტიდან უნდა მოდიოდეს. ეს უკანასკნელი კი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ორ საუკუნეში შეიქმნა და შემდგომში მოიცვა ამიერკავკასიაც, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში განვითარდა ადგილობრივი სახეობანი (შდრ. არმაზისა და გარნის წარწერები). აქედან გამომდინარე ი. ელსნერი ვარაუდობს დამოუკიდებელი დამწერლობის რეგიონის (Schriftprovinz) არსებობას ამიერკავკასიაში<sup>29</sup>. შენიშნულია, რომ არმაზული დამწერლობის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებდა არამეული დამწერლობის უფრო ახალგაზრდა — საშუალო ირანული ფორმები (პართული და სასანური), რომლებიც უფრო ძველი არამეული ფორმებიდან გამოიყვანება<sup>30</sup>, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი სისიანის წარწერის დამწერლობაზე, რომელიც უდავოდ არმაზულთან უნდა იქნეს განხილული.

4.2. არმაზულისაგან საკმაოდ განსხვავდება მცხეთა-სამთავროში 1985 წელს ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი ლანგრის წარწერა, რომელიც ოთხ სიტყვას მოიცავს და ითარგმნება როგორც „თირიდათ სეფეწული. მისი საკუთარი (ლანგარი)“, ან. წ. I ს.-სა. ნივთი ირანული (პართული) წარმოშობისაა და უნდა ეკუთვნოდეს პართიის მეფის ფრაატე IV-ის შვილიშვილს, რომელიც იბერთა დახმარებით ახ. წ. 36 წელს პართიაში გამეფდა არშაკ XVIII-ის (თირიდათ III) სახელით. ამ წარწერის დამწერლობა არამეული დამწერლობის იმ ტიპისაა, რომელიც პართიის სამეფოში იყო გავრცელებული<sup>31</sup>.

4.3. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არამეული წარწერა თასზე ყაზბეგის რაიონიდან და წარწერები ქვევრის პირის ნატეხებზე უფლისციხიდან. ყაზბეგის თასის წარწერის წაკითხვა და მისი პალეოგრაფიული ანალიზი ჯერჯერობით არავის უცდია. რაც შეეხება ქვევრის პირის ნატეხებს უფლისციხიდან, როგორც არქეოლოგები აღნიშნავენ, ისინი აღმოჩნდნენ გვიანანტიკური ხანის მეორე პორიზონტში, რომელსაც ახ. წ. I—III სს.-ს მიაკუთვნებენ<sup>32</sup>. წარწერათა პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ორივე ნატეხზე წარმოდგენილი წარწერები (თითო ნატეხზე თითო სიტყვა ჩანს, თუმცა ერთ-ერთ მათგანზე შესაძლებელია ერთზე მეტი სიტყვა იყოს თითო ასოთი დაქარაგმული) ერთი დამწერლობითაა შესრულებული და მკვეთრად განსხვავდება არამეული დამწერლობის ზემოხსენებული ტიპებისაგან — ჩრდ. მესოპოტამიურისაგან (კერძოდ, არმაზულისაგან) და პართულისაგან. ამდენად, ამ წარწერათა მიკუთვნება არმაზული ტიპისათვის შეცდომაა. ასევე, მისი ანალოგია ვერ იქნება ურბნისის გათხრების დროს აღმოჩენილი არამეული წარწერა ქვევრის პირის ნატეხზე, სადაც გარკვევით არმაზულ წარწერასთან გვაქვს

<sup>28</sup> J. Oelsner, Bemerkungen zur schriftgeschichtlichen Einordnung der Inschriften aus Armazi, — Wiss. Zeitschrift der Fr.-Schiller-Universität, Jena, Gesch.- und Sprachwiss., R. 22, 1973, გვ. 429—438.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 434.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 429—430.

<sup>31</sup> კ. წერეთელი, არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერა მცხეთა-სამთავროდან, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987, № 3, გვ. 155—178.

<sup>32</sup> დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964, გვ. 57.



საქმე<sup>33</sup>. უფლისციხის არამეული წარწერები ბევრად უფრო ძველი ხანს, ვიდრე არმაზული და ანალოგიებს პოულობს ე. წ. სახელმწიფო არამეულის წერილობით ძეგლებში (აქემენიანთა ხანა, ძვ. წ. V ს.). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სევანისა და თელუტის (სომხეთი) წარწერები, რომლებიც ძვ. წ. II ს-ს განეკუთვნებიან. უფლისციხის წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს აქაც, იბერიაში, დედადასტურით არამეული დამწერლობის (და. ალბათ, ენის) გამოყენების შემთხვევები, მსგავსი მეზობელი სომხეთისა და იგი, მოსალოდნელია, დაახლოებით სევანისა და თელუტის ხსენებულ წარწერათა ხანას განეკუთვნოს (დაახლ. ძვ. წ. II ს. ან ძვ. წ. III ს.). ა. ბორისოვმა, რომელმაც შეისწავლა სევანის წარწერები, მისი დამწერლობა დაახასიათა როგორც ძველი არამეული, რომლის ფორმა დამახასიათებელია აქემენიანთა და ელინისტური ხანის ძეგლებისათვის და პალეოგრაფიული თუ შინაარსეული ანალიზის შედეგად (წარწერებში მოხსენიებულია სომხეთის მეფე არტაქსერქსი — არტაშესი) წარწერები დათარიღებულია ძვ. წ. II ს-ით<sup>34</sup>. ამასთანავე, შენიშნულია, რომ გრაფიკულად სევანის წარწერები იმავე სპეციფიკას ამჟღავნებენ, რასაც მცირე აზიის წარწერები<sup>35</sup>, რომლებიც ძირითადად აქემენიანთა ხანის არამეულ დამწერლობას იმეორებენ. უფლისციხის წარწერების პალეოგრაფიული შესწავლის შედეგად ირკვევა დიდი სიახლოვე არა მხოლოდ სევანის წარწერებთან (9 ასოდან 5 სრულიად ანალოგიურია), არამედ სხვა უფრო ადრეულ არამეულ წარწერებთანაც, როგორცაა ეგვიპტის პაპირუსები (ძვ. წ. V ს.), ელეთანტინის ოსტრაკა (ძვ. წ. V ს.), სეფირეს წარწერები (ძვ. წ. II ს.), წარწერები თაიზადან (ძვ. წ. V—IV სს.). მსგავსი ასოები გვხვდება შედარებით გვიანდელ ნისას წარწერებში (ძვ. წ. I ს.) და კიდევ უფრო გვიანდელ ჰათრას წარწერებში (ახ. წ. II ს.)<sup>36</sup>.

5. ამრიგად, საქართველოში წარმოდგენილი არამეული მასალა არამეული დამწერლობის სამ ტიპს ასახავს: უფრო ძველი პერიოდისა, კერძოდ, ელინისტური ხანისა (ძვ. წ. III—II სს.), როდესაც გამოიყენება სახელმწიფო არამეული დამწერლობა, და უფრო გვიანდელი (ახ. წ. I—III სს.), როდესაც ამ მიზნით იყენებდნენ ხსენებული არამეული დამწერლობის საფუძველზე განვითარებულ ადგილობრივ სახეობას, ე. წ. არმაზულს და იმავე ძველი არამეული დამწერლობის ბაზაზე შექმნილი დამწერლობის ე. წ. პართულ ტიპს. ამრიგად, არმაზული და პართული ერთი ხანის დამწერლობანია, რომლებიც ერთი პროტოგრაფიდან მომდინარეობენ და ძველი (სახელმწიფო) არამეული დამწერლობის განვითარებას წარმოადგენენ, მხოლოდ ეს განვითარება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოხდა: არმაზულისა — იბერია-სომხეთის რეგიონში (ჩრდ. მესოპოტამიის გავლით), ხოლო პართულისა — პართიის ვრცელ სამეფოში. აქედან აიხსნება როგორც პართული და არმაზული ასოების მსგავსება, ისე მათ შორის არსებული სხვაობა; ამითივე აიხსნება მათი გარკვეული მსგავსებაც ძველ არამეულ დამწერლობასთან (სახელმწიფო არამეულთან). ამ

<sup>33</sup> კ. წერეთელი, ურბნისის არამეული წარწერა, სმამ, ტ. 132, № 3, 1988.

<sup>34</sup> А. Борисов, Надписи Артаксия (Арташеса), царя Армении, ВДИ, 1946/2, с. 98.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> კ. წერეთელი, უფლისციხის არამეული წარწერები და მათი მნიშვნელობა, — კრებ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბ., (იბეჭდება).



მსგავსებაზე არა ერთი მეცნიერი მიუთითებდა (გ. წერეთელი, ა. ფერიხანიანი, ი. კუჩერი, ი. ნავე, ი. ელსნერი და სხვ.).

6. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც. ეს არის არამეული დამწერლობის ხმარებისა და განვითარების საერთო სურათი სომხეთსა და იბერიაში. სახელდობრ: (1) სომხეთის არამეულ წარწერათა შორის უძველესია სევანისა და თელუტის წარწერები, რომლებიც, როგორც ითქვა, ძვ. წ. II ს-ს განეკუთვნებიან და ძველი არამეული დამწერლობით არიან შესრულებული. იგივე ვითარებაა საქართველოში. აქამდე აღმოჩენილ არამეულ წარწერათა შორის უძველესია უფლისციხის ქვევრის ნატეხებზე დაწერილი არამეული სიტყვები და ესეც იმავე ხანასა და დამწერლობის იმავე ტიპს განეკუთვნება (ძვ. წ. III—II სს.). უფრო ძველი ჩანს არამეული წარწერა (ერთი სიტყვა) ვერცხლის თასზე ე. წ. ყაზბეგის განძიდან, რომელსაც არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები აქემენიანთა იმპერიის ხანას (ძვ. წ. VI—V სს.) მიაკუთვნებენ. მაგრამ, როგორც ვარაუდობენ სპეციალისტები, ეს თასი არ უნდა იყოს ადგილობრივი წარმოშობისა, იგი შემოტანილია საქართველოში და, ამდენად, ამ დებულებას არ არღვევს<sup>37</sup>; (2) არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერები გვხვდება როგორც სომხეთში, ისე იბერიაში და ორივეგან ეს წარწერები ძირითადად ერთ ხანას უნდა განეკუთვნოს (ახ. წ. I—III სს.), აქ თავსდება როგორც სომხეთში აღმოჩენილი გარნის წარწერა (ახ. წ. II ს.), ისე საქართველოში ნაპოვნი არმაზის სტელები (I—II სს.), ბორის წარწერა (III ს.) და მთელი რიგი მცირე წარწერებისა (II—III სს.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ძველის დამწერლობა ხასიათდება გარკვეული პალეოგრაფიული თავისებურებებით. აბსოლუტურად იდენტური გრაფიკა ერთი და იმავე ასოებისა არა მარტო სხვადასხვა არმაზულ ტექსტში არ გვხვდება, ზოგჯერ იგი ერთსა და იმავე ტექსტშიც არ დასტურდება. იდენტური ასოების გარკვეული ვარიაციები არმაზული დამწერლობით შესრულებულ სხვადასხვა ძეგლში სავსებით დასაშვებია, მაგრამ ისინი მინიმალურია და დამწერლობის საერთო ხასიათის ჩარჩოში თავსდება (შდრ., მაგალითად, ბილინჯისა და ბორის პინაკის ასო ალფი — ა : ყ და II )<sup>38</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ სომხური და ქართული დამწერლობების ისტორიის საკითხი. როგორც ცნობილია, სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, სომხეთშიც და საქართველოშიც სომხური და ქართული წერილობითი ძეგლები ახ. წ. V ს-ზე ადრე ჯერჯერობით არ გვხვდება. ის დამწერლობანი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, შექმნილნი უნდა იყვნენ სომხეთისა და საქართველოს მოქცევის შემდეგ (დამწერლობათა შექმნა ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ცნობილია მრავალ ქვეყანაში), ე. ი. არა უადრეს ახ. წ. IV ს-ისა<sup>39</sup>. საინტერესოა, რომ ზემოხსენებული წარწერები სომხეთსა და იბერიაში ყველა მის წინა ხანას განეკუთვნება. არ შეიძლება ისიც არ გავითვალისწინოთ, რომ ამ ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების ინტენსიურად წარმოების შედეგად აღმოჩენილი წარწერები,

<sup>37</sup> შდრ. Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 74—75.

<sup>38</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინჯვა, გვ. 7.

<sup>39</sup> შდრ. თამაზ გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართულში“, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ. 20 ნომბერი (№ 47), გვ. 3; მისივე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989, გვ. 196—198.





რომლებიც ახ. წ. IV ს-ზე ადრეული ხანისაა, მხოლოდ არამეული ან ბერძნულია, როგორც ამას თ. გამყრელიძეც შენიშნავს. ყველაზე ადრეული ადგილობრივი წარმოშობის არამეული წარწერა ხსენებულ რეგიონში (საქართველოსომხეთი) ძვ. წ. III—II სს-ისა უნდა იყოს. ამრიგად, არამეული წარწერები საქართველოსა და სომხეთში თავსდება იმ პერიოდის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ძვ. წ. III ს. — ახ. წ. III ს., ე. ი. პართიის სამეფოს (არშაკიდების) ხანას. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში ოფიციალური საკანცელარიო ენა ირანულენოვან პართიაში ბერძნული და არამეულია (ყოველ შემთხვევაში, არამეოვრადიკული დამწერლობით), აქედან ბერძნული პირველ ადგილზეა. ასევე უნდა იყოს ამ ხანაში იბერიაშიც, სადაც არამეული ბერძნულის გვერდით გვხვდება. ამასთანავე, იქ, სადაც წარწერა ორ ენაზეა წარმოდგენილი (არმაზის ბლინგვა, ზღუდერის პინაკი), ჯერ ბერძნულია და შემდეგ არამეული ტექსტი<sup>40</sup>. არმაზის ბლინგვამ დაადასტურა, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში ოფიციალურ წრეებში ბერძნულთან ერთად იყენებდნენ არამეულსაც (როგორც ეს დამახასიათებელია უფრო ადრეც სხვა რეგიონებშიც. შდრ., მაგალითად, აგაჩა-კალეს, მცირე აზია, ბერძნულ-არამეული ბლინგვა)<sup>41</sup>. ვფიქრობთ, ბერძნული ტექსტის პირველ ადგილზე დასმა უნდა მიუთითებდეს ელინურ-რომაულ ხანაში ბერძნული ენის განსაკუთრებულ პრესტიჟზე საერთაშორისო მასშტაბით. ერთი საინტერესო დეტალიც. არმაზის ბერძნულ-არამეულ ბლინგვაში ბერძნული ტექსტი სტელაზე თუმცა პირველ ადგილზეა მოთავსებული, მაგრამ იგი უფრო მოკლეა არამეულ ტექსტზე, რომელიც ბერძნულთან შედარებით დამატებით „მეორეხარისხოვან“ დეტალებს შეიცავს: მოცემულია ცნობა ზევას მცირე პიტააზმის საქმიანობის შესახებ, დასახელებულია მისი პატრონი ფარსმან მეფე, რომლის გმირობასთან დაკავშირებით მოხსენიებული უნდა იყოს ფარნაეაზიცი (მეფე?), მოწოდებულია სერაფიტის დახასიათებაც („კეთილი“, „მშვენიერი“). ამასთანავე, ბერძნული ეპიტაფია დაწერილია მესამე პირით, არამეული — პირველი პირით. ეს გვაფიქრებინებს, რომ აქ არსებითი არამეული ტექსტი იყო, ხოლო ბერძნული მის ერთგვარ „რეზიუმეს“ წარმოდგენდა და „საგარეოდ“ იყო გათვალისწინებული, არამეული კი „შიდა სამსახურისათვის“ — ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ამდენად უფრო დეტალური.

7. საქართველოში არსებული არამეული წარწერების ენის საკითხი კარგა ხანია მეცნიერთა ინტერესს იწვევს. ცხადია, აქ ძნელია რაიმე ითქვას მცირე წარწერების შემთხვევაში: თითო-ოროლა სიტყვა ამის საშუალებას ყოველთვის არ იძლევა და ამ მხრივაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არმაზის სტელები, რომელთაგან ერთი 11-სტრიქონიანია, ხოლო მეორე — 14-სტრიქონიანი. ხსენებულ სტელათაგან დღემდე ყველაზე კარგად შესწავლილია ბლინგვა, რომლის არამეული ტექსტის ენის საკითხი მისი პირველ წაკითხვისთანავე სადავო გახდა. თვით გიორგი წერეთელი, რომელმაც საქმიოდ დეტალურად შეისწავლა ბლინგვის არამეული ტექსტის ენა, არ თვლიდა შესაძლებლად მისი ენა გარკვევით არამეულად გამოცხადებინა, თუმცა საკუთარი სახელებისა და განმეორებული სიტყვების ჩაუთვლელად, მისი თქმით, ტექსტის 32

<sup>40</sup> კ. წერეთელი, არმაზის ბლინგვა, ტბ. I; მ. ქელიძე, ზღუდერის არამეული წარწერები, სემიტოლოგიური ძიებანი, V, თბ., 1990.

<sup>41</sup> M. Lidzbarski, Ephemeris, II, Giessen, 1908, გვ. 249—250.



სიტყვიდან 29 არამეულია<sup>42</sup>. იგი აღნიშნავდა ტექსტის ენის არამეულობის საწინააღმდეგო ფაქტებს, რომელთაც ძირითადად საშუალო ირანულისათვის დამახასიათებელ მოვლენად თვლიდა. იდგა საკითხი: ხომ არა გვაქვს აქ საქმე საშუალო ირანულ ენასთან, რომელმაც გამოიყენა არამეული იდეოგრაფები? ასე ფიქრობდა ირანისტთა დიდი ნაწილი (ვ. ჰენინგი, ფ. ენიუ, და სხვ.), თუმცა მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სემიტოლოგებთან ერთად, ტექსტის ენად არამეულს აცხადებენ (ა. ფერიხანიანი, მ. ბოგოლიუბოვი). მაგრამ ტექსტის ენის ირანულად გამოცხადებას ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი აქვს, რაც სწორად არის აღნიშნული გიორგი წერეთლის მიერ („ვიდრე წარწერაში არ არის გამომყვანებული ამჟაად სპარსული ფორმა, ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ მისი ენის სპარსულობაში“)<sup>43</sup>. რაც შეეხება „ირანიზმებს“ (მათში იგულისხმება არამეული სიტყვების იდეოგრაფიკული ფუნქცია), არამეულ ტექსტშიც შეიძლება გვქონდეს და ეს იმ ხანისათვის იბერიაში ბუნებრივია (იგი ხომ ირანულის პოლიტიკური გავლენის ზონაშია მოქცეული), მეტადრე ბუნებრივია არამეულისათვის, რომელიც აქემენიანთა დროიდან მოყოლებული ირანულის გარკვეულ გავლენას განიცდის (ძირითადად ლექსიკური სესხებანი). მეცნიერთა ერთი ჯგუფი (ვ. აბაევი, რ. ფრაი, ა. ფრეიშანი) შესაძლებლად თვლიდნენ არმაზის წარწერებში დაგვეჩვენა ქართული ენის პეტროგრაფიული ვადმოცემა (მოგვიანებით რ. ფრაიმ აქ ქართული შეცვალა საშ. სპარსულით). მაგრამ ბილინგვის ტექსტის გულდასმით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ „ირანიზმების“ რაოდენობა ბევრად მცირეა, ვიდრე ეს გიორგი წერეთელს ჰქონდა აღნიშნული. იხსნება ზოგიერთი „ენობრივი შეუსაბამობა“ კლასიკური არამეულის თვალსაზრისითაც<sup>44</sup>.

ყურადღებას იპყრობს სტანდარტული არამეულის გრამატიკის თვალსაზრისით ზოგიერთი დარღვევა, რომლებიც ჩვენ წარწერებს საერთო აქვთ სომხეთის არამეულ წარწერებთან, მათ შორის ყველაზე ძველ — სევანის წარწერებთან<sup>45</sup>. ასეთია, მაგალითად, სახელის განსაზღვრული ფორმის, ე. წ. *status emphaticus*-ის ნაცვლად უარტიკლო ფორმის ხმარება (როგორც ეს განუსაზღვრელ მდგომარეობაში — *status absolutus*-შია): ბილინგვა — *prsmn mlk* „ფარსმან მეფე“, მონოლინგვა — *mhrdṭ mlk rb* „მიპრიდატ მეფე დიდი“, სისიანი — *mtql ksp* „ვერცხლის წონა“<sup>46</sup>, სევანი — *’rthṣst mlk* „ართახსასთ (არტახსერქს) მეფე“ და მისთ. ყველგან აქ მოსალოდნელი იყო *mlk’*. ცხადია, ასეთ შემთხვევაში *mlk* არც განუსაზღვრელი ფორმაა (*st. abs.*) და არც გენეტიური კონსტრუქცია (*s. cstr.*), როგორც ამას მართებულად შენიშნავს ა. ბორისოვი და იქვე აღნიშნავს, რომ არამეული გრამატიკიდან ასეთივე გადახვევა გვაქვს მცხეთის ორივე არამეულ წარწერაში<sup>47</sup>. ამავე რიგისაა კუთვნილების გამომხატველ კონსტრუქციაში (*st. cstr.*) მდგომარეობა სახელის შემდეგ რელაციური ნაწილაკის *zy*-ს დასმა საკუთარი სახელის წინ მაშინ, როცა ამ ნაწილაკის ხმარება დასა-

<sup>42</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 27.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 29—30.

<sup>44</sup> კონსტანტინე წერეთელი, შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე (იბეჭდება).

<sup>45</sup> А. Борисов, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

<sup>46</sup> А. Периханян, Арамейская надпись из Сисиана, გვ. 80.

<sup>47</sup> А. Борисов, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 1



შეგება მხოლოდ არტიკლანის ფორმის (st. emph.-ის) შემდეგ, აქ კი „მეფისა“<sup>48</sup> ტია. შდრ.: 'ntt zy ywdmngn „მეფულე იოდმანგანისა“ (ბილინგვა), mhrđt mlk rb brh zy prsmn mlk rb „მიპრდატ მეფე დიდი ძე ფარსმან მეფისა დიდისა“ (მონოლინგვა), 'rthst mlk br zy zrytr „ართაჰსმასთ მეფე ძე ზარიათრისა“ (სე-ვანი)<sup>49</sup>.

ხსენებული დარღვევები, ა. ბორისოვის აზრით, მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ შესაძლებელია სევანის წარწერების ენა იყოს სპარსული ან ადგილობრივი — სომხური. საერთოდ კი ამ წარწერების ენა მისთვის გაურკვეველია, რამდენადაც, ზემოხსენებულის გარდა, წარწერის მეოთხე სტრიქონი „არაარამული ხასიათისა“<sup>49</sup>. აქვე შენიშნულია, რომ სევანის წარწერების ყველა სიტყვა გამოყენებულია ფელაურ იდეოგრამებად. დაახლოებით ანალოგიური აზრისაა მ. ლიძბარსკი ავაჩა-კალეს არამეულ ნაწილზე, რაც, სამწუხაროდ, მეტად დაზიანებულია: წარწერა შეიძლება დაწერილი ყოფილიყო რიგორც არამეულ, ისე სპარსულ ან სომხურ ენაზე<sup>50</sup>.

8. საქართველოში ნაპოვნი არამეული წარწერების შესწავლას განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხისათვის. წარწერებში ნახსენები ისტორიული პირებისა და ფაქტების მეშვეობით შესაძლებელი ხდება საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთის გარკვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართული ისტორიული წყაროების დაწერამდე. ასე მაგალითად, არმაზის არამეული სტელები გვაუწყებენ, რომ იბერიაში ახ. წ. I—II სს-ში იყო პიტიახშის სტატუსი, რომელიც სხვადასხვა დროს ჰქონდათ ზევახ დიდს, ზევახ მცირეს, შარგასს (თუ შარგასს). ამავე წარწერებში დასტურდება ეზოისმოძღვრის (სამეფო კარის გამგებლის)<sup>51</sup> თანამდებობაც, რომელიც ეკავათ აგრიბასა და იოდმანგანს. არმაზის ტექსტებში მოხსენიებულია იბერიის მეფეები: მიპრდატ, ხსეფარნუგ, ორი ფარსმანი (მონოლინგვა: „ფარსმან მეფე დიდი“, ბილინგვა: „ფარსმან მეფე“), ფარნავაზი (?). მოცემულია ცნობები ხსენებული ისტორიული პირების (მეფეების, პიტიახშების, ეზოისმოძღვრების) შესახებ. არმაზის ტექსტების მიხედვით იბერიის სამეფო კარას სტრუქტურა I—II საუკუნეებში ასეთ სახეს იღებს: ფარსმან მეფე დიდი, მისი პიტიახში ზევახ დიდი, მიპრდატ მეფე დიდი, მისი პიტიახში შარგას, ფარსმან მეფე, მისი პიტიახში ზევახ მცირე, ეზოისმოძღვარი აგრიპა, ხსეფარნუგ მეფე, მისი ეზოისმოძღვარი იოდმანგანი (ფარსმან დიდი=ფარსმან I, I ს. 40—60-იანი წლები; ფარსმან მეფე=ფარსმან II, II ს. 30—50-იანი წლები)<sup>52</sup>.

ამასთანავე, არმაზის მონოლინგვაში (შარგასის წარწერაში) მოცემულია ცნობა ამ პირთა ნათესაური კავშირის შესახებ. ჩვენ ვივებთ, რომ ფარსმან მეფე დიდი იყო მამა მიპრდატ დიდი მეფისა, ხოლო პირველის პიტიახში ზევახ დიდი — მამა მომღვენო პიტიახშის შარგასისა. ეს ცნობა (მეფეთა მიმართ) დასტურდება მცხეთაშივე 1867 წელს აღმოჩენილი ბერძნული წარწე-

48 А. Борисов, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

49 იქვე, გვ. 103.

50 Lidzbarsky, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

51 შდრ. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 44—45.

52 შდრ. იქვე, გვ. 33—34, ასევე ქსე I, გვ. 576.

რით<sup>53</sup>. ბილინგვაში თანამდებობის პირთა მხოლოდ ერთ ნათესაობით კავშირზეა საუბარი: ხსენდება მეფის ეზოისმოდღარი იოდმანგანი არის ძე ფარსმან მეფის ეზოისმოდღარისა აგრიპასი.

ზოგი არამეული წარწერა მიუთითებს ქართველთა და პართელთა ურთიერთობაზე და საქართველოს გარკვეულ გავლენაზე ამ რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში (მცხეთა-სამთავროს ლანგარი).

9. საქართველოში აღმოჩენილი არამეულმა წარწერებმა მოგვცეს საფუძველი ვიფიქროთ, რომ დაახლ. ძვ. წ. III — ახ. წ. III სს-ში იბერიაში გამოიყენებოდა არამეული და ბერძნული ენები სათანადო დამწერლობებით, რომელთაც საჭირო შემთხვევაში (კანცელარიასა თუ სხვაგან) იყენებდნენ ქართველები, როგორც ამას აკეთებდნენ პართიაში, სადაც არშაკიდების ხანაში ასევე გამოიყენებოდა ბერძნული და არამეული. ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო სომხეთში.

ამრიგად, ხსენებულ ხანაში (ძვ. წ. III — ახ. წ. III სს.) არამეული წარმოადგენდა „საკანცელარიო“ (სამწერლობო) ენას იბერია-სომხეთის რეგიონში, ენას, რომელსაც იყენებდნენ ამ რეგიონის მკვიდრი ტექსტის წერის ყველა შემთხვევაში (შღრ. მონოლინგვა — გამარჯვების სტელა და ბილინგვა — ეპიტაფია). ხსენებულ დრომდე, შესაძლებელია, ქართველებს არც ჰქონდათ წერის სხვა საშუალება, რამდენადაც ამ ხნის განმავლობაში საქართველოში (და არც სომხეთში) ასეთი რამ არ ჩანს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ შესაძლებლად ვცნობთ ასეთი ჰიპოთეზა წარმოვადგინოთ: ძვ. წ. III ს-მდე იბერიაში (ასევე სომხეთში) ადგილი ჰქონდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერებას, ყოველგვარი ამბისა თუ თხზულების ზეპირად თხზვას და მის გადაცემას თაობიდან თაობაში (როგორც ეს ცნობილია, მაგალითად, ძველ საბერძნეთსა თუ ძველ პალესტინაში)<sup>54</sup>. ამით აიხსნება ის მდიდარი ზეპირსიტყვიერება, რომელმაც დღემდე მოაღწია ჩვენში და რომლის ფესვები, როგორც ცნობილია, ძალიან შორს, საუკუნეთა სიღრმეშია გადგმული. სწორედ ამ ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა იმდროინდელი აზროვნებისა და კულტურის მაღალი დონე. იგივე ითქმის სომხურის მიმართაც. დაახლ. ძვ. წ. III—II სს-ში ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ხდება დიდი გარდატეხა: ხმარებაში შემოდის გარკვეული დამწერლობა და ამის შემდეგ ჩნდება შესაძლებლობა ზოგი რამ მაინც დაიწეროს და არა მხოლოდ ზეპირად ითქვას. ერთხანს ეს არის არაქართული დამწერლობა, არამედ ის, რასაც დიდი ტრადიცია ჰქონდა ახლო და შუა აღმოსავლეთში — არამეული, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ჯერ კიდევ აქემენიანთა იმპერიაში. საჭირო ქართული (თუ სომხური) ტექსტი არამეულად არამეულ ენაზე იწერებოდა და ამით ხდებოდა მისი გრაფიკული ფიქსაცია. პირველად ეს იყო ის დამწერლობა, რომელიც იხმარებოდა სპარსეთის იმპერიაში აქემენიანთა ხანაში (ძვ. წ. VI—IV სს.). მოგვიანებით (ძვ. წ. I ს-დან) (ან ეგვიპტის უფრო ადრეც) საქართველო-სომხეთის რეგიონში ვითარდება ამ დამწერლობის ადგილობრივი სახეობა — არმაზული, რომელზეც წარმოდგენილია ამ რეგიონის არამეული ძეგლები I—III საუკუნეებისა. ამავე ხანისაა პართული ტიპის დამწერლობით შესრულებული წარწერები, რომლებიც მხო-

53 Г. В. Церетели, ВДИ, 1948/2, с. 49—50.

54 შღრ. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური ხსიტემა..., გვ. 199—201.



ლოდ იმპორტულ საგნებზე გვეხდება. ამრიგად, საქართველოში (იმერეთში) ძვ. წ. III ს-დან (დაახლ.) არამეული სამწერლობო ენის ფუნქციით გვევლინება.

10. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არამეულ წარწერებს, როგორც დავინახეთ, აქვთ დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. წარწერებში მოხსენიებული პირები და აქ მოცემული ცნობები უაღრესად საინტერესო მასალაა ქრისტიანობამდელი საქართველოს ისტორიისათვის (როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით). ამასთანავე, წარწერები მიუთითებენ იმ გარკვეულ წერილობით ტრადიციაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ჩვენამდე მოღწეული ქართული ანბანის შექმნამდე. ეს ტრადიცია დასაწყისს უნდა იღებდეს იმ ხანაში, რომელზეც, ქართველი მემატიანის მიხედვით, მოდის ფარნავაზის მეფობა იბერიაში. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ არამეული დამწერლობის (და ენის) ქართველთა მიერ სამწერლობოდ გამოყენება მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, როცა თვით ქართული დამწერლობის ხმარება მტკიცედ იყო შემოსული, გაგებული იყო როგორც „ქართული მწიგნობრობის“ დასაწყისი. მართალია, ლეონტი მროველთან (XI ს.) ნათქვამია, რომ „(ფარნავაზმა) განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართული-სა“, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ეს სიტყვები ვრცელდებოდეს „საკანცელარიო“ (სამწერლობო) ენაზეც. ადვილი წარმოსადგენია, რომ სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, ე. ი. ფარნავაზის დროისათვის, სპარსული ენის ხმარება საქართველოში შეიზღუდა, მაგრამ ჯერ კიდევ იხმარება კლასიკური არამეული თავისი დამწერლობით (მხოლოდ როგორც სამწერლობო ენა!). მოგვიანებით კი ამ ძველ არამეულ დამწერლობას ცვლის ადგილობრივი სახეობა არამეული დამწერლობისა, ე. წ. არმაზული (I—III სს.).

არ არის გამორიცხული საქართველოში ენისა და დამწერლობის გამოყენება ქართული ტექსტის გადმოცემისათვის ე. წ. ალოგოტოგრაფიული წესით, რის ვარაუდიც თამაზ გამყრელიძემ წარმოადგინა<sup>55</sup>. იგი, როგორც ცნობილია, გულისხმობს ქართული ტექსტის არამეული თარგმანის არამეულადვე ჩაწერას და ქართულად წაკითხვას. სწორედ ასეთი წესით ქართული ტექსტის ჩაწერა საფუძველს აძლევს თამაზ გამყრელიძეს გაშიფროს ლეონტისეული გამოთქმა „ქართული მწიგნობრობა“.

*Kartlis Tskhovreba*, a corpus of old Georgian historical works, has always been in the centre of attention of Georgian source students. The study of the corpus involves the time of its compilation, original composition, structure and gradual supplementation, as well as questions of its attribution, dating, textual criticism, and the methods of writing used by old authors. The Department of Source Studies of the Institute of History has been working for several years on the compilation and publication of a concordance-vocabulary of *Kartlis Tskhovreba*.

Many key questions of editing historical sources are discussed in the paper, as well as problems of drawing up and systematization of rules for the publication both of Georgian and of foreign (West-European, Greek, Armenian, and Oriental: Arabic, Persian, and Turkish) sources.

As noted in the second part of the paper, a novelty in the Georgian source studies in the 1980s is the publication of major studies in Russian, enabling non-Georgian scholars to make wider use of the achievements of Georgian source studies. Then the author discusses separately the materials of All-Union sessions held in Georgian (Kutaisi, Telavi, Gori, Sukhumi, Batumi), attended by scholars from Moscow, Leningrad, Kiev, Baku, Tashkent, Krasnodar, Rostov, Makhach-Kala, Dnepropetrovsk, Tbilisi, Kutaisi, Sukhumi, Batumi, and other scholarly centres.

It is noted that the sessions and collected papers devoted to topical problems of the study and publication of written historical sources are gaining in scope thematically. The sessions have become a centre of source studies not only on the Transcaucasian but also on the All-Union scale, giving an impetus to scholars of the entire Soviet Union.

L. Pushkarev denotes much space to a detailed analysis of the books published in Russian by G. Alasania and R. Kiknadze, defining their significance and place in modern theoretical source studies. It is stated also that the Commission for the Sources of Georgian History publishes Russian translations of monuments of Georgian historical literature; the translations are listed.

ნაზარ ბარ-ოგანოვი

სპარსეთის კახაკთა ბრიგადა — რუსეთის ცარიზმის  
ფორპოსტი ირანში (1900—1921 წწ.)

ირანის შეიარაღებული ძალების დაცემა-გადაგყარებამ, რაც თვალნათლივ გამოიკვეთა XIX ს-ის მეორე მეოთხედში, აგრეთვე მაშინდელი სამხედრო მინისტრის მირზა ჰოსეინ-ხან სეფაქსალარის თაოსნობით გატარებული სამხედრო რეფორმის წარუმატებლობამ აიძულა ამ ქვეყნის მესვეურები არმიის მოსაწესრიგებლად კიდევ ერთხელ ევროპელი, მათ შორის რუსი, სამხედრო ინსტრუქტორები მიეწვიათ.

ირანს მივლინებულმა რუსეთის სამხედრო მისიამ, რომელსაც სათავეში ედგა გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ა. დომანტოვიჩი, 1879 წ. საფუძველი ჩაუყარა ე. წ. სპარსეთის კახაკთა ბრიგადას. ბრიგადა ირანის არმიის ყველაზე ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი იყო, ამასთანავე, თავისი მზარდი ავტორიტეტის წყალობით იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღნიშნული ხანის ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სპარსეთის კახაკთა ბრიგადა იყო ყაჯართა გახრწნილი რეჟიმის ერთგული დამცველი და რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარების მძლავრი იარაღი. „განუკითხაობის ეპოქის“ ავტორი, ირანელი მკვლევარი იბრაჰიმ თეიმური ბრიგადის შესახებ სამართლიანად წერს, რომ „კახაკები ფაქტობრივად რუსეთის მეფეების დამქაშებს და რუსეთის საელჩოს სამხედრო და აღმასრულებელ ძალას წარმოადგენდნენ“<sup>1</sup>. სპარსეთის კახაკთა ბრიგადა, რომელიც ირანის მმართველის, ნასერ ედ-დინ-შაჰის პოლიტიკური სიბეცისა და წინდაუხედაობის შედეგად შეიქმნა, შემდგომში ირანელი ხალხისათვის დიდ უბედურებად გადაიქცა. „თავისი არსებობის ორმოცი წლის მანძილზე, — წერს ისტორიკოსი მაჰმუდ მაჰმუდი, — ბრიგადამ ირანს და მის ხალხს განუზომელი მატერიალური ზარალი და სულიერი ტკივილი მიაცენა“<sup>2</sup>. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მისი რეაქციული ბუნება ირანის 1905—1911 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, როდესაც სპარსეთის კახაკთა ბრიგადა აშკარად დაუპირისპირდა ირანელ ხალხს და მისი სისხლით შეიღება ხელები. პოლკოვნიკ ლიახოვის მიერ მეჯლისის შენობის და სეფაქსალარის მეჩეთის დაბომბვამ, რამაც რუსეთის რეაქციული პრესის აღფრთოვანება გამოიწვია, ასეულობით ირანელი პატრიოტი შეიწირა. უსაზღვრო იყო ირანელთა ზიზღი საძულველი ბრიგადის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მეჯლისის სხდომებზე თუ ირა-

<sup>1</sup> იბრაჰიმ თეიმური, ასრ-ე ზინაბარი ია თარიხ-ე ემთიზათ დარ ირან, თეირანი, ჰიჯრის 1332 წ., გვ. 310 (სპარსულ ენაზე).

<sup>2</sup> მაჰმუდ მაჰმუდი, თარიხ-ე რავაბეთ-ე სიასი-იე ირან ვა ენგლის დარ ყარნ-ე ნუსტაჰომე მილადი, ტ. 4, თეირანი, გვ. 906 (სპარსულ ენაზე).



ნის პროგრესული პრესის ფურცლებზე არაერთხელ დაუყენებიათ საკითხი ბრიგადის დაშლის აუცილებლობისა თუ მისი რუსი მეთაურის და ინსტრუქტორების გადაყენების და მათ ნაცვლად ირანელი ოფიცერების დანიშვნის შესახებ. „ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს ბოროტების ხის (მხედველობაშია სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა — ნ. ტ.-ო.) მწარე ნაყოფების შესახებ“ — წერდა ჟურნალი „ქავე“ 1916 წელს თავის ერთ-ერთ ნომერში<sup>3</sup>. იცოდნენ, მაგრამ ვერა გაეწყობთ რა. ცარიზმი თავგამეტებით იცავდა თავის ქმნილებას და ცხადი იყო, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ამ ფესვმაგარი ხის ამოძირკვას.

მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობამ და ხელსაყრელმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ საშუალება მისცა ირანს თავი დაეხსნა რუსეთისა და ინგლისის კოლონიური ბატონობის უღლისაგან. სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა, რომელიც მანამდე უცხოელთა ინტერესებს ემსახურებოდა, ამიერიდან ირანის ერთიანი, ეროვნული არმიის საფუძველი და ბირთვი გახდა.

განსაკუთრებით გაიზარდა ბრიგადის პოტენციალი და მისი მეთაურის ავტორიტეტი მოზაფერ ედ-დინ-შაჰის მმართველობის პერიოდში (1896—1906 წწ.), როდესაც ბრიგადას სათავეში ჩაუდგა ერთობ ენერგიული და უნარიანი მეთაური პოლკოვნიკი კოსოგოვსკი. ბრიგადის პოზიციების შემდგომ განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 1900 წ. რუსეთისაგან აღებული სესხმა. როგორც ცნობილია, ირანის მთავრობამ სესხის გადახდის გარანტიად რუსეთს ჩრდილოეთ ირანის საბაჟოებიდან მიღებული შემოსავალი გადასცა. სწორედ ამ შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის შენახვის დაუშრეტელ წყაროდ იქცა. რადგან ეს შემოსავალი უშუალოდ რუსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელ ბანკში ირიცხებოდა, ბრიგადის შემადგენლობა ჯამაგირს ამ ბანკიდან, ე. ი. რუსეთის საფინანსო დაწესებულებიდან იღებდა. ამავე ხანებში შედგენილ იქნა ბრიგადის ბიუჯეტი და წესდება. ამ უკანასკნელის თანახმად, ბრიგადის მეთაურის უშუალო უფროსად ირანის შაჰი ითვლებოდა<sup>4</sup>.

ბრიგადის აღმასვლა შეჩერდა კოსოგოვსკის მემკვიდრის პოლკოვნიკ ჩერნოზუბოვის დროს, რომელმაც ბრიგადა 1903 წ. ჩაიბარა. ბრიგადის ავტორიტეტის დაცემა, რაც გამოწვეული იყო ბრიგადის შიგნით მომხდარი ძალთა გადაჯგუფებით, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ცარიზმის ინტერესებს. გავლენის შენარჩუნება ირანში, იმ ხანებში დაწყებული ხალხთა მისების რევოლუციური აღტყინების პირობებში, რუსეთის მთავრობას არსებით ამოცანად მიაჩნდა. იგი იმდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ცარიზმისათვის, რომ ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, ირანში რუსეთის პოლიტიკის ძირითადი საკითხების განხილვის მიზნით სპეციალურად იქნა დაარსებული „სპარსეთის საკითხების საგანგებო სათათბირო“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ რუსეთის მთავრობის მესვეურნი: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი და საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი. სათათბირებზე იწვევდნენ კავკასიის მეფისნაცვალს, რუსეთის ლონდონელ და კონსტანტინეპოლელ ელჩებს, თეირანში რუსეთის ღესპანს და თავრიზის გენე-

<sup>3</sup> იხ. იბრაჰიმ თეიმური, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

<sup>4</sup> Павлович М., Иранский С., Персия в борьбе за независимость, М., 1925, გვ. 85—86.

რალურ კონსულს მათი პეტერბურგში ყოფნის შემთხვევაში. თავისი არსებობის მანძილზე სათათბირომ რუსეთისათვის მნიშვნელოვანი არაერთი საკითხი განიხილა<sup>5</sup>. ირანში რევოლუციური მოძრაობის დაწყებამ აიძულა სათათბირო ეძია საშუალებანი რევოლუციის ჩასახშობად. ასეთ ვითარებაში სპარსეთის კახაკთა ბრიგადის გაძლიერება პირდაპირ პასუხობდა რუსეთის ცარიზმის და ყაჯართა დინასტიის ინტერესებს. 1905 წ. 12 აგვისტოს შემდგარ სათათბიროს მორიგ სხდომაზე, რომელმაც ყურადღება რუსეთ-ირანის მომავალი ურთიერთობის ასპექტებს მიაპყრო, დაუფარავად ითქვა: „...ჩვენთვის სასურველია, გავაძლიეროთ სპარსეთის ჯარი რუსული კადრებით, ანუ გავზარდოთ კახაკთა ბრიგადა და მივცეთ სპარსეთს რჩევა გაძლიერდეს ამ გზით თავის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე“<sup>6</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კახაკთა ბრიგადის გაფართოებით რუსეთის ცარიზმი სრულიადაც არ ისახავდა მიზნად საერთოდ ირანის შეიარაღებული ძალების გაძლიერებას, პირიქით, იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო მათი რამდენადმე მოწესრიგებისაც კი<sup>7</sup>. უბრალოდ, ბრიგადა, რომელსაც სათავეში ედგნენ რუსი სამხედრო ინსტრუქტორები, შეიარაღებული რუსული იარაღით. გაწვრთნილი რუსული სამხედრო წესდებებით, რომელიც ინსტრუქციებს მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტროებიდან იღებდა, უსიტყვოდ შეასრულებდა თავისი ნამდვილი პატრონის დავალებებს.

ირანელი ხალხის მძლავრმა რევოლუციურმა აფეთქებამ, რომელსაც ბიძგი მისცა რუსეთ-იაპონიის ომმა და რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რეალური საფრთხე შეუქმნა ყაჯართა ძირმომბალ რეჟიმს, რომლის გახრწნის სიმპტომები რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე გამოვლინდა — ჯერ კიდევ 1897 წ. რუსეთის საელჩოდან იტყობინებოდნენ რევოლუციის მოსალოდნელ მოახლოვებას: „ირგვლივ ყველაფერი მოირყა, მოსახლეობა გამოთქვამს აღშფოთებას და პროტესტის ნიშნად აწყობს ამბოხებას. ასე იყო ორი უკანასკნელი თვის მანძილზე ბორჯირდში, ისფაჰანში, შუსთერში და ბოლოს, თაერზში“<sup>8</sup>. ირანელმა ხალხმა მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში დიდ გამარჯვებას მიაღწია — 1906 წ. 7 ოქტომბერს გაიხსნა ირანის პარლამენტი — მეჯლისი, რომელმაც მალე ირანის პირველი კონსტიტუცია შეიმუშავა. კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეზღუდა შაჰის ძალაუფლება. რეაქცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ირანის ახალი შაჰი მოჰამადალი, ვერ შეურიგდა მეჯლისის არსებობას და, საერთოდ, დემოკრატიულ მოძრაობას და მის მოსასპობად გულმოდგინედ დაიწყო მზადება. მთელს ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდებოდა ზიზლი ყაჯართა დინასტიისა და იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიური პოლიტიკისადმი. ირანელი ხალხის დემოკრატიული ფენები ენჯუმენების და მოჯაჰიდების რაზმების დახმარებით აქტიურად ებრძოდნენ საშინაო რეაქციას. სწორედ მათი შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მოჰამადალი-შაჰი იძულებული გახდა ეცნო მეჯლისის მიერ შემუშავებული ძირითადი კანონის დამატებანი, რომელიც კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობის ბურჟუაზიულ პრინციპს ცნობდა<sup>9</sup>. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში გამოხატული იყო

<sup>5</sup> «Красный Архив», т. I, М., 1933.

<sup>6</sup> «Красный Архив», т. I, გვ. 58.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 58—59.

<sup>8</sup> Архив внешней политики России, ф. «Персидский стол», год 1897, ед. хр. 877, ч. I, л. 46.

<sup>9</sup> История Ирана, М., 1977, გვ. 276.



მემამულურ-ბურჟუაზიული წრეების ინტერესები, მან გარკვეულად შეცვალა ხელი მასეში რევოლუციური თვითშეგნების ზრდას. ამიტომ იყო, რომ რევოლუციამ ძალზე შეაშინა რუსეთის ცარიზმი, რადგანაც საფრთხეში ჩაავდო მისი გეგმები, რომლებშიც ირანს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი. „...наша задача, — ვითხოვლობთ ირანში რუსეთის ახლად დანიშნული ელჩისადმი ა. შნეურისადმი 1904 წ. 30 სექტემბერს (ახ. სტ. 19 ოქტომბერს) გაგზავნილ ინსტრუქციაში, — „политически сделать Персию 'послушным' и [полезным, то-есть достаточно сильным орудием в наших руках, [экономически — сохранить за собою обширный персидский рынок для свободного применения на нем русского труда и капиталов...“<sup>10</sup>.

ამის შესასრულებლად კი რუსეთის ცარიზმს ორი მძლავრი ბერკეტი ჰქონდა: ერთი იყო რუსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკი, მეორე კი — სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა. თუმცა პირველ ხანებში მეფის რუსეთი და ინგლისი თავს იკავებდნენ რევოლუციაში აქტიური ჩარევისაგან, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ასე დიდხანს ვერ გასტანდა. ირანის რევოლუცია და, საერთოდ, „აზიის მზარდი დემოკრატიზმი“ მოსვენებას არ აძლევდა როგორც მეფის რუსეთს, ისე ლიბერალიზმის აბრას ამოფარებულ ინგლისს. იმისათვის, რათა აზიაში მიმდინარე რევოლუციების წინააღმდეგ აქტიურად ებრძოლათ და ამასთანავე მშვიდობიანად გადაეჭრათ მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი, 1907 წ. 31 აგვისტოს ინგლისმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ირანის, ავღანეთისა და ტიბეტის გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ. ამ ხელშეკრულებამ იურიდიულად გააფორმა ინგლის-რუსეთის კავშირი ირანის რევოლუციის წინააღმდეგ<sup>11</sup>. მაგრამ ინგლისისაგან განსხვავებით, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ ფრთხილად და ფარულად მოქმედებდა, ცარიზმი უფრო ძალის გამოყენებას აძლევდა უპირატესობას. გამარჯვების სასწორი რაც უფრო რევოლუციის დამცველთა მხარეს იხრებოდა, მით უფრო აშკარა ხდებოდა ცარიზმის ზრახვები — რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ჩაეხშო რევოლუცია. ამ საქმეში კი უმთავრესი როლი მას ბრიგადისათვის ჰქონდა განკუთვნილი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ რევოლუციის წლებში ერთიორად გაიზარდა ბრიგადის ბიუჯეტი. თუ 1882/83 წწ. ბრიგადის ბიუჯეტი 65 536 თუმანს უდრიდა, 1906 წ. მან უკვე 230 ათ. (ზოგიერთი ცნობით — 360 ათ.), ხოლო მოჰამადალი-შაჰის მმართველობის დროს (1907—1909 წწ.) კი ნახევარ მილიონ თუმანს გადააჭარბა<sup>12</sup>. მონაცემებს ბრიგადის ბიუჯეტის, მისი პირადი შემადგენლობის რაოდენობისა და შეიარაღების შესახებ ბრიგადის მესვეურნი ირანის მთავრობასაც კი უმალავდნენ<sup>13</sup>. რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით დამფრთხალმა ცარიზმმა და ყაჯარებმა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა თავიანთ საყრდენად გაიხადეს. 1908 წ. ბერდანის მოძველებული შაშხანების შესაცვლელად რუსეთში შექმნილ იქნა უახლესი ტიპის სამხაზიანი შაშხანები. იმავე წელს ბრიგადას ფრანგული სისტემის სწრაფმსროლი ქვემეხები და „მაქსიმის“ ოთხი ტყვიამფრქვევი შეემატა<sup>14</sup>.

<sup>10</sup> «Красный Архив», т. 4 (53), М., 1932, зб. 14.

<sup>11</sup> «Красный Архив», т. 4—5 (65—66), М., 1934, зб. 90.

<sup>12</sup> სეიდ მოჰამადალი ჯემალზადე, განჯე-შაიგან ია ალუზ-ე ეყუსადა-იე ირან, ბერლინი, ჰიჭრის 1335 წ., зб. 105—106 (სპარსულ ენაზე).

<sup>13</sup> იბრაჰიმ თეიმური, დასახ. ნაშრომი, зб. 310—311.

<sup>14</sup> Мамонтов Н. П., Очерки современной Персии, СПб., 1909, зб. 86—87.

სპარსეთის კახაკთა ბრიგადის სტატუსი, კერძოდ ის რომ ბრიგადა უშუალოდ შაჰს ემორჩილებოდა, რის გამოც არ იყო გამორიცხული მისი გამოსვლა მეჯლისისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ, ირანის მეჯლისის სამართლიანად მიანდა ეროვნული ინტერესებისათვის საზიანოდ. ამიტომაც იყო, რომ მეჯლისი არაერთხელ შეეცადა ბრიგადა სახელმწიფოს კონტროლისათვის დაექვემდებარებინა. 1907 წ. მიწურულში მეჯლისმა მიაღწია შეთანხმებას მოჰამადალი-შაჰთან ბრიგადაზე უმაღლესი მეთაურობის უფლებების სამხედრო მინისტრისათვის გადაცემის თაობაზე. იმავე წლის 9 დეკემბერს, მეჯლისის სხდომაზე მიღებულ იქნა ოფიციალური გადაწყვეტილება სპარსეთის კახაკთა ბრიგადის შესახებ, რომლის თანახმად ბრიგადა, ირანის შეიარაღებული ძალების უკლებლივ ყველა სამხედრო ნაწილთან ერთად, მათ შორის, შაჰის ქეშიქხანეც (პირადი დაცვა), სამხედრო მინისტრს უნდა დამორჩილებოდა<sup>15</sup>. მაგრამ მეჯლისის ამ გადაწყვეტილების მიუხედავად ბრიგადა წინანდებურად შაჰის განკარგულებაში იმყოფებოდა. მეჯლისის უძლურებით ისარგებლა მოჰამადალი-შაჰმა. 1908 წ. ზაფხულის დამდეგს, როცა რევოლუციურმა მოძრაობამ თეირანში ტახტისათვის განსაკუთრებულად სახიფათო ხასიათი მიიღო, მოჰამადალი-შაჰმა 23( ქვ. სტ. 10) ივნისს, გამოაცხადა რა დედაქალაქში სამხედრო მდგომარეობა, „წესრიგის დაცვა“ სპარსეთის კახაკთა ბრიგადას დაეკისრა. საგანგებო წესების შემოღებისთანავე, შაჰის ბრძანებით, თეირანის გარნიზონის ჯარებზე სარდლობა ბრიგადის მეთაურს პოლკოვნიკ ლიახოვს გადაეცა, რომელმაც ამით სამხედრო დიქტატორის უფლებები მიიღო<sup>16</sup>. ამ დღეს პოლკოვნიკმა ლიახოვმა ბრიგადის ერთი ნაწილი რევოლუციის მთავარი კერების — სეფაჰდარის მეჩეთის და მეჯლისის დასარბევად წაიყვანა. წააწყდა რა ენჯუმენების მდგარ წინააღმდეგობას, პოლკოვნიკმა ლიახოვმა მაშველი ჯარი და არტილერია გამოიძახა. როგორც კი მიიღო შეესება, მან არტილერიის ცეცხლი დაუშინა მეჯლისისა და მეჩეთის შენობებში თავმოყრილ ხალხს. დაბომბვის შემდეგ ბრიგადა შეტევაზე გადავიდა და უმოწყალოდ გაუსწორდა ირანელ პატრიოტებს, გაანადგურეს ენჯუმენები.

ამდენად, ცარიზმმა, დაკარგა რა რევოლუციის დაცხრომის ყოველგვარი იმედი, რევოლუციის ჩასახშობად უხეშ ძალას მიმართა. როგორც პოლკოვნიკ ლიახოვის მიერ კავკასიის გენერალურ შტაბში, გენერალ-კვარტირმეისტერის სახელზე გაგზავნილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ამ კონტრრევოლუციური გადატრიალების გეგმა, რომლის შემუშავებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც ლიახოვმა, ისე რუსეთის საელჩომ პეტერბურგთან წინასწარი შეთანხმებით, შაჰს ლიახოვმა შესთავაზა<sup>17</sup>. სპარსეთის კახაკთა ბრიგადის ამ ბარბაროსული აქტით დიდად კმაყოფილი დარჩა... რუსეთის თვითმპყრობელი ნიკოლოზ II, რომელმაც „ამბონებულ“ პარლამენტზე გამარჯვების მაუწყებელი დეპეშის ტექსტზე მოკლედ წააწერა: „ყოჩად, კახაკებო, მადლობა! — მამაც ოფიცრებს“<sup>18</sup>. პოლკოვნიკ ლიახოვს არც რუსეთის რეაქციული პრესა დარჩა ვალში. მან ჯეროვნად შეათასა პოლკოვნიკ ლიახოვის „მამულიშვილური“ საქმე.

15 Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, с конца 1906 г. по июль 1908 г., Вып. I (по 1 ноября 1908 г.), СПб., 1911, зв. 57, 67, 73, 78.

16 იქვე, გვ. 229.

17 Павлович М., Иранский С., დასახ. ნაშრომი, გვ. 94—96.

18 იქვე, გვ. 97.



ცარიზმის იდეოლოგი ნ. მამონტოვი ლიხხოვის შესახებ წერდა: „ამჟამად ბრიგადას სათავეში უდგას გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვ. ლიხხოვი. იგი სპარსეთში რუსეთის საქმისათვის დაულალავი და მეტად საჭირო მუშაკია. პოლკოვნიკმა დიდი შრომა გასწია ბრიგადის გასაფართოებლად, მისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. მან მალლა ასწია სპარსეთში რუსეთის პრესტიჟი“<sup>19</sup>. 23 ივნისის გადატრიალებით ბრიგადამ დაღუპვისაგან იხსნა მოჰამადალი-შაჰის შერყეული ტახტი და საქმით დაუმტკიცა ყაჯარებს, რომ იგი მათი დინასტიის ერთადერთი საიმედო ბურჯი იყო. შაჰმა სათანადოდ დაუფასა სამსახური ბრიგადას — იმავე წლის აგვისტოში გაუზარდა ბიუჯეტი ბრიგადას იმდენად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბრიგადის რაოდენობის 250 კაზაკით გაზრდა და ამასთანავე, ბრიგადისათვის რუსეთიდან ერთი ოფიცრის და ურიადნიკის მიწვევა<sup>20</sup>.

თეირანში კონტრრევოლუციური გადატრიალების მიუხედავად, რეაქციამ ვერ მოახერხა რევოლუციის ჩახშობა. რევოლუციის ცენტრმა თეირანიდან თავროზში გადაინაცვლა. აზერბაიჯანელმა რევოლუციონერებმა, რომლებსაც სათავეში ედგნენ ლეგენდარული სათარ-ხანი და ბალირ-ხანი, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 1908 წ. ოქტომბერში, შეძლეს შაჰის რჩეული სამხედრო ნაწილების, მათ შორის, სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის რაზმების დამარცხება და მათი თავროზიდან განდევნა.

თავროზის აჯანყების წარმატებამ დასაბამი მისცა რევოლუციურ მოძრაობას ირანის სხვა რაიონებშიც. 1909 წ. დამდეგისათვის კონსტიტუციონალისტებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება გილანსა და ისფაჰანში. 1909 წ. ზაფხულის მიწურულს მოჰამადალი-შაჰის რეჟიმის დასაშობად თეირანისაკენ დაიძრნენ გილანელი ფედაიების რაზმები სეფაჰდარის წინამძღოლობით, სამხრეთიდან კი ბახთიართა ცხენოსანი ლაშქარი სარდარ ასადის მეთაურობით. თეირანის მისადგომებთან ფედაიების და ბახთიართა გაერთიანებულმა რაზმებმა დამარცხება აგემეს 400 სპარსელ კაზაკს და მთავრობის ჯარის სხვა ნაწილებს. 1909 წ. 13 ივლისს (ძვ. სტ. 30 ივნისს) კონსტიტუციონალისტები თეირანში შევიდნენ<sup>21</sup>. სპარსელი კაზაკები თეირანში დაბრუნდნენ და ყაზარმებში მყოფ კაზაკებთან ერთად შეუდგნენ კონტრშეტევისათვის მზადებას, მაგრამ ამასობაში, მოჰამადალი-შაჰმა დამსახურებული შურისძიებისაგან თავის დასაღწევად 16 ივლისს (ძვ. სტ. 3 ივლისს) რუსეთის მისიას შეაფარა თავი<sup>22</sup> და იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. იმისათვის, რათა არ დაეშვათ სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის დაშლა, რუსეთის საელჩოს პირველი თარჯიმანი „ნადვორნი სოვეტნიკი“ ბარანოვსკი მივიდა მეჭლისში, სადაც სეფაჰდარსა და სარდარ ასადს მიმართა წინადადებით — შეეწყვიტათ სისხლისღვრა და ამასთანავე აცნობა მათ მოჰამადალი-შაჰის ტახტიდან გადადგომის ამბავი. ბარანოვსკიმ მეჭლისს განუცხადა, რომ სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა მხოლოდ იმ პირობით დაყრდა იარაღს, თუ ბრიგადას უწინდებურად რუსი პოლკოვნიკის ხელქვეით დატო-

<sup>19</sup> Мамонтов Н. П., *ღისახ. ნაშრომი*, გვ. 88.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> დაწერილებით თეირანზე ლაშქრობის შესახებ იხ. გ. ქიპაშვილი, სერგო გამდლიშვილი („სერგო ვურჯი“) და მისი ირანული დღიურები, თბ., 1983, გვ. 118—155.

<sup>22</sup> Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. III (с 12 июля по 31 декабря 1909 года), СПб., 1912, გვ. 113.

ვებდნენ, ხოლო ბრიგადის ყველა იმ ოფიცერსა და დაბალ ჩინს, რომლებიც შაჰს იცავდნენ, ამნისტიას გამოუცხადებდნენ. სეფაჰადარმა და სარდარ ასადმა მიიღეს ბარანოვსკის წინადადება, მაგრამ, სამაგიეროდ მას მოსთხოვეს, რომ რუსი პოლკოვნიკი უსიტყვოდ დამორჩილებოდა სამხედრო მინისტრის (სეფაჰ-დარის) ბრძანებებს<sup>23</sup>. მეფის რუსეთის საელჩო დაემუქრა ირანის მთავრობას, რომ ბრიგადის დაშლის ნებისმიერი ცდა გაგებული იქნებოდა მის მიერ როგორც წესრიგის ხელყოფა და ასეთ შემთხვევაში, მის აღსადგენად იძულებული იქნებოდა ყაზვინში დაბანაკებული რუსული კახათა ბრიგადა მიეწვია<sup>24</sup>. ასეთი პერსპექტივა, რასაკვირველია, ვერ „მოხიბლავდა“ ირანის მთავრობას, ამიტომაც ამ უკანასკნელმა ამჯობინა არ გაემწვავებინა ურთიერთობა რუსეთთან. იმისათვის, რათა უფრო მეტად არ გაეძლიერებინათ ირანელთა ზიზი სპარსეთის კახათა ბრიგადისადმი, რუსეთის მესვეურებმა საჭიროდ ცნეს პოლკოვნიკი ლიახოვის ირანიდან გაწვევა. მისი წასვლის შემდეგ ბრიგადას მცირე ხნით სათავეში ჩაუდგა „ვიოსკოვოი სტარშინა“ ბლაზნოვი<sup>25</sup>. ამ ხანებისათვის ბრიგადაში სიით 2060 კაცი ითვლებოდა, რომელთაგან ნამდვილ სამსახურში 1781 კაცი იმყოფებოდა, რაც სჭარბობდა ბრიგადის ნომინალურ კომპლექტს (1750).

არ გააჩნდა რა ბრიგადის მოსპობის საშუალება და ძალა, მემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობა იძულებული შეიქნა მის დასასუსტებლად სხვადასხვა ხერხისათვის მიემართა. მაგალითად, იგი ბრიგადის ძალების დაქსაქსვის მიზნით, მის დიდ რაზმებს ირანის სხვადასხვა კუთხეში აგზავნიდა<sup>26</sup>. აღნიშნულ პერიოდში ბრიგადის მონზრდილი ნაწილი, დაახლოებით 800 კაცი, თეირანის ფარგლებს გარეთ, მივლინებაში იმყოფებოდა, ხოლო 300 კახაკი შვებულე-ბაში ჰყავდათ გაშვებული, რის შედეგად ბრიგადის ყაზარმებში სულ 700 კაცი თუ იქნებოდა<sup>27</sup>.

ირანის მთავრობა არ ენდობოდა კახათა „რუსული წესდებით გაფუჭებული“ ბრიგადას<sup>28</sup>. სამხედრო სამინისტროში დღენიდავ ბკობდნენ ირანის არმიის რეორგანიზაციის საჭიროებაზე. აღსანიშნავია, რომ სამხედრო სამინისტროს აზრს საცხებით იზიარებდა ირანის სასულიერო წოდება. მაგალითად, ნეჯფელმა მოჯთეჰიდებმა რჩევით მიმართეს 1909 წ. 15 ნოემბერს (ძვ. სტ. 2 ნოემბერს) გახსნილ მეჯლისს — შემოეღო საყოველთაო სამხედრო ბეგარა და შეექმნა ეროვნული გვარდია<sup>29</sup>. იმ დროს, როდესაც მეჯლისი იხილავდა საკითხს ათათახიანი არმიის შექმნის შესახებ, რომელიც, დეპუტატთა აზრით, უნდა შედგენილიყო ერთ-ერთი არაწამყვანი ქვეყნის ინსტრუქტორების ხელშეწყობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის თეირანელ ელჩს ურჩევდა დაერწმუნებინა ირანის მთავრობა სპარსეთის კახათა ბრიგადის სარგებლობაში და მისი შემდგომი გაძლიერების საჭიროებაშიც კი. რუსეთის

23 Сборник дипломатических документов..., Вып. III, с. 7.

24 Сборник дипломатических документов..., Вып. III, гл. 16.

25 იქვე, გვ. 133.

26 Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. IV, СПб. 1912, гл. 35.

27 Сборник дипломатических документов..., Вып. III, гл. 157.

28 იქვე, გვ. 86.

29 იქვე, გვ. 244.



მთავრობა თანახმა იყო ბრიგადისათვის სესხად მიეცა იარაღი<sup>30</sup>. მაგრამ მექლისი კვლავაც ეჭვის თვალით უყურებდა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადას.

ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი კაზაკთა მოქმედებით გამოწვეული აღშფოთება, რომ იმ ხანებში მომხდარმა ერთმა ინციდენტმა თვალნათლივ დაანახა ირანელებს, თუ რას წარმოადგენდა და ვის ემსახურებოდა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა. ბრიგადის 30-მდე ირანელი ოფიცერი, ორი გენერლის (მირთაჯის) წინამძღოლობით, მივიდა მექლისში და მთავრობას თავისი სრული მორჩილება გამოუცხადა. ოფიცრებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ბოლო უნდა მოღებოდა ბრიგადის პრივილეგიებულ მდგომარეობას ირანის შეიარაღებულ ძალებში. ამასთანავე, როგორც ჩანს, მათ მოითხოვეს რუსი ინსტრუქტორებისა და ბრიგადის მეთაურის გადაყენება. ამ გამოსვლისათვის ბრიგადის მაშინდელმა მეთაურმა პოლკოვნიკმა ვადბოლსკიმ საყვედური გამოუცხადა ირანელ ოფიცრებს და მათ დისციპლინის დარღვევაში დასდო ბრალი, ხოლო მათი მოთავე გენერლები კი ბრიგადიდან გარიცხა<sup>31</sup>. ვადბოლსკის ამ მოქმედებამ ირანელ კონსტიტუციონალისტებში დიდი აღშფოთება გამოიწვია, რამაც აიძულა სეფაჰლარი და მექლისის თავმჯდომარე გამოქომაგებოდნენ „დამნაშავეებს“. სეფაჰლარის თხოვნაზე — უკან მივლეთ გარიცხულნი, პოლკოვნიკმა ვადბოლსკიმ თანხმობა განაცხადა, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი ბოდიშს მოუხდიდნენ მას ჩადენილი „დანაშაულისათვის“. კაზაკთა ბრიგადის მიერ მიყენებული ჭრილობები ირანელ ხალხს ჯერაც არ ჰქონდა მოშუშებული და ამიტომაც ყოველთვის, როცა საკითხი სპარსეთის კაზაკთა ბრიგადას ეხებოდა, მასზე იგი ყოველთვის მწვავედ რეაგირებდა. ასე მოხდა ახლაც — ბრიგადიდან ირანელი ოფიცრების გარიცხვის ზეგავლენით კონსტიტუციის მომხრეებმა გააძლიერეს აგიტაცია სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის უფლებების შესაზღუდად. ამით ისარგებლა სამხედრო მინისტრმა და კიდევ ერთხელ მორჩილება მოსთხოვა ბრიგადის რუს მეთაურს, რაზედაც ამ უკანასკნელისაგან უარი მიიღო. შაჰისაგან მიღებული ფირმანების საფუძველზე ვადბოლსკიმ დაუსაბუთა მას რუსი პოლკოვნიკისათვის მინიჭებული უფლებების კანონიერება<sup>32</sup>.

იცვლებოდა მინისტრთა კაბინეტები, მექლისში განსახილველად შეჰქონდათ სამხედრო რეფორმის ახალ-ახალი პროექტები. 1910 წ. ივლისში მინისტრთა კაბინეტის ახალმა შემადგენლობამ მექლისს თავისი პროგრამა შესთავაზა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი არმიის რეორგანიზაციას ეხებოდა. მისი მიხედვით, დედაქალაქში უნდა შექმნილიყო 7-ათასიანი ევროპული ტიპის არმია და 20—30-ათასიანი ჯარი პროვინციებში წესრიგის დასაცავად<sup>33</sup>. მაგრამ, მემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობის სხვა პროექტების მსგავსად, ვერც იგი განხორციელდა. დედაქალაქში კონსტიტუციონალისტთა ბანაკის შიგნით მიმდინარე ბრძოლა საშუალებას არ აძლევდა მთავრობას ცხოვრებაში გაეტარებინა დასახული გეგმები. კონსტიტუციონალისტებმა, რომლებიც ადრე მექლისში დაჟინებით მოითხოვდნენ სპარსეთის კაზაკთა

<sup>30</sup> Сборник дипломатических документов..., Вып. III, с. 297.

<sup>31</sup> Сборник дипломатических документов..., Вып. IV, გვ. 16—17.

<sup>32</sup> Сборник дипломатических документов..., Вып. IV, გვ. 23. იხილეთ აგრეთვე, Р ж е в у с к и й А. В., В Тегеран, Дорожные заметки, Пятигорск, 1911, გვ. 26.

<sup>33</sup> Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. V (с 1 июля по 31 декабря 1910 г.), СПб., 1912, გვ. 29, 33.

ბრიგადის გაუქმებას, ახლა რევოლუციის გაღრმავებით დაშინებულებმა, მემარცხენე ძალების დასათრგუნავად, კერძოდ, ფედაიების რევოლუციური რაზმების განიარაღების მიზნით დახმარებისათვის... ბრიგადის რუს პოლკოვნიკს მიმართეს. მაგრამ ვაღბოლსკიმ, გაითვალისწინა რა მოსახლეობის მოსალოდნელი რეაქცია, უარი უთხრა მათ<sup>34</sup>. ამდენად, სპარსეთის კახაკთა ბრიგადა შემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობისაგან სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ბრიგადის საქმეებზე უშუალო კონტროლს მეფის რუსეთის საელჩო ახორციელებდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში კახაკთა ბრიგადის მეთაურსა და ირანის მთავრობას შორის შუამავლის როლში გამოდიოდა<sup>35</sup>.

კვლავ დიდი გავლენა მოიპოვა ბრიგადამ ირანის რევოლუციის ჩახშობის (1911 წ. ნოემბრის შუა რიცხვები) შემდეგ. 1911 წ., ამ რევოლუციის განადგურებისთანავე, რუსეთის მთავრობამ აიძულა ირანი მიეცა თანხმობა თავრიზში კახაკთა 800-კაციანი სამხედრო ნაწილის შექმნაზე<sup>36</sup>. უკვე 1911 წ. დეკემბერში შაჰის მთავრობამ დართო ნება „ვოისკოვოი სტარშანა“ ბლახნოვს, რომელიც იმხანად კახაკთა ორი ასეულით თავრიზში იყო დაბანაკებული, ბრიგადაში ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან 200 კაცი ჩაერიცხა<sup>37</sup>.

კიდევ უფრო გაიზარდა სპარსეთის კახაკთა ბრიგადა პირველი მსოფლიო ომის წლებში. როგორც ცნობილია, ომის დაწყებისთანავე ირანმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ, ერთი მხრივ, რუსეთისა და ინგლისის, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანია-თურქეთის მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი იგი. ომის პირველი წლის მანძილზე ქვეყნის ჩრდილოეთში გერმანია-თურქეთის ავტაცია და თურქეთის სამხედრო მოქმედებებმა, ხოლო სამხრეთში ანტიინგლისურმა გამოსვლებმა საფრთხე შეუქმნეს რუსეთ-ინგლისის ბატონობას ირანში. ამის საპასუხოდ, რუსეთმა და ინგლისმა ირანის შემდგომი დამონების მიზნით 1915 წ. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ნეიტრალური ზონის“ გაყოფის შესახებ.

1915 წ. ოქტომბერში თურქეთის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩრდილოეთ ირანში შევიდა გენერალ ბარათოვის კორპუსი. რუსეთმა და ინგლისმა არ იკმარეს ქვეყნის ურთიერთშორის დანაწილება — 1916 წ. ზაფხულში ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლებმა თეირანში „კანონიერებისა და წესრიგის დაცვის“, აგრეთვე გერმანია-თურქეთის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით აიძულეს შაჰის მთავრობა დათანხმებულიყო მათ მოთხოვნაზე — გაეზარდა სპარსეთის კახაკთა ბრიგადის კონტინგენტი 11 ათასამდე და ქვეყნის სამხრეთში ინგლისელთა მეთვალყურეობის ქვეშ ამავე რაოდენობის სამხედრო-პოლიციური რაზმები შეექმნა. იმავე წელს გენერალ პერსი საიქსის სამხედრო მისიამ საფუძველი ჩაუყარა „სამხრეთ სპარსეთის მსროლელთა (South Persian Rifles)“ სამხედრო ნაწილს<sup>38</sup>, რომელსაც მისი არსებობის

<sup>34</sup> Сборник дипломатических документов..., Вып. V, гл. 35—36. 1910 წ. 25 ივლისს მთავრობის ჯარებმა გაანადგურეს სთაარის და ბადირის ფედაიების რაზმები (300 კაცი) ათაბაგის პარკში. იხ. Сборник дипломатических документов..., Вып. V, гл. 46.

<sup>35</sup> Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, Вып. VII (с 1 июля по 31 декабря 1911 г.), СПб., 1913, гл. 154.

<sup>36</sup> იბრაჰიმ თეიმური, დსახ. ნაშრომი, გვ. 311—312.

<sup>37</sup> Сборник дипломатических документов..., Вып. VIII, гл. 396.

<sup>38</sup> История Ирана, М., 1977, гл. 298.



5 წლის მანძილზე ინგლისის იმპერიალიზმი თავისი კოლონიური მიზნებისათვის იყენებდა.

1916 წ. შეთანხმებამდე სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა, გაზეთ „ქავე“-ს ცნობით, ოთხი ცხენოსანი პოლკის, ორი ქვეითი ასეულის, ორი სამთო ბატარეის და ორი სწრაფმსროლი ქვემეხისაგან შედგებოდა და მასში სულ 5 500 კაზაკი ითვლებოდა<sup>39</sup>. შეთანხმების დადების შემდეგ კი 1916 წელსვე ისტაპანში, რომელიც რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა, ჩამოყალიბებულ იქნა კაზაკთა პოლკი, ბრიგადის განყოფილება. ერთი წლის შემდეგ კი ასეთივე პოლკები შეიქმნა მეშხედში, ბარფორუშში, რეშთში, არდებილში, პამადანში და ურუმეიში ანუ ჩრდილოეთ ირანის (რუსეთის გავლენის სფერო) მსხვილ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრებში<sup>40</sup>. აღსანიშნავია, რომ რუსეთის დიპლომატიას ბრიგადის პროვინციული განყოფილებების შექმნის აზრი შეთანხმებამდე კარგა ხნით ადრე მოუვიდა. ჯერ კიდევ 1915 წ. მისი წარმომადგენელი, რუსეთის ყოფილი ელჩი ირანში ი. ა. კოროსტოვეცი თავის ჩანაწერებში მიუთითებდა იმაზე, რომ რუსეთის გავლენის სფეროში ბრიგადის განყოფილებების შექმნას რუსეთის ინტერესებისათვის არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა<sup>41</sup>.

ბრიგადის საკითხში, ისევე როგორც საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირეულ საკითხებში, ცარიზმის პოლიტიკას განაგრძობდა რუსეთის დროებითი მთავრობა, რომელიც ყურად არ იღებდა ირანელი ხალხის მოთხოვნებს, მათ შორის, კაზაკთა ბრიგადის შემცირებისა და ირანიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ. იმის გამო, რომ საოკუპაციო ჯარების შენახვა ჭირდა, დროებითი მთავრობა იძულებული გახდა შეემცირებინა მათი რაოდენობა, მაგრამ ამის სანაცვლოდ იგი ირანის მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვდა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის დივიზიად გარდაქმნას<sup>42</sup>.

ცარიზმისა და დროებითი მთავრობისაგან დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის საკითხში ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთმა. ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის პოლიტიკა კოლონიური ქვეყნების მიმართ, რაც თვალნათლივ გამოვლინდა 1917 წ. 20 ნოემბრის მიმართვაში — „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელ მუსლიმანს“. ამ ისტორიული აქტით საბჭოთა რუსეთმა უარი თქვა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაზე, გაუქმებულად ცნო 1907 წ. ინგლის-რუსეთის სამარცხენო ხელშეკრულება ირანის გავლენის სფეროებზე დაყოფის შესახებ. საბჭოთა რუსეთმა ირანის მთავრობას პირობა მისცა, როგორც კი შეწყდებოდა საომარი მოქმედებანი, გაეყვანა ირანიდან თავისი საოკუპაციო ჯარები. საბჭოთა რუსეთმა შეასრულა თავისი დაპირება — 1917 წ. 15 დეკემბერს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობით გათვალისწინებული იყო რუსეთისა და თურქეთის ჯარების გაყვანა ირანიდან. დეკემბერშავე საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება ირანიდან რუსეთის ჯარების ევა-

<sup>39</sup> ი ბ რ ა კ ი მ თ ე ი მ უ რ ი, დსახ. ნაშრომი, გვ. 311—312.

<sup>40</sup> ჯაპანგორ ყაემშაყამი, თარხ-ე თაჰავოლათ-ე სიასი-ე ნეზამ-ე ირან, თეირანი; პიკრის 1326 წ., გვ. 105 (სპარსულ ენაზე).

<sup>41</sup> «Красный Архив», т. 4—5 (65—66), сс. 112, 114—115.

<sup>42</sup> Розенблум И. Р., Персидская армия с кратким историческим очерком развития вооруженных сил Персии с XIX века, Тегеран, 1922, გვ. 10—11; აგაფოვი, ჯაპანგორ ყაემშაყამი, დსახ. ნაშრომი, გვ. 111.



კუაციის შესახებ. საბჭოთა რუსეთმა ჯარების გაყვანა 1918 წ. იანვარში დაიწყო და მარტში დაასრულა. ირანში დარჩნენ მხოლოდ გენერალ ბარათოვის თეთრგვარდიული რაზმები, რომლებიც მალე ინგლისელთა სამსახურში ჩადგნენ<sup>43</sup>.

ოქტომბრის რევოლუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადაშიც. მან გამარეოლუციონერებელი ვავლენა იქონია ბრიგადაზე, მის ოფიცრებზე, რის შედეგად ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი კლოჟე რევოლუციის მიმართ თანაგრძნობით განეწყო. ბრიგადაში ბოლშევიკური იდეების შეღწევამ, როგორც შენიშნავს ირანელი მკვლევარი ჯაჰანგირ ყაემმაყამი, ინგლისელთა აშკარა შეშფოთება გამოიწვია. ბრიგადაზე ბოლშევიკთა ვავლენის მოსასპობად ინგლისელებმა გადაწყვიტეს ბრიგადის მეთაურის პოსტიდან გადაეყენებინათ პოლკოვნიკი კლოჟე, ხოლო მის ადგილზე რომელიმე ანტიბოლშევიკურად განწყობილი ოფიცერი დაენიშნათ. არჩევანი ბრიგადის მეთაურის მოადგილეზე, პოლკოვნიკ სტაროსელსკიზე შეჩერდა. ინგლისელები შეუთანხმდნენ სტაროსელსკის, რომ მას მოეწყო გადატრიალება ბრიგადაში, რის შემდეგ მისი სადავეები თავადვე აეღო ხელში. თავის მხრივ, სტაროსელსკი მოელაპარაკა თავის მეგობარს, სპარსეთის კაზაკთა დივიზიის ჰამადანის „ოტრიადის“<sup>44</sup> მეთაურს ფილარეტოვს და მას ამ საქმეში მხარდაუჭერა სთხოვა, რაზედაც ფილარეტოვი დათანხმდა. ამის შემდეგ, ფილარეტოვის ბრძანებით, მისი „ოტრიადის“ პოლკოვნიკმა რეზა-ხანმა (მომავალმა სამხედრო მინისტრმა და ფეპლევთან და დინსატიის ფუქემდებელმა) თავისი ბატალიონით შეუმჩნეველად შემოარტყა ალყა კაზაკთა დივიზიის ყაზარმებს თეირანში. იმდენად მოულოდნელი იყო მათი მოქმედება, რომ თეირანელმა კაზაკებმა წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ მოახერხეს. ყაზარმების ხელში ჩაგდების შემდეგ რეზა-ხანმა კაზაკთა დივიზიის მეთაურის რეზიდენციისაკენ გასწია, სადაც მას პოლკოვნიკი ფილარეტოვი ელოდებოდა. ფილარეტოვი და რეზა-ხანი ერთად შევიდნენ პოლკოვნიკ კლოჟეს კაბინეტში და ირანელი ოფიცრების სახელით მოსთხოვეს მას პოსტიდან გადადგომა. პოლკოვნიკი კლოჟე უარზე იყო, მაგრამ ძალის გამოყენების მუქარამ აიძულა იგი შეესრულებინა ამბოხებულთა მოთხოვნა<sup>45</sup>, ამ გადატრიალებამ არსებითად შეცვალა ინგლისელთა დამოკიდებულება სპარსეთის კაზაკთა დივიზიისადმი. თუ ადრე ინგლისელები სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე მოესპოთ იგი ან ყოველ შემთხვევაში, დაესუსტებინათ, ახლა ინგლისი გადატრიალების დღესვე — 1918 წ. 2 თებერვალს — თავისი წარმომადგენლის მარლინგის მიერ დივიზიის ახალ მეთაურთან სტაროსელსკისთან და ირანის მთავრობასთან დადებული შეთანხმებით, სპარსეთის კაზაკთა დივიზიის შენახვას თვითონ კისრულობდა, რისთვისაც პირობას დებდა დივიზიის საჭიროებისათვის ყოველთვიურად 160 ათასი თუმანი გაეღო<sup>46</sup>.

საბჭოთა მთავრობამ სპარსეთის კაზაკთა შენაერთის საკითხში თავიდანვე პრინციპული პოზიცია დაიკავა — იგი განიხილავდა დივიზიას, როგორც ირანელი ხალხისათვის სრულიად უცხო ძალას და მხარს უჭერდა მის დაუყო-

<sup>43</sup> История Ирана, М., 1977, гл. 305.

<sup>44</sup> სპარსეთის კაზაკთა დივიზია რამდენიმე „ოტრიადისაგან“ ანუ რაზმისაგან შედგებოდა.

<sup>45</sup> ჯაჰანგირ ყაემმაყამი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

<sup>46</sup> Розенблюм И. Р., დასახ. ნაშრომი, გვ. 11.



ნებლივ დაშლას. ირანელი მკვლევარი ჯაჰანგირ ყაემმაყამი არასწორად წარმოსახავს საბჭოთა მთავრობის პოზიციას თავის ნაშრომში „ირანის არმიის პოლიტიკური ევოლუციის ისტორია“. იგი წერს, რომ რუსეთის დიპლომატიურმა დესპანმა (როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში ჰყავს პირველი საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენელი ირანში, მეფის რუსეთის ყოფილი კონსული ქ. ხოიში — ბრავენი) ირანის მთავრობას აცნობა მის მიერ კაზაკთა ნაწილიდან რუსეთის სამხედრო მისიის გაწვევის შესახებ. „მაგრამ, — შენიშნავს შემდეგ ჯაჰანგირ ყაემმაყამი, — არ ვიცი, თუ როგორ მოხდა, რომ რუსეთის მთავრობამ გადაიფიქრა და უარი თქვა კაზაკთა ორგანიზაციის დაშლაზე“<sup>47</sup>-ო? ავტორის ეს განცხადება, ცოტა არ იყოს, საკვირველია, რადგანაც იგი თავისი ნაშრომის 113-ე გვერდზე შენიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც დივიზიაში ინგლისელთა ინიციატივით მოხდა მეთაურის შეცვლა, დივიზიის რუსმა ოფიცრებმა აცნობეს რუსეთის რევოლუციური მთავრობის წარმომადგენელს ბრავენს „კომუნისტური და რევოლუციური მთავრობისადმი თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ“. რუსი ოფიცრების ამ განცხადების პასუხად, როგორც თავადვე აღნიშნავს ჯაჰანგირ ყაემმაყამი, ბრავენმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, რომელშიც ირანის მხარეს ბრიგადიდან რუსი ოფიცერ-ინსტრუქტორების გარიცხვა მოსთხოვა<sup>48</sup>. საბჭოთა მთავრობა დივიზიის დაშლას თუ არა (მის უკვე ირანის საშინაო საქმე იყო) იქიდან რუსი ოფიცრების გაწვევას მინც ცდილობდა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1917 წ. 23 დეკემბერს (ახ. სტ. 1918 წ. 5 იანვარს) სპარსეთის საქმეთა რწმუნებულის ასად-ხანისადმი საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მიერ გაგზავნილ ნოტაში ხაზგასმული იყო საჭიროება ირანიდან სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის რუსი სამხედრო ინსტრუქტორების გაწვევის შესახებ<sup>49</sup>. მაგრამ, როგორ უნდა შეესრულებინა ბრავენს საბჭოთა მთავრობის ეს დავალება, როცა ირანის მთავრობა ოფიციალურად არც კი ცნობდა მის, როგორც დიპლომატის, უფლებებს და მხარს არ უჭერდა მას. ამას ვარდა, ინგლისი, რომელიც ირანიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ (1918 წ. იანვარ-მარტი) მთელს ირანს დაეპატრონა, ირან-საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სასტიკი წინააღმდეგი იყო. საკმარისია, გავიხსენოთ, თუ როგორ შეხვდა ინგლისი კოლომიციევისა და კარახანიანის დიპლომატურ მისიას. როგორც ცნობილია, 1918 წ. ივლისში საბჭოთა რუსეთმა, ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით ირანს მიაგვლინა დიპლომატიური მისია კოლომიციევისა და კარახანიანის მეთაურობით. მაგრამ ინგლისელთა დიქტატის ქვეშ მყოფმა ირანის მთავრობამ ვერ ვაბედა მისიის ცნობა. 1918 წ. 2 ნოემბერს, ინგლისელთა მითითებით, მისიას ავავაკურად დაესხნენ თავს სპარსეთის კაზაკთა დივი-

47. ჯაჰანგირ ყაემმაყამი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109. მსგავსი ცილისწამებით გამოდის ირანელი ავტორი ესმაილ რაინი, რომელიც თავის წიგნში „საიდუმლო საზოგადოებები ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაში“ დაუსაბუთებლად ამტკიცებს, რომ რუსეთის ჯარებითმა მთავრობამ მისცა სიტყვა პეტერბურგში მოსალაპარაკებლად ჩასულ ირანის დელეგაციას, რომ გაიწვევდა მათი ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო მისიას, მაგრამ თითქოს „ლენინმა და საბჭოთა კომუნისტურმა ხელისუფლებამ იგი იქ დატოვა“?! იხ. ესმაილ რაინი, ანჟომანჰა-იესერის დარ ენყელაბ-ე მაშრუთიით, თეირანი, ჰაჯრის 1345 წ., გვ. 147 (სპარსულ ენაზე).

48. ჯაჰანგირ ყაემმაყამი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

49. Документы внешней политики СССР, т. I, М., 1957, გვ. 73.

ზიის ჯარისკაცები და საშინლად დაარბიეს იგი (კოლომიცევემა მოახერხა გაქცევა, კარახანიანი კი დააპატიმრეს)<sup>50</sup>. ასეთი მტრული დამოკიდებულების პირობებში, რასაკვირველია, საბჭოთა რუსეთი ვერ შეასრულებდა თავის დაპირებას. მიუხედავად ამისა, „სპარსეთის მთავრობისა და ხალხისადმი 1919 წ. 26 ივნისის მიმართებაში“ თავისი კეთილი ნების დასტურად საბჭოთა მთავრობამ კვლავ წამოაყენა ირანთან თანასწორუფლებიან ურთიერთობათა დამკარგების პრინციპები. ამ ისტორიულ დოკუმენტში კიდევ ერთხელ, ოფიციალურად იქნა განმარტებული სპარსეთის კახაკთა დივიზიის საკითხში საბჭოთა მთავრობის მიერ დაკავებული პრინციპული პოზიცია: „რუსეთი, — ნათქვამია ამ საბუთში, — უარს ამბობს სპარსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ძალების შექმნაში ყოველგვარ მონაწილეობაზე“<sup>51</sup>.

თავისი ტრადიციული მეტოქის — მეფის რუსეთის — პოლიტიკური საბიუელიდან ჩამოშორება ინგლისის მთავრობამ ირანში პოზიციების უმეტესობაში განმტკიცებისათვის გამოიყენა, რაც იურიდიულად 1919 წ. 9 აგვისტოს ამ ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულებით გააფორმა. როგორც ცნობილია, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ფართო გზა გაუხსნა ინგლისის იმპერიალიზმს ირანში. ხელშეკრულების მესამე მუხლის თანახმად, ინგლისელ სამხედრო ინსტრუქტორებს ირანის შეიარაღებული ძალების სრული რეორგანიზაცია უნდა ჩაეტარებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებამ ირანელების დიდი აღშფოთება გამოიწვია და საბოლოო ჯამში არ იქნა რატიფიცირებული მეჯლისის მიერ, ინგლისელები მაინც შეუდგნენ ირანის არმიის გადახალისებას, ინგლისელ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად ირანში ჩასული გენერალ დიქსონის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა ირანის არმიის მომავალი რეორგანიზაციის პროექტი, რომლის მიხედვით ირანის სხვადასხვა სამხედრო ნაწილები, მათ შორის, კახაკთა დივიზია ერთ, 60-ათასიან არმიად უნდა გაერთიანებულიყო. პროექტი ითვალისწინებდა ირანის არმიის უმალეს სამეთაურო პოსტებზე ინგლისელი ოფიცრების დანიშვნას. ინგლისელები მეთოდურად შეუდგნენ თავიანთი გეგმის განხორციელებას. მათ ჯერ ირანის ჟანდარმერია დაიმორჩილეს, შემდეგ კი ცენტრალური ბრიგადა, რომელსაც სათავეში თავიანთი ინსტრუქტორები ჩაუყენეს. ამის შემდეგ ჯერი სპარსეთის კახაკთა დივიზიაზე მიდგა, რომელიც კვლავინდებურად რუსი ოფიცრების ხელქვეით იმყოფებოდა. დივიზიის ხელში ჩასაგდებად ინგლისელები ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ. მათ არ მოუხდათ დიდხანს ლოდინი. 1920 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში გილანელმა ჯანგალიელებმა სასტიკად დაამარცხეს სპარსეთის კახაკთა დივიზია. ინგლისელებმა ხელზე დაიხვიეს დივიზიის მარცხი და 1920 წ. 25 ოქტომბერს ირანის მთავრობას წაუყენეს ულტიმატუმი დივიზიიდან რუსი ოფიცრების გარიცხვისა და მათ ადგილზე ინგლისელების დანიშვნის შესახებ. ირანის მაშინდელმა მინისტრთა კაბინეტმა, რომელსაც სათავეში ედგა მოშირ ოდ-დოუღე, არ დააკმაყოფილა ინგლისელთა მოთხოვნა და მალე ამის შემდეგ გადადგა. მაგრამ მისი შემცვლელი კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სეფაჰდარი, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო — 1920 წ. 1 ნოემბერს იგი დათანხმდა შეესრულებინა ინგლისელთა ულტიმატუმი. ამის შედეგად, ირანის არმიის ყველაზე ორგანიზებული სამხედრო ნაწილი ინგლი-

<sup>50</sup> Павлович М., Иранский С., დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

<sup>51</sup> Документы внешней политики СССР, т. 2, М., 1958, გვ. 200.







ში გადავიდა. სტრატეგიული დახვერვის ცნობით, იმ ხანებში დივიზია ოთხი ბრიგადისაგან (პირველი გვარდიული მსროლელთა ბრიგადა, არაქის მსროლელთა ბრიგადა, გვარდიული ცხენოსანი ბრიგადა, საარტილერიო ბრიგადა) და შვიდი „ოტრიადისაგან“ (თავრიზის, ჰამადნის, ხორასნის, ისფაჰანის, არდებლის, გილანისა და მახანდერანის „ოტრიადები“) შედგებოდა. გვარდიული ცხენოსანი ბრიგადის გარდა კავალერიის რაზმები მხოლოდ არაქის ქვეით ბრიგადის ჰყავდა. ბრიგადისაგან განსხვავებით, „ოტრიადები“ სხვადასხვა გვარეობის ჯარისაგან იყო შემდგარი. მაგალითად, თავრიზის „ოტრიადში“ ქვეით პოლკთან (800 ქვეითი) ერთად კავალერიის ოთხესკადრონიანი პოლკი (400 ცხენოსანი) და ერთი სატყვიამფრქვევო ჯგუფი (8 ტყვიამფრქვევი) იმყოფებოდა. ოტრიადის ქვეითი შემადგენლობა 1 000 კაციანი იყო, ზოგისა კი 300—400 კაცს ძლივს აღწევდა. სულ კი სპარსეთის კახაკთა დივიზიაში 21 ქვეით ბატალიონსა (77 ასეული) და 28 კავალერის ესკადრონში, საარტილერიო ბატარეასა და სატყვიამფრქვევო ჯგუფში მყოფი კახაკების ჩათვლით, დაახლოებით 13 720 კახაკი ირიცხებოდა<sup>54</sup>.

სპარსეთის კახაკთა დივიზიის და ჟანდარმერიის მოწესრიგებით რეზახანმა შეამზადა საფუძველი ეროვნული არმიის შესაქმნელად. 1922 წ. 5 იანვრის ბრძანებულებით რეზახანმა გააუქმა სამხედრო სახელწოდებები: კახაკი, ჟანდარმი და სარბაზი. ამის შემდეგ ჟანდარმერიისა და სარბაზთა შემორჩენილი სამხედრო ნაწილები დივიზიის შემადგენლობაში შეიყვანა. ეს ქრელი კონტინგენტი შემდეგ ხუთ დივიზიად დაჰყო და შტაბებთან ერთად ირანის სხვადასხვა პროვინციაში განლაგა. ცენტრალური დივიზიის შტაბი თეირანში იმყოფებოდა, ჩრდილო-დასავლეთისა — თავრიზში, დასავლეთისა — ჰამადანში, სამხრეთისა — ისფაჰანში, აღმოსავლეთისა — მეშქედში. სულ ირანის ახლად შექმნილ არმიაში 30 ათასი მეომარი ითვლებოდა<sup>55</sup>.

ამგვარად, 1922 წ. დამდეგს ირანის ეროვნული არმიის შექმნით ბოლო მოეღო სპარსეთის კახაკთა დივიზიის — ცარიზმისა და ინგლისის იმპერიალიზმის ფორპოსტს ირანში.

სპარსეთის კახაკთა ბრიგადის ისტორია ნათლად მოწმობს, თუ რა მწარე შედეგები მოაქვს ქვეყნისათვის არმიაში უცხოელი სამხედრო ინსტრუქტორების მიწვევას. სამხედრო ინსტრუქტორთა ინსტიტუტი დღესდღეობით ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთი გავრცელებული და, ამავდროს, ქმედითი იარაღია.

<sup>54</sup> Персия. Обзор вооруженных сил, международного и внутреннего политического положения и военно-географическое описание к 1-му ноября 1921 года, б. м. 1921, гл. 4—7.

<sup>55</sup> Пильвов Ф., Персия. Обзор вооруженных сил с приложением очерка экономического и политического положения к 1 июля 1923 г., М., Разведотдел штаба РККА., 1923, гл. 4—5.

Н. К. ТЕР-ОГАНОВ

 ПЕРСИДСКАЯ КАЗАЧЬЯ БРИГАДА — ФОРПОСТ ЦАРСКОЙ  
 РОССИИ В ИРАНЕ (1900—1921 гг.)

## Резюме

Организованная в 1879 г. главой русской военной миссии подполковником А. Домантовичем т. н. Персидская казачья бригада уже к концу XIX в. превратилась в наиболее боеспособную часть иранских вооруженных сил. Она играла большую, подчас неприглядную роль в общественно-политической жизни Ирана. Персидская казачья бригада стала надежной опорой каджарского режима и орудием проведения колониальной политики царизма, что особенно наглядно проявилось в период иранской революции 1905—1911 гг.

Благоприятная внешнеполитическая обстановка, сложившаяся в результате крушения самодержавия, во многом способствовала освобождению Ирана от колониальных пут царской России и Англии. Тем самым, были созданы объективные политические предпосылки для начала коренной реорганизации армии.

В ходе проведения военной реформы части Персидской казачьей бригады послужили основой при строительстве новой, регулярной армии Ирана.

TER-OGANOV N.

 THE PERSIAN COSSACK BRIGADE—THE STRONGHOLD OF THE  
 RUSSIAN TSARISM IN IRAN (1900—1921)

## Summary

At the end of XIX-th century the Persian Cossack Brigade, organized in 1879 by the head of Russian military mission lieutenant—colonel A. Do. mantovich became the most efficient unit in the armed forces of Iran. The PCB played an important, partly negative role in the social and political life of Iran.

The Persian Cossack Brigade was turned to reliable support of Kajars regime and instrument of pursuing the Tsarism's colonial policy showed obviously during the revolution of 1905—1911 in Iran.

Thanks to the favourable international political situation Iran released himself from the colonial chains of Russian Tsarism and Britain what promoted the origin of objective conditions for the beginning of the reorganization of the army.

During the carrying out the military reform the units of the Persian Cossack Brigade became the basis for the building of a new, regular army.

წარმოადგინა საქართველოს ტერ-ოგანოვის მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა



П. ДИМИТРОВА

## ЛЕНИНСКИЕ ВЗГЛЯДЫ НА ИНТЕЛЛИГЕНЦИЮ И ИХ ПРЕЛОМЛЕНИЕ В КУЛЬТУРНОЙ ПОЛИТИКЕ СОВЕТСКОГО ГОСУДАРСТВА

В существующей марксистской исторической литературе прочно укоренился сформированный в сталинские времена тезис о социалистической революции как триедином процессе коренных преобразований в сферах промышленности, сельского хозяйства и культуры. В этом контексте обществоведами выдвигается в ранг неотъемлемой закономерности социалистической революции осуществление культурной революции, одним из важнейших направлений которой является формирование «социалистической» интеллигенции, по своим социально-политическим качествам и профессиональному уровню удовлетворяющей потребности социалистического строительства, выполняющей своеобразные функции в новых исторических условиях.

Марксистская историография уделяет особое внимание заслугам В. И. Ленина в научной интерпретации проблем интеллигенции. В ряде монографий и статей, посвященных данным вопросам, подчеркивается, что Ленин всесторонне и глубоко изучал проблемы классовой природы интеллигенции, раскрыл ее положение в капиталистическом и социалистическом обществах, ее место в революционном движении. Отмечается, что в его произведениях огромное внимание уделяется проблемам союза пролетариата и интеллигенции, вопросам использования ее знаний и опыта в процессе социалистического переустройства общества, ее формирования в качестве необходимого и активного компонента социальной структуры нового общества. Все это дает основание обществоведам характеризовать Ленина как создателя теории (или учения) социалистической интеллигенции, состоящей из ряда принципиальных фундаментальных положений, рассматривающихся как высшее достижение научности и правдивости. Они стали руководящей нитью в практической деятельности партии по «строительству» новой культуры, что, кстати, вполне отвечало сформированному к концу XIX — началу XX в. новому видению мира с его внесением принципа рационализма в культуру, стремлением к рациональному отношению к творческой деятельности и желанием сконструировать на рациональной основе новую культуру, которая спасет мир.

Необходимость выработки нового подхода к общественным явлениям, преодоления идеологической нагрузки многих понятий, которыми оперирует историческая наука (а также и все обществоведение), переосмысления наших представлений о социализме и путях его достижения (т. е. необходимость отхода от ленинско-сталинской традиции) вынуждает нас по-новому посмотреть и на такие более конкретные видения, каковыми являются ленинская концепция культурной революции и вопрос о социалистической интеллигенции в частности.



В философском энциклопедическом словаре дается следующее определение «теории» — «высшая, самая развитая форма организации научного знания, дающая целостное представление о закономерностях и существующих связях определенной области деятельности — объекта данной теории». Притом отмечается, что «научное знание всегда связано с размышлением о содержании понятий и о той исследовательской деятельности, которая к нему приводит». Исходя из этой посылки, первым объектом анализа взглядов В. И. Ленина должно стать данное им понятие «интеллигенция».

ლია. ქართული ქვასვეტების ოსტატები განიხილავდნენ სტელის წახნაგებს, როგორც ერთიან არეს წმინდა გამოსახულებების განთავსებისათვის. დავათის ქვასვეტის ოთხივე წახნაგი რელიეფებითაა შემკული. ერთმანეთის მოპირდაპირე ორ წახნაგზე ფიგურული გამოსახულებებია განთავსებული, დანარჩენი ორი დაფარულია თავისებური მცენარეული ორნამენტებით. ეს არის ადრექრისტიანული ქართული სტელების ჯგუფისთვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივი — მსუყვედ გამოქერაწილი ლამაზი მოხაზულობის აკანთის ფოთოლი, რომელიც ეფინება სვეტის წახნაგების ვერტიკალურ სიბრტყეებს და მათ ცხოველხატულობასა და პლასტიკურ დასრულებულობას ანიჭებს. ქვასვეტის კუთხეებში გამოკვეთილი ცრუსვეტები ხაზს უსვამს სტელის ვერტიკალურ კონსტრუქციას და ამავე დროს აჩარჩოებს მის ყოველ წახნაგს.

სტელის ზედაპირზე რელიეფურ კომპოზიციათა განაწილებაში ჩანს ამგვარი ძეგლებისათვის დამახასიათებელი ზუსტი მხატვრული ალლო და თეოლოგიურ მცნებათა უნატიფესი ნიჟანსების გათვალისწინება. ისევე, როგორც ქვასვეტების საუკეთესო ნიმუშებში, აქაც იგრძნობა ნაწარმოების იდეური და მხატვრული მხარის სრული შესაბამისობა. დატულია რელიეფური დეკორის განაწილების პრინციპი: ქვასვეტის წახნაგების ზედაპირი დანაწილებულია ცალკეულ მოჩარჩოებულ არეებად, რომლებშიც განთავსებულია რელიეფური კომპოზიციები. ყოველი მათგანი გააზრებულია როგორც დამოუკიდებელი რელიეფური „ხატი“ და ამავე დროს სტელის საერთო იკონოგრაფიული პროგრამის ორგანული შემადგენელი ნაწილია. რელიეფური სცენების მოსათავსებლად ქვის სისქეში ამოჭრილია ჩარჩოები და ფონის თანდათანობითი ამოკვეთით ფიგურათა გარშემო იქმნება რელიეფური სახეები. რელიეფის ზედა სიბრტყე ემთხვევა მოჩარჩოების სიბრტყეს.

თავდაპირველ ადგილას შემონახულ ქვასვეტებზე დაკვირვებამ დაარწმუნა მკვლევარნი, რომ მათი მთავარი, საფასადო მხარე მიმართულია დასავლეთისაკენ და ჩვენც პირობითად ვუწოდებთ დასავლეთის წახნაგს ქვასვეტის იმ მხარეს, რომელზედაც მთავარი გამოსახულებაა მოთავსებული. უნდა ითქვას, რომ ქვასვეტების წახნაგებზე რელიეფური გამოსახულებების განთავსებაში მკაცრად გააზრებული ლოგიკური სისტემა შეიმჩნევა. ამ სისტემაში რელიეფური დეკორის ყოველ ნაწილს ზუსტად გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი. ამ კანონზომიერების გამოვლენა დიდად უწყობს ხელს ფრავმენტული ქვასვეტების დაზიანებული რელიეფური დეკორის აღდგენას, ნაკლები ნაწილების რეკონსტრუქციას. ამგვარი ძეგლების შესწავლისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია შუა საუკუნეების მხატვრული მეტყველების პირობითობა, რაც გარკვეულად ართულებს ამ უკიდურესად განზოგადებული რელიეფური სახეების სიღრმეც არსში წვდომას.

დავათის სტელის მთავარ წახნაგზე მოთავსებულია ორი ორფიგურიანი კომპოზიცია: ქვემოთ — სიმეტრიულად განლაგებულია ორი ფრონტალური ფიგურა სახეიმო საერო სამოსელში, ზემოთ — ასევე მკაცრად გაწონასწორებული სიმეტრიული კომპოზიცია — ორი მთავარანგელოზი. კომპოზიცია ჩასმულია გრაფიკულ „წიწვისებრ“ ჩარჩოში, რომელიც გამოჰყოფს თითოეულ კომპოზიციას დამოუკიდებელ „სურათად“ და, ამავე დროს, გარკვეულ კავშირებს ამყარებს მათ შორის. ამას ემსახურება დამატებითი ორნამენტული ზოლი ამ კადრების ჩარჩოებს შორის. სტელის მოპირდაპირე მხარეს მთელ

არსებულ სიბრტყეზე მოთავსებულია ერთადერთი რელიეფური გამოსახულება — მდგომარე ღმრთისმშობელი ძით.

განსხვავებულია ქვასვეტის ორი წახნაგის გამოსახულებებისადმი მხატვრული მდგომა: დასავლეთის წახნაგზე — სიბრტყის მჭიდროდ შევსება კვადრატთან მიახლოებული რელიეფური კომპოზიციებით, აღმოსავლეთის მხარის ვლუვ სიბრტყეზე კი ღმრთისმშობლის საკმაოდ მონუმენტური ფიგურა.

ქვასვეტის იკონოგრაფიული პროგრამა მკაფიო და ნათელია. მთავარი წახნაგის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია დონატორთა ორი ერთნაირი ფიგურა ზეაღმართულ ხელომე მანიშნებელი ექსტით. მათ ზემოთ მთავარანგელოზებია. მარცხენა ფიგურის თავთან მშვენიერად იკითხება ღრმად ამოკვეთილი ასომთავრულით შესრულებული დაქარაგმებული სახელი „მიქელ“ (მ<sup>3</sup>ლ). სიმეტრიულად მდგომარე მთავარანგელოზები ზეაღმართული ხელებით უეჭველად წარმოდგენდნენ რეპრეზენტატიული, საზეიმო კომპოზიციის ნაწილს. იმის საკვარაუდებლად, თუ რა კომპოზიცია უნდა ყოფილიყო დავათის სტელის ზედა ნაწილში, უნდა მივმართოთ იმ ქვასვეტებს, რომელთა დამავიჯრავინებელი ნაწილებია ჩვენამდე მოღწეული. დღეისათვის გადარჩენილი ქვასვეტების ზედა რეგისტრში შემდეგი კომპოზიციებია განლაგებული. ქრისტეს ამალემა (ხანდისი, ბრდაძორი, ნღვარევი), ღმრთისმშობლის დიდების სცენა (ბოლნისი, დიდი გომარეთი), ღმრთისმშობლის თაყვანისცემა (მამულა), ჯვრის თაყვანისცემა (დმანისი). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, თუ რა სცენების მონაწილეებად წარმოგვიდგებიან მთავარანგელოზები. ქვასვეტებზე, როგორც წესი, ისინი გამოისახებიან ამალეებისა და დიდების კომპოზიციებში (იხ. ხანდისი, ნღვარევი, დიდი გომარეთი). ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებულ ქვასვეტთა რელიეფური დეკორის სისტემების გაანალიზება, ანგელოზთა ექსტიკულაცია, რომელიც გულისხმობს მათ მიმართებას მათს ზემოთ არსებულ და ამჟამად ჩამოტეხილ გამოსახულებასთან, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ დავათის ქვასვეტის პირით მხარეზე ამალეების კომპოზიციის არსებობა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს საპირისპირო მხარეს ქვედა რეგისტრში ღმრთისმშობლის რელიეფური ხატის არსებობა. ესეც არ არის იზოლირებული გამოსახულება. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ქრისტეს ამალეების თემასთან და ორგანულად არის ჩართული სტელის იკონოგრაფიულ სქემაში. ქრისტეს ამალეებისა და ღმრთისმშობლის თემების შერწყმა, რაც აგრერივად იყო დამახასიათებელი ადრექრისტიანული ტაძრების საკურთხევის აბსიდების მონატულობისათვის, თავისებურად აისახა ქართული სტელების რელიეფებში (მაგ. ხანდისის ქვასვეტი)<sup>3</sup>.

დავათის ქვასვეტის მთავარი მხატვრული მეთოდი პლასტიკურ სახეთა დეკორატიულ-ხაზობრივი გადაწყვეტა. რელიეფური გამოსახულებები მოქმედებენ სილუეტების თავისებური სიბრტყობრივი გამოსახველობით და ზედაპირის კარგად მოფიქრებული გრაფიკული დამუშავებით. სამოსლის ნაკეტთა განაწილება ეწყარება მთლიან მხატვრულ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ხაზის თავისთავად მხატვრულ ღირებულებას. რელიეფურ კომპოზიციათა ფონტალურობა და სიმეტრიულობა მკაცრ იერატულობას ექვემდებარება.

<sup>3</sup> კ. მახაბელი, ადრექრისტიანული პლასტიკის ზოგიერთი იკონოგრაფიული სქემა (შორანულ და რუსულ ენებზე), თბ., 1983.

მთავარანგელოზთა ფიგურები ხედვის ორი წერტილიდან არის გადმოცემული. თავები და სხეულის ზედა ნაწილი მკაცრად ფრონტალურია, ტანის ქვედა ნაწილი და ფეხები — პროფილშია. მათი თავები ძალზე დაზიანებულია. მაგრამ მაინც ხერხდება სახის ნაკეთების თავისებური გადმოცემის გარჩევა. დამახასიათებელია დიდი მრგვალი თვალების დამუშავების ხერხი, რომელიც იმეორებს ქართული სტელების ნაწილზე შემონახული რელიეფების შესრულების მეთოდებს (შეადარეთ — ხანდისის სტელის ქრისტეს და ანგელოზის სახეთა დამუშავება, ქალეთის სანათლავეზ ანგელოზების სახეთა გადმოცემა. ორივე რელიეფი VI ს-ის დასასრულს მიეკუთვნება). დიდი ზომის თავები პირდაპირ არის დასმული საკმაოდ არაპროპორციული ფიგურების მხრებზე. პირობითად არის გადმოცემული სხეულის ნაკეთები, გაურკვეველია ხელების სხეულთან დაკავშირება, ძალზე ზოგადად არის მინიშნებული მოძრაობა და ექსტიკულაცია. რელიეფებში ბატონობს პლასტიკის პირობითი ენა, რომელიც ხაზს უსვამს ხაზობრივი გამომსახველობის საერთო დეკორატიულ მომენტებს. პოზის, ექსტის ექსპრესია, ხაზოვანი ნახატის დეკორატიულობა — აი, ამ რელიეფთა მთავარი სამეტყველო საშუალებანი.

ქვასვეტის რელიეფების შექმნისას მოქანდაკე აზროვნებდა არა ცალკეული კადრებით, არამედ სვეტის წახანგთა სიბრტყეების ერთიანი კომპოზიციურა გააზრებით. ეს აშკარა ხდება მომიჯნავე სვენების ერთობლავი განხილვისას. ორივე კომპოზიცია ერთი სქემით არის აგებული, ორივეს ცენტრზე გადის ერთი წარმოსახვითი სიმეტრიის ღერძა. მსგავსია მათი ორნაწილიანობა, მსგავსია ფიგურათა ხასიათი, მათ პროპორციები. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ანალოგიური გამჭოლი ვერტიკალური სიმეტრიული აგებულება ბრადანორის სტელის რელიეფებისა (VI ს.), კატაულას სტელის ორფიგურიანი კომპოზიციებისა (VII ს.). რელიეფური კომპოზიციების ყველა დეტალი ემორჩილება აგების შინაგან რიტმულ კანონებს, ყველაფერში ჩანს რაციონალური კანონზომიერება. დავათის წყვილადი კომპოზიციები მსგავსებასთან ერთად, უმნიშვნელო, მაგრამ მხატვრულად ძალზე არსებით განსხვავებასაც ამჟღავნებს. მსგავსა: დიდთავა, არაპროპორციული ფიგურები, ზეალმართული ხელის ექსტი, გაყინული, სიმეტრიული სილუეტები. ერთნაირად არის დამუშავებული ფიგურათა ზედაპირი. მხატვრულ აღლოს ამჟღავნებს ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო განსხვავებები: განსხვავებულია ამ ორი კომპოზიციის ფიგურათა მასშტაბები — საერო პერსონაჟები უფრო მცირე ზომისაა, დამახასიათებელია ფიგურათა დინამიკის კონტრასტი, მოძრაობისა და ფეხების მდგომარეობის წინაშე. საერო პერსონაჟები დვანან ფრონტალურად, ფეხები გადმოცემულია პროფილში და თანაც სხვადასხვა დონეზე, თითქოს გარკვეულ სივრცობრივ განლაგებაში. ანგელოზთა გამოსახულებებში კი ცენტრისაკენ მისწრაფებული მკვეთრი მოძრაობა, ფართო ნაბიჯი შეთანხმებულია ერთ დონეზე გამოსახულ ზუსტად პროფილში წარმოდგენილ პატარა ტერფებთან, რომლებიც მოჩანს ერთი სამოსლის ქვეშ. ანგელოზთა დიდი შარავანდიანი თავები ქმნიან ორ მძლავრ აქცენტს ზედა კომპოზიციაში, რომელთაც თავისებურად ეხმარება ქვედა კადრის ორი უფრო მცირე აქცენტი. თავისებური აკომპანიმენტია, აგრეთვე, ფიგურებს შორის დარჩენილი ფონის მოხაზულობა. ამგვარად, ამ ორი ვერტიკალურად მომიჯნავე კომპოზიციის შეპირისპირებისას მქლავნდება დინამიკის ზრდა ქვემოლან ზემოთ, რაც, ალბათ, თავის კულმინაციას პოვებდა

ქრისტეს ფიგურაში, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა ეს პლასტიკური წყობა.

დავათის ქვასვეტის რელიეფთა მხატვრული თავისებურებანი ხელშესახებად გამოიკვეთება ადრექრისტიანული ქართული სტელების საერთო განვითარების კონტექსტში. პლასტიკურ-გრაფიკული მიდგომა რელიეფური გამოსახულებებისადმი დამახასიათებელი იყო ქართული პლასტიკის ევოლუციის გარკვეული პერიოდისათვის. ანგელოზთა არაპროპორციული ფიგურების ხასიათის, გამოსახულებათა ზედაპირის ხაზგასმულად დეკორატიული ექსპრესიული დამუშავების უახლოეს პარალელებად უნდა მივიჩნიოთ ხანდისის სტელის ანგელოზი და ქალეთის სანათლავის ნათლისღების სცენის ანგელოზები (VI ს.). სიახლოვე უკანასკნელ რელიეფთან მით უფრო თვალსაჩინოა, რომ მსგავსია არა მარტო საერთო ხასიათი ფიგურებისა, არამედ ცალკეული დეტალებიც, რაც ამ ძეგლების არა მხოლოდ ქრონოლოგიურ სიახლოვეს ავლენს, არამედ შესაძლოა, მათი შექმნის ერთ ცენტრზეც მიგვანიშნებს. ზუსტად მეორდება ანგელოზთა ფიგურების აგების სქემა; ერთნაირია მათი სილუეტი, პროპორციები, თავების დამუშავება, თმისა და შარავანდედთა გადმოცემის თავისებურება. თითქოს ერთი ოსტატის ხელით არის შესრულებული მკვეთრად წინ გადადგმული ნაბიჯი ანგელოზებისა, პარალელურ ნაკეცთა მიმართულებით ხაზგასმული კაბის კალთის დამახასიათებელი სამკუთხა მოხაზულობა. მაგრამ ყველაზე მრავლისმთქმელია ერთი მეტად ორიგინალური დეტალი — ანგელოზთა ფრთების უცნაური ფორმა და, რაც განსაკუთრებით არის ყურადსაღებო, მათი დაკავშირება ანგელოზთა სხეულთან (არა მხრებთან, არამედ წელთან). ფრთების ამგვარი გადმოცემა იმდენად თავისებური და უჩვეულოა, რომ ყველა შემოადინიშნულ საერთო ნიშანთან ერთად შეიძლება მივიჩნიოთ ოსტატის ხელწერის ძალზე მნიშვნელოვან ელემენტად, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ ამ ორი ძეგლის — დავათის ქვასვეტისა და ქალეთის სანათლავის — შექმნა ერთ სკულპტურულ სახელოსნოში.

დავათის ქვასვეტის საპირისპირო (აღმ.) მხარეს ფეხზე მდგომარე ღმრთისმშობელია გამოსახული. მას ორი ხელით უკავია ქრისტეს წელზევითი გამოსახულება. რელიეფური სახეები შექმნილია ფონის თანდათანობითი ამოკვეთით ფიგურის გარშემო. რელიეფის სიმაღლე აქაც ემთხვევა ჩარჩოს ზედაპირს. რელიეფი სრულიად ბრტყელია, ფორმები დაუნაწევრებელი. მთავარი სახეითი საშუალებებია — ბრტყელი სილუეტები და ზედაპირის საგულდაგულო დეკორატიული დამუშავება. ამ კომპოზიციის ჩარჩოც უმარტივესი „წიწვოვანი“ ზოლია, რაც, უთუოდ, დაფნის გირლანდის უხეში სქემატიზებული ნახატი უნდა იყოს.

ღმრთისმშობლის ფიგურა, რომელიც მთლიანად ავსებს კადრს, მკაცრად ფრონტალურია. თავი (შარავანდის გარეშე) ზედა ჩარჩოსაა მიბჯენილი. მინიატურული ტერფები გაშლილად პროფილშია გამოსახული. თვალსაჩინოა ფიგურის დამჯდარი პროპორციები, ექსპრესიულად დიდია თავის მოცულობა (შეფარდება 1 : 5) და შეუფერებლად მცირე — ტერფები. ფიგურათა ტერფების ხაზგასმულად შემცირება დამახასიათებელია ადრექრისტიანული ქართული რელიეფების ერთი ჯგუფისათვის (იხ. ხანდისის ქვასვეტის ფიგურები, ამაღლების რელიეფები ქვემო ბოლნისის, ეძანის, თეთრი წყაროს ეკლესიების ფასადებზე. ყველა რელიეფი VI ს-ის მიეკუთვნება).





ღმრთისმშობლის თავი ძალზე დაზიანებულია, მაგრამ შეიძლება გავარჩიოთ, რომ მაფორიუმში მას ფარავდა მთლიანად. სიმეტრიულად მომრგვალებული ხელებით მას მყერდის წინ ქრისტეს წვლხევითი გამოსახულება უკავია. ქრისტეს ნახევარფიგურა საკმაოდ დიდი ზომისაა, ჯვრული შარავანდედიანი თავი თითქმის ღმრთისმშობლის თავს უტოლდება. თავები ერთ ცენტრალურ ღერძზეა განლაგებული, რაც ქმნის მრგვალი მოცულობის რიტმულ განმეორებას ვერტიკალზე, მარიამის მხრებისა და ხელების მომრგვალებული მოხაზულობით ხაზგასმულს.

ამ კომპოზიციის აგებაშიც უზუსტესი გეომეტრიული სქემაა გამოყენებული, ყველაფერი წინასწარ გააზრებულ სისტემას ემორჩილება. ეს ზუსტი გაანგარიშება, როგორც წესი, საფუძვლად უდევს მკაცრად რეგლამენტირებულ ადრექრისტაულ სახვით ხელოვნებას. ქართული ქვასვეტების რელიეფები ამგვარი მიდგომის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

ქრისტეს ბიუსტი კომპოზიციის გეომეტრიულ ცენტრშია მოთავსებული. კადრის დიაგონალების გადაკვეთა მისი ნიკაპის ქვემოთ ხვდება. ქრისტეს თავი კომპოზიციის ზედა ნაწილშია მოთავსებული, რითაც დაცულია ნაწილთა სიმბოლიკური იერარქიის წესი და ამასთანავე შენარჩუნებულია კომპოზიციის მხატვრული მთლიანობა. ქრისტეს ორივე ხელით უკავია კოდექსი და მისი ხელების მოძრაობა დუბლირებულია ღმრთისმშობლის ხელების რკალური ნახტით. ამ ქვის ხატის ყოველი დეტალი ავლენს მხატვრულ მიზანსწრაფვას ოსტატისას, რომელიც გარკვეული დეკორატიული მცნებებით აზროვნებდა. ეს ძირითადად ეხება რელიეფური ზედაპირის დამუშავების თავისებურებას. სტილის საერთო მხატვრულ გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გვერდითი წახნაგების ფოთლოვან ორნამენტს, რომელიც სემანტიკურად დაკავშირებულია სიცოცხლის ხის უძველეს მოტივთან, რომელსაც საქართველოში სიღრმივი ფესვები აქვს. პლასტიკურად მძლავრად ნაძერწი აკანთის ფოთლის ეს დამახასიათებელი ორნამენტი საკმაოდ გავრცელებული ჩანს VI ს-ის ქართულ ქვასვეტებზე (საცხენისის, ბრდაძორის, დმანისის, წვერო-დაბალის ქვასვეტები) და სხვა რელიეფურ ძეგლებზე (ქალეთის სანათლაგი). ამ მცენარეული მოტივის მოდელირების თავისებური ტექნიკური ხერხები, მისი პლასტიკური ხასიათი, ოსტატურად გამოყვანილი დახვეწილი ფორმა გარკვეულ ასოციაციებს იწვევს მცხეთის ჯვრის სამხრეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული ჯვრის ამალების კომპოზიციის მცენარეულ მოტივთან. საერთოა არა მხოლოდ ფოთლის დამახასიათებელი ფორმა, არამედ შესრულების სპეციფიკური მანერა, პლასტიკური დამუშავების ხერხები. სიახლოვე VI ს-ის დასასრულის მაღალმხატვრული მონუმენტური ძეგლის ორნამენტთან მნიშვნელოვნად განამტკიცებს დავათის მცენარეული მოტივის შექმნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორნამენტი ამგვარი სახით დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთზე ჩანს ქართულ ძეგლებზე. დავათის ქვასვეტზე თვალს ხვდება ამ მცენარეული ორნამენტის მოცულობითი, სიღრმივი ძერწვისა და ფიგურული გამოსახულებების სიბრტყობრივ-პირობითი გადმოცემის თავისებური კონტრასტული დაპირისპირება, რაც გარკვეული მხატვრული მიდგომის შედეგი უნდა იყოს.

მაფორიუმში თავიდან ფეხებამდე გახვეული ღმრთისმშობლის ფიგურა ორიგინალურად არის დამუშავებული: ვულზე, ქრისტეს თავს ზემოთ მოჩანს თხელი ქიტონის ვოფირიებული ნაწილი, პარალელური რელიეფური ზოლ-

ბით დამუშავებული. სახელოთა დრაპირება გადმოცემულია კუთხით მიმართული პარალელურივე რელიეფური წახნაგოვანი მოცულობებით. ზუსტად ანალოგიურია ქრისტეს ქიტონის ნაკეცთა გადმოცემა. იგი იმეორებს ღმრთისმშობლის ქიტონის ნახატს, ოღონდ შემცირებული მასშტაბით. ამ ხერხით ოსტატი აღიერებს კომპოზიციის შინაგან დინამიკას, შეაქვს რიტმულობა მკაცრად ფორმალურ გარინდულ გამოსახულებებში.

თავისებურია ღმრთისმშობლის მაფორიუმის კალთების დამუშავება, მათი ფორმისა და მიმართულების ჩვენება პარალელურ ნაკეცთა ნახატით. ქვემოთ სამკუთხა არეში მოჩანს ქიტონის ქობა, ორმაგი პორიზონტალური ლილვით დასრულებული. ქიტონისა და მაფორიუმის ნაკეცთა დიფერენცირებით ოსტატი განსხვავებული ფაქტურის მინიშნებას იძლევა.

ღმრთისმშობლისა და ქრისტეს სახეები ისეა დაზიანებული, რომ ძნელია მსჯელობა მათ პლასტიკურ დამუშავებაზე. მაგრამ აქვე, დავათში, აღმოჩენილი ფრაგმენტი ღმრთისმშობლის ანალოგიური რელიეფური ხატით კომპოზიციის ამ ნაწილის შესახებ მსჯელობის უფლებას გვაძლევს.

როგორც კომპოზიციის საერთო აგება, ასევე ყველა დეტალი ამ ორი პლასტიკური სახის სრულ იდენტურობაზე მეტყველებს. უკეთ შემონახული ქრისტეს სახე ვარკვეული სტერეოტიპის არსებობაზე მოგვითითებს. დიდი ზომის დაგრძელებული სახე, რკალური ლილვებით შექმნილი დიდი თვალები, პატარა მოკუმული ბაგე, შუბლზე დაბლა ჩამოსული თმა, რომელიც ტალღოვან კულულებად ეფინება მხრებზე, ორივე ხელით გულთან მიკრული სახარება, რომლის ყდაზე მკაფიოდ გამოიკვეთება სათუთად გადმოცემული თითები — ყველა ეს ნიშანი ზუსტად მეორდება ორივე რელიეფზე, რაც უეჭველად მიუთითებს არა თუ ერთ სახელოსნოზე, არამედ, შესაძლოა, ერთ ოსტატზეც ორივე რელიეფი ერთი ხელწერით არის აღბეჭდილი, რაც ელანდება უმცირეს დეტალებში (ნაკეცთა დამატებითი დამუშავება სამკუთხა ჩანაქდევებით, შარავანდის მოცულობითი გადმოცემის ცდა მისი სიბრტყის ჩაკვეთით თავის მიმართულებით და სხვა).

ანალოგიურად არის დამუშავებული ქრისტეს სახე ხანდისის ქვასვეტზე ემთხვევა სახის ნაკვთების, თვალების შესრულების მხატვრული და ტექნიკური ხერხები. რელიეფის ზედაპირის დამუშავების ზოგიერთი ხერხი მოგვაგონებს ხეზე კვეთის ძველ ქართულ სპეციფიკურ ხერხებს. ხალხური ხელოვნების ამ დარგის ვარკვეულ ზეგავლენას ვხედავთ ჩარჩოს გრაფიკულ ორნამენტშიც. ამგვარი ასოციაციები არც თუ ისე იშვიათია ქართულ ქვასვეტთა რელიეფებში, რომელთა ოსტატები მკიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხურ ყოფასთან, უძველეს ხალხურ ხელოვნებასთან. საკმარისია ვადაცხედოთ ჩვენამდე მოღწეულ ხეზე კვეთის იშვიათ ნიმუშებს, სავარძლებს, კიღობნებს, მერხებს, საკარცხულებს, ძველი ქართული დარბაზის ტრადიციული დედაბოძის ორნამენტულ დამუშავებას<sup>4</sup>. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რომ ქვაჯვარანი თავისი ფუნქციითა და თავისი მხატვრული არსით ხალხური ცხოვრების წიაღში იქმნებოდნენ და ვაცილებით უფრო ახლოს იყვნენ ხალხის ყოფასთან, ვიდრე მონუმენტური ხელოვნების ძეგლები.

<sup>4</sup> Н. Г. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958, табл. 1—10.

დავათის ეკლესიის მიდამოებში ღმრთისმშობლის ორი სრულიად ერთნაირი რელიეფური ხატის აღმოჩენა მეტყველებს საქართველოს ამ კუთხეში ქვასვეტების საგანგებო სახელოსნოს არსებობაზე. ამის საბუთია აგრეთვე აქ მიკვლეული ქვასვეტების ფრაგმენტების მთელი ჯგუფი, რომელთა შორის დაუსრულებელი ნახევარფაბრიკატებიცაა. ეს მით უფრო სინტერესოა, რომ საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ ოსტატთა მუშაობის პროცესში.

დავათის ღმრთისმშობლის რელიეფური ხატი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. საქართველოში დღეისათვის ცნობილ ადრექრისტიანულ რელიეფებზე, არსებითად, გვაქვს ერთი იკონოგრაფიული ტიპის — ტახტზე მჯდომარე ღმრთისმშობლის ვარიაციები. ასეთებია — VI ს-ის ქვასვეტების რელიეფები (ხანდისი, ბოლნისი, ბრდაძორი, არმაზის საცავის № 529), უფრო მოგვიანო ხანის მამულას ქვასვეტის კომპოზიცია. მჯდომარე ღმრთისმშობელია გამოსახული წებელდისა და გველდისის კანკელებზე. დავათის ღმრთისმშობელი განსხვავდება ყველა ჯერჯერობით ცნობილი ნამუშევრისაგან.

დავათის ღმრთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპის შესწავლისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ნიკოდიმე კონდაკოვის ფუძემდებლურ ნაშრომს ღმრთისმშობლის იკონოგრაფიის შესახებ და ამ თემასთან დაკავშირებულ დღეისათვის დაგროვილ მასალას. ყველაფერ ამის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ მდგომარე ღმრთისმშობლის ტიპი წარმოდგება ოდესღაც კონსტანტინეპოლში არსებულ იდიგიტრიის დიდად პატივსაცემ ხატიდან, რომლის ასლები ფართოდ გავრცელდა ადრექრისტიანულ სამყაროში. ცნობილია აგრეთვე, რომ ფეხზე მდგომარე ღმრთისმშობელი, რომელსაც ეკავა მედალიონი ქრისტეს გამოსახულებით, იწოდებოდა პანგიაღ<sup>5</sup> ამ ტიპის საწყისები მიმდინარეობს ღმრთისმშობლის — ორანტის ან ქომავის სახეიშო გამოსახულებებიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო კატაკომბების მხატვრობიდან ცნობილ ორანტების (მლოცველთა) უძველეს სახეებთან. შარავანდის არარსებობა დავათის ღმრთისმშობლის გამოსახულებაში არ არის ერთადერთი შემთხვევა ადრექრისტიანულ ქართულ ხელოვნებაში (იხ. ღმრთისმშობელი ძით ბრდაძორის ქვასვეტზე) და, შესაძლებელია, გამოწვეულია იმ ნიშნის სიძველით, რომლითაც ხელმძღვანელობდა ოსტატი. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს რომის ერთ-ერთი კატაკომბის ღმრთისმშობლის ფრესკულ გამოსახულებაში (წმ. აგნას ტაძართან), რომელსაც ნ. კონდაკოვი მიიჩნევს „ღმრთისმშობლის უძველესი აღმოსავლური ხატის უეჭველ ასლად“. ხშირ შემთხვევაში შარავანდის არარსებობა განპირობებულია ადგილის სიმცირით<sup>6</sup>. ქვასვეტებზე, სადაც რელიეფური არეები საკმაოდ შეზღუდულია, ხშირად ვხვდებით კომპოზიციათა შეკუმშვის მაგალითებს.

განსაკუთრებულად იქცევს ყურადღებას ქრისტეს სახე. დავათის ქრისტე — ასაკოვანი, გრძელთმიანი, ჯერული შარავანდით — სახის ტიპით, ყველა იკონოგრაფიული ნიშნით, დამახასიათებელი ნაკვთებით, ნაოჭებით დაღარული შუბლით მჭიდროდ უკავშირდება ხანდისის ქვასვეტის მაცხოვრის სახეს. ორივე გან ქრისტეს კოდექსი უპყრია ხელთ, თუმცა განსხვავებულია ხელების მდგომარეობა. ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია არა ჩველი იესო, არამედ ყრმა. ამ ტიპის შექმნა დაკავშირებულია ბერძნული აღმოსავლეთის სირიულ-

<sup>5</sup> Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, I, С.-Пб., 1914, გვ. 165, 251.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 318, № 1.

ეგვიპტურ ცენტრებთან. კოდექსი ყრმა ქრისტეს ხელში (მაცხოვრის მსგავსად) და არა გრავნილი — აგრეთვე დამახასიათებელია კოპტური იკონოგრაფიისათვის<sup>7</sup>. ყველა ეს ნიშანი, მთელ რიგ სხვა დეტალებთან ერთად, რომლებსაც ვხვდებით ქართული ქვასვეტების ღმრთისმშობლის გამოსახულებებში, მიუთითებს ქართული ადრექრისტიანული რელიეფების მჭიდრო კავშირზე აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან. დავათის ყრმა იესოს ხანდისის მაცხოვართან აკავშირებს ქიტონის დამუშავების თავისებურება, ამგვარი დეტალი გვხვდება კიდევ ერთ ადრეულ რელიეფზე ზედაზნის მონასტრიდან (მრავალფიგურიანი რელიეფური კომპოზიციის მარცხენა პერსონაჟი, იოანე ზედაზნელი?!). ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ ან ერთი საერთო ნიმუშის არსებობა, ან ოსტატებისათვის კარგად ცნობილი რეალური სამოსლის გამოსახვა.

დავათის ღმრთისმშობლის ტიპი დაკავშირებულია უძველეს სირიულ პროტოტიპებთან, მსგავსად პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სირიული სახარების ღმრთისმშობლის გამოსახულებისა, რომელსაც ნ. კონდაკოვი მიიჩნევს დამახასიათებლად VI—VII საუკუნეთა სირიული ხელოვნების ძეგლებისათვის<sup>8</sup>.

დავათის ღმრთისმშობელი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლურ-ქრისტიანულ ბრინჯაოს სანაწილე ჯვრების გამოსახულებებთან. ეს ჯვრები აღმოჩენილია სირიაში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, ყირიმში, კავკასიის სანაპიროზე. ჯვრების ზურვის მხარეზე, როგორც წესი, მოთავსებულია მღვდმარე ღმრთისმშობლის გრაფიკული გამოსახულება. გულმკერდის წინ მას ქრისტეს ნახევარფიგურა უკავია. ამ ძალზე პარობით გრაფიკულ გამოსახულებას თან ახლავს ბერძნული წარწერები: „ღედაო ღვთისა“, ან „პანაგია“, ან „თეოტოკოს“<sup>9</sup>.

დავათის ქვასვეტის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ღმრთისმშობლის კონკრეტული ტიპის დოკუმენტურ არსს, რადგან ამა თუ იმ გამოსახულების შერჩევა ყოველთვის დაკავშირებული იყო ეპოქის უმთავრეს თეოლოგიურ მცნებებთან. ღმრთისმშობლის ფართო პოპულარობის დასაწყისი დაკავშირებულია V საუკუნესთან<sup>9</sup>. ამ დროისთვის ყალიბდება ქრისტიანული ისტორიის მთავარ პერსონაჟთა პორტრეტული ტიპები, იქმნება ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის „საწყისი ტიპები“. ღმრთისმშობლის კულტის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი ღმრთისმშობლის — თეოტოკოსის ეფესოს დოგმის საზეიმო იდეამ. ეფესოს III საეკლესიო კრებამ (431 წ.) ქალწული მარიამი ღმრთისმშობლად გამოაცხადა. აქედან იღებს სათავეს მარიამის ოფიციალური კულტი.

დავათის ქვასვეტზე ღმრთისმშობლის რელიეფს თან ახლავს ასომთავრული დაქარაგმებული წარწერა „წმიდა მარიამ“, ქრისტეს თავთანაც ამოკვეთილი წარწერაა — „იესო ქრისტე“ (ქარაგმით). წმინდა პერსონაჟებთან წარწერების მოთავსება არ არის უცხო ადრეული ქართული სტელებისათვის (იხ.

<sup>7</sup> შეად. VI—VII საუკუნეებით დათარიღებული კოპტური რელიეფი „ღმრთისმშობელი ყრმით“ კაიროს კოპტურ მუზეუმში, № 8006 (J. Beckwith, Coptic sculpture, London, 1963 გვ. 113).

<sup>8</sup> ნ. კონდაკოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 311, ნახ. 204.

<sup>9</sup> ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი უძველესი ტაძარი სანტა მარია მაჯორე რომში (432—440 წწ.).





პერსონაჟების სახელები და ბიბლიური სიუჟეტების განმარტებითი წარწერები უსანეთის ქვასვეტზე, მთავარანგელოზის სახელი ნღვარევის ქვასვეტის რელიეფზე, საერო პირთა სახელები სტელების ჯგუფზე).

ძველ ქართულ ქვასვეტებზე შემონახულია რამდენიმე წარწერა მიმართვით ღმრთისმშობლისადმი: „შეწვევითა ღმრთისმშობლისათა მე ერემია და...“ (ქვაჯვარას ბაზა პანტიანიდან VI ს.), „...აღმართუ პატიოსანი ჭუბარა წმიდისა ღმრთისმშობლისა სახელსა...“ (აბასთუმნის ჯვრის კვარცხლბეკი, VI—VII სს.), „წმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ სულსა ფარსმანისა...“ (უდეს ქვასვეტი, X ს.), ყველა წარწერა შესაწირავი ტექსტის ნაწილია, მაგრამ მათში ჩანს ეპოქისათვის დამახასიათებელი ნომენკლატურა ღმრთისმშობლისა. განმარტებითი წარწერა ქვის ხატზე დავათიდან უნიკალურია. ვინაიდან ქართული მასალა საკმაოდ მწირია, მივმართოთ ადრექრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგის საკმაოდ გავრცელებულ ნიმუშებს, რომლებზეც შემონახულია განმარტებითი წარწერები ღმრთისმშობლის გამოსახულებათა. წარწერები ფრესკებზე, მოზაიკებზე, რელიეფებზე, სხვადასხვა საკულტო ნივთზე, მედალიონებზე გვაწვდიან ღმრთისმშობლის სახელის სხვადასხვა ვარიაციებს, რაც საშუალებას გვაძლევს არა მარტო დავაჯგუფოთ ამ გამოსახულებათა განსხვავებული ტიპები, არამედ განვიხილოთ ამ სახელწოდებებში ასახული დოგმატური ევოლუცია ღვთაებრივი სიტყვის განსხვავების რედისა, რომლის სიმბოლოც ღმრთისმშობელი იყო.

ღმრთისმშობლის სხვადასხვა სახელწოდებაში აისახა განსხვავებული დოგმატური ელფერი. „აგია მარია“ — „წმინდა მარია“ წარმოდგებოდა მონოფიზიტური კობტური სამყაროდან, იგი გამოირიცხავდა ქრისტეს ადამიანურ არსს. ხოლო სახელწოდება „თეოტოკოს“ — „დედა ღმრთისა“ აღმოსავლურ-ქრისტიანული ორთოდოქსების ეპითეტი იყო (იგი გვხვდება IV ს-ის შუა წლებიდან ანტიოქურ ტექსტებში).

ფორმულა „წმიდა მარია“ საკმაოდ ხშირია ადრექრისტიანულ ძეგლებში. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ღმრთისმშობელი ყრმით ესნეს (ეგვიპტე) ფრესკულ მხატვრობაში (V—VI სს.)<sup>10</sup>, ყრმიანი ღმრთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება პანაგია ანგელოქიტისტას ეკლესიის აბსიდაში კიბროსზე (VII ს. პირველი ნახევარი)<sup>11</sup>, ღმრთისმშობლის ფრესკული გამოსახულება ქ. ანტინოეს ერთ-ერთ აკროსოლიუმში (VI ს.); ფრესკა ბაუტიკში (VI ს.), სანტა მარია ანტიკვას ეკლესიის შუა ნავის ფრესკული მხატვრობა (დაახ. 700 წ.). ამ უკანასკნელი მხატვრობის წარწერასთან დაკავშირებით ნ. კონდაკოვი შენიშნავს, რომ იგი „VII—VIII საუკუნეებში იმეორებს წარწერას, რომელიც შეიქმნა მანამ, ვიდრე დამკვიდრდებოდა სახელი — „ღმრთისმშობელი“<sup>12</sup>. მკვლევარი ამ გარემოებას ხსნის ტრადიციის ძალით, ძველი ნიმუშების ხანგრძლივი არსებობით. ცნობილია, რომ ადრექრისტიანულ ეპოქაში ფრესკულ მხატვრობაში საყოველთაოდ გამოიყენებოდა ნიმუშებად ძველი ფერწერული ხატები. ასეთივე პრაქტიკა უთუოდ არსებობდა ქვასვეტების რელიეფური კომპოზიციების შექმნის დროსაც, ქართველი ოსტატები უმეველად სარგებლობდნენ სხვადასხვა კანონიკური ნიმუშით, რომელთა შორის ძველი ფერწერული ხატებიც უნდა ყოფი-

<sup>10</sup> J. Strzygowski, Eine Alexandrinische Weltchronik. Wien, 1905 გვ. 161, ნახ. 18.

<sup>11</sup> В. Н. Лазарев, История византийской живописи, М., 1986, გვ. 41, табл. 45.

<sup>12</sup> ნ. კონდაკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 317—318.

ლიყო. მასალის სიმცირის გამო ქვასვეტების განმარტებით წარწერებში ჯერ-ჯერობით არ ხერხდება რაიმე კანონზომიერების დადგენა. ერთი რამ კი ცხადია, რომ წარწერების არსებობა განაპირობა წმიდა გამოსახულებათა ახსნის აუცილებლობამ, მეორე არანაკლები მნიშვნელობის ფაქტორი იყო ნიმუშის არსებობა, რომელიც შეიცავდა ამგვარ წარწერას.

ადრექრისტიანული იკონოგრაფიის მრავალფეროვანი მასალის კვლევამ გამოავლინა ღმრთისმშობლის განსაზღვრული „ტიპების“ — ნამუშების ფართო გავრცელება VI ს-ში, იუსტინიანეს ეპოქის ბიზანტიური ხელოვნების უშუალო ზემოქმედებით. ეს გარემოება ზემოდასახელებულ სტილურ ნიშნებთან ერთად კიდევ უფრო განამტკიცებს დავათის ქვასვეტის აღნიშნული ეპოქისათვის მიკუთვნებას. ეს დებულება რომ უფრო სარწმუნო გახდეს უნდა განვიხილოთ ქვასვეტის რელიეფური პროგრამა მის ერთიანობაში, ისე, როგორც იგი ჩაფიქრებული იყო მისი შემქმნელის მიერ.

დავათის ქვასვეტის რელიეფური პროგრამის განხილვისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ჩვენამდე უსრულო სახით მოვიდა და მისი პირვანდელი სახე ალბათ შეიცავდა საყურადღებო და მნიშვნელოვან ნაწილებს. თუ დავდგებით პირველ ქრისტიანთა პოზიციასზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვასვეტის წახნაგები გაიაზრებოდა, როგორც ერთიანი არე საღმრთო ისტორიის მოვლენათა და ქრისტიანულ დოგმათა გამოსახვისათვის, მოპირისპირე წახნაგებზე განთავსებული გამოსახულებები მწყობრ სქემად წარმოგვიდგება, რომელშიც ყოველი ნაწილი აღიქმება საერთო კონტექსტში. ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი ქტიტორები, ორი ანგელოზი, რომლებიც თავისი ხასიათით ამალღების სცენაზე მიგვანიშნებენ, შედარებით დაბლა განლაგებული ღმრთისმშობელი ყრმით — ყველა ეს ნაწილი ერთიანად წარმოადგენს იუსტინიანეს ეპოქაში დიდად გავრცელებული თემის — ქრისტესა და ღმრთისმშობლისადმი ტაძრების მშენებელთა, ქტიტორთა, ეპისკოპოსთა, შემწირველთა და სხვათა წარდგინებას. ქვასვეტის დანიშნულებას ზუსტად შეესატყვისება რელიეფთა სიღრმიე არსი — შემწეობისა და მფარველობის იდეა, რომელსაც ევედრებოდნენ ქრისტესა და ღმრთისმშობელს. ამ თვალსაზრისით დავათის სტელასა და სხვა ქართულ ქვასვეტთა არსი თავისებური გამოძახილია ადრეული შუა საუკუნეების მონუმენტური კომპოზიციებისა (პორეჩის აბსიდის მოზაიკური კომპოზიცია, სოლუნის წმ. დემეტრეს ტაძრის აბსიდის პირველი მოზაიკა და სხვა). დავათის სტელა კიდევ ერთი დასტურია ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრებისა ქართულ სტელათა გარკვეული კავშირის შესახებ ადრექრისტიანული ეკლესიების სააბსიდო კომპოზიციებთან, რომელთა მთავარი თემა — ქრისტეს ამალღება ღმრთისმშობლით ქვედა რეგისტრში — ორიგინალურად გარდაიქმნებოდა ქართველ ოსტატთა შემოქმედებაში.

დავათის სტელის მხატვრული მნიშვნელობის განსაზღვრებისას საკითხების მთელი რიგი წამოიჭრება. მათ შორის ძეგლის შექმნის ადგილის ლოკალიზაცია. ფრაგმენტების მრავალრიცხოვნება გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს ამ რეგიონში სკულპტურული სახელოსნოს არსებობას, რომელიც ამარაგებდა ფეოდალური ზედაფენის გარკვეულ ნაწილს ამ ეპოქის სოციალური და სულიერი ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით. ამასთანავე, არ შეიძლება არ ვახსენოთ დავათისაგან არც ისე შორს მდებარე სოფ. ეალეთში აღმოჩენილი ანალოგიური ხასიათის რელიეფური ძეგლები. ეალეთის ეკლესიის სანათლავის რელიეფებთან დავათის სტელას აკავშირებს გარკვეულ



პლასტიკური ხელწერა, ზედაპირის დამუშავების თავისებური ხერხები—(ნაკვეთი) თა ნაწიბურების დამუშავების ხერხი, ფოთლოვანი ორნამენტის ძერწვის მანერა). უთუოდ დამაფიქრებელია დავათის ერთ-ერთი ფრაგმენტის საკმაოდ უჩვეულო გეომეტრიული ორნამენტის ერთადერთი პირდაპირი პარალელის მონახვა ქალაქში მიკვლეულ ქვასვეტზე წმინდანის გამოსახულებით. დეკორატიული ნიშის მიბაძვით შექმნილ ამ გეომეტრიული ორნამენტის კვეთის მანერა, კომპოზიციური განთავსება ქვასვეტის წახნაგზე ასევე ერთი სახელოსნოდან წარმომავლობას გვაფიქრებინებს. ამასთანავე, უნდა ვახსენოთ დავათშივე აღმოჩენილი ქვასვეტის ზედა ნაწილი — თავისებური ფორმის კაპიტელი, რომლის დეკორატიული გადაწყვეტა ზუსტად ანალოგიურია დმანურის კაპიტელისა, რორომელზეც ჭვრის თაყვანისცემის თემაა წარმოდგენილი (VI ს.). ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ დღეისათვის არსებული მასალა ჭერ არ არის საკმარისი ქართულ ქვაჭვართა წარმოების ცენტრების დასაზუსტებლად და იგი მხოლოდ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს.

ქვასვეტების რელიეფების განზილვისას წამოიჭრება საკითხი მათი შთაგონების წყაროთა და ნიმუშების შესახებ. დავათის რელიეფები ამ საკითხის გარკვევისათვის საინტერესო მასალას იძლევა. პირველ რიგში უნდა მივმართოთ რელიეფების კომპოზიციურ მხარეს. ორნამენტულ ჩარჩოებში მოთავსებულია რელიეფური სცენების ვერტიკალური განაწილება მოგვაგონებს სპილოს ძვლის ხუთნაწილედ დიპტიქების გვერდითი ნაწილების ორ და სამ ნაწილიან ვერტიკალურ ზოლებს. საერთოა ორნამენტულ ჩარჩოებში ჩასმული რელიეფური სცენების არქიტექტონიკა, ცალკეულ სცენათა კომპოზიციური თავისებურებანი, სხვადასხვა იკონოგრაფიული დეტალები<sup>13</sup>. ეს კავშირი განსაკუთრებით საგრძნობია დავათის სტელაში, რომლის მოყვითალო-ქვიშისფერი ტონალობა ასე მოგვაგონებს ძველი სპილოს ძვლის რელიეფთა თბილ ტონალობას. ამგვარი ნიმუშების შესაძლებლობაზე მიგვიბრუნებს ზოგიერთი კომპოზიციური ხერხი. ერთ-ერთი ამგვარია სცენების ურთიერთკავშირი ქვემოდან ზემოთ, რაც მიღწეულია ფიგურათა ექსტიკულაციით. საერო პერსონაჟები ერთ ხელს აღმართავენ ზემოთ მიმართვის ნიშნად, მეორე კი თაყვანისცემის ექსტით მკერდთან აქვთ მიტანილი. დონატორები, სტელის აღმართველები შემწეობის თხოვნით მიმართავენ ზედა რეგისტრში განლაგებულ მაცხოვარს (ამეჰამდ დაკარგულს), რომლის ამაღლების მოწმეებად წარმოგვიდგება ორი ანგელოზი, ანალოგიური მანიშნებელი ექსტით მიმართული მათ ზემოთ თავდაპირველად არსებულ გამოსახულებისაკენ. იქმნება უწყვეტი ლოგიკური კავშირი ვერტიკალურად განლაგებულ სცენებს შორის, ამასთანავე, დატულია ზუსტი იერარქიული ურთიერთობანი სხვადასხვა რეგისტრებში, მიწიერ და ციურ ზონებში გამოსახულ პერსონაჟებს შორის. ამგვარი კომპოზიციური ხერხი გვხვდება სპილოს ძვლის დიპტიქებში (მაგ. პრობიანუსის დიპტიქი, რომი). საყურადღებოა კავშირი საკულტო რელიეფებისა (ქვასვეტისა) საიმპერატორო ხელოვნების ძეგლებთან, ე. ი. ქრისტიანული ხელოვნებისა ადრეულ საიმპერატორო კულტთან, რაც ასე მახვილად არის დანახული და სიღრმედად გამოკვლეული ანდრე გრაბარის ნაშრომებში<sup>14</sup>.

<sup>13</sup> W. F. Volb a'ch, *Elfenbeinarbeiten der Spätantike und das frühen Mittelalters*, Magonza, 1976.

<sup>14</sup> A. Grabar, *L'empereur dans l'art byzantin*. Paris 1936.

სპილოს ძვლის ნამუშევრებზე მიუთითებს აგრეთვე რელიეფთა ზედაპირის დამუშავების ზოგიერთი ხერხი; ასეთია რომბული ზადის მსგავსად დამუშავებული ნიჟარა და დავათის ქვასვეტის ორფიგურიან სტენებში, რომლის არაერთი მაგალითია საკონსულო დიპტიქებზე (ბარბერინის დიპტიქი. VI ს. ლუვრი, დიპტიქი ბერლინის მუზეუმიდან, VI ს. დასაწყისი და სხვა); ასეთია მოჩარჩოების სქემატური ნახატი (სპილოს ძვლის რელიეფი ციურისის მუზეუმში V—VI სს.) და სხვა.

ქართული ქვასვეტების ნაწილში მოთავსებულია შესაწირავი წარწერები, რომლებშიც შემკვეთთა სახელებია მოხსენიებული (წრომი, ნათლისმცემელი, პანტიანი, უდე). სტელებზე გამოსახული საერთო პირთა პორტრეტებიც ხშირად დასახელებულია (შერგილი, გრიგოლ იპატოსი, ათანასე, მარიაში). სამწუხაროდ, დავათის დონატორთა წყვილი ანონიმურია. ცხადია, რომ ჩვენს წინაშე აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულნი. „ერისმთავრობის“ ეპოქის ქართული სტელები, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება დავათის სტელა, ხომ ერთდროულად წარმოადგენდნენ საკულტო და პრესტიჟულ სოციალურ ძეგლებს. ჩვენს წინაპართა ეს „პორტრეტები“, მათი სქემატურობისა და ტიპის განზოგადების მიუხედავად, ატარებენ ეპოქის ნიშნების მნიშვნელოვან კვალს. მათი საგანგებოდ შესრულებული სამოსელი გარკვეულად მიგვანიშნებს მათ სოციალურ მდგომარეობას. დავათის საერო პერსონაჟთა გადმოცემის პირობითობასა და სქემატურობასთან ერთად, მათი კოსტუმები უტყუარად არის შესრულებული. ორივე პერსონაჟი ერთნაირადაა შემოსილი ყელთან მრგვლად ამოჭრილ გრძელ, მუხლს ქვემოთ ჩამოშვებულ კაბებში. სწორი, წელთან ოდნავ შევიწროვებული. მთლიანად ნაკეციბით დაფარული სამოსელი ქვემოთ ორნამენტული ქობით არის დასრულებული. რომბული ზადით დაფარული ორნამენტული ქობა გვერდებზე ვერტიკალურად ამოდის ზემოთ და ქმნის კოსტუმის დამახასიათებელ სამკაულს. ამგვარი რომბული სამკაული ხშირად გვხვდება V—VI საუკუნეთა საკონსულო დიპტიქების პერსონაჟთა ჩაცმულობაში, რაც რეალური ყოფის ამსახველი დეტალი უნდა იყოს.

დავათის საერო პერსონაჟთა გამოსახულება დიდად მნიშვნელოვანია ქართული ეროვნული კოსტუმის ისტორიისათვის. ჩვენს განკარგულებაშია ქართულ სტელათა გარკვეული რაოდენობა (წრომი, დავათი, დმანისი, ბოლნისი, ბრძანდორი, კატაულა, უსანეთი), რომელთა „პორტრეტული“ გამოსახულებები გვეხმარება წარმოვიდგინოთ ადრეული შუა საუკუნეების ქართველ წარჩინებულთა ზედა ფენის ჩაცმულობის თავისებურება. ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ანონიმური პერსონაჟები ჩაცმულობის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოთ გარკვეულ სოციალურ კატეგორიებს. ამაში გვეხმარება აგრეთვე ისტორიულ წყაროთა ძუნწი ცნობები.

ბიზანტიური ქრონიკების ცნობით ბიზანტიის იმპერატორის იუსტინეს დროს, 522 წელს ლაზების მეფე წათე მამის სიკვდილის შემდეგ ჩავიდა კონსტანტინეპოლში, სადაც იმპერატორისაგან მიიღო სამეფო ღირსების ნიშნები. მათ შორის იყო „თეთრი სტიქარი — პარაგაუდი, შემკული ოქროთი ამოჭარბული იუსტინეს პორტრეტით“. ამგვარად, დასავლურ-ქართული სამეფოს მმართველმა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო ტიპიური სამეფო სამოსელი —





თეთრი ქლამიდა იმპერატორის პორტრეტის სიმეფო თავლით — კეთილგანწყობისა და უმაღლესი ძალაუფლების ნიშნად<sup>15</sup>.

ეს ისტორიული საბუთი მიგვითითებს VI ს-ის საქართველოში ბიზანტიური კოსტუმის გამოყენების ტრადიციის არსებობაზე. ადრეულ ქართულ რელიეფებზე საერო პირთა ჩაცმულობის ნაირგვარობა გვიჩვენებს საერო ხელისუფალთა მკაფიოდ განსაზღვრული სოციალური იერარქიის არსებობას.

VI ს-ის დასასრულის ქართლის უმაღლეს ხელისუფალთა ჩაცმულობა ცნობილია მცხეთის ჯვრის ტაძრის ფასადებზე მოთავსებული რელიეფების მიხედვით. აკად. გ. ჩუბინაშვილმა ზუსტად განსაზღვრა ამ ეპოქის ქართული ეროვნული კოსტიუმის დამახასიათებელი ნიშნები, ხაზი გაუსვა აღმოსავლური ელემენტის მნიშვნელობას, გამოავლინა სოციალური დიფერენციაციის ნიშნები ერისმთავართა ოჯახის საგვარეულო „სკულპტურულ პორტრეტში“<sup>16</sup>.

დავითის ქტიტორთა კოსტუმები განსაკუთრებული თარგისაა: გრძელსახელოებიანი კალთებგაფართოებული თავისუფალი ქიტონები. ჭარბი დრაპირება მოწმობს მათ შესრულებას რბილი ელასტიური ქსოვილისაგან (შეადარეთ ჯვრის ქტიტორთა სამოსელის გლუვი ზედაპირები, რომლებიც მიგვითითებს მძიმე ფარჩის ძვირფას ქსოვილებზე, რომლიდანაც სრულდებოდა მეფეთა საზეიმო ტანსაცმელი). ზედაპირის თავისებური დამუშავებით დავითის საერო კოსტუმში შეიძლება შევეფარდოთ ქობულ-სტეფანოზის ჩაცმულობას ჯვრის სამხრეთ ფასადზე. ანალოგიურია წვრილი პარალელური ნაკეციებით დრაპირება, ორმაგი ლილვით შემოხაზული ყელთან მრგვალად გამოჭრილი კაბის მოხაზულობა, ფართო ორნამენტული ქობის ნახატი. დავითის ქტიტორთა ჩაცმულობის სიახლოვე მცხეთის ჯვრის ფასადზე გამოსახული ერისმთავართა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ტახტის მომავალი მემკვიდრის მოკრძალებულ სამოსელთან იმაზე მეტყველებს, რომ დავითის ქტიტორები არ არიან იერარქიული კაბის უმაღლესი საფეხურის წარმომადგენლები. ისინი ალბათ ადგილობრივი ფეოდალებია, რომლებიც თავისი სოციალური მდგომარეობით შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ დმანისის, ბოლნისისა და ბრდაძორის ქვასვეტების ქტიტორებს, რომელთა კოსტუმებთან მათ ბევრი საერთო აქვთ. ყველაზე ახლოა ეს კოსტუმი ბრდაძორის ფეოდალის ჩაცმულობასთან. ერთნაირია ფართო ორნამენტული ქობა, რომელიც გვერდებზე ვერტიკალურად გრძელდება ზევით და ამკობს კოსტუმის გვერდით ნაწილების ჭრის. კოსტუმის ეს თარგი, დაკავშირებული მხედართა სალაშქრო ცხოვრებასთან, ბიზანტიურ სამყაროში აღმოსავლეთიდან გავრცელდა. სრულიად ბუნებრივია ამ მოდის არსებობა საქართველოშიც, რომელიც ისტორიულად დაკავშირებული იყო აღმოსავლურ სახელმწიფოებთან — პართიისთან, სასანურ ირანთან. ტანსაცმლის ქობის ამგვარი მოხაზულობა ჩანს ქართული სტელეების რელიეფურ „პორტრეტებში“ (ბრდაძორი, დმანისი, ბოლნისი). მაგრამ ამ პერსონაჟთა სადა და მოკლე სამოსელისაგან განსხვავებით დავითის ფეოდალებს მოსავთ გრძელი რბილნაკეციანი სამოსელი, რაც აახლოვებს მათ წრომის სტელის ქტიტორებთან, კატაულას ქვასვეტის დიდებულებთან, რომელთა შორის იპატოსის ტიტულის მქონე წარჩინებულებაცაა.

<sup>15</sup> Н. М. Беляев, Украшения поздне-античной и ранневизантийской одежды, Прага, 1926 (Семинариум КондаковIANUM), გვ. 218.

<sup>16</sup> Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, გვ. 142—148.

დავათის დიდებულთა კოსტუმები სხვა სტელების პერსონაჟთა კოსტუმებთან ერთად საბუთია იმისა, რომ ბიზანტიური ტიპის ოფიციალურ კოსტუმებთან ერთად საქართველოში არსებობდა უძველესი ტრადიცია ეროვნული ჩაცმულობისა, რომელიც დროთა განმავლობაში განიცდიდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეზობლების გარკვეულ ზეგავლენას, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა თავის ეროვნულ ხასიათს.

VI ს-ის დასასრული — VII ს-ის დასაწყისი — სპარსეთის ბატონობისაგან საქართველოს გათავისუფლების ეპოქაა, ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ფეოდალური ზედა ფენების მომძლავრების ეპოქაა, ქართლის საერისმთავროს შექმნის ეპოქაა. ყველა ნიშნის მიხედვით ეს იყო ქრისტიანული ხელოვნების, ქრისტიანული კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების ეპოქა. ამის თავისებური ასახვაა სტეფანოზ I-სა და სტეფანოზ II-ის მონეტების რვევრსზე გამარჯვებული ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის გაჩენა მაზდეანური ათაშდანის ნაცვლად.

დავათის ქვასვეტზე, ისევე, როგორც სხვა ქართულ ქვასვეტებზე; ჩვენ ვხედავთ შუა საუკუნეების ადრეული ეტაპის ქართველ დიდებულთა „პორტრეტებს“, განზოგადებულ სახეებს იმ ფეოდალებისა, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს ძველი ქართული მატიანე: „...ეპყრათ უფლება ქართლისა აზნაურთა“.

რელიეფური ქვასვეტების სოციალური არსის უფრო ღრმად წვდომისათვის უნდა მივმართოთ ცნობებს, რომლებიც დაცულია ქართულ საისტორიო წყაროებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ პირველ ქრისტიანულ ეკლესიებს ქართლში აზნაურები აგებდნენ. ამ პირველ ეკლესიათა შორის დასახელებულია გიორგი წმიდის ეკლესია მცხეთაში, ეკლესიები სტეფანწმინდასა და თბილისში. ამასთანავე, ირკვევა, რომ თბილისში დიდი ეკლესიის აგების დროს ნახევარს აგებდნენ ერისთავები, ნახევარს კი „ყოველი ერი“. ადრექრისტიანული ქვასვეტები საქართველოს ფეოდალური წრეების — აზნაურთა-სოციალური და კულტურული აქტივობის შესანიშნავი ილუსტრაციაა. წარჩინებულნი აღმართავდნენ რელიეფურ ქვასვეტებს და ქვაჯვარებს შესაწარავი წარწერებით არა მხოლოდ როგორც ვოტივურ-საკულტო ძეგლებს, არამედ როგორც თავისი სოციალური პრესტიჟის, ფეოდალურ იერარქიაში მათი დამკვიდრების ნიშანს. ამ თვალსაზრისითაც ქართულ რელიეფურ ქვაჯვართა მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ საკულტო სფეროს და ფართო სოციალურ კლერადობას იძენს.

დავათის ქვასვეტი, რომელმაც ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია, წარმოადგენს ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების დიდმნიშვნელოვან ძეგლს მკაფიოდ გამოკვეთილი სტილური და იკონოგრაფიული ნიშნებით, რომელიც შეიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას VI ს-ის დასასრულის საქართველოს კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. მან არა მარტო დაიკავა კუთვნილი ადგილი ადრექრისტიანული საქართველოს პლასტიკური ხელოვნების ევოლუციაში, არამედ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიულ შიდა ქართლში, საკუთარი „პლასტიკური ხელწერის“ მქონე მნიშვნელოვანი სკულპტურული სახელოსნო, რომელიც შემოქმედებითად წყვეტდა თავისი დროის რთულ თეოლოგიურ და მხატვრულ

ამოცანებს. დავათის ქვასვეტების ყველა ფრაგმენტის სრული შესწავლა უფრო სრულად წარმოაჩენს ამ სახელოსნოს შემოქმედებით და მხატვრულ თავისებურებებს.

კ. გ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

## ДАВАТСКАЯ СТЕЛА В РАЗВИТИИ ГРУЗИНСКОГО ПЛАСТИЧЕСКОГО ИСКУССТВА

Резюме

Украшенная рельефными фигурными изображениями стела, обнаруженная в сел. Давати, привлекла всеобщее внимание, прежде всего, изображением древнегрузинского алфавита «асомтаврули». Целью статьи является художественный анализ рельефного декора стелы, имеющей большое значение для понимания истоков средневековой грузинской пластики. Рельефный декор стелы рассмотрен во взаимосвязи с развитием как грузинского, так и византийского искусства.

Рельефные композиции стелы подчинены строгой теологической программе, каждое изображение является органичной частью единого художественного целого. Анализ изображений стелы позволяет предположить на ее фасадной стороне — композицию Вознесения. Расположенная на противоположной грани Богоматерь тесно связана с основной композицией.

Художественные особенности пластических образов — линейно-декоративный подход, плоскостный, условный характер изображений — характерны для определенного этапа развития древнегрузинской пластики. Стилистические признаки сближают даватскую стелу с группой раннехристианских грузинских стел конца VI — начала VII вв. (Хандиси, Дманиси, Жалети и др.). На эту же эпоху указывает и рельефный орнамент стелы.

Очень интересны иконографические черты рельефных композиций. В первую очередь, следует отметить уникальный иконографический тип Богоматери.

Включение в программу стелы ктиторских изображений придает ей особое историческое звучание.

Даватская стела — значительный памятник раннехристианской эпохи, органично включенный в эволюцию средневекового грузинского искусства. Даватские находки подтверждают существование в Восточной Грузии, в исторической Шида Картли скульптурной мастерской, отличающейся собственным «пластическим почерком», творчески решавшей сложные художественные и иконографические задачи своей эпохи.

K. MACHABELI

 THE PLACE OF DAVATI STELE IN THE DEVELOPEMENT  
 OF GEORGIAN PLASTIC ART

## Summary

The Stele which was found in the village Davati and decorated with relief figure representations attracted everyone's attention mainly of old Georgian alphabet „asomtavruli“ inscribed on it. The aim of this article is the artistic analysis of relief decoration of the stele which has a great importance in the understanding of the origin of medieval Georgian plastic. The relief decoration is studied in connection with the development of Georgian as well as Byzantine art.

Relief compositions of the stele are subordinated the strict theological programme each of which is the organic part of the whole. Analysis of the representations allows us to suggest that there was the composition of Assumption on the façade of the stele. Disposed on the opposite side the representation of Virgin is in a close connection with the main composition.

Artistic peculiarities of plastic images—linear-decorative approach, flat, conventional character of representations—are characteristic for the definite epoch of the development of ancient Georgian plastic art. Stylistic features connect the stele from Davati to the group of early christian Georgian stele of the end of VI and the beginning of VII cc. (Khandisi, Dmanisi, Jaleti and others). Relief ornaments of the stele point to the same epoch.

Iconographic features of the relief compositions are of the great interest and mainly an iconographic type of Virgin.

The inclusion of the representations of donatories in the programme add more historical significance to Davati stele.

The stele from Davati is a very important monument of an early christian Georgian art and is organically included in its development. Finds in Davati confirm the existance of sculptural work—shop in the Eastern Georgia, in historical Shida Kartli which was notable with its plastic peculiarities creatively solving extremely complicated artistic and iconographic problems of its epoch.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ





ძველი ჩხატარაიშვილი

ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან  
(„უქმარი“)\*

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ვადმოცემით, თამარის გამეფებისთანავე, გიორგი III-ის მიერ დამდაბლებულ დიდგვაროვანთა ერთმა ნაწილმა ისარგებლა იმით, რომ ტახტზე ახალგაზრდა ქალი იჯდა და სახელმწიფო მმართველობის სისტემაში თავისი ძველი ადგილის დაკავება მთინდომა, ურთიერთმეფიცულმა რამდენიმე დიდგვარიანმა თამარს განუცხადა: „აღარ ვეგებით ძუელთა კელისუფალთა და გამგებელთა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრკვილნი უნატოდ გაძეულნი ვართ და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულვართ უგუაროთა და უქმართაგან“<sup>1</sup>.

დიდგვარიანთა ეს გამოსვლა სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა ცნობილი და მისი განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს; საჭიროდ მიგვაჩნია ამ ცნობის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი დეტალის დაზუსტება, რაც ამ ისტორიულ ფაქტს ახალ შუქს ჰფენს.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სამი რედაქციითაა შემონახული. მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში ზემოთციტირებული ადგილის ბოლო ასე იკთხება „...უგუაროთა და უქმართაგან“, ხოლო ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ მიერ რედაქტირებულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას წერია: „...უგუაროთა და უკამათაგან“.

ვახუშტი ბატონიშვილი დიდგვარიანთა ამ გამოსვლის აღწერისას აღნიშნავს, რომ უკმაყოფილო ფეოდალები მიუთითებდნენ ამირსპასალარ ყუბასარის, მსახურთუხუცეს აფრიდონის და სხვათა „უაზნობაზე“, დაბალ ჩამომავლობაზე. ამავე დროს ვახუშტი იმსაც აღნიშნავს, რომ ყუბასარი „სნეულვება ასოთა მიღებითა ფილენჯისაგან“<sup>2</sup>. მოსე ჭანაშვილი და ივ. ჯავახიშვილი „ისტორიანი და აზმანის“ ამავე ადგილს კითხულობდნენ: „უხამსთაგან“<sup>3</sup>. ნ. ბერძენიშვილი, როგორც ჩანს, აქ „უხანოს“ ვარაუდობს — ახალკაცის, ახალდა-

\* წინამდებარე ნაშრომი დაიწერა 1963 წელს, ხოლო მოხსენდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესიას 1979 წლის 23 მაისს. ამ ნაშრომში გათვალისწინებულია 1973 და 1979 წლებში გამოქვეყნებული ნარკვევები (ი. ფურტყარაძისა და დ. ფურცელაძის).

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, 1959, გვ. 30 (ქვემოთ ხაზგასმე ყველგან ჩვენია. — ქ. ჩ.).

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1885, გვ. 197.

<sup>3</sup> მ. ჭანაშვილი, თამარ მეფე, 1917, გვ. 6; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია (XI—XV სს.), 1949, გვ. 73; შეად. მე-6 შენიშვნა. მ. ჭანაშვილს ტექსტის ამ ადგი-

წინაუბრებულის მნიშვნელობით<sup>4</sup>. ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე სწორად თვლიან წაკითხვას — „უქმართავან“<sup>5</sup>. ამავე აზრისაა ს. ყაუხჩიშვილი<sup>6</sup>.

მ. ბროსეს სათანადო ადგილი ასე უთარგმნია: „...par des gens incapables et sans naissance“<sup>7</sup>. ასევეა თარგმნილი ეს ადგილი ფ. ჰოლდაკის მიერაც: „...durch unfähige Leute“<sup>8</sup>.

1954 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ახალი ქართლის ცხოვრება“ კ. გრიგოლიამ საეჭვოდ მიიჩნია „ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილის ძველი, ტრადიციული წაკითხვა. მისი სიტყვით: „ასეა წარმოდგენილი აქ დიდგვაროვანთა მიერ ათვალწუნებულ პირების ყუბასარისა და აფრიდონის სოციალური დახასიათება: „უგვაროთა და უქმართავან“. ისინი უგვარონი და უქმარნი ყოფილან. პირველი, ცხადია, წარჩინებულ გვარს, მაღალ შთამომავლობას მოკლებული ე. ი. მდაბიო წარმოშობის ადამიანთა აღმნიშვნელი ტერმინი იყო, მაგრამ რა შუაშია ან ვინ იყვნენ ეს უქმარნი — ჩვენთვის გაუგებარია. ეს ტერმინი არც „მეცნიერ კაცთათვის“ ყოფილა ვასაგები, ამიტომ მათ მიერ რედაქტირებულ ქართლის ცხოვრებაში (XVIII ს-ის დამდეგისათვის) ის წარმოდგენილია უკვე გადაკეთებული სახით და ასე იკითხება: უქმართავან. მაგრამ ესეც ვასაგები არ ჩანს და სათანადო განმარტებას მიიწევს საჭიროებს. ხოლო ყველა მკვლევარი, რომელსაც კი ამ ტერმინთან ჰქონია საქმე (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და სხვები) მას ისევე ადრინდელი ფორმით ხმარობს: უქმართავან. ჩვენ ი აზრით, აქ გარკვეულ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე (ასეთი დამახინჯებანი კი ქცის მარტამ დედოფლისეული ნუსხისათვის დამახასიათებელია) და თავდაპირველად დედანში ამის მაგიერ უნდა ყოფილიყო: „უქამლოთავან“, რომელიც სიტყვა კამლისაგან უარყოფითი წინსართის უნის დახმარებითაა ნაწარმოები და უფეხსაცმელოს, ფეხშიშველს ნიშნავდა, რაც ისევე, როგორც უგვარონი, ფეოდალურ საზოგადოებაში უმდაბლესი სოციალური ფენების აღსანიშნავად ჩვეულებრივ იხმარებოდა“<sup>9</sup>.

ტექსტის ასეთ წაკითხვასა და გაგებაზე აგებს კ. გრიგოლია საკმაოდ ვრცელ მსჯელობას, რომლის მიზანია დაამტკიცოს, რომ დიდ გვარიანთა ამ გამოსვლას სოციალური ბრძოლის ხასიათი ჰქონდა.

ლის ასეთი აღდგენისათვის ერთგვარი საფუძველი ჰქონდა „ისტორიანი და აზმანი“-ში „სავასოდ“ ნიშნავს ახლანდელი გაგებით, „შესაფერისად“; აქედან, ცხადია, „უქაში“ — „შეუფერებელია“. იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 93; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 88—89.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 153; ისტორიანი და აზმანი შარაფანდუთანი, კ. კეკელიძის გამოც., 1941, გვ. 76.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

<sup>7</sup> Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e siècle, traduite du Géorgien par M. Brosset. 1-e Partie. Histoire ancienne, jusqu'en 1469 de I.-C. S.-Peter sbourg 1849, გვ. 407.

<sup>8</sup> Felix H. Holdack. Zwei Grundsteine zur einer Grusinischen Staats-und Rechtsgeschichte, Leipzig, 1907 გვ. 75.

<sup>9</sup> კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 38.



ქ. გრიგოლიას შეხედულებას ენათესავება ქ. კეკელიძის მიერ ამ ტერმინის გაგება. ქ. კეკელიძე ქართულ „უკმართაგანს“ თარგმნის სიტყვით „НЕВАЖНЫМИ“<sup>10</sup>, რაც იმას ამტკიცებს, რომ მას „უკმარი“ ესმის როგორც არადიდგეაროვანი.

ამრიგად, არსებობს „ისტორიანი და აზმანის“ ერთი ადგილის ოთხი სხვადასხვა წაკითხვა და გაგება. როგორც ირკვევა, სწორია ს. ყაუხჩიშვილის მიერ მიღებული წაკითხვა, მაგრამ მკვლევართაგან მისი გაგება — „თარგმანება“ არამართებულია.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებზე დაკვირვებით, შესაძლებელი ხდება „ისტორიანი და აზმანის“ აღნიშნული ადგილის თავდაპირველი სახისა და მისი მნიშვნელობის დადგენა.

შეიძლება თუ არა მოცემულ ტექსტში ყოფილიყო „უკანთაგან“ ახალგაზრდის ან ახალკაცის, ახალაწინაურებულის მნიშვნელობით?

„ვეფხისტყაოსანში“, რომელიც სწორედ „ისტორიანი და აზმანის“ დროინდელი ძეგლია, იხმარება სიტყვა უხანო<sup>11</sup>, როგორც ანტონიმი სიტყვისა — ხანიერი: „ვა, სოფელო, უხანო“ (აკად. გამოცემა, 529); „უხანობა და სიცრუე“ (1006); „ხამს მიჯნური ხანიერი“ (25). არც ერთ ამ შემთხვევაში „უხანო“ ახალკაცს ან უსაკოსა და არასრულწლოვანს არ ნიშნავს, ისევე, როგორც „ხანიერი“ — ასაკოვანს, ზრდადასრულებულს. უხანო — დაუდგრომელია — (ს. კაკაბაძე), დაუდგარი, გამწირავი, ფლიდი (იუსტ. აბულაძე), Недолговременный, непостоянный (დ. ჩუბინაშვილი); ხანიერი — სოლიდურია (ს. კაკაბაძე); ერთგული, მტკიცე, მუდმივი (იუსტ. აბულაძე); пожилой, постоянный (ჩუბ.).

ამრიგად, განსახილველი ადგილის წაკითხვა — „უხანოთა“ გაუმართლებელია.

რაც შეეხება „უკამლოს“, გასარკვევია, რას ნიშნავდა ეს სიტყვა ძველ (იმდროინდელ) ქართულში, ხომ არ იხმარებოდა იგი (როგორც ეს ქ. გრიგოლიას ჰგონია) „უღაბლესი სოციალური ფენების აღსანიშნავად ჩვეულებრივ“?

არც ერთი ქართული წერილობითი ძეგლი „უკამლოს“ ასეთ გაგებას არ იცნობს. „უკამლოს“, როგორც ჩანს, რაიმე სოციალური შინაარსი არ ჰქონია.

„უკამლო“/„უკამური“, როგორც სწორად განმარტავს თვით ქ. გრიგოლია, მართლაც ფეხშიშველს, უფეხსაცმლოს ნიშნავდა: „მოჰყვანდა წმიდა შუშანიკ უკამური და თმა გარდატევებული“ (წამება წმიდის შუშანიკისა)<sup>12</sup>. „უკამლო და თავლია... ვიდოდა გზასა“ (გიორგი ათონელის ცხოვრება, XI ს.)<sup>13</sup>, „ნუ დღეს უკამური ხუალ და ხვალე ცანდალთა და ჯამლთა ეძიებ“ (სინური ხელნაწერი, შუასაუკუნეებისა)<sup>14</sup>, „გინებთა და შეურაცხებითა წარგუდევნიან

<sup>10</sup> История и восхваление вешеносцев, пер. К. Кекелидзе, Тб., 1954, გვ. 36.

<sup>11</sup> აღსანიშნავია, რომ უხანო ხანით იწერება, ხოლო უკმარი ქართ. გარდა ამისა, არ არსებობს საფუძველი, რომ ყუბასარი, აფრიდონი და სხვა აღზევებულნი ახალგაზრდებად წარმოვიდგინოთ. ეს არც მათ კელს შეეფერებოდა და არც ყუბასარის დაადგებას (დამბლა).

<sup>12</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანიშვილის რედ, ტ. I, 1946, გვ. 39.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 193.

<sup>14</sup> ვ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 138.

უსაგზლონი და უჯამურნი ჟამს ლეღვათა ტეხისა და ზამთრისასა“ (გოანესა და ეფთემეს ცხოვრება, XI ს.)<sup>15</sup>; ულუ-დავითი „წარვიდა წინაშე მისსა (დმანისის ღვთისმშობლისა — ქ. ჩ.) და წარმოაჩინა, ვითარ ყოველნი უჯამურითა ფერკითა მიჰყებოდეს“ (ქამთაღმწერელი, XIV ს.)<sup>16</sup> და მრავალი სხვა...

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში „უჯამური“ უფესაცმოლა, ფენ-შიშველია, რაც შეეხება პარალელურ ფორმას — „უჯამლოს“, იგი „უჯამურის“ თანადროულად ჩანს და, შესაძლებელია, რომ აქ დიალექტურ სახესხვაობებთან გვექონდეს საქმე (ასეთი რამ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხშირად შეიმჩნევა). დ. ჩუბინაშვილი ორივე ფორმას იცნობს და განმარტავს.

ეს მრავალი ამონაწერი ჩვენ განგებ მოვიტანეთ, რათა აშკარად გვეჩვენებინა, რომ V—XIX საუკუნეთა ძეგლებში სიტყვა „უჯამური/უჯამლო“ რომელიმე სოციალური ფენის აღმნიშვნელად არ იხმარებოდა. რასაკვირველია უჯამურად მიმავალი შუშანიკ დედოფალი, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელეები, გიორგი ათონელი ან ულუ-დავითის ამაღა „უმადალესი სოციალური ფენის წარმომადგენლებად“ ვერ ჩაითვლებიან.

ასევე გამართლებას ვერ პოულობს მ. ჯანაშვილისეული წაკითხვაც („უხამსთაგან“), როგორც ტექსტის გვიანდელ (XVIII ს.) რედაქციებზე დამყარებული აღდგენა.

რჩება მეოთხე წაკითხვა — უძველესი ხელნაწერების მიხედვით — „უჯამართაგან“.

რას ნიშნავდა ძველ ქართულში „უჯამარი“?

ოთხთავის ძველ ქართულ თარგმანებში (X ს.) „უჯამარი“ იხმარება უჯარ-გისის, უსარგებლოს, გამოუსადეგარის მნიშვნელობით: „მონა იგი უჯამარი განავდეთ გარე ბნელსა მას გარესკენლსა“ (მ. 25,30; „შეად. ლ. 17,10)<sup>17</sup>. ასევეა სხვა ძეგლებშიც: „უჯამრად მდებარე არს ეკლესია იგი“ (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, X ს.)<sup>18</sup> „სახე მისი ცხადად უჩუენის: უჯამარნი და უღირსნი“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, XII ს.)<sup>19</sup> „უჯამარ და უღებ ყუეს სრულიად ღთივ სულეირნი და საღმრთონი სწავლანი“ (ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დასაწყისი)<sup>20</sup> და მრავალი სხვა.

ამრიგად, „უჯამარის“ ერთი, ძირითადი მნიშვნელობა საცესებით ნათელია.

ამავე დროს ამ სიტყვას ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც. „უჯამარს“ უწოდებდნენ მძიმედ დაავადებულს, უმოძრაოდ მდებარეს, კუტს, დავდრომილს. ქამთაღმწერელი (XIV ს.) აღნიშნავს, რომ ულუ-დავითის სიბაზე წასვლის წინ „შეედგა საღმრთობა ძესა მისსა პირმშოსა გიორგის... გავრძელდა საღმრთობა ასე ზომ, რომელ კნინდა მკუდარ საგონებელ იყო. და იღვა უჯამრად, უძრავად, სულთა აღმომფთვინველი და მითცა ძლით“<sup>21</sup> დავით VIII-ს, დიმიტრი თავდადებულის ძეს „სენიცა შეედგა ბოროტი მიკრისი, ხელთა და ფერკთა და უჯამარ იქმნა“<sup>22</sup> „თუ კაცი... ჭირნახულობით ან დაკოდით უჯამრად გასული-

<sup>15</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 186.

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 255.

<sup>17</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, გვ. 595.

<sup>18</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 234.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 441.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 317.



ყოს, დაბერებულყოს... საბრალო იქმნების და ძალისაგან დაკლილა (აღბულას სამართალი, XIV ს.)<sup>23</sup>.

როგორც ვხედავთ, „უკმარი“ ძველ ქართულში ეწოდებოდა ისეთ კაცს, რომელიც რაიმე მიზეზით (დაჭრა, ავადმყოფობა, სიბერე...) ლოგინად ჩავარდნილა, სამართადაცარგული, საპყარქმნილი იყო და მასასადამე, ფეოდალური სამსახური, ლაშქრობა აღარ შეეძლო. ასეთი პირები იყვნენ „შეუძლებელნიცა და უკმარნი საერისკაცოსამებრ განგებისა“<sup>24</sup>.

„უკმარის“ ასეთი მნიშვნელობით ხმარებას ადასტურებს „ისტორიანი და აზმანის“ ის ადგილიც, სადაც მოთხრობილია, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ (1184 წ.) თამარმა უბოძა „მსახურთუხუცესობა ვარდან დადიანსა, ჩუხჩარეხობა მარუშინასა, ძესა ჩუხჩარეხისასა, ვინაცა (რადგანაც — ქ. ჩ.) მათ ერთ ავე მამანი მომყოვრებულ ქმნულ იყვენეს და დასდვა მათ მამისა პატივი მათისა და დასხნა სასთაულითა“<sup>25</sup>, მოტანილ ტექსტში ვარდან დადიანისა და მარუშინის მამები მოხუცებულობით დაუძღვრებულნი ჩანან<sup>26</sup>, რაც მეფეს საბაბს აძლევს, რომ მათი სახელო სხვებს გადასცეს.

ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ ჟამთააღმწერლის ცნობა: დიმიტრი თავდადებულის დროს (1271—1289) სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელი ცოცხალი იყო, მაგრამ სამცხეს განაგებდა მისი შვილი ბექა, კარგი მეომარი და მონადირე<sup>27</sup>. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სარგისი იმ დროს „დაბერებულ იყო და სენთაგან სიბერისა და ხსნილ იყო ყოვლითა ასოთა“<sup>28</sup>; „დაბერებულ იყო სენითა ფერხის ტკივილისათა“<sup>29</sup>. აქედან ცხადია, რომ რაკი სარგისი „უკმარ ქმნილი“ იყო, სამთავროს მის სიცოცხლეშივე განაგებდა მისი ძე ბექა, „ძალითა ძლიერ,

<sup>23</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 321.

<sup>24</sup> აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიანი. თბ., 1971, გვ. 109. აღსანიშნავია, რომ ბექასა და აღბულას სამართლის წიგნის რუსულ ენაზე მთარგმნელთ აღბულას სამართლის 72-ე მუხლის გამოთქმა: „უკმარად გასულიყოს“, უთარგმნიათ: „... unfit в состоянии непригодности к труду(?)“. როგორც ჩანს, მთარგმნელებს არ გაუთვალისწინებიათ „უკმარად გასვლის“ რეალური შინაარსი. იხ. Судебник Бека и Агбуга, 1960, გვ. 65.

<sup>25</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33.

<sup>26</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი (და, მის მიხედვით, პროფ. ს. ყაუხჩიშვილიმაც) აქ აღადგინა: „მოხუცოვნებულ იყვნეს“. „მოხუცოვნებულ“ საერთოდ არ ჩანს ძველ ქართულში. აკაკოზ ბანდაისძე 1365 წელს ასაკის აღსანიშნავად ხმარობს სიტყვას „მოხუცოვნებული“ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 319). აკად. კ. კეკელიძე განმარტებისას: „მოყოფრებული — ხანში შესული, მოხუცი“ (ისტორიანი და აზმანი, ლექსიკონი), როგორც ჩანს, გამოდიოდა იქიდან, რომ „მყოარ ეამ“ — დიდხანს, ხანგრძლივად, ხოლო „მყოარ ეამიჭ“ — ხანდაზმულად (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედ. I, ლექსიკონი). კ. კეკელიძისეული ტექსტის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხვით შემოსილობა დაუძღვრებას სრულიადაც არ ნიშნავდა და დადიანისა და მარუშინის შაჰათათვის ხელის ჩამორთმევის საბაბად ვერ გამოდგებოდა. კ. კეკელიძისეული წაკითხვის სასარგებლოდ მერჯველებს შემდეგი ფაქტიც: გარეჯის არქიმანდრიტი გერონტი სოლოაშვილი წერს, რომ იგი ბევრი რამის მნახველია და მიმოყოფრებელია ვ. ი. მოხუცი ([1810 წ.]). იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია. ტ. I, 1959, გვ. 405].

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება II, გვ. 273.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 277.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 278.

ომსა შინა მკნედ მბრძოლი, ცხენსა ზედა მკნე და მოისარი ნადირთა კელო-  
ვანი<sup>30</sup>.

ეს მნიშვნელობა ჰქონდა „უკმარს“ გვიანაც. დავით ბატონიშვილის სა-  
მართლით (პროექტით) სასამართლოში მოწმედ არ შეიძლებოდა გამოსული-  
ყვენ, სხვათა შორის, „სნეულნი, რომელთაცა არა აქუს ცნობა უძღურები-  
თა“ ე. ი. სკლეროტიკები. აქვე ნათქვამია, რომ „უ ხ მ ა რ ს ი... მოწმედ ნუ  
შეიწყნარებინა“<sup>31</sup>.

„უკმარი“ ამ გაგებით გვიანდელ ხანებშიც იხმარებოდა. 1790 წ. 28 დე-  
კემბრით დათარიღებულ „არტოზნის მორიგის დავთარზე“ მიწერილია: „უ ხ-  
მ ა რ ს ი ჯერეთ გამოუწერელნი“<sup>32</sup>. ამ მინაწერში, ცხადია, იგულისხმება, რომ  
დავთარში შეტანილი არიან „უკმარნი“ მორიგენიც, რომლებიც მათი უკმარო-  
ბის გამო დაეთრიდან უნდა ამოღებული („გამოწერილი“) იქნან.

ახლა დაეუბრუნდეთ ისევ „ისტორიაში და აზმანის“ განსახილველ აღ-  
გოსს.

ნაყვიჩაყარი ყუბასარის „განპატიყების“ საფუძვლად დიდგვარიანებმა მისი  
„უკმარობა“ წამოაყენეს, ყუბასარს ხომ „სენისა მიერ ფილენჯად წოდებული-  
სა, მოვლებოდა ენა, კელი და ფერჯი“<sup>33</sup>. ყუბასარი „კარგი მოყმე და ჰაბუჯი“,  
მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის ხელს ფლობდა, საქართველოს  
ლაშქრის მთავარსარდალი იყო, ახლა კი დამბლადაცემული იწვა. ცხადია, რო-  
გორც სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი<sup>34</sup>, დიდგვარიანებს სა-  
ფუძველი ჰქონდათ, რომ ყუბასარის გადაყენება მოეთხოვათ<sup>35</sup>. ეს კი არა,  
თვით მეფეს უნდა ეზრუნა ახალი ამირსპასალარის შერჩევა-დანიშვნაზე. რაც  
შეეხება იმას, რომ დიდგვარიანებმა ყუბასარს სხვებიც მიაყოლეს, მათი უვარ-  
გობა მოიხსნეს და „აწუიეს მეფესა თამარს მოღებად ყოველისა  
დიდებისა. ქონებისა და სიმდიდრისა“ (ყუბასარისა და სხვა-  
თაგან — ქ. ჩ.), ეს უკვე ფეოდალთა თვითნებობის გამოვლენა, მათი არაკა-  
ნონიერი მოთხოვნა იყო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართული ფე-  
ოდალური სამართლის ნორმებს არ შეეხებათ და, მასთანადავ, მეფის  
ხელისუფლებასთან დაპირისპირებას ნიშნავდა.

აფრიდონის წინააღმდეგ დიდგვარიანთა გამოსვლას აშკარა სოციალური  
საფუძველი ჰქონდა: აფრიდონი ერთი იმ მრავალრიცხოვან მსახურთაგანი (მი-  
ნისტერიალთაგანი) იყო, რომლებიც გიორგი III-მ დააწინაურა და ძირძველ  
არისტოკრატებს დაუპირისპირა. მსგავსი მოვლენები შუა საუკუნეების დასაე-  
ლეთ ევროპისთვისაც არ იყო უჩვეულო. XI—XII საუკუნეებში გერმანიის  
იმპერატორები თავიანთ ერთგულ მინისტერიალებს როგორც სამეფო კარზე,  
ისე ლაშქარშიც მნიშვნელოვან თანამდებობებს აძლევდნენ. ადრე ეს კვლები  
მხოლოდ დიდგვაროვან არისტოკრატებს ეკავათ. ამას 1073 წელს გერმანიაში  
ისეთი აზმები მოჰყვა, რაც საოცრად მსგავსია თამარის გამეფებისას საქარ-

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 273.

<sup>31</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითისა. დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 51.

<sup>32</sup> სცია, ფ. 1448, ს. 799.

<sup>33</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

<sup>34</sup> ქართველი ერის ისტორია, II (1948 წ.), გვ. 248.

<sup>35</sup> ივ. ჯავახიშვილი არ მიუთითებს დიდგვარიანთა მოთხოვნის იურადიული საფუძველი-  
ანობის წყაროს, სამართლის სათანადო ნორმას.



თველოში მომხდარი ფაქტისა: დიდგვარიანებმა იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს მოსთხოვეს, რომ მას სამეფო კარიდან გაეყარა ეს მდაბიონი (Gesindel — ბრბო, сброд, отродье, сволочь), და იმპერიის საქმეთა განმგებლობა მათთვის, დიდგვაროვანთათვის მიენდო, ვისაც ეს უფრო შეეშვნოდა<sup>36</sup>.

ყუბასარს, ცხადია, უგვარობას ვერ დასწამებდნენ; იგი გიორგი III-ის გაზრდილი იყო<sup>37</sup>. მეფეს უგვაროც შეეძლო „გაეზარდა“, მაგრამ, როგორც ჩანს, არა უგვარო, არამედ ყიფიყუთა გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენელი, — „ყიფიყუთა უმთავრესის“, ხანის, „ელ-ბეგის“ ნათესავთაგანი<sup>38</sup>.

დიდგვაროვანთა მიერ ყუბასარის წინააღმდეგ მძაფრად გამოსვლას ღრმა საფუძველი ჰქონდა: „კელმწიფის კარის გარიგებით“ (§ 36) „ამირსპასალარი საპატო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უ ი მ ი ს ო დ ქ ვ ე ყ ა ნ ა ა რ გა ი ც ე მ ი ს, არცა ვინ შეიწყალეზის“. ფეოდალურ ქვეყანაში მეფას შემდეგ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი (ფეოდალებისათვის!) ფუნქცია რომელი კელის მფლობელს ჰქონდა! ფეოდალთა კეთილდღეობა ყუბასარზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ძირძველი ფეოდალები ამას, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ. ეს იყო მიზეზი ფეოდალთა ამ გამოსვლისა, საბაბო კი, ცხადია, კანონიერი უნდა მოენახთ.

ჩვენამდე არ მოუღწევია თამარისდროინდელ სამართლის არც ერთ ძეგლს, რომელზე დაყრდნობითაც შეგვეძლებოდა დიდგვაროვანთა მოთხოვნის იურიდიულ საფუძვლიანობაზე გვემსჯელა. სამაგიეროდ გვიანდელ, XIV ს-ის ძეგლში, ე. წ. „აღბუღას სამართალში“ შეტანილია ერთი მუხლი, რომელიც სპეციალურად „უქმარს“ შეეხება<sup>39</sup>. აი, ეს მუხლიც: „თუ კაცი კაცის ყმობასა და ერთგულად გავლენით სამსახურსა შინა ჭირნახულობით ანუ, დაკადითა უქმარ გასულიყოს, დაბერებულიყოს (გარ.: უქმარ გასრული დაბერებულებიყოს), საქმემან რამემან განიყვანოს, რითამცა შესრულიყოს, იგივე გაყვეს და მისი ჭირნახულისა (და მონაგებისა) მესამედი, ამაღ, რომე საბრალო იქმნების და ძალისაგან დაცილილ(ა)“. საყურადღებოა, რომ აღბუღას სამართლის უძველეს ხელნაწერში (Q-206) 72-ე მუხლს გვერდით, გადამწერის ხელით მიწერილი აქვს: „ყ მო ბ ა“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს მუხლი ყმობას (ვასალობას) ეხება.

საკვებები სწორად მოიქცა აკად. ი. დოლიძე, როცა ამ ძეგლის ახალ გამოცემაში (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 453). 72-ე მუხლი ორად გაყო და ჩვენ მიერ ციტირებული ტექსტი ცალკე მუხლად (72!) გამოყო. შემთხვევითი არაა, რომ აღბუღას სამართლის 72-ე მუხლი „სამართლის წიგნის ვანტანგ VI-ის ხელიდან გამოსულ უძველეს ხელნაწერებში (S-3683) ორ ადგილასაა: ჯერ აღბუღას სამართალში, შემდეგ კი ბაგრატ კურაპალატის სამართლისა და ე. წ. კანონიკური სამართლის ტექსტზე მიყოლებით გამოვრე-

<sup>36</sup> L. Stern, H. Gericke, Deutschland in der Feudalepoche von der Mitte des 11. Jh. bis zur Mitte des 13. Jh. Berlin, 1978, გვ. 83.

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

<sup>38</sup> იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს), 1956, გვ. 194; С. Т. Еремян, Агарцинская надпись 1184 г., გვ. 85—86 (Исследования по истории культуры народов Востока, Сборник в честь академика И. А. Орбели, М.-Л., 1960).

<sup>39</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 321.

ბულია ოდნავ განსხვავებული სახით (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 473, მუხ. 173). შესაძლოა ეს მეორე ტექსტი აღბუღას სამართლიდან არც მომდინარეობდეს და რომელიმე ძველი ძეგლის ნაშთი იყოს. აღბუღას სამართლის 72-ე მუხლზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „უკმარი“ სპეციალური იურიდიული ტერმინი იყო. ამ მუხლით „უკმარობა“ ვასაღს, მსახურულ პირს „ხელს“ ართმევდა როგორც სამსახურის ვერ შემძღეს; ღირსეულად ნამსახურ ვასაღს, რომელიც რაიმე მიზეზით „უკმარი“ ხდებოდა, „ჯელს ართმევდნენ, უტოვებდნენ იმ ქონებას, რაც მას ჯელის მიღებაამდე ჰქონდა და მესამედს იმ ქონებისას, რომელიც მან ჯელის მიღების დროს და შემდგომ შეიძინა, — და ნარჩენი ორი მესამედი შენაძენისაკი ჩამოერთმეოდა.

ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან ერთად მის ზედნაშენურ კატეგორიებს, მათ შორის ფეოდალურ სამართალს, წელი განვითარება და დიდი სიძვარე ახასიათებდა.

სავსებით დასაბუთებულია აკად. ი. დოლიძის მტკიცება, რომ აღბუღას სამართალი, ბექას სამართლის მსგავსად, კანონმდებელი ათაბაგის მიერ მოღიწნად ახალშექმნილი რამე არ იყო, არამედ ქართული ფეოდალური სამართლის უფრო ადრინდელ ნორმებს ემყარება და მათ განვითარებას წარმოადგენს დროთა ცვლის შესაბამისი ზოგიერთი კორექტივითა და დამატებით<sup>40</sup>. სამცხის სამთავროს შექმნას, ჩვენი აზრით, ამ მხარის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროში რაიმე მნიშვნელოვანი თავისებურებების წარმოქმნა არ უნდა გამოეწვიოს; სამცხის გამოყოფას სათანადო ცვლილებების განმაპირობებელი შინაგანი სოციალური ძვრები არ მოჰყოლია. ვარდა ამისა, ვასთავალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ისეთ ლოკალურ სამართალს, როგორც აღბუღას სამართალი, საქართველოში წინამორბედი არ უჩანს<sup>41</sup> (იგი არც მომავალში განვითარებულა). ესეც იმაზე მიგვითითებს, რომ მას ძირითადად საქართველოს სამეფოს ფეოდალური სამართლის ძეგლებში უნდა ეპოვა ამოსავალი. სავსებით დასაშვებია, რომ აღბუღამ თავის კოდექსში სამართლის ზოგიერთი ტრადიციული ნორმა უცვლელად შეიტანა: ასეთ ძველ მუხლად მიგვანჩნა, მაგალითად, 72-ე მუხლი „უკმარად ვასვლის“ შესახებ.

<sup>40</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 99—101. შემთხვევითი არაა, რომ ი. დოლიძე აღბუღას სამართლის 72-ე მუხლის ძველ საფუძველს ვარაუდობს. იხ. აგრეთვე ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 627—628. ჩვენი აზრით, 772-ე მუხლს საფუძვლად ბაგრატ კურაპალატის სამართლის 157-ე მუხლი არ დასდებია, შდრ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 102—103.

<sup>41</sup> ამ შემთხვევაში, ვასაგები მიზეზის გამო, მხედველობაში არაა მიღებული ვიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დღეობა“ და სადათო „ჩვეულებებითი სჯული“.

გადაჭარბებულად მიგვანჩნა ზ. რატიანის განცხადება, რომ „საქართველოში ზნაირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთი რომელიმე კუთხისათვის შედგენილი სამართალი ყოველგვარი სანქციის გარეშე სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით, საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოქმედ კანონად იქცეოდა“. იხ. ზ. რატიანი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში, 1970, გვ. 46. კიდევ უფრო არაზუსტია დებულება, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოს ცალკეული მხარეებისთვის შედგენილი არც ერთი კანონი, როგორც წესი, არ რჩებოდა თავისი თავდაპირველი ასპარეზის ფარგლებში და მისი მოქმედება მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა“. იქვე, გვ. 48 (ხაზგასმა ჩვენია — ქ; ჩ.).





ჩვენი ეს ვარაუდი დასტურდება თამარის დროს დიდგვარიანთა გამოსვლის ამბებით. დიდგვარიანებმა „უკმარი“ ამირსპასალარის გადაყენება მოითხოვეს. თამარმა ერთგულად ნამსახურ ყმას „კელისუფლობისა და ლორისაგან კიდევ არა რა დააკლო“<sup>42</sup>. საყურადღებოა, რომ ყუბასარს ჩამოერთვა ის ქონება (ლორე), რომელიც მას კელის მიღებამდე არ ეკუთვნოდა, იოანე ორბელიის საკუთრება იყო: გიორგი III-ემ ყუბასარს ლორე სამსახურისათვის უბრძა (ამირსპასალარს შესაფერი ქონება მიეცა), „უკმარ“ ყუბასარს ლორე ჩამოერთვა, ამით შესრულდა ყმობის ქართული (სამართლებრივი) წესი: „თუ კაცი კაცის ყმობასა და ერთგულად სამსახურსაშიგან ... უკმრად გასულიყოს... რაითამცა შესულიყოს, იგივე გაჰყვეს...“. ყუბასარს მონაგების 2/3-ც კი არ ჩამოერთმევია, მან მხოლოდ საველოდ მიღებული ციხე დაკარგა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდგვარიანთა კანონიერ მოთხოვნას თამარმა იმავე კანონის მოხერხებულად გამოყენებით უპასუხა და ერთგული ყმა შეძლებისდაგვარად დაიცვა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ:

1. „ისტორიანი და აზმანი შარაევანდეთანის“ ერთი ადგილის (ქცა, II, 30) ის წაკითხვა, რომელიც ამ ძეგლის ბოლო გამოცემაში (პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა) ტრადიციის მიხედვით არის მიღებული, სათანადო დასაბუთებას პოულობს.

2. ძველ ქართულ ენაში სიტყვა „უკმარი“ შემდეგი მნიშვნელობებით იხმარებოდა: 1. ა) გამოუსადეგარი, გამოუყენებელი, უვარგისი, უხმარი; ბ) დავრდომილი, საყარი, კუტი; ადამიანი, რომელსაც აქტიური საქმიანობის ფიზიკური უნარი დაკარგული აქვს. ე. ი. ინვალიდი.

3. ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებში „უკმარი“ სპეციალური ტერმინი იყო. ამ ტერმინით აღინიშნებოდა სამართლის განსაზღვრული სახის სუბიექტი, რომელსაც ფეოდალურ კანონმდებლობაში გარკვეული ადგილი ეკავა. ასევე სპეციალურ გამოთქმას წარმოადგენდა „უკმრად გასვლა“, რაც ნიშნავდა მსახურეული პირის მიერ „კელის“ დაკარგვას ამ პირის „უკმრად“ ქცევის შემთხვევაში.

4. თამარის გამეფებისას დიდგვარიანთა ცნობილ გამოსვლას ნაწილობრივ ზურგს უმაგრებდა იურიდიული საფუძველი, ქართული ფეოდალური სამართლის სათანადო ნორმა, რომელიც შემდგომ საუკუნეებშიც (XIV ს.) მოქმედებდა. თამარის ქცევა დიდგვარიანთა ამ გამოსვლის დროს მომწიფებული პოლიტიკოსის შესაფერი ქცევაა და მასში ურჩ ვასალთა წინაშე პასიური უკანდახევა არ ჩანს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: „ქცის“ განხილული ადგილის მონაცემებს ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმის შესახებ მეტად საინტერესო პარალელები აქვს XII—XIV საუკუნეთა ქართულ წყაროებში.

აღბულას სამართლის 27-ე მუხლის ჩვენებით უმაღლეს სიუზერენს (ამ

სავსებით სწორია ბექა-აღბულას სამართალზე აბ. კიკვიძის აზრი: „აღნიშნული სამართლის ძეგლის მიხედვით სამართლის მოქმედების სფერო სამთავროში იწყება და სამთავროშივე მთავრდება“. ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, გვ. 40 (თსუ შრომები, XXXVII, 1949). განა შეიძლება სამთავროს ბარში ყველგან მოქმედ კანონად ქვეუღიყო გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დაღება“ ან ეპიტაფ ბატონიშვილის „განჩინება ბარსა და მთიურთა ადგილთა“?

<sup>42</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

შემთხვევაში მთავარს) ხელი მიუწვდება არა მარტო ვასალის მამულზე, არამედ მის (ვასალის) „ჭირნახულსა და მონაგებზეც“. მსგავსი ვითარება ასახული დავით მეფის (აღმაშენებლის?) მიერ XII საუკუნეში არიშაინისადმი მიცემულ სიგელშიც. ამ შემთხვევაში ჩვენ სიგელის შინაარსის სხვა მხარე გვაინტერესებს. ამ სიგელში აღწერილი სიტუაცია ძალიან მიაგავს ყუბასარის „უჭმარდ ვასლის“ ვითარებას. ჰერეთის დიდებულმა („მთავარმა“) არიშაინმა მეფეს სთხოვა მისი (არიშაინის) ხელქვეითი ფეოდალის ნიანია ნიანისძის, გრიგოლ მახრებელისშვილის „გაშუება და გათავისუფლება“<sup>43</sup>... მისითა მამულთა ვეძისხევითა“; რადგანაც ნიანის მამული ვეძისხევი „ზოთვად ჰქონებოდა“ (ე. ი. სამსახურის სამაგიეროდ მეფისგან ნაწყალობევი არ იყო) და მეფისთვის „დიდად ნამსახური და ბერი კაცი იყო, ლაშქრობა აღარ შეეძლო“ (შეად. „თუ კაცი კაცის ყმობასა და გავლენით სამსახურსა შინა ჭირნახულობით ან დაკოდით უჭმარ ვასულიყოს, დაბერებულყოს... ძალისაგან დაცლილია“), დავით მეფემ დიდებულ არიშაინის საგამგებლო ტერიტორიაზე მსახლობელი ვასალი (მცირე აზნაური? „აზნაურად მსახური“ მსახურთავანი?) მახრებელისშვილი „გაუშუა და გაათავისუფლა... მისითა მამულითა ყოველისა გამოსავლისა და შესავლისა საჯელმწიფოისა“<sup>44</sup>.

ნიანის სიგელის შინაარსი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენ მიერ განხილულ ტერმინთან. ნიანია მოლაშქრობიდან (ვასალის ძირითადი მოვალეობიდან) სიბერით გამოწვეული უჭმარობის გამო თავისუფლდება. ამის გამო საჭიროდ მიგაჩნია უფრო დაწვრილებით შევეხთ ამ სიგელს.

ნიანის სიგელის ტექსტი პირველად (შემოკლებითა და ზოგიერთი ადგილის არასწორი წაკითხვით) გამოსცა თ. ჟორდანიამ<sup>45</sup>. სიგელის სრული ტექსტი 1927 წელს გამოსცა ი. ცინცაძემ<sup>46</sup>. ი. ცინცაძის მიერ ზოგიერთი ადგილი სხვაგვარადაა წაკითხული, კერძოდ, თ. ჟორდანიასეული გამოცემის „გრიგოლ მოთვრებულის შვილი“, ახალ, 1984 წ. გამოცემაში ასეა: „გრიგოლ მორვრებელისა შვილი“; ნიანის შესახებ ჟორდანიასეულ გამოცემაში მოცემული განმარტება „ბევრი ვალი იყო“, ცინცაძის გამოცემაში ასეა: „ბერი კაცი იყო“. ასევეა 1984 წ. გამოცემაშიც.

ნიანის სიგელის შინაარსი ნათელია: ნიანია სიბერის გამო ვეღარ ლაშქრობს და, როგორც ჩანს, არც ლაშქრობის შემძლე მემკვიდრე ჰყავს. მეფემ „უჭმარ“ ვასალს მამული უნდა ჩამოართვას (სხვა მოლაშქრეზე გადასაცემად), მაგრამ ყურად იღებს რა დიდებულ არიშაინის შუამდგომლობას, აგრეთვე იმას, რომ ნიანის მამული (ვეძისხევი) მეფისგან კი არ აქვს მიღებული, არამედ „ზოთვად ჰქონებოდა“ (ასეთ მამულზე მეფეს ხელი ნაკლებად მიუწვდება) ნიანია კი „დიდად ნამსახური... კაცი იყო“, მეფე უტოვებს მას მამულს და ათავისუფლებს ყოველგვარი სახელმწიფო გამოსაღებისაგან. სავა-

43 „გაშუება“ — გადასახადიდან, გამოსაღებიდან გათავისუფლებას ნიშნავდა, „გაშუება და გათავისუფლება“ გვიანდროინდელი „გათარხნების“ სინონიმია.

44 საქართველოს არქივი, 1927, წ. II, გვ. 16; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX—XIII სს., 1984, გვ. 50—51.

45 თ. ჟორდანიამ, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა..., 1896, გვ. 21.

46 საქართველოს არქივი, 1927, წ. II, გვ. 16, 1975 წ. გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნიანია მახრებელისშვილი არას კახელი აზნაური, ყოფილი ტაძრეული, „სამხედრო საქმის ვალდებული და ამ ვალდებულების პირობად მიწა-ადგილის მფლობელი მეომარი, ერისთავის („არიშაინის“) საკონტრალო; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 441.



რაუდებელია, რომ ნიანიას სხვა (არა ნამზითვი) მამულიც (საკარგავი?) ჰქონდა, რომელიც მეფემ თავისად დაიჭირა. ესაა ტიპური მაგალითი განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში სენიორ („ხელმწიფე“) — ვასალის („ყმა“) ურთიერთობისა და ურთიერთდამოკიდებულებისა.

1970 წელს გამოცემულ ნარკვევში მ. ბერძნიშვილმა რატომღაც ნიანიას სიგელის ძველი (ქორდანიასეული) გამოცემით ისარგებლა და ამის გამო საკმაოდ უცნაური დასკვნებიც მიიღო: მ. ბერძნიშვილი წერს: „ამ საბუთიდან კარგად ჩანს, რომ მამულს, სხვა სახელმწიფო გადასახადებთან ერთად, ლაშქრობაც ედო ვალად. ეს ვალი ხორციელდება მამულის პატრონისაგან. ამ მამულის პატრონი (ამ შემთხვევაში ვეძისხევის, ნამზითვის) ნიანია იწოდება გრიგოლ მოთხრებულის შვილად. ჩანს, უკვე მისი მამა მოთხრებულია (? — ქ. ჩ.). მას წართმეული აქვს (ალბათ, სამეფო ხელისუფლებისაგან) სხვა ადგილ-მამული და მის შვილს შერჩენილი აქვს მხოლოდ ვეძისხევი, როგორც ნამზითვი, ეს სოფელი კი (ანუ ამ სოფლის ფლობით მიღებული შემოსავალი) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ნიანია ამ მეფის წინაშე სამხედრო სამსახური შეასრულოს იმდაგვარად, როგორც ეს მის გვარს შეეფერებოდა. სამხედრო და სახელმწიფო მოვალეობისაგან (? — ქ. ჩ.) განთავისუფლება ძნელი საქმე იყო. როგორც ამ საბუთით ჩანს, შუამავალი მეფესა და მოაჯე აზნაურს შორის არიშინია (მოვიდა ჩვენს წინაშე არიშინი), არიშინი კი ერისთავთერისთავია იმ მხარის, რომელშიც ვეძისხევი შედის. ერისთავთერისთავის კომპენტეციაში შედის სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებისთვის შუამდგომლობა (? — ქ. ჩ.). ეტყობა აზნაური (ყველა? — ქ. ჩ.) უშუალოდ მეფესთან ამგვარი თხოვნით მისვლის უფლებას მოკლებულია. გამოსაღებებისაგან გათავისუფლებისათვის ორი მომენტი ყოფილა საჭირო: პირადი დამსახურება („ჩუენიცა დიდად ნამსახური... და ბევრი ვალი იყო“) და მატერიალური შეუძლებლობა („ლაშქრობა აღარ შეეძლო“)... თუ აზნაურს მამული არა აქვს, ე. ი. მას არც მატერიალური საშუალება აქვს დამსახურებისა. სწორედ ასე დაემართა ნიანია გრიგოლ მოთხრებულის შვილს. ჯერ გრიგოლ (თუ მისი მამა) მოთხრდა, მერე კი შვილმა, მხოლოდ ერთი სოფლის მქონებელმა, პატრონის სამსახური ვეღარ შეძლო“<sup>47</sup>.

მ. ბერძნიშვილის ნაშრომიდან ასე ვრცელი ამონაწერები იმიტომ მოვიტანეთ, რათა თვალნათლივ გვეჩვენებია: 1) რა გაუმართლებელი დასკვნები შეიძლება მოჰყვეს ისტორიული წყაროს ტექსტისადმი არაკრიტიკულ მიდგომას და 2) რამდენად არასწორადაა გაგებული მკვლევრის მიერ ფეოდალურ ეპოქაში სენიორ-ვასალის ურთიერთდამოკიდებულება (სამამულო ურთიერთობა) და სამხედრო სამსახურის ბუნება. სხვა რომ არა იყოს რა, მკვლევარი უნდა დაეფიქრებინა არამართებულ გრამატიკულ კონსტრუქციას („...ბევრი ვალი იყო“) და თავისთავისთვის დაესვა კითხვა — როგორღა ლაშქრობდა ნიანია, თუ მისი მამა (და პაპაც კი — ასე ვარაუდობს მ. ბერძნიშვილი) უკვე მოთხრე-

47 მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, 1970, გვ. 68—69 (ზახვასმა ჩვენია — ქ. ჩ.).

ბული, ვ. ი. ქონებრივად შეუძლებელი, იყო? ასევე უცნაური იქნებოდა ვინმეს „მოხრებულის შვილად“ მოხსენიება<sup>48</sup>.

მ. ბერძნიშვილი უარყოფს თ. ჟორდანიას მტკიცებას, რომ გამოთქმა „ლაშქრობა აღარ შეეძლო“ ნიანიას ფიზიკურ მოუძღვრებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში თ. ჟორდანიას სავსებით სწორი იყო. მართალია, მან სიგელში ვერ ამოკითხა ცნობა ნიანიას ბერეკაცობის შესახებ. მაგრამ კარგად მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მეფისთვის „დიდად ნამსახურ“ ნიანიას „ლაშქრობა აღარ შეეძლო“ (ცხადია, ასეთ კაცს მეფე მამულს არ შეუმცირებდა და ამით ლაშქრობის ვერშემძლედ არ გახდიდა!).

საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, აქვე შევეხოთ მოლაშქრის ასაკის საკითხს (რაც მ. ბერძნიშვილის მიერ სავსებით უგულებელყოფილია).

ძველ საქართველოში მოლაშქრის ასაკის ქვედა ზღვარი 15 წელი იყო. 15 წლის ვახტანგ გორგასალს ჯუანშერ სპასპეტი ასე მიმართავს: „მკედრობისა და წყობათა წინაგაწყობისა შენისა არა არს ჟამიო“<sup>49</sup>. „ყრმანი უცებნი, თხუთმეტი წლის უმცროსნი“ სამხედრო საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ<sup>50</sup>. არასრულასაკოვანი „უომარი“ შვილი მშობლების მზრუნველობაში მყოფი და იურიდიულად უფლებამუზღუდული პირი იყო: უომარი ვაჟის ცემაზე დამნაშავეს პასუხი დაზარალებულის მშობლების წინაშე უნდა ეგო, ნომარი ვაჟი კი შეურაცხყოფელს თვით უნდა გასწორებოდა<sup>51</sup>.

მოლაშქრე სამხედროვალდებულად ითვლებოდა, სანამ იგი „სამსახურსა შინა ჭირნახულობით ანუ დაკოდით“ ან „ბერეკაცობით“ „ძალისაგან დაკლილი“ ანუ „უქმარი“ გახდებოდა.

ერეკლე II-ის სიტყვით სამხედრო სამსახურისთვის „უქმარი“ იყვნენ „ბერის კაცობით შეუძლებელნი..., დაშავებული და სნეულებით... შეუძლებელი“<sup>52</sup>, აგრეთვე „უილაჯო გლახა“<sup>53</sup>.

ი. დოლიძეს მიაჩნდა, რომ ფეოდალურ საქართველოში „როცა ბატონთან ხანგრძლივი და მძიმე სამსახურისშედეგად გლეხი დასახიჩრდებოდა ან დაუძღურდებოდა, ბატონი მას თავიდან იცილებდა; კანონი შრომის უნარმოკლებულ გლეხებს ნებას აძლევდა მიეღო ის პირადი ქონება, რაც ბატონთან მისვლისას მიიტანა და აგრეთვე ბატონთან შექმნილი ქონების მესამედ წილი — მონაგების მესამედი“<sup>54</sup>.

აღბულას სასამართლო ყოველთვის განასხვავებს „გლეხს“ (თავისუფლება დაკარგულ პირს) და „კაცს“ — თავისუფალ, დაუყმევებულ პირს (იხ. § 68, 70, 71, 72—77)“, რომელიც ზოგ სიტუაციაში (მაგ. § 72) თავისუფალი ვასალაა.

<sup>48</sup> მოხრებულისშვილი, აშკარად, გვარისსახელია დიმიტრი თავადებულის დროს XIII ს.) „ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოლუაწე ანტონი ნაოკრებელის — ძე, ნათესავიო მესნი“. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283. საყურადღებოა, რომ ანტონი სწორედ ჰერეთში, ზეულაქანს მოღვაწეობდა.

<sup>49</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 149.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 18. აღსანიშნავია, რომ 15 წლის ასაკიდან ლაშქრად გადიოდნენ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

<sup>51</sup> საისტორიო მოამბე, 1924, II, გვ. 14, 34, 37—38 და 47.

<sup>52</sup> ხელნაწერთა ინსტ. Ad-1151.

<sup>53</sup> სცია, ფ. 229, დავთარი 25, ს. 54.

<sup>54</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 150. ამ დებულებას იმეორებს ი. ფურტარაძე: იხ. მისი, სანივთო სამართლის სუბიექტის შესახებ, გვ. 38 (ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, 1973).

7. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 1



72-ე მუხლი გლეხზე არაა ლაპარაკი, აქ საქმე ეხება თავისუფალ ვასალს, რომელიც უკმრად გახდომის გამო ბატონისგან მიღებულ სასამსახურო ლენს ნაწილობრივ კარგავს, 77-ე მუხლში კი გარკვევითაა განსხვავებული „მკვიდრი ყმა“ — მსახური და „გლეხი“. ეს საესებით სწორად აქვს გაგებული ქ. კარსტს, რომელიც 72-ე მუხლში მინისტერიალის ვასალურ სამსახურს ხედავს<sup>55</sup>.

1979 წელს აღბუღას სამართლის 72-ე მუხლს შეეხო დ. ფურცელაძე, რომელსაც, ისევე, როგორც ი. დოლიძეს მხედველობიდან გამორჩა ქ. კარსტის ნაშრომში ამ საკითხზე მოცემული დებულება. დ. ფურცელაძის აზრით, ამ მუხლში ლაპარაკია არა გლეხზე (მებეგრეზე), არამედ ისეთ კაცზე, რომელიც ყმაა, მაგრამ გლეხი არაა. ასეთ კაცს „პიროვნული თავისუფლება ჯერ შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს“<sup>56</sup>, იგი დგას „დაყმევების, ასე ვთქვათ, გარდამავალ საფეხურზე“<sup>57</sup>. ესაა „სხვის სამსახურში მყოფი მდაბიორ-მოღაშქრ“<sup>58</sup>.

როგორც დავინახეთ, დ. ფურცელაძემ სამართლიანად უარყო ი. დოლიძის აზრი, მაგრამ არ გაითვალისწინა „კაცის“, როგორც ვასალის ამ შემთხვევაში მინისტერიალის მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ დ. ფურცელაძემ სწორად გაიგო „უკმარი“: მისი სიტყვით „ჭირნახულობით ანუ დაკოდითა უკმარობა ახლანდებურად რომ ვთქვათ, შრომისა თუ ომის ინვალიდობაა“<sup>59</sup>. ტერმინი შრომა აქ დასახუსტებელია, ამ შემთხვევაში იგი მწარმოებლურ საქმიანობას არ ნიშნავს. ვასალის (თავისუფალის თუ არა თავისუფალის) „ჭირნახულობა“ მხოლოდ პირად სავატიო სამსახურში გამოიხატებოდა.

ქართული წყაროების „უკმარი“ ევროპული სინამდვილისათვის დამახასიათებელი „ინვალიდთა“ ინსტიტუტის ქართული შესატყვისია. ძველ საბერძნეთში ინვალიდებს სახელმწიფო იხმავდა. ძველ რომში ინვალიდებს მიწის ნაკვეთებს და ნადავლის ნაწილს აძლევდნენ, მოგვიანებით კი — ფულად პენსიას. შუა საუკუნეების ფეოდალური დასავლეთი ევროპის ქვეყნებში ვასალ ინვალიდთა შენახვა რაინდებს ან მონასტრებს ევალებოდათ (სათანადი, თანხა მონასტრებს ზოგჯერ სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდათ) ან მათ პენსიებს აძლევდნენ. ლუი XIV-ემ (1638—1717) ინვალიდთათვის პარიზში „ინვალიდთა სახლი „L'hotel des invalides“ ააგო. XVII ს-ში ასეთივე სახლი აიგო ლონდონშიც.

ბიზანტიაში ხაზინას გადაეცემოდა ქონება *ἐξ ἀβροῦ*. „ამ უკანასკნელ გამოთქმას პ. ლემერლი უკავშირებს ტერმინს *ἀβροῦσα* („ინვალიდი“), ე. ი. *ἀβροῦσα* ესაა მიწები, რომელსაც ფლობდნენ სამხედრო სამსახურის შეუძ-

<sup>55</sup> კარსტის აზრით, აღბუღას სამართლის 72-ე მუხლში ნახსენები „უკმარად გასული პირი ესაა „homme lige, attache a quelqu'un en condition de vavassalite“: I. Karst, Code d'Aghbougou ou recueil des lois de Beka, d'Aghbougou et du Statut Bagrato.—Davidien. L. I, Strasbourg, 1938, გვ. 110.

<sup>56</sup> დ. ფურცელაძე, „უკმარ ვასალის“ და „სისხლმცირე კაცის საზოგადოებრივი სტატუსისათვის აღბუღას სამართალში, გვ. 47 (კრებულში: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, III, 1979).

<sup>57</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 57.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 48.



ლებელი სტრატეგები; სახელმწიფოს შეეძლო ეს მიწები სტრატეგებისთვის ჩამოერთმია და სამსახურისუნარიანი მემორებისთვის გადაეცა“<sup>60</sup>.

რუსეთში მეფე თევდორე ალექსის ძემ 1682 წლის ბრძანებულებით სააფთიაქო პრიკაზს უბრძანა აეგო ორი ჰოსპიტალი („шпитальны“), რომლებშიც უნდა მოთავსებულიყვნენ „Люди... служилого чина, которые тяжкими ранами на государевых службах изувечены, а приюту себе не имеют“. პეტრე I-მა სამხედრო კოლეგიას დაავალა, რომ ომის ინვალიდები საეკლესიო თავშესაფრებში (богадельня) და მონასტრებში მოეთავსებინათ და სიკვდილამდე შეენახათ. პეტრემ პეტერბურგში, კიევში და რეველში დაარსა ჰოსპიტლები ინვალიდებისა, ღრმად მოხუცებულებისა და დასახიჩრებულთათვის<sup>61</sup>. ეს ტრადიცია გრძელდებოდა პეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგაც. ამიტომ სინოდის საქმეებში ხშირად გვხვდება „Определение расположением священного синода отставных офицерских и нижних чинов на надлежащее пропитание к разным Монастырям за несостоятельностью и неспособностью ни к какой службе, вследствие полученных на войнах и походах ран, увечий и всяких болезней“<sup>62</sup>.

1760 წელს ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებაში, პეტერბურგის ჰოსპიტალში დროებით იმყოფებოდა ქართველ ჰუსართა პოლკის პორუჩიკი, ომში მძიმედ დაჭრის გამო სამხედრო სამსახურის ვერშემძლე დავით გურამიშვილი<sup>63</sup>.

ინვალიდი (ლათინურად: უძლური, უღონო, „შუქლებელი“) ძველად ძირითადად ყოფილ მოლაშქრეს ეწოდებოდა. „ინვალიდთა სახლებს“ სახელმწიფო მხოლოდ სამხედრო პირთათვის აგებდა. ინვალიდთა სახლებში ძირითადად დაბალი რანგის მოლაშქრეები იმყოფებოდნენ, რომელთაც სხვა მომწველი არავინ ჰყავდათ<sup>64</sup>.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით მეფემ „აღაშენა ქსენონი ადგილს შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვოსახითა სენითა განცილინი, და მოუშადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლოდ და უხუებით, და განუჩინა შესავალნი და სალუაწნი მათნი ყოველადვე. თუთ მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვთეულსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ნატრიდის, განამკნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თვისთა კელითა ცხედრები, სამოსელი და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საკმარი მათი, მისცის თვთოეულსა ოქრო საყოფინი და ვანკრძალნის ზედამდგომელნი მათნი, და განაგნის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღმრთის მსახურებით“<sup>65</sup>.

<sup>60</sup> Г. Г. Литаврин, Византийское общество и государство в X—XI вв., 1977, с. 43.

ფეოდალიზმის კლასიკური ქვეყნის — იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფოს კანონი (იერუსალიმის ასიხები, XII—XIII სს.) 60 წელს მიღწეულ ან დასახიჩრებულ „უკმარ“ რაინდს პირადი სამსახური (ლაშქრობა, თანხლება) აღარ ეთხოვებოდა და სიუხურენისთვის ცხენი და იარაღი უნდა წარედგინა (დ. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50).

<sup>61</sup> Советская Военная Энциклопедия, 3, 1977, с. 520.

<sup>62</sup> ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში XVIII—XIX სს., 1967, გვ. 44—45.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>64</sup> Энциклопедический словарь Брокгауза-Эфрона,

<sup>65</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 331.



იოანე ბატონიშვილის სიტყვით დავით აღმაშენებელმა ააგო ქსენონი იოანე განმარტავს: „ქსენონი არს საავადმყოფო სასახლე, რომელსა შინა სამადლოდ უძღურსა კაცსა გაამთელებენ და აგრეთვე მხედართა კაცთა ცა<sup>66</sup>. დავითის ისტორიკოსის მიერ აღწერილ ქსენონში, მეფე, ცხადია, თავის ყოფილ თანამებრძოლებზე, მეტწილად უთვისო, თანაშეზრდილ „მონებზე“ ზრუნავდა. ჩვეულებრივ ინვალიდთა სახლებს ბერები ემსახურებოდნენ, რადგანაც ასეთი სამსახური ღვთის სამსახურად, სამადლო საქმედ ითვლებოდა.

თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მეფე დიდად ზრუნავდა ხუცეს-მონაზვნებზე, თავის კარზე ჰყავდა „წესიერად ცხოვრებულნი კაცნი“, რომელთაც „თვთ ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა საქმრითა“ და „უკეთო ვინმე იყვის უძღურ, თვთ მივალნ მოხილვად და ნუგეშინის ცემად, და თვთ განუშხადებნ ცხედარსა და სარეცელსა“<sup>67</sup>.

ზემოთ მოტანილი ორივე ცნობა გვიჩვენებს, რომ როგორც დავითი, ისე თამარიც დიდად ზრუნავდნენ უძღურ ბერ-მონაზვნებზე. ამავ დროს თვალში ხაკვშია დიდი განსხვავება დავითმა დასავლეთ საქართველოში (გელათში?) ცალკე შენობა ააგო დაავადებულთათვის, თამარის დროს კი ეს ქსენონი აღარ ჩანს — თამარი „უკმარ“ სასულიერო პირებზე თავის სასახლეში ზრუნავს, შეუძლონი იქვე, მის სიახლოვეს ჰყავს. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არაა: დავითის ქსენონში, როგორც ჩანს მისი „უკმარად გასული“ მოლაშქრეები, ტაძრულნი(?), „მონები“ იყვნენ.

დასავლეთ ევროპაში ტაძრულებს (სკარა, პალატინი) სამსახურში ყოფნის პერიოდში ოჯახის შექმნის უფლება არ ჰქონდათ<sup>68</sup>. სწორედ ასეთი პირები იყვნენ, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის ქსენონში. აქ დასაშვებია იმის ვარაუდიც, რომ „უკმარად გასული“ მონები, შესაძლოა, შემონაზვნდებოდნენ კიდევაც. ასეთი უნდა ყოფილიყო დავითის „მონათა“ დიდი უმეტესობის საბოლოო ბედი.

მონა-სპისა და მოსაკარგავთა გაქრობის შემდეგ (XII ს-ის 80-იანი წლებიდან) საქართველოში სახელმწიფო ქსენონების არსებობა სავარაუდებელი აღარა, მონასტრებთან არსებული ქსენონები კი ადრეც იყვნენ და შემდეგაც.

როგორც ჩანს, ქსენონები იყო ცალკეულ დიდ ფეოდალთა სასახლეებთანაც. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ცნობა, რომ XIV ს-ის პირველ ნახევარში, როცა ცხრაზმის ერისთავად იჯდა ვირშელ II ქვენიფნეველი, „ერისთავობასა შინა მისსა იზრდებოდეს ქუენიფნევეს მიე (= 55!) სახლი უძღურთა და დავრდომილთა და სამარადისოდ ყოველთ პატრონისა ტაბლისაგან მიცემოდა დღითი დღე“<sup>69</sup>.

<sup>66</sup> ხელნაწერთა ინსტ., ხელნაწერი II-2134, ფურც. 620 (იოანე ბაგრატიონი, კალმასობა).

<sup>67</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

<sup>68</sup> Г. Делюбрюк, История военного искусства в рамках политической истории, III, 1933, გვ. 11.

<sup>69</sup> ძველი ერისთავთა (შ. მესხიას გამოც., მსკი, 30, 1954 წ.), გვ. 352.



გვიანი ხანის (XV—XVIII სს.) ისტორიული წყაროების ჩვენებით, უმკვიდრო და უთვისო „უკმარი“ ვასალი, თუ მას უკმარობის გამო მამული ჩამოერთმეოდა, ამ ყმა-მამულის ახალ მფლობელს სიკვდილამდე უნდა შეენახა და სათანადო პატივით დაემარხა კიდევ. ეს წესი ძალიან ძველი უნდა იყოს.

К. А. ЧХАТАРАИШВИЛИ

## К ТОЛКОВАНИЮ ОДНОГО МЕСТА «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

### Резюме

В статье дается толкование одного очень важного места в «Картлис цховреба» (II, 20). Употребленное в данном месте слово «ухмари» უკმარი по-разному читалось и неверно истолковывалось некоторыми исследователями. Правильность чтения этого слова, принятого в последнем издании «Картлис цховреба» (1959 г.) подтверждается данными и других исторических источников.

Выясняется, что в памятниках грузинского феодального права слово «ухмари» имело значение специального юридического термина, обозначающего определенный вид субъекта права — вассала, который по какой-либо причине (увечье, тяжелое заболевание, старость...) не мог выполнить обязанности вассала, нести военную службу.

В статье устанавливается, что это обстоятельство сыграло важную роль в известном выступлении родовитых феодалов вскоре после восшествия на престол царицы Тамар: родовитые частично опирались на юридическую обоснованность своих требований. Внесенная в судебник Атабека Агбуга (XIV в.) статья об «ухмари», определяющая условия отставки таких лиц, как видно, заимствована из не дошедшего до нас свода законов, действовавшего уже в XII веке.

Установление имущественно-правового положения лиц, ставших «ухмари», очень важно для изучения форм землевладения в феодальной Грузии.

К. СХКХАТАРАИШВИლი

## ABOUT THE HISTORY OF GEORGIAN FEUDAL LAW (UKHMARI)

### Summary

The paper deals with the interpretation of one passage in Kartlis Tskhovreba V. II. 306—7). The word ukhmari (უკმარი), occurring in the indicated context, has been read and interpreted variously by some researchers. The validity of the interpretation of the passage in question, adopted in the latest edition (1959) of Kartlis Tskhovreba, is corroborated by evidence from other historical sources as well.

The word ukhmari in documents of Georgian feudal law proves to have had the meaning of a special legal term, denoting a definite type of legal subject, i. e. a vassal who, for some reason (mutilation, grave illness, old age, etc.), could not carry out the duties of a vassal—to serve in the armed forces, i. e. he had become an invalid.



### არქაული საზოგადოების მსოფლხატი

საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების ის უდიდესი შესაძლებლობები, რომლებიც წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ გამოავლინა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ ადამიანი შეეცადა გაეაზრებინა სინამდვილე, შეეცნო საკუთარი თავი, გამოემუშავებინა თავისი შეხედულებები სამყაროზე, მასში არსებულ მოვლენებზე, მიმდინარე პროცესებზე, განესაზღვრა თავისი ადგილი ამ სამყაროში.

კოსმოსი, რომელშიც არქაული ადამიანი ცხოვრობს, განუყოფელი მთლიანობაა, სადაც მოვლენები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთისგან გამომდინარეობენ. ეს სამყარო კარგად არის ორგანიზებული, აქ კოსმიური წესრიგი სუფევს<sup>1</sup>. ადამიანი სივრცესა და დროში ანაწილებს სხვადასხვაგვარ მოვლენებს, ამა თუ იმ საგნებს, შემდეგ კვლავ აერთიანებს და ამით ორგანიზებულ სახეს აძლევს მთელ ქვეყნიერებას. არქაული ადამიანის წარმოდგენით, სამყაროში რეალურად არსებული ძალები მოქმედებენ, მათ ცოცხალი არსების თვისებები აქვთ მინიჭებული. სამყარო მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ კი მასში მოქმედ ყოველგვარ ძალას, ყველა მოვლენას თავისი ადგილი ექნება მიჩენილი, ყველაფერი მოწესრიგებული და გასაგები იქნება. ამიტომ ცდილობს ადამიანი ახსნა მოუნახოს გაუგებარ პროცესებს, რთულს, უფრო მარტივი საშუალებით გადმოსცემს, გაუგებარ მოვლენებს მისთვის გასაგები თვისებებით აჯილდოებს, ღვთაებრივობას ანიჭებს, ამით თითქოს აუქმებს გაუგებრობას და ადამიანისათვის მისაღებ სამყაროს სურათს გამოიმუშავებს. ადამიანი თავისებურად აღიქვავს სინამდვილეს, გადაამუშავებს მას და ქმნის სრულიად ახალ, „უმაღლეს“ რეალობას<sup>2</sup>, რომელიც ილუზორულია, მაგრამ რეალურად არსებული და ჭეშმარიტი, რადგან ეს სამყარო ღვთაებათა სიბრძნით, მათი ნებით არის შექმნილი.

უძველესი ადამიანის აზროვნების წესს დღეს ფილოსოფაურ კატეგორიად მიიჩნევენ და მას მითს<sup>3</sup>, ან მითოლოგიას<sup>4</sup> უწოდებენ. არქაული საზოგადოები-

<sup>1</sup> E. Cassirer. An Essay of man, An Introduction to a Philosophy of Human Culture. New-Haven, 1945 გვ. 44—45.

<sup>2</sup> Е. М. Мелетинский, Поэтика мифа, М., 1976, с. 33.

<sup>3</sup> А. В. Гулыга, Миф как «философская проблема», в сб. «Античная культура и современная наука», М., 1985, с. 273. ტერმინებს „მითოლოგიას“ და „მითს“, ჩვენც არქაული ადამიანის მსოფლქმის აღსანიშნავად ვხმარობთ. ხოლო „მითოსის“ ქვეშ ვგულისხმობთ სიტყვიერი შემოქმედების ეანრს, რომელშიც გადმოცემულია ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსადმი, მაგრამ რიტუალისაგან განსხვავებით, ეს დამოკიდებულება სიტყვიერ ფორმაშია ასახული. იხ. И. М. Дьяконов, Введение, в кн. Мифологии древнего мира, М., 1977, გვ. 17.

<sup>4</sup> И. М. Дьяконов, Введение...; Е. М. Мелетинский, Происхождение геронического эпоса, М., 1963, с. 10.

სათვის დამახასიათებელი საყოველთაო სინკრეტოზმის პირობებში, ეს არის მთელი კოლექტივის მსოფლალქმის ერთადერთი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს არქაული ადამიანის სულიერ ცხოვრებას, მთელ მის შემოქმედებას. მითი ყველაფერში ვლინდება, ცოცხალ არსებასა და საგანში, ადამიანის მოქმედებაში, სიტყვაში<sup>5</sup>. ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ არქაული ადამიანის მსოფლალქმის ყოველი გამოვლენა, რიტუალი იქნება ეს, ორნამენტი თუ ზეპირი შემოქმედება, გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. მთელი კოლექტივის ღირებულებათა საერთო სისტემას, რომელიც ადამიანის აზროვნების ერთსა და იმავე კანონზომიერებაზეა დაფუძნებული.

უძველესი ადამიანის აზროვნება უალრესად თავისებურია. იგი სინკრეტულია, დიფუზური. ადამიანი ვერ გამოყოფს თავს გარე სამყაროდან, ვერ ხედავს განსხვავებას ბუნებასა და საკულთარ თავს შორის, ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან სუბიექტსა და ობიექტს, მატერიალურსა და იდეალურს, საგანსა და მის ნიშანს, სიტყვასა და მოქმედებას, ორიგინალსა და მსგავსს, ვერ თიშავს მიმართებებს სივრცესა და დროში, ვერ სწვდება მოვლენის არსს. ადამიანის გონებაში ლოგიკური არ არის გამოყოფილი ემოციური სფეროდან, ამიტომაც, მისი აზროვნება ძირითადად ემოციებს ემყარება, მეტაფორულ და მეტონიმურ ასოციაციებს<sup>6</sup>, რის გამოც, გრძნობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას კონკრეტული ხატების, სიმბოლოების სახე, ეძლევა, ისე რომ თითოეული ხატი ზუსტად უნდა შეესატყვისებოდეს იმ სახეს, რომელსაც იგი განასახიერებს<sup>7</sup>. ეს აზროვნება გაუცნობიერებელია, როგორც კი მასში საზრისი გაჩნდება, ირყევა ამგვარი აზროვნების საფუძველი, ირღვევა მითი<sup>8</sup>. ამიტომაც არის, რომ არქაული ადამიანი, სამყაროს გააზრების დროს, გონებას და ცნებებს კი არ ემყარება, არამედ აღქმას; იგი სამყაროს გააზრებას აღქმის საშუალებით ახდენს.

კარგად არის ცნობილი, რომ აღქმა არის არა მხოლოდ შეგრძნებათა ჯამი, არამედ ვარკვეული სტრუქტურის მქონე რეალობა. აღქმა ადამიანის მიერ ობიექტური სამყაროს ასახვაა, მისი (სამყაროს), ადამიანის ცნობიერებაზე უშუალო ზემოქმედების დროს. ასეთ შემთხვევაში საგანი განიცდება არა მხოლოდ შეგრძნებების საშუალებით, არამედ როგორც ცალკეულ თვისებათა მთლიანობა. აღქმის პროცესი აქტიურია, იგი აზროვნების, შემეცნების დაბალ საფეხურს წარმოგვიდგენს.

აღქმა არასოდეს არ იწყება ცალკეულთ. პირიქით, მისი ამოსავალი ზოგადობაა. აღქმის შედეგია წარმოდგენის შექმნა ზოგადად არსებულ სამკლთხედებზე თუ წრებაზეზე. სხვადასხვა ტიპის, განსხვავებული სამკლთხედების თუ წრებაზის გააზრება უფრო გვიან ჩნდება. ამიტომაც აღნიშნავს რ. არნჰაიმი, რომ არქაული ხელოვნება, რომელიც სამყაროს აღქმაზეა დაფუძნებული, გვიჩვენებს კოლექტივის ზოგად წარმოდგენას სამყაროზე, რომელიც ადამიანის გულუბრყვილო, მარტივი დაკვირვების შედეგად არის მიღებული<sup>9</sup>.

მთელი სამყაროს ან ცალკეული საგნის აღქმა მხედველობით იწყება. საჭიროა საგნის დანახვა, სივრცეში მისი ადგილის განსაზღვრა, სხვადასხვა საგნის ერთმანეთთან დაკავშირება. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ ვიზუალური აღქმა

<sup>5</sup> О. М. Фрайденберг, Миф и литература древности, М., 1978, с. 227.

<sup>6</sup> И. М. Дьяконов, Введение..., с. 12.

<sup>7</sup> Е. В. Антонова, Очерки культуры древних земледельцев, М., 19874, с. 24.

<sup>8</sup> А. В. Гулыга, Миф как философская проблема, с. 273.

<sup>9</sup> Р. Арнхейм, Искусство и визуальное восприятие, М., 1974, с. 158—159.

წარმოადგენს საგნის აქტიურ შესწავლას, მის ვიზუალურ შეფასებას, ანუ მისი ნიშნების გამოყოფას, მათ ანალიზს, რის შედეგად იქმნება ცალკეული ნიშნის ან მთელი სამყაროს ვიზუალური სახე<sup>10</sup>. ამდენად, ადამიანი არა მხოლოდ აღიქვამს ვიზუალურად სამყაროს, არამედ ქმნის მის შესატყვისს სურათს. სამყაროს გადმოცემის ვიზუალურ მოდელებს. ადამიანის მიერ შექმნილი უძველესი ვიზუალური მოდელი იყო პორტიოტალური და ვერტიკალური ხაზების შეფარდება, რის გამოც უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლებზე ყველა გამოსახულება ამ შეფარდებაზე, ამ უმარტივეს სივრცობრივ სისტემაზეა აგებული<sup>11</sup>.

სამყაროს ვიზუალური აღქმის დროს, ადამიანი არა მარტო უყურებს საგანს, არამედ თითქოს ყოველი მხრიდან ათვალიერებს, ხელთ ეხება, შეიგრძნობს. აქედან გამომდინარე, ვიზუალური აღქმის დროს ხედვის წერტილი გაჩერებული კი არ არის, არამედ დინამიურია, მოძრაობს. ამგვარად, სამყაროს აღქმის საფუძველს ხედვის წერტილის დინამიურობა შეადგენს, ამიტომაც, არ არის შემთხვევითი, რომ ხედვის წერტილის დინამიურობა განსაზღვრავს აგრეთვე რეალური სამყაროს ასახვის სივრცობრივი ხასიათის იმ პირობით სისტემას, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკუპერსპექტივის სახელით არის ცნობილი<sup>12</sup>.

სწორი პერსპექტივა, რომელიც დიდხანს ერთდერთ და ბუნებრივ სისტემად ითვლებოდა, მხოლოდ აღორძინების ხანაში დამკვიდრდა. რაც შეეხება უძველესსა და ძველ ხელოვნებას, იგი მთლიანად უკუპერსპექტივისათვის დამახასიათებელი კანონებით არის შექმნილი.

პირდაპირი პერსპექტივა ემყარება ხედვის უძრავ წერტილს, ანუ ხედვითა პოზიციის ფიქსირებას. იგი განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კი ადამიანის მხერის ტრაექტორიის წახნაგები ერთმანეთის პარალელურად იქნება განლაგებული. როგორც კი ეს პარალელიზმი დაირღვევა, როგორც კი მხერის დინამიკური პოზიცია გამოსახულებაზე გადაიტანება და ადამიანი მოახდენს აღქმის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების შეჯამებას, წარმოიშობა უკუპერსპექტივისათვის დამახასიათებელი გადახრები — იზრდება გვერდითი წახნაგები, ჩნდება ფორმის მრავალრიცხოვანი „დეფორმაციები“, სივრცე კარგავს სიღრმეს, იგი „ბრტყელდება“, მატერია გამორიცხავს თავის არსებობას, რის გამოც გამოსახულებები განყენებულ, „ზემატერიალურ“ სახეს ატარებენ<sup>13</sup>. ასეთ შემთხვევაში ფორმები უძრავია, ფრონტალური, სტატიკური. ადამიანთა ფიგურები თავისებურად შეითავსებენ ფასსა და პროფილს. რაც სივრცეში ფიგურის აღქმის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა შეჯამებით ხდება შესაძლებელი<sup>14</sup>. როდესაც ამ შთაბეჭდილებებს დროის ფაქტორიც ემატება, როდესაც მოძრაობის გადმოცემა საჭირო, მაშინ წარმოიშობა ფორმის მრავალ-

<sup>10</sup> В. П. Шестаков, Вступительная статья в книге Р. Арнхейма, Искусство и визуальное восприятие, с. 11.

<sup>11</sup> Р. Арнхейм, Искусство..., с. 177.

<sup>12</sup> Л. Ф. Жегин, Язык живописного произведения (Условность древнего искусства), М., 1970; Б. А. Успенский, К исследованию языка древней живописи в кн. Л. Ф. Жегина, Язык живописного произведения; П. А. Флоранский, Обратная перспектива, Труды по знаковым системам, III, 1967.

<sup>13</sup> Л. Ф. Жегин, Язык живописного произведения, с. 71.

<sup>14</sup> იქვე, с. 102, 107.

რიცხოვანი დეფორმაციები, როგორც არის სპირალი, გრენელი, რომლებიც უძველესი ხელოვნების ყველაზე დამახასიათებელ ორნამენტულ სახეებსა და კომპოზიციების ერთ-ერთ პირველად კონსტრუქციულ ელემენტს ქმნიან<sup>15</sup>.

მითოლოგიურად მოაზროვნე ადამიანისათვის, რომელიც სამყაროს უკუპერსპექტივის საშუალებით აღიქვავს, სივრცე გარკვეული მოდელის მიხედვით არის ორგანიზებული. სივრცის მოწესრიგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური; სტრუქტურებით ხდება<sup>16</sup>. ეს დახშული, სტატიკური სივრცეა, რომელიც სივრცობრივ ზონებად არის განაწილებული. მოქმედება გარკვეული ცენტრის გარშემო მიმდინარეობს. ეს არის უმარტივესი მორფოლოგიური მოდელი, რომლის მრავალჯერადი ჩვენება განსაზღვრავს მხატვრული სივრცის სტრუქტურულ ორგანიზაციას.

თუ ჩვენ შევეცდებით და ხედვის მოძრავ პოზიციას ფოლკლორის ძეგლებზე ვაღვაციანთ, დავინახავთ, რომ აქაც სივრცე ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოდელის მიხედვით არის აგებული — მთავარი გმირი ან ჰორიზონტალურ სივრცეში მოქმედებს, ან უფრო ხშირად, ვერტიკალურ ხაზზე გადაადგილდება.

მაგალითისათვის მოვიტანთ შემერულ-აქადური ეტანას თქმულების სიუჟეტს: გველი არწივს შვილებს შეუჭამს, ხარის ტყავში დაიმალება და იქიდან ეხხმის ეტანას. შამაშის თხოვნით ეტანა არწივს ვადაარჩენს. მადლიერი არწივი ეტანას ზეცაში აიყვანს და ეხმარება „სიცოცხლის ბალახის“ მოპოვებაში. ამ მითოსში მთელი სამყაროა წარმოდგენილი, რომელიც ვერტიკალურ ხაზზეა ორგანიზებული. ზესკენელს არწივი წარმოგივდგენს, ქვესკენელს — გველი, ხოლო შუასკენელს — ეტანა. იგი ვერტიკალურ ხაზზე მოძრაობს, ქვესკენელშიც ხედება, ზესკენელშიც ადის. სწორედ ზეციდან მოაქვს მას ჯადოსნური ბალახი, რაც მისი შთამომავლობის გაგრძელების, ანუ სიცოცხლის მინიჭების წყაროა.

მსგავსი მოტივები ქართული ფოლკლორისთვისაც არის დამახასიათებელი. ქართულ ზღაპრებში გმირი დაინახავს ბუდეც, სადაც არწივის (ფასკუნჯის) მართვენი სხედან. მათ გველი ეპარება. არწივი ებრძვის გველს. ადამიანი კლავს გველს და არწივის შვილებს ვადაარჩენს. მადლიერი არწივი ადამიანს ყოვლისშემძლე ყუთით ასაჩუქრებს. ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, გველის, ფრინველისა და ადამიანის შეხვედრა ქვესკენელში მიმდინარეობს. მადლობის ნიშნად არწივი ადამიანს დედამიწაზე ამოიყვანს.

გილგამეშის შემერულ ვერსიაში, როდესაც გილგამეში ქვესკენელში აღმოჩნდება, ფრინველსა და გველს შეხვდება. ისინი ჯადოსნურ ხეზე სახლობენ, იმ ხეზე, რომელიც ქალღმერთ ინანას თავის ბაღში დაურგავს. აქ ჩვენს წინ არის ისევ ის სემანტიკური რიგი — ფრინველი, გველი, ხე, ქალღმერთი, რომელიც სამყაროს მთლიანობის იდეის გადმოცემას ემსახურება.

მითოლოგიური ხასიათის ფოლკლორულ ნაწარმოებებში მოქმედება ყოველთვის დახშულ სივრცეში მიმდინარეობს. ამიტომ ამგვარი ძეგლებისათვის დამახასიათებელია დახშულ სივრცეში მიმდინარე სიტუაციების თანმიმდევრო-

<sup>15</sup> Б. А. Успенский, К исследованию языка древней живописи.

<sup>16</sup> Л. Ф. Жегин, Язык живописного произведения, с. 71.

<sup>17</sup> С. Ю. Неклюдов, Особенности изобразительной системы в долитературном повествовательном искусстве, Ранние формы искусства, I, М., 1972, с. 206.





ბა, რომელთაგან თვითოეული საკუთარი ცენტრის — უმთავრესი შემოა ორგანიზებული<sup>17</sup> მაგალითისათვის, თუ ჩვენ გილგამეშის შუმერულ ვერსიას ცალკეულ ეპიზოდებად დავყოფთ, მივიღებთ დახშულ სიტუაციათა თანმიმდევრობას, როდესაც ყოველი ეპიზოდი გარკვეული ცენტრის გარშემო კონცენტრირებული: გილგამეშის დაბადება — ცენტრი ურუქი, გილგამეშის ბრძოლა ქიშის წინააღმდეგ — ცენტრი ქიშის ზღუდე, გილგამეშის ბრძოლა ხუმბაბასთან — ცენტრი კედარის ტყე და ა. შ. ან კიდევ, ამირანის კლდეზე, გამოქვაბულში დაბადება, ამირანის ხარის ტყავში ვაზრდა, ჯადოსნურ წყალში დაბანვა, ზეცაში ყამარის მოტაცება, კლდეზე მიჯაჭვა და სხვ.



უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკლორულ ნაწარმოებში, როდესაც გმირი თავისი არსებობის პირველ ცენტრს, თავის სახლს სცილდება და სივრცეში გადაადგილებას იწყებს, სწორედ მაშინ განიცდის ცვალებადობას რეალური სამყარო, იგი ჯადოსნურ ქვეყანად გადაიქცევა. სწორედ აქ ვლინდება ყველაზე მეტად უკუპერსპექტივისათვის დამახასიათებელი დეფორმაციები, სივრცობრივი მასშტაბების შეცვლა, რეალური ფორმის ნგრევა, დეფორმაცია, მხატვრულ სახეთა ჰიპერბოლური ხასიათი. ეს კარგად შეინიშნება თუნდაც ნართების ეპოსში. როდესაც ეპოსის ერთ-ერთი გმირი სოსლანი გოლიათების ქვეყანაში აღმოჩნდება, უზარმაზარ არსებებს შეხვდება. ერთი გოლიათი უამბობს სოსლანს, როგორ გაატარა დამე ცხენის თავის ქალაში, რომელიც გამოქვაბულად ჩასთვალა. ამგვარი აზროვნების შედეგადაა ჩამოყალიბებული ამირანის სახეც, რომელიც უზარმაზარი სიმაღლითა და არაჩვეულებრივი ფიზიკური ღონით გამოირჩევა. ასევე ჰიპერბოლიზებულია ეპოსში გველეშაპიც, რომელიც ამირანს ჩაყლაპავს, მაგრამ ამირანი ახერხებს მის მოკვლას და გარეთ გამოდის.

ამგვარად, მითოლოგიური ან ეპიკური ხასიათის ფოლკლორულ ნაწარმოებებში სივრცე ვერტიკალურ ხაზზეა ორგანიზებული. აქ წარმოდგენილი სამყარო მთლიანია, ერთიანი. ეს იდეა ცალკეული მხატვრული ხატების, სიმბოლოების ერთობლივი ჩვენებით არის გადმოცემული; მოქმედება საკრალურ სამყაროში მიმდინარეობს, რომლის სახე რეალურ ფორმათა დეფორმაციის, მათი ჰიპერბოლიზაციის შედეგად არის მიღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროს ამგვარი გააზრება, მისი ამგვარი ხედვა საქართველოს უძველესი სახვითი ხელოვნების ძეგლებზეც მთელი სისრულით არის გადმოცემული.

საქართველოში, უკვე აღრემიწათმოქმედი ტომების სულიერ კულტურაში შეიქმნა სამყაროს უძველესი მოდელი, რომელშიც სივრცის ჰორიზონტალური და ვერტიკალური აგებულების იდეა, სამყაროული ხის, ან ჯვრის ტიპის გამოსახულებებით იყო გადმოცემული. ადამიანმა დააჯგუფა ცხოველთა სამყარო, შესკნელს ფრინველები მიაკუთვნა, ქვესკნელს ქვეწარმავლები, ხოლო შუასკნელს — რქოსანი ცხოველები. ადამიანებით დასახლებული ქვეყანა სამყაროს ცენტრში მოთავსდა. ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ ამ პერიოდის კომპოზიციებში ყოველთვის საგანგებოდ არის გამოყოფილი ცენტრი, რომელსაც ყველაზე ძლიერი სემანტიკური დატვირთვა ეძლევა<sup>18</sup>. თანდათან გაერცვლა და უსიუქეტო, რითმული, სიმეტრიული კომპოზიციები, რომლებიც ყოველ-

<sup>18</sup> მ. ხიდაშელი, დრო და სივრცე ამიერკავკასიის აღრემიწათმოქმედი ტომების სულიერ კულტურაში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1986, № 4.





თვის ერთი და იმავე პრინციპით იყო აგებული — ჰორიზონტალურ ფორმებად განაწილებული სივრცე, ვერტიკალური ფიგურებით იყო აქცენტირებული. კომპოზიციის ამგვარი წესით აგება ლითონის ნივთებზეც გავრცელდა და სიუჟეტის გადმოცემის მთავარ საშუალებად გადაიქცა. საქართველოს უძველეს ხელოვნებაში ამგვარმა კომპოზიციამ კანონიკური სახე მიიღო. ძვ. წ. IX—VII სს. ბრინჯაოს ვრავიერებელი სარტყლების კომპოზიციებიც ამ კანონზომიერებით არის აგებული. ამ ძეგლებზე სივრცის ორგანიზება ჰორიზონტალებისა და ვერტიკალულის საშუალებით ხდება — გამოსახულებები სარტყლებად არის განაწილებული, ორნამენტული სვეტები, ან ადამიანთა ვერტიკალური ფიგურებიც ამ მრავალფიგურიან კომპოზიციებს ცალკეულ ჯგუფებად ანაწილებენ. ამგვარად, სარტყლებზე, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების ძეგლებში, ჩვენ ვიღებთ ცალკეულ ეპიზოდებს, ცალკეულ მოტივებს, რომლებიც ცენტრის გარშემო არიან დაჯგუფებული.

სარტყლებზე გადმოცემული სივრცე დახშულია, ჩაკეტილი. იგი არაფრით არ შეესაბამება არც კონკრეტულ დროს და არც კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოს. და თუ გამოინახება კონკრეტული სივრცის რაიმე მინიშნება, მას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

არქაული ადამიანის მთელი სულიერი ძალები იქით იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება სრულად წარმოეჩინა თავისი, შეხედულებები ქვეყნიერების შექმნაზე, ერთიან სამყაროზე, რომელშიც სრული წესრიგი სუფევდა. სწორედ ეს იდეა გადმოცემული სამთავროში აღმოჩენილ ერთ-ერთ სარტყელზე, რომლის მრავალფიგურიანი კომპოზიცია ვერტიკალური ორნამენტული სვეტებით არის დანაწილებული და ამდენად, რამდენიმე სიუჟეტურ ჯგუფს წარმოგვიდგენს.

სარტყლის ცენტრში გამოსახულია კუბოკრული ორნამენტით დაფარული რომბი. როგორც ჩანს, იგი განასახიერებს სამყაროს ჰორიზონტალურ მოდელს, ქვეყნის ოთხ მთავარ მიმართულებას, სახნავ მიწებს. რომბის გარშემო განლაგებული ძაღლისებური ცხოველები მიწიერ სამყაროსთან არიან დაკავშირებული, მაგრამ მათი ფეხები ფარგლებით ბოლოვდება, რაც მიუთითებს ძაღლისებური არსებების კავშირზე ქვესკნელის ძალებთან. რომბის, ე. ი. სამყაროს თავზე მზე ანათებს, მას ამ შემთხვევაში გველუშაპი კი არ ეპარება, არამედ მისი შემცველი — თევზი. იქვე, გველისა და ფრინველის, ჩვენთვის უკვე ნაცნობი, ბრძოლაა ასახული. ამგვარად, ამ პატარა კომპოზიციაში მთლიანი სამყაროს სურათია დახატული, რომელიც ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურით არის აგებული.

სარტყლის კუთხეებში ორი დიდი სამკუთხედიან ჩახატული. სარტყლის შესაკრავთან, კომპოზიციის ცენტრში, სამკუთხედები ერთდება და კვლავ რომბის ფორმა იქმნება. იგი ამ შემთხვევაშიც ქვეყნიერების განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს. ეს სამყარო ქაოსით, პირველადი ოკეანით არის გარშემორტყმული. ამაზე მიუთითებს თევზებისა და კვერცხების გამოსახულებები. კვერცხი ხომ მთელი სამყაროს სიმბოლოა, იგი პირველად ქაოსში შეიქმნა, რათა შემდგომ, მისი ნაწილებისაგან წარმოიშვას ზეცა და დედამიწა.

ყურადღებას იმსახურებს ამავე სარტყელზე წარმოდგენილი კიდევ ერთი სიუჟეტური ჯგუფი — ანთროპომორფული არსება, რომელიც ირმებზე და ჯიხვებზე ნაღირობს. ამ სცენაში, დიდი, ვანზოგადებული იდეა უნდა იყოს ნა-

გულისხმები. უძველესი ადამიანისათვის ცოცხალი არსების მოკვლა, გაიზარებოდა, როგორც სიკვდილი და ამავე დროს ახალი დაბადება, ერთი სტატუსიდან მეორეში გადასვლა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქაოსიდან კოსმოსის შექმნის სიტუაციას აღადგენდა და ამდენად, კოსმოგონიის აქტთან იყო დაკავშირებული<sup>19</sup>. ვფიქრობთ, სარტყლებზე წარმოდგენილი ღვთაებრივი ნადირობა, სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი აქტის ასახვის ცდაა. არქაული ადამიანისათვის ქაოსი ხომ გარე სამყაროა, უცხო, ხშირად მტრული ძალებით დასახლებული. ამ ძალებთან ბრძოლა, მათი დამარცხება, ქაოსის შეწყვეტისა და კოსმოსის დამკვიდრების მათწყებელი უნდა იყოს.

სამთავროში აღმოჩენილ კიდევ ერთ სარტყელზე (ნახ. 1) ასახული კომპოზიცია ირმებზე ღვთაებრივ ნადირობას გვიჩვენებს. აქ ისევ მხატვრულ სახეებშია განსახიერებული სამყაროს შექმნის უმნიშვნელოვანესი აქტი. მთელი კომპოზიციის აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს შესაკრავთან გამოსახული რომბი, ანუ მთელი სამყარო. მის გარშემო დაჯგუფებული გველშაპებისა და გველების ფიგურები ქაოსს განასახიერებენ, რომლის წიაღშიც შეიქნა კოსმოსი, ადამიანებით დასახლებული ქვეყანა.

სარტყლების თანადროულ, ყობანში აღმოჩენილ კოლხური ტიპის ცულზე გველებთან მეტრძოლი ადამიანია გამოხატული. ვფიქრობთ, ამ ძეგლზეც სამყაროს შექმნის აქტია აღწერილი. გველები ქაოსს განასახიერებენ, ადამიანის მიერ მათი დამარცხების შედეგად წარმოიშობა კოსმოსი, რაზეც იქვე აღმართული სამყაროელი ხე მიგვანიშნებს. სურ. 2.

ადამიანის გველებთან და გველშაპებთან ბრძოლა უაღრესად გავრცელებული მოტივია. როგორც ფიქრობენ, მისი უძველესი და უმთავრესი ფუნქცია კოსმოგონიური უნდა ყოფილიყო<sup>20</sup>. ეს იდეა მთელი სისრულით არის ხორცშესხმული ბაბილონის თქმულებაში „ენუმა ელიშ“, რომელიც ქვეყნის შექმნის შესახებ მოგვითხრობს. უმაღლესი ღვთაება მარდუკი ურჩხულ ტიამატს დაამარცხებს, მის სხეულს ორად გააპოხს, რის შედეგად წარმოიშობა ზეცა და დედამიწა. იმავე იდეას შეიცავს ხეთური მითი გველ ილუიანქას შესახებ, ზეცის მიერ ტიფონის დამარცხება და სხვ. ვ. პროპი აღნიშნავს, რომ გველის ან გველშაპისა და ადამიანის ბრძოლის ამსახველ შეხედულებებში, უძველეს პლასტს გველშაპის მიერ ადამიანის ჩაყლაპვა წარმოგვიდგენს<sup>21</sup>. ეს მოტივი მთელი სისრულით არის დაცული ამირანის ეპოსში, სადაც გველშაპის მიერ ამირანის ჩაყლაპვა გააზრებულია, როგორც ბუნების დროებითი სიკვდილი და მისი ახალი აღორძინება, ხოლო თვით ამირანი, მოკვდავი და აღდგენითი ღვთაებების რიგთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ ფ. ჰაასი, თავის ნაშრომში, ასახელებს ერთ ატიკურ ვაზას, რომელზეც გველშაპის მიერ ჩაყლაპული იაზონი, გველშაპის ხახიდან ამოდის<sup>22</sup>. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მედეასა და იაზონის ბრძოლა ურჩხულთან ოქროს საწმასის მოსაპოვებლად, უძველესი კოსმოგონიის გვიანდელი გამოძახილი უნდა იყოს.


<sup>19</sup> M. Eliade, Rites and Symbols of initiation, the Mysteries of birth and rebirth, N. Y. 1965.

<sup>20</sup> I. Fontenrose, Python. A Study of Delphic myth and its Origins, Berkeley — Los Angeles, 1959, გვ. 164.

<sup>21</sup> В. Я. Пропп, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, с. 205—210.

<sup>22</sup> V. Haas, Magie und Mythen in Reich der Hehiter, Hamburg, 1977, გვ. 121.





ნახ. 2.

უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლების მხატვრულ დეკორში სინამდვილის მოდელირების დროს ამქლავნებს ადამიანი, გრძნობებზე დამყარებული, ემოციური აზროვნების თავისებურებებს. ამ ძეგლებზე, ფორმა ყოველთვის სცილდება რეალურს, დეფორმირებულია, ჰიპერბოლური. ეს განსაკუთრებით ცხოველთა გამოსახულებებში ვლინდება, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ცხოველთა გამოსახულებების სინშირე, მათი გადმოცემის თავისებური მანერა იმაზე მეტყველებს, რომ არქაული ადამიანი ცხოველთა საშუალებითაც მისთვის ღიბი მნიშვნელობის მქონე, განხოგადებულ იდეას გადმოგვცემდა.



1.



2.




3.



Գծ. 3.

4

ჩვენ უკვე ვიცით, სარტყლებსა და კოლხურ ცულეებზე გადმოცემული ცხოველები კოსმოსის ცალკეულ ნაწილებს ეკუთვნოდნენ. ამ ცხოველთა საშუალებით სამყაროს ვერტიკალური აგებულების იდეა იყო გადმოცემული. მაგრამ ისიც ვიცით, რომ მითოლოგიურად მოაზროვნე ადამიანისათვის უმარტივესს ქეშმარიტებას წარმოადგენდა რწმენა იმისა, რომ ნაწილი სრულად უნდა შეესაბამებოდეს მთელს. ადამიანისათვის თითოეული ცხოველი მთლიანი სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ ამავე დროს სამყაროს მთლიანობის, მისი ერთიანობის მატარებელიც უნდა ყოფილიყო. ამ აზრის დადასტურებას ჩვენ ირმებისა და ჭიხვების გამოსახულებებში ვპოულობთ. ეს ცხოველები ზშირად არის ასახული სარტყლებზე, ნახ. 3 და მათ თანადროულ კოლხურ ცულეებზეც. ამ ცხოველთა შესრულების სტილი ორივეგან ერთნაირია. ირმებისა და ჭიხვების სხეული ზშირად კუბოკრული ორნამენტით არის დაფარული. ეს ორნამენტი მიწიერი სამყაროს აღმნიშვნელად არის მიჩნეული. ირმის ბეწვი, ხეს მიმსგავსებული მაღალი, დატოტვილი რქები, თავთავის მსგავსად გამოხატული კუდი, მცენარეულ საფარს შეესაბამებოდა. ირმის მაღალი რქები სამყაროულ ხესაც აღნიშნავდა<sup>23</sup>, რაც ირემს, ერთი მხრივ, ზესკნელთან აკავშირებდა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვესკნელის ძალებთან. ამ ცხოველის სიახლოვეს ქვესკნელთან, ხაზს უსვამს აგრეთვე მისი ფეხები, რომლებიც ზშირად ფარგლებით არის დაბოლოებული. ნიშანდობლივია, რომ ყობანში აღმოჩენილ ერთ-ერთ ცულზე მაღალრქიან ირემს ზურგში ისარი აქვს მოხვედრილი, რაც კოსმოგონიური აქტის სიმბოლურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ნიშანდობლივია, რომ მცხეთაში აღმოჩენილ ერთ სარტყელზე, ირმის მაღალი, დატოტვილი რქები გააზრებულია როგორც სამყაროული ხე, მისკენ მოემართება რიტუალური პროცესია, იქვეა გამოხატული ღვთაებათა რიტუალური ცეკვა (ნახ. 4).



ნახ. 4.

<sup>23</sup> შტრ. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986, 83-94-98.

კოლხური ცულეების დეკორში გადმოცემული ცხოველები და გეომეტრიული სახეები აზრობრივად ძლიერ არიან დატვირთული. ამ კომპოზიციებში ბუნების ნაყოფიერების ფართო იდეაც არის ნაგულისხმები<sup>24</sup>, მაგრამ განმსაზღვრელს უნდა წარმოადგენდეს იმ შეხედულებათა ასახვა, რომლებიც სამყაროს წარმოშობის, მისი აუცილებელი მთლიანობის იდეას გადმოგვცემდნენ<sup>25</sup>. კოლხურ ცულეებზე ასახული ირმები, მზის ნიშნებით შემკული ცხენები, გველები, ქვეყნის სამ განზომილებას განეკუთვნებიან, ამავე დროს მთელ სამყაროსაც განასახიერებენ. ამავე იდეას გადმოგვცემენ ცულეების დეკორისათვის უაღრესად დამახასიათებელი გეომეტრიული სახეები — რომბები, ჯვრები, სვასტიკისებური ფიგურები. კოლხური ცულეების დეკორი ჯერ კიდევ არ იცნობს სიუყეტს. ამიტომ ამ პატარა კომპოზიციებში ნაჩვენებია არქაული ადამიანის აზროვნებისათვის უაღრესად დამახასიათებელი ის უმთავრესი არქეტიპი, რომელიც მითოსშია ხორცშესხმული, მრავალფეროვან სიუჟეტებშია გამოვლენილი. სწორედ ზეპირი მითები მოკვეთხრობენ სამყაროს შექმნასა და ადამიანის წარმოშობაზე, თავის მონათხრობში აღადგენენ ბუნებრივ ციკლებს, გვიამბობენ მოკვდავსა და აღდგენით ღვთაებებზე, მათ მრავალფეროვან თავგადასავალზე. რიტუალური მითების ინსცენირებას ახდენენ, ხოლო ზეპირი მითები, თავის მხრივ, ხსნიან და ასახულებენ ამ ცერემონიალის არსს.

მატერიალური კულტურის ძეგლებზე გადმოცემული ცხოველები ქალღვთაებას დაუკავშირდნენ, მის ზოომორფულ ინკარნაციებს წარმოადგენდნენ და მის ძირითად არსს გადმოგვცემდნენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ქალღვთაების გააზრებაში იგივე იდეაა ნაგულისხმები. ქალღვთაება მთელ სამყაროს განასახიერებს, ფრინველი აელენს მის ბატონობას ზეცაზე, გველი და თევზი — წყლის სამყაროზე, ხოლო ირემი, ჯიხვი, მას შუასკენლის გამგებელად გეახტავენ<sup>26</sup>.

მითოლოგიურად მოაზროვნე ადამიანის მიერ შექმნილ პერსონაჟებს რთული ბუნება აქვთ. მათ სხვადასხვა ფუნქციები ეკისრებათ და მათი გარეგნული სახეც ცვალებადობას განიცდის. უფრო ხშირად ისინი ორბუნებოვანნი არიან, ერთდროულად ადამიანური და ცხოველური სახე აქვთ. და ის, თუ რომელ პოსტასს ენიჭება უპირატესობა, დამოკიდებულია იმ ფუნქციაზე, რომელსაც ისინი, ყოველ კერძო შემთხვევაში ასრულებენ<sup>27</sup>.

არქაული ადამიანის შემოქმედების ყველა სფეროს ახასიათებს ერთი და იგივე მხატვრული სახის, ან რომელიმე მოტივის ხშირი განმეორება. ეს მოვლენა პოეტურ ფოლკლორშიც ვლინდება. რიტუალის შესრულების დროსაც, რაც შეეხება უძველეს ორნამენტს, აქ რითმული საწყისი, ერთი და იმავე მხატვრული სახის განმეორება, მის ერთ-ერთ ყველაზე თვალშისაცემ ნიშანს წარმოადგენს. ეს თავისებურება სარტყლების მხატვრულ დეკორშიც იგრძნობა. ამ ძეგლებზე ხშირად ვხედავთ ერთი და იმავე მხატვრული სახის, ან მთელი მო-

<sup>24</sup> ლ. დანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988, გვ. 38 შმდ.

<sup>25</sup> См. М. Н. Погребова, Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время, М., 1984, с. 88—89.

<sup>26</sup> შ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რტინის ხანაში, თბ., 1984, გვ. 66.

<sup>27</sup> С. Ю. Неклюдов, Особенности изобразительной системы, с. 194—195.

ნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 1



ტივის განმეორებას. ამ სახეთა სიბრტყეზე განლაგება იწვევს იმ რითმულობას, მეტრის ელემენტების დაცვას, რის გამოც კომპოზიციების შექმნის დროს ხაზგასმული სიმეტრიაა მიღწეული. სარტყლებზე აშკარად არის გამოხატული უძველესი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება<sup>28</sup> — სემანტიკური განმეორებადობის, ე. ი. აზრობრივი რიტმისა და სტილისტური რიტმის ურთიერთშეფარდება.

კ. ლევი-სტროსი აღნიშნავს, რომ განმეორებას მითში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება, რაც მითის რთული, მრავალფენიანი სტრუქტურის გამოვლენაში მდგომარეობს. მისი აზრით, მითის უმთავრესი ამოცანა წინააღმდეგობის მოხსნაა, რასაც ადამიანი მისთვის დამახასიათებელი ლოგიკური მოდელის შეშვებით ცდილობს. ვინაიდან არქაულ საზოგადოებაში ეს შეუძლებელია, მითში იქმნება ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული ციკლები. მითი სპირალურად ვითარდება, მანამ, სანამ არ ამოიწურება მისი შექმნისათვის აუცილებელი იმპულსი. ამდენად, მითის გაშლა უწყვეტი პროცესია, ხოლო მისი სტრუქტურა კი შეზღუდულია<sup>29</sup>.

მითი ხასიათდება სინქრონული და დიაქრონული სტრუქტურების ერთიანობით. მითი ყოველთვის წარსულზე გვიამბობს, ამდენად, ის დიაქრონულია. მაგრამ ეს წარსული არა მხოლოდ აწმყოს, არამედ მომავლის ახსნის ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ ეს დიაქრონული სტრუქტურები სინქრონულად უნდა გავიაზროთ. სწორედ აქ მქლავნდება არქაული დროის ორმაგი ბუნება — მისი დიაქრონულობა და სინქრონულობა<sup>30</sup>.

არქაული ადამიანისათვის დრო სტატიკურიც არის და ამავე დროს, დინამიურიც. ეს თავისებურება ფოლკლორში საინტერესოდ არის წარმოჩენილი. სიუჟეტი დახშულ სივრცეში იშლება, მას ასეთივე დახშული დროის სისტემა შეესაბამება. მოქმედება მითოსურ ხანაშია გადატანილი. მაგრამ ამ სტატიკური დროის ფარგლებში დინამიური, „ბიოგრაფიული“ დროც მოქმედებს, რომელიც მთავარი გმირის ცვალებად, მრავალფეროვან თავგადასავალში ვლინდება. ამ „ბიოგრაფიული“ დროის თანმიმდევრობა, მთავარი გმირის სივრცობრივი გადაადგილება, წარმოადგენს ფოლკლორული ნაწარმოების თხრობის უმთავრეს ქარგას<sup>31</sup>.

ფოლკლორულ ძეგლებში სტატიკური და დინამიური ელემენტების კომპოზიციური განაწილება რითმული მონაცვლეობის ხასიათს ატარებს. სტატიკური პოზიციები თხრობის დასაწყისსა და დასასრულში გვხვდება, ხოლო ცალკეულ ეპიზოდებში სტატიკური და დინამიური ელემენტები რიტმულად ენაცვლება ერთმანეთს<sup>32</sup>. მითოსის ან ზღაპრის მთავარი გმირის ბავშვობა ის ხანაა, როდესაც მისი გმირული თავგადასავალი არ არის ჯერ დაწყებული. იგი სახლში იმყოფება, ე. ი. უძრავია სივრცეში, მაგრამ მოძრაობს დროში — იზრდება, ძალდონეს იძენს. შემდეგი ეპიზოდი ამ პერსონაჟის პირველ საგმირო თავგადასავალს აღწერს. ამის შემდეგ იგი უცვლელია დროში, სამაგიეროდ

<sup>28</sup> С. Ю. Неклюдов, Особенности изобразительной системы, с. 206—207.

<sup>29</sup> К. Леви-Стросс, Структура мифов, В. Ф. 1970, № 7, с. 163—164.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> С. Ю. Неклюдов, Статические и динамические начала в пространственно-временной организации повествовательного фольклора, в сб. «Типологические исследования по фольклору», М., 1975, с. 185.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 286.

მოძრაობს სივრცეში, ერთი ადგილიდან მეორეში გადადის, მოქმედებს, იბრძვის. დასასრულს გმირი თავის სახლს უბრუნდება, კვლავ უძრავი ხდება სივრცეში, მაგრამ მოძრაობს ღრმში — ბერდება<sup>33</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც მთავარი პერსონაჟი სცილდება თავის სახლს და სივრცეში გადაადგილებას იწყებს, სწორედ მაშინ განიცდის რეალური სამყარო ცვალებადობას, იგი ჯადოსნურად იქცევა. სწორედ ამ სამყაროს ახასიათებს სივრცობრივი მასშტაბების შეცვლა, რეალური ფორმების დეფორმაცია, რაზედაც უკვე გვკონდა ლაპარაკი.

ამგვარად აგებული სივრცობრივ-დროითი სისტემა სარტყლების მხატვრულ დეკორშიც საინტერესოდ არის გამოვლენილი. ამ ძეგლებზე მოქმედება კოსმოგონიის ხანაში, ე. წ. მითოსურ წარსულში მიმდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, ეს ეპოქა დახშული სივრცითა და ასევე დახშული დროითი სისტემით ხასიათდება. მაგრამ აქ ხაზოვანი დროც მოქმედებს, რაც დინამიურ პროცესებში პოულობს თავის ასახვას. ამის შესაბამისად, სარტყლებზე წარმოდგენილი კომპოზიციების საერთო ხასიათი დახშულია, ჩაკეტილი, სტატიკური. ამ ჩაკეტილ სივრცეში ადამიანები და ცხოველები მოქმედებენ, მოძრაობენ. სეცტებითა და ადამიანთა ვერტიკალური ფიგურებით ერთმანეთისაგან გამოყოფილ კადრებში, რიგ შემთხვევაში სტატიკური, ჩარჩოში თათქოს ჩაქედილი ფიგურებია ჩახატული, მათ გვერდით გადმოცემული ცალკეული ჯგუფები, კი ხშირად უაღრესად დინამიურნი არიან. ყველაფერი ეს კი დეკორში სტატიკური და დინამიური ელემენტების თანაარსებობის, მათი რითმული მონაცვლეობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ამ კომპოზიციებში მთელი სისრულით არის ასახული არქაული ადამიანის თავისებური აზროვნება, განსაკუთრებული ხედვა, აქ მხატვრულ სახეებშია განსახიერებული მთელი სამყარო, ავსებული, როგორც სულიერი, ასევე უსულო საგნებით. ეს სამყარო რეალურია, ამავე დროს იდეალური. რეალურია იმიტომ, რომ მასში ადამიანისათვის რეალურად არსებული ღვთაებები ან მათი მითური წინაპრები მოქმედებენ. მაგრამ ეს სამყარო, ამავე დროს იდეალურიც არის. მასში მოქმედი ძალები ხომ ღვთაებები არიან, მათ ადამიანისათვის სიკეთის ან უბედურების მოტანა შეუძლიათ. ამიტომაც მათი ყოველი მოქმედება განსაკუთრებულ საკრალურ მნიშვნელობას ატარებს. ეს სამყარო მარადიულად არსებობს, ამავე დროს პერიოდულად კვდება, რათა კვლავ აღსდგეს და თავიდან დაიწყოს თავისი არსებობა.

ეს საკრალური სამყარო ადამიანის არსებობის საკრალური ცენტრია, მისი მითური წარსულია, როდესაც აღსრულდა კოსმოგონიის აქტი, შეიქმნა სამყარო, ადამიანი, დაწესდა ადამიანური ცხოვრების წესი. ეს ეპოქა ამავე დროს არქაული ადამიანის მთელი სულიერი ძალების საგანძურია. ღვთაებები, რომლებიც ამ საკრალურ სამყაროში ცხოვრობენ, დიდ სიბრძნეს ფლობენ, მათ დაამკვიდრეს ქვეყანაში სრული წესრიგი და დედამიწაზე ამ წესრიგის დამცველებდაც გვევლინებიან. ადამიანი ცდილობს ისე იცხოვროს, როგორც ღვთაებები ცხოვრობენ. ამიტომ მთელი მისი არსებობა ღვთაებების ცხოვრების მარადიული განმეორებაა. ამიტომ, ადამიანის „ამსოფლიური“ ცხოვრება კარგავს მნიშვნელობას. მისი არსებობა მხოლოდ იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ძლიერ მონაწილეობს იგი საკრალურ სამყაროში.



სწორედ ეს არის არქაული ადამიანის სამყაროს სურათი, მისი მსოფლ-ხატი. ეს მხატვრული სახეა, მაგრამ ვინაიდან მითოსი არ ასხვავებს ბუნებრივსა და ზებუნებრივს, იგი ადამიანის მიერ განიცდება, როგორც აბსოლუტური რეალობა. ეს ხატი თავის საფუძველში მითოლოგიურია და წარსულს განეკუთვნება. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო იგი წარსულსაც ეკუთვნის, მაგრამ ამავე დროს აწმყოშიც მოქმედებს. და ეს უმნიშვნელოვანესი წახტომი დროისა და სივრცის ერთი სისტემიდან მეორეში, შეიძლება განხორციელდეს რიტუალის მეშვეობით<sup>34</sup>, რომლის შესრულება აცოცხლებს მითიურ წარსულს, უბრუნებს მას ადამიანს, მისი ცხოვრების კონკრეტულ მომენტს უთანაბრებს და ასე ამყარებს კავშირს საკრალურთან.

ამგვარად, არქაული ადამიანის მსოფლაღქმას, მის მიერ შექმნილ მსოფლ-ხატს, უპირველეს ყოვლისა დროის უაღრესად თავისებური გააზრება განსაზღვრავს. როგორც ვნახეთ, არქაული ადამიანისათვის დროს ორმაგი ბუნება აქვს. ადამიანი ყველაზე მჭიდროდ თავის მითიურ წარსულთან არის დაკავშირებული. წარსულში მომხდარი მოვლენები ქმნიან იმ მუდმივ სტრუქტურებს, რომლებიც აწმყოშიც მოქმედებენ და მომავალზეც ვრცელდებიან. ამიტომაც დრო, კ. ლევი სტრომის სიტყვით, ერთდროულად შექცევადიც არის და უკუ-ქცევადიც<sup>35</sup>. დროის ამგვარი ხასიათი ეხმარება არქაულ ადამიანს გაიაზროს და ფაქტუალურად მარადისობის და წარმავლობის მუდამ არსებული და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა.

არქაულ საზოგადოებაში წარსული გააზრებულია, როგორც თვისობრივად განსხვავებული ციკლების განმეორებადობა, რაც გამორიცხავს განვითარებას დროში. ამიტომ სამყაროში მარადიული განმეორებადობაა გაბატონებული. დროის ციკლურობა ადამიანის სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელი ხდება. ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ სარტყლებზე გადმოცემული ყველა კომპოზიციის ამ ზოგადი იდეის გადმოცემას ემსახურება. კომპოზიციები ისეა აგებული, რომ ერთი შეხედვით, სარტყლებზე წარმოდგენილი ცხოველები და ადამიანთა ფიგურები სხვადასხვა მხარეს არიან მიმართული. მაგრამ სანამდვილეში, ისინი სარტყლის შესაკრავისკენ, კომპოზიციის აზრობრივი ცენტრისკენ მიდიან; ცენტრში იყრიან თავს, აქ ამთავრებენ მსვლელობას. წარმოიშვება წრითელი ხასიათის, ჩაკეტილი კომპოზიცია, რომლის განმეორება დაუსრულებლად შეიძლება.

არქაულ საზოგადოებას ორიენტაცია მთლიანად წარსულზე აქვს აღებული. ი. დიაკონოვი წერს, რომ არქაული ადამიანი სახით წარსულისკენ იყო მიმართული. შემერულ ენაში „სხვისი დღე“ UD. K UR ნიშნავდა იმას, რაც ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რაც უხილავია ე. ი. იმას, რასაც ჩვენ მომავალს ეუწოდებთ. ხოლო „გაქცეული დღე“ UD. R I. A აღნიშნავდა იმას, რაც უკვე ვიცით, რამაც წინ გავვისწრო, საითკენაც მივდივართ, ე. ი. წარსულს. კიდევ უფრო სრულად არის წარმოჩენილი ეს კონტექსტი აქადურ ენაში, სადაც mahrium „წინა“, აღნიშნავდა წარსულს, ხოლო warkium „უკანა“ — მომავალს<sup>36</sup>.

<sup>34</sup> M. Eliade, *The Sacred and the Profane The Nature of Religion*, New-York, 1959, გვ. 69.

<sup>35</sup> К. Леви-Стросс, *Структура мифов*, с. 163—164.

<sup>36</sup> История Древнего Востока, I, М., 1983, с. 147.

ბაბილონის საზოგადოებაში წარსული განსაკუთრებულად მაღალ შეფასებას იმსახურებდა. აქ „ძველი“ და „კარგი“ სინონიმებად იყო მიჩნეული<sup>37</sup>. სპეციალურად აღნიშნავენ, რომ ბაბილონელებისა და შუმერების ორიენტაცია დროში წარსულისკენ იყო მიმართული, რასაც ენობრივი მონაცემებიც ამტკიცებს. აქადურ ენაზე წარსული um p̄ani სიტყვა-სიტყვათით ნიშნავს „წინა/სახეთა დტე“, მომავალი Ahrātu გულისხმობს უკან ყოფნას. ან კიდევ, panā ადრე, („სახესთან“) ina mahar — „უწინ“, ანუ წინ<sup>38</sup>.

ჩვენი ღრმა რწმენით, უძველეს საზოგადოებაში შექმნილ სამყაროს მოდელებში წარსული ადამიანის წინ იყო აღმართული, ხოლო მომავალი — უკან. ამგვარი აზროვნების კვალი თითქმის ყველა, ძველსა თუ ახალ ენებშია დაცული. გრ. გიორგაძის ცნობით, აქადურ mahrium (წინა, წარსული), ხეთურ ენაში შესაბამებოდა hantezzius. იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, hantezzius huGAL — აღნიშნავდა ადრე არსებულ, უპირველეს მეფეებს. ნიშანდობლივია აგრეთვე ის გარემოება, რომ ხეთურ იშთართან დაკავშირებულ რიტუალებში, წინა მხეველები კეთილი თვისებებით ხასიათდებოდნენ, ხოლო უკანა მხეველები კი ბოროტით. ნუზის სამეფო სასახლეში, მიცვალებულთა მფარველი ღვთაების ნერგალის ქურუმში, ქალწული ენტუ, წინაპართა კულტებსა და თაობათა ცვლას ასახავდა. ენტუსთან დაკავშირებულ რიტუალებში წინაპრებს უკავშირდებოდა არა სიმწიფე, არამედ სიჭაბუქე, რომელიც მეგვიდროებით გადადიოდა გარდაცვლილთა სული<sup>39</sup>.

ბერძნულსა და ლათინურ ენებში წინასართი pro აღნიშნავს მიმართულებას „წინ“. სწორედ მისი საშუალებით არის წარმოებული შემდეგი სიტყვები: ბერძნული παρὺς, παλαιός — წინაპარი, ლათინური pro-avus წინაპარი, pro-avitus ის რაც წინაპრისაგან გერგო, pro-auctor — მამამთავარი, იგივე სემანტიკურ დატვირთვას ატარებს ინგლისური an-cestor წინაპარი, an-central მეგვიდრობითობა, მამამთავარი, antique — ძველი ფრანგული an-seire წინაპარი, გერმანული vor-fahr — წინაპარი, vor-gabe წინამორბედი, რუსული предок, предшественник და ბოლოს ქართული „წინაპარი“. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ეს სიტყვა შემდეგნაირად არის განმარტებული: წინაპარი — უწინდელი; წინა — პირველი, პირველ მამანი და მშობელნი, წინაპარი წელიწადნი. ხოლო სიტყვა „წინაპარველად“ ასეა განსაზღვრული: წინათ, უწინარეს, პირველად, წინა პირველი, საბასთან ნათქვამია: წინაპარი, პირველადი, წინა პირველი. საინტერესოა მეგრულის მონაცემები: წოხოლე — წინ, წოხოლიანი — წინანდელი. ხევსურეთში: წინაპრის აღსანიშნავად იხმარება „წინანი“. უნდა ვითქვითოთ, რომ წინაპარი, წინაპირველი, იგივე წინა პირია, წინა სახე. ვინაიდან, საბასთან პირ განმარტებულია, როგორც პირველი, ამავე დროს კი ნათქვამია „პირად თქმის პირისახე კაცისა“. უაღრესად საინტერესო სურათი გამოიკვეთა — ქართულ წინაპარში, იგივე სემანტიკური ველია ნაგულისხმები, რაც აქადურ „წარსულში“, სადაც

<sup>37</sup> И. С. Ключков, Восприятие времени в древней Месопотамии, Народы Азии и Африки, 1980, № 2, с. 100.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> ცნობები მომავლად ირ. ტატიშვილმა და ე. ასტაშვილმა, რისთვისაც მადლობა მოგახსენებ.





მამ პანი („წარსული“) სიტყვასიტყვით ნიშნავს „წინა/სახეთა დღეს“, ხოლო „ადრე“ — „სახეს“<sup>40</sup>.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ქართულ ენაში არსებული ის ტერმინები, რომლებიც სივრცის გასხვავებული ნაწილების აღსანიშნავად გამოიყენება. ისინი შესწავლილი აქვს ირ. სურგულაძეს. მისი შენიშვნით, „წინა“ და „უკანა“ სამყაროს ახარისხებდა კეთილ და ბოროტ სივრცეებთან. „წინა“ გულისხმობდა ადამიანისათვის ხილულ, მის თვალწინ გაშლილ სივრცეს, დადებითს, აღქმადს. „უკანა“, ადამიანის უკან არსებული სივრცე იყო, უხილავი, შეუგრძნობი, შეუცნობელი და საშიში. იგი ბნელი ძალებით იყო დასახლებული და ეს ძალები; „წინა“ სამყაროს საწინააღმდეგო ნიშნებით იყო აღბეჭდილი<sup>41</sup>.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არქაულ საზოგადოებაში სივრცისა და დროის კატეგორიები არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული, ერთ განუყოფელ ქრონოტოპს ქმნიდა, რომ სივრცის გააზრება ყოველთვის დროის ასპექტსაც გულისხმობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ უკანა მხარე, შეუცნობი და ბნელი, ადამიანის უხილავი, ბურუსით მოსილი მომავალია, ხოლო „წინა“, რომელიც ადამიანის თვალწინ გაშლილ, კეთილ სამყაროს გულისხმობს — მისი მითიური წარსული.

როგორც ვხედავთ, არქაული საზოგადოების დროის სისტემა, სრულიად განსხვავდება ცივილიზებული ადამიანის დროის საზრისისაგან, რომლისთვისაც გუშინდელი დღეც კი უკან მყოფ წარსულს განეკუთვნება. ადამიანის ცხოვრების გზა მომავლისკენ სვლაა და ეს შეუცნობი მომავალი, მის წინ არის აღმართული.

ამგვარად, არქაული ადამიანისათვის სამყარო ერთიანია, განუყოფელი, მოწესრიგებული და ორგანიზებული. მაგრამ ეს სამყარო, ამავე დროს, წინააღმდეგობრივაც არის. ვინაიდან, ისეთი ოპოზიციების არსებობა, როგორიც არის შინა (გარე, წინა) უკანა, ზედა (ქვედა, სინათლე) წყვედიდი, კეთილი/ბოროტი და სხვ. დაპირისპირებასა და კონფლიქტურობას გულისხმობს. ამ წინააღმდეგობათა გააზრებას, მათ მოხსნას, საზოგადოება მითოლოგიის საშუალებით ახერხებს.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მითოლოგია, თავისი სუფთა სახით, თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი აზროვნების წესია. როგორც კი ირღვევა თემის ერთიანობა, იკვეთება პიროვნება, იქმნება მისი უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობა, როგორც კი აღქმავად დაწყობილ ემოციურ აზროვნებაში შედის საზრისი, იშლება მითი, ირღვევა ერთიანი მსოფლგაგებით განსაზღვრული არქაული საზოგადოებრივი ცნობიერებათა ფორმების სინკრეტული კომპლექსი, ხოლო მითოლოგია დღემდე რჩება ზატოვანი აზროვნების განუმეორებელ სისტემად, რომლის მხატვრული სახეები მუდამ კვებავს, როგორც სახვით, ისე სიტყვიერ ხელოვნებას.

<sup>40</sup> „პირ“ და „პარ“ ძირი იძლევა ისეთ სიტყვებს, როგორიცაა პირქმო, პირიანი (უპირიანი), უპირატესი, წინა ვპირობ. („წინა ვპირობ და ვლაღალადებ განსაცდელსა ამის სიმძაქება“) აღაპ. 340, 17). ცნობები მოგვაწოდა ალ. ჭინჭარაულმა, რისთვისაც მადლობას მოვხსენებ.

<sup>41</sup> ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, გვ. 168, 176.

M. Ш. ХИДАШЕЛИ

## КАРТИНА МИРА АРХАИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

Резюме

Конкретное, предметно-чувственное мышление архаического человека своеобразно перерабатывает действительность и создает образ мира, который целостен, хорошо организован и упорядочен.

В духовной жизни архаического общества огромную роль играла мифическая эпоха, т. н. мифическое время — когда создалась вселенная и установился человеческий образ жизни. Это есть следствие деятельности божеств, которые поддерживают ими самими же установленный порядок в природе и обществе. Мифическое время — священное хранилище не одних лишь первообразов, но и всех магических и духовных сил человека.

Это и есть образ мира архаического общества, он мифологичен и принадлежит прошлому. Но события, происходящие в прошлом, образуют постоянную структуру, одновременную, как для прошлого, так и для настоящего времени. В силу своего необычайного значения это прошлое всегда присутствует «здесь» (в этом пространстве) и в настоящем времени. Именно поэтому архаическое общество лицом обращено к прошлому. В модели мира древнего человека прошлое всегда находится впереди, а неопределенное будущее — сзади. Данные языка, как древних, так и современных народов, подтверждают такую ориентацию.

M. KHIDASHELI

## THE IMAGE OF THE WORLD OF THE ARCHAIC SOCIETY

Summary

The image of the ideal world of the archaic society is at the same time real and unreal, eternal, though it periodically dies and resurrects. This world is mythological and belongs to the Past. However, in its extraordinary mythological and meaning it is always presented „here“ and now. This jumping from one special and time system into another, e. i. from the present to the past time is possible by means of ritual.

Myth is always defined through time system. Happenings (events) in the Past construct constant system both for the Past and the Present. In Sumerian and Accadian languages the Past (from the special point of view) always was considered as the Front to which man looks in the face. It is very important to mention that such connotations are also preserved in Indoeuropean and Georgian languages.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის საბ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი ისტორიის განყოფილებამ

## ინგლისის რელიგიური პოლიტიკა იმიერიორდანიასი

იმიერიორდანია და პალესტინა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ძველი და ახალი ხალხების ბრძოლის სარბიელი იყო, ეთნიკური თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ სემიტური წარმოშობის ხალხები. მრავლად იყვნენ დასახლებული ამ რეგიონში არაბები, რომლებმაც აქ გაავრცელეს თავისი ენა და კულტურა. იმიერიორდანიისა და პალესტინის მცხოვრებნი, რომლებიც განსაკუთრებული ფანატიზმით ეკიდებოდნენ რელიგიურ პრობლემებს, გაერთიანებული იყვნენ არა ეთნიკური წარმოშობით, არამედ რელიგიური ნიშნის მიხედვით.

იმიერიორდანიის ტერიტორია პალესტინასა და სხვა რაიონებთან (სირია და ლიბანი) ერთად ადრევე იპყრობდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების ყურადღებას. XIX ს. ამ ტერიტორიაზე მოღვაწეობა დაიწყო იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრებთან დაკავშირებულმა სხვადასხვა მისიონერულმა და განმანათლებლურმა საზოგადოებამ. აქედან მოყოლებული იმიერიორდანიასა და პალესტინაში იგზავნებოდა არქეოლოგების, ისტორიკოსების, გეოგრაფების, ეთნოგრაფების მრავალიცხოვანი სამეცნიერო ექსპედიციები.

განსაკუთრებით აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პალესტინასა და იმიერიორდანიაში ინგლისის მისიონერული საზოგადოებები. მათ გააჩაღეს მისიონერული მოღვაწეობა სხვადასხვა მიმართულებით იმ მიზნით, რომ გაემყარებინათ თავისი გავლენა ამ ქვეყანაში და პალესტინისა და იმიერიორდანიის დაპყრობის შემთხვევაში დასაყრდენი მოეპოვებინათ ადგილობრივ მოსახლეობაში. თავისი პროპაგანდისტული მუშაობის დასაწყისში ინგლისელი მისიონერები ცდილობდნენ პალესტინისა და იმიერიორდანიის ებრაული მოსახლეობა მოექცაათ ქრისტიანებად. პირველი ინგლისური მისია აქ წარმოიშვა XIX ს-ის დასაწყისში<sup>1</sup>. ეს საზოგადოება დიდი მონდომებით ცდილობდა ადგილობრივ ებრაელთა შორის გაეცრცელებინა ძველი აღთქმა. ბიბლიასთან ერთად ლონდონის საზოგადოებას ამ რეგიონში შეჰქონდა მისიონერი მქადაგებლების მიერ შედგენილი სააგიტაციო ტრაქტატები. ყველა ეს ნაწარმოები, რომელიც დაწერილი იყო იმ მიზნით, რათა დაერწმუნებინა ებრაელები, რომ მხოლოდ ქრისტიანული რწმენის მიღებით შეძლებდნენ ისინი საკუთარი თავისა და სამყაროს ვადარჩენას, გამსჭვალული იყო ებრაელების სიყვარულით და ქადაგებდა პალესტინაში ებრაელთა ეროვნული აღორძინების იდეას<sup>2</sup>. უკვე 1823 წ. ამ საზოგადოებამ თავისი ფილიალი გახსნა იერუსალიმში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სკოლებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების მო-

<sup>1</sup> London Society for promoting christianity among the jews.

<sup>2</sup> T. F. A. De la Roi, Geshichte der evang. Judenmission.



წყობას. 1843 წ. მისიონერების მცდელობით აშენდა დიდი და კარგად მოწყობილი საავადმყოფო, ხოლო მოგვიანებით დაარსდა სახელოსნო სასწავლებელი. XIX ს-ის 80-იან წწ. რუმინეთის მთავრობის მიერ დევნილი ათასობით ებრაელი გაემგზავრა იერუსალიმში, გაიზარდა იმიგრირებულთა რიცხვი რუსეთიდანაც. ყველა ეს ლტოლვილი დახმარებისათვის მიმართავდა მისიონერებს, რომლებიც სიამოვნებით იღებდნენ მათ, რომელთა სახითაც იძენდნენ საკმაოდ მოხერხებულ წყაროს თავისი პროპაგანდისათვის<sup>3</sup>. ყველაფერი ეს კი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი ებრაელების „მოქცევის“ შესანიშნავი საშუალება იყო.

თავისი მასშტაბით საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო დისიდენტების მიერ 1842 წ. დაარსებული ბრიტანეთის მისიონერული საზოგადოება<sup>4</sup>. ლონდონის საზოგადოების მსგავსად ის ყურადღებას უთმობდა ფილანთროპიულ მოღვაწეობას, სკოლების, თავშესაფრებისა და სამედიცინო პუნქტების გახსნის საქმეს.

ლონდონისა და ბრიტანეთის საზოგადოებებთან ერთად ინგლისში დიდ მუშაობას ეწეოდნენ რელიგიური დანიშნულების მქონე სხვადასხვა მისიონერული ორგანიზაციები<sup>5</sup>. ებრაელთა სოციალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 1871 წ. ლონდონში დაარსდა ინგლისურ-ებრაული საზოგადოება<sup>6</sup>. ეს საზოგადოება აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა პალესტინისა და იმიერორდანიის მოსახლეობაში განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში<sup>7</sup>. სკოლებში სხვა აუცილებელ საგნებთან ერთად ასწავლიდნენ ხელოსნობასა და გამოყენებით ხელოვნებას<sup>8</sup>.

პალესტინასა და იმიერორდანიისაში დასავლეთის ქვეყნების ინტერესის ზრდასთან ერთად, მატულობდა ებრაული ელემენტის რაოდენობა, რომელიც თანდათანობით ქმნიდა ამ ქვეყნის ძირითად მატერიალურ ბაზას.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ცდები, რომ ქრისტიანებად მოექცია პალესტინისა და იმიერორდანიის ებრაული მოსახლეობა, უშედეგოდ დასრულდა. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქრისტიანობის პოზიციები ამ რეგიონში სუსტი აღმოჩნდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის მისიონერულმა საზოგადოებებმა, რომელთაც გაშლილი ჰქონდათ თავისი მოღვაწეობა პალესტინასა და იმიერორდანიის სხვადასხვა მიმართულებით, გააძლიერეს ინგლისის გავლენა ამ რეგიონში, ხოლო მათ მიერ ნაქადეგებმა ებრაელთა ეროვნული აღორძინების იდეამ, საფუძველი დაუდო სიონისტური მოძრაობის ჩასახვას.

სიონისტური პროგრამა ოფიციალურად მიღებულ იქნა ბაზელში 1897 წ. აგვისტოში სიონისტთა პირველ კონგრესზე. სიონისტებს მიზნად ჰქონდათ დასახული ებრაელი ხალხისათვის პალესტინაში დაეფუძნებინათ მუდმივი საცხოვრებელი, რომელიც დადასტურებული იქნებოდა კანონით. ამ მიზნის მი-

<sup>3</sup> Jewish Intelligence, ლონდონის საზოგადოების ორგანო, სადაც იბეჭდებოდა მისიონერთა ინგარიშები და მოხსენებები.

<sup>4</sup> British Society for propagation of the gospel among the jews.

<sup>5</sup> Párochial Mission, Reformed Presbyterian Church, The Church of Scotland, Mildmay Mission.

<sup>6</sup> Anglo-Tewish Association.

<sup>7</sup> „Westminster Review“, Jen, 1886, pp. 136—178, „Missions to the Jews“.

<sup>8</sup> Р о м б о, «Письма из Лондона», Восход, 1884, 8. 11, 1885, 25



საღწევად კონგრესმა შეიმუშავა შემდეგი წინადადებები: 1. დახმარება გაეწიათ პრეწეგლობაში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მშრომელებისათვის; 2. ადგილობრივი და ინტერნაციონალური დაწესებულებების დახმარებით დაეარსებინათ ებრაელთა გაერთიანებები ებრაული მოსახლეობით დასახლებულ ქვეყნებში, თითოეული სახელმწიფოს კანონის შესაბამისად; 3. წახალისებინათ ებრაელთა ეროვნული შეგნება და გრძნობები; 4. თანხმობა მიეღოთ სიონისტურ პროგრამის განხორციელებაზე იმ ქვეყნების მთავრობებისაგან, სადაც ცხოვრობდნენ ებრაული თემები.

თანამედროვე პოლიტიკური სიონიზმის ფუძემდებელი პერცი (1860--1904 წწ.) თავისი ერთ-ერთი ნაშრომის შესავალში<sup>9</sup> წერდა: „...მე ვფიქრობ, რომ ებრაული საკითხი მიუხედავად იმისა, რომ ის ზოგჯერ სხვადასხვა ფორმას იღებს, არა მხოლოდ სოციალური, არამედ რელიგიური პრობლემაცაა. ის ასევე ეროვნული საკითხიცაა, რომლის გადაჭრა შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ მას ავიყვანთ საერთაშორისო პოლიტიკის დონემდე და რომლის გადაწყვეტაც მოხდება ყველა ცივილიზებული ხალხების მიერ“.

ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად მას შემუშავებული ჰქონდა გეგმა, რომელიც ცხოვრებაში უნდა გატარებულიყო ორი სააგენტოს — „ებრაული საზოგადოებისა“ და „ებრაელთა ამხანაგობის“ მიერ. „ებრაელთა საზოგადოების“ მოვალეობას შეადგენდა მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, რომელსაც შემდგომ პრაქტიკულად განხორციელებდა „ებრაელთა ამხანაგობა“.

პერცლის გეგმის მიხედვით, ყველაზე ღარიბები პალესტინაში უნდა მოსულიყვნენ მიწის დასამუშავებლად. მათ უნდა აეშენებინათ გზები, ხიდები, რკინიგზები, ტელეგრაფი და სიცხოვრებელი სახლები, მათი შრომა განავითარებდა ვაჭრობას, ვაჭრობა თავისი მხრით ბაზარს, ხოლო ბაზარი მიიზიდავდა ახალმოსახლეებს. ყველა ჩამოვიდოდა თავისი სურვილითა და საკუთარი სახსრებით, მიწაზე დახარჯული შრომა ასწევდა მის ფასს და ებრაელები მალე მიხვდებოდნენ, რომ ყოველი ინიციატივიანი პიროვნებისათვის, რომელიც ადრე განიცდიდა შეურაცხყოფას, შეიქმნებოდა ყოველგვარი ხელსაყრელი პირობები.

პერცი თვლიდა, რომ ვიდრე ებრაელები არ მიიღებდნენ სუვერენულ უფლებებს ტყუილბრალე იქნებოდა იმიგრაციის გავრცელება. „ებრაულ საზოგადოებას“ მოლაპარაკება უნდა დაეწყო მიწის ნამდვილ მფლობელებთან, თუ ისინი ე. ი. მიწის მფლობელები, წარმოდგენილ გეგმას მიიღებდნენ დადებითად. პერცი თვლიდა, რომ მიწის ნამდვილი მფლობელებისათვის მათ უნდა მიეცათ დიდი უპირატესობები, თავის თავზე აეღოთ საერთო სესხის ნაწილი და აეშენებინათ ახალი გზები ტრანსპორტისათვის. მისი აზრით, ებრაული სახელმწიფოს შექმნა სარგებლობას მოუტანდა მეზობელ ქვეყნებსაც, რადგანაც მიწის კულტივიზაცია მიმდებარე ტერიტორიების ფასსაც ასწევდა<sup>10</sup>.

სიონიზმის პარალელურად ჩაისახა არაბთა ეროვნული მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ნაღბ ახტური (არაბი ქრისტიანი). მან შეიმუშავა „არაბული მიწის ლიგის პროგრამა“, რომელიც წარმოადგენდა პირველ აშკარა მოთხოვნას ოსმალეთის იმპერიიდან არა-

<sup>9</sup> Der Judenstaat, 1896.

<sup>10</sup> The Israel Arab Reader. A documentary history of the Middle East conflict. Edited by Walter Jiqucur, London, 1970, გვ. 14.



ბული მიწების გამოყოფის შესახებ. თავის ნაშრომში<sup>11</sup> ის წერდა: ლიგას სურს (არაბთა) მოქალაქეობრივი და რელიგიური უფლებების აღიარება ისლამისა და არაბი ხალხის ინტერესების შესაბამისად და არაბული იმპერიის შექმნა, რომელიც გადაჭიმული იქნებოდა ტიგროსიდან ევფრატამდე და ხმელთაშუა ზღვიდან არაბეთის ზღვამდე.

ნალიბ აზურის აზრით, მმართველობის ფორმად უნდა აერჩიათ კონსტიტუციური სასულთნო, რომელიც დამყარებული იქნებოდა ყველა რელიგიების თავისუფლებათზე და თითოეული მოქალაქის თანასწორუფლებიანობაზე კანონის წინაშე. სასულთნოს ევროპის ქვეყნებისათვის უნდა დაეტოვებინა ის პრივილეგიები, რომლთაც ისინი სარგებლობდნენ ოსმალეთის იმპერიაში. ეს ახალი სახელმწიფო აღიარებდა ლიბანის ავტონომიას და იემენის, ნეჯდისა და ერაყის სამეფოების დამოუკიდებლობას.

ლიგა ახალი იმპერიის ტახტს სთავაზობდა ეგვიპტის ხედივთა საგვარეულოს იმ წარმომადგენელს, რომელიც კეთილი განწყობით მიიღებდა ამ გეგმას და თავის ენერგიასა და სახსრებს არ დაიშურებდა მისი განხორციელებისათვის. ნალიბ აზურის მიერ წარმოდგენილი გეგმა უარყოფდა ეგვიპტისა და არაბთა იმპერიის გაერთიანებას ერთ მონარქიად, რადგანაც ეგვიპტელები მისი აზრით, არ იყვნენ წარმოშობით არაბები და მიეკუთვნებოდნენ აფრიკული წარმოშობის ხალხს — ბერბერებს და ენას, რომელზეც ისინი მეტყველებდნენ ისლამამდე, არაფერი ჰქონდა საერთო არაბულთან. ის თვლიდა, რომ ეგვიპტესა და არაბულ იმპერიას შორის არსებობდა ბუნებრივი საზღვრები, რომელსაც უნდა მოჰყობოდნენ დიდი სიფრთხილით, რათა თავიდან აეცილებინათ არეულობა და უწყესრიგობა ახალ სახელმწიფოში<sup>12</sup>.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იმპერიორდანია წარმოდგენდა მნიშვნელოვან პუნქტს თურქეთის კომუნეკაციებისათვის არაბეთისა და პალესტინის ფრონტებზე. ამასთანავე ის იყო ძირითადი სასურსათო ბაზა ოსმალეთის შეიარაღებული ძალებისათვის ამ რაიონში. უკვე 1914 წ. დეკემბერში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ამ ტერიტორიის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა და გადაწყვიტა დესანტი გადაესხა აქაბაში. მაგრამ სამხედრო ოპერაციების გადატანას იმპერიორდანიაში ხელი შეუშალა ინგლისის სამხედრო წარუმატებლობამ მახლობელ აღმოსავლეთში. მდგომარეობა შეიცვალა 1917 წ. იანვარში. ამ დროს ინგლისი ძლიერი შეტევით გადავიდა პალესტინის ფრონტზე, რათა უზრუნველყო თავისი შეიარაღებული ძალების მარჯვენა ფლანგი და სამხედრო ოპერაციებზე გადაეტანა ჰიჯაზის ფრონტზე, სადაც ჯერ კიდევ 1916 წ. ივლისში დაიწყო ადგილობრივი ტომების აჯანყება თურქეთის წინააღმდეგ. წარმატების მისაღწევად ინგლისმა გადაწყვიტა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა აჯანყება და დაუახლოვდა ჰიჯაზის მმართველ წრეებს, 1917 წ. დასაწყისიდან აჯანყების მეთაურებმა კავშირი დაამყარეს იმპერიორდანიის ბელუჯინურ ტომებთან<sup>13</sup>. 1917 წ. 5 ივლისს ჰიჯაზისა და იმპერიორდანიის ტომების რაზმებმა აიღეს აქაბა და იქ შექმნეს პარტიზანული ომების ძირითადი ბაზა. მალე იმპერიორდანიის მთელი ტერიტორია გადაიქცა სამხედრო ოპერაციების ასპარეზად.

<sup>11</sup> Reveil de la Nation Arabe dans..., 1905.

<sup>12</sup> The Israel Arab Reader, გვ. 13.

<sup>13</sup> Lawrence T. E., Seven pillars of wisdom, A. Triumph, London, 1935, გვ. 180—181.



ამგვარად, იმიერიორდანია, ისევე როგორც სირიის ვილაიეთების მთელი ტერიტორია, აღმოჩნდა ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგობების ცენტრში. საფრანგეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომელშიც ის ითხოვდა თავისი გამგებლობისათვის მთელი „ისტორიული“ სირიის დაქვემდებარებას, დამასკოს ვილაიეთში შემავალი იმიერიორდანული სანჯაყებითა და პალესტინითურთ<sup>14</sup>. ინგლისი ყოველმხრივ აკიანურებდა ამ საკითხის განხილვას, რადგანაც განზრახული ჰქონდა აღნიშნული რაიონების ხელში ჩაგდება და საფრანგეთის მომხდარი ფაქტის წინაშე დაყენება. იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა თავისი გეგმები, ინგლისი გარკვეულ შეთანხმებაზე წავილა მექას შერიფ ჰუსეინ ალ-ჰაშიმისთან, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა სახალიფოს აღდგენა და არაბული ტომების თავისი ძალაუფლების ქვეშ გაერთიანება. მოლაპარაკება მექას შერიფ ჰუსეინისა და კაიროში წარგზავნილ ბრიტანეთის უმაღლეს რწმუნებულს შორის ჯერ კიდევ 1915—1916 წწ. დაიწყო. ამ მოლაპარაკებაზე ბრიტანეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა მხარი დაეჭირა მექას შერიფის პრეტენზიებისათვის, თუ ეს უკანასკნელი მიემხრობდა ინგლისს თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, რის საზღაურადაც დიდი ბრიტანეთი ჰუსეინს ჰპირდებოდა მისი ძალაუფლების ქვეშ დიდი ისლამური სამეფოს შექმნას, რომელიც გაერთიანებდა ჰიჯაზის, სირიისა და ერაყის ვილაიეთებს. პალესტინა ამ მოლაპარაკებაში არ ფიგურირებდა. 1917 წ. მაისში დაიდო საბოლოო შეთანხმება ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების დაყოფის შესახებ, რომელიც ცნობილია საიქს-პიკოს სახელწოდებით. მარჯ საიქსმა და ჩარლზ ჯორჯ პიკომ 1915—1916 წწ. მოამზადეს მოლაპარაკების პროექტი, ომის შემდეგ მასლობელი აღმოსავლეთის გადანაწილების შესახებ. ამ პროექტის საფუძველზე, საფრანგეთმა და ინგლისმა სხვა დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმებით გადაწყვიტეს: 1. საფრანგეთი და ინგლისი ვალდებულებას იღებდნენ ელიარებიანთა და დაეცვით დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო ანდა არაბთა სახელმწიფოების ფედერაცია /ა/ და /ბ/ ოლქებში, რომლებიც დაექვემდებარებოდნენ არაბ მმართველს. ამასთანავე, გარკვეულ პრიორიტეტს იღებდა /ა/ ოლქში საფრანგეთი და /ბ/ ოლქში დიდი ბრიტანეთი. მხოლოდ საფრანგეთს /ა/ ოლქში და დიდ ბრიტანეთს /ბ/ ოლქში შეეძლოთ დაენიშნათ მრჩეველები, ანდა თანამდებობის პირი არაბული სახელმწიფოს ანდა არაბთა სახელმწიფოების ფედერაციის თხოვნით. 2. ცისფერ ოლქში — საფრანგეთი — და წითელში — დიდი ბრიტანეთი — იღებდნენ პირდაპირი ან არაპირდაპირი ადმინისტრაციის შექმნის უფლებას, ანდა ისეთი კონტროლის დამყარებას, როგორც მათ სურდათ და მიაჩნდათ შესაფერისად, არაბულ სახელმწიფოებთან ან არაბული სახელმწიფოების კონფედერაციასთან შეთანხმებით. 3. ყავისფერ ოლქში უნდა შექმნილიყო ინტერნაციონალური ადმინისტრაცია, სადაც მმართველობის ფორმის არჩევა, გადაწყდებოდა რუსეთთან და სხვა მოკავშირეებთან კონსულტაციისა და მექას შერიფის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ. 4. დიდი ბრიტანეთი თავისი გავლენის ქვეშ აქცევდა პორტებს,

<sup>14</sup> Берти, За кулисами Антанты, Дневник британского посла в Париже, 1914—1919 гг., М.—Л., 1927, с. 50.

ხაიფასა და აკრას და ვალდებულებას იღებთა მოეწესრიგებინა წყლის მიწოდება ტივროსიდან და ევფრატიდან — /ა/ ოლქიდან /ბ/ — ოლქისათვის<sup>15</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ინგლისმა, ისე საფრანგეთმა კარგად იცოდნენ, რომ ეს შეთანხმება დროებითი იყო და მისი გადასინჯვის საკითხი დადგებოდა მახლობელ აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობის შეცვლისთანავე.

იმიერიორდანია ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტში მხოლოდ ნაწილობრივ ფიგურირებდა, როგორც იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელიც იმყოფებოდა „დამასკოს“ მთავრობის, ჰიჯაზის მეფის ჰუსეინის (ის 1916 წ. გახდა ჰიჯაზის მეფე) ვაჟიშვილის, ემირ ფეისალის გამგებლობის ქვეშ. ეს ტერიტორია — „აღმოსავლეთის ზონა“ — რომელიც მოიცავდა თანამედროვე სირიისა და იმიერიორდიანის შიდა ოლქებს, ომის დროს ოკუპირებული იყო ინგლისისა და ჰიჯაზის შეიარაღებული ძალების მიერ. მუდროსის დაზავების შემდეგ, ინგლისმა გამოიყენა არაბ მმართველებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად აღებული ვალდებულებები და მოითხოვა მოლაპარაკების იმ პუნქტების გაუქმება, რომელიც გულისხმობდა ამ რაიონის დიდი ნაწილის საფრანგეთის კონტროლის ქვეშ გადაცემას. იმიერიორდიანის ფეისალის გამგებლობაში არსებულ ტერიტორიასთან მიერთებით<sup>16</sup>, ინგლისი ცდილობდა დაედარა თავისი მისწრაფებები მახლობელ აღმოსავლეთში პრიორიტეტის მიღებაზე, მაგრამ მომხდარი ფაქტი ცხადყოფდა, რომ აღმოსავლეთის ზონაში ჰაშიმიტების მმართველობის დაწყება, რომელსაც კონტროლს უწევდა დიდი ბრიტანეთი, იმ შემთხვევაშიც კი თუ ინგლისი თავისი გავლენის სფეროდან გამორიცხავდა იმიერიორდიანიას, ნიშნავდა დიდი ბრიტანეთის კოლონიური დაპყრობების გაფართოებას. ლევანტის ქვეყნებში თავისი გავლენის გაძლიერების მიზნით, ინგლისმა გადაწყვიტა ჩამოეშორებინა ძლიერი მოწინააღმდეგე ჰიჯაზის მეფის, ჰუსეინის სახით, რომელიც ცდილობდა აზიაში შეექმნა დიდი არაბული სამეფო და მიემხრო დამასკოს გამგებლის, ფეისალის სეპარატისტულ ზრახვებს. თვით ის ფაქტი, რომ იმიერიორდანია შეყვანილ იქნა ფეისალის გამგებლობაში ანტი-ჰიჯაზურ ხასიათს ატარებდა და ურთიერთობას ართულებდა ჰაშიმიტ მმართველებს შორის<sup>17</sup>.

მახლობელ აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში ინგლისი გამოდიოდა „ისლამის მფარველის“ როლში. ფაქტობრივად კი იმიერიორდანიაში, ისევე როგორც მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, ინგლისმა არაერთხელ უღალატა ისლამის ინტერესებს. ის აღვივებდა ურთიერთწინააღმდეგობას მუსლიმურ და ებრაულ რელიგიურ-თემობრივ ორგანიზაციებს შორის და პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, დროდადრო მხარს უჭერდა ხან ერთს, ხან მეორეს. ასე მოხდა „ბალფურის დეკლარაციასთან“ დაკავშირებითაც. სიონისტ ლიდერებთან ბრიტანეთის კაბინეტის დისკუსიის შემდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც ჩამოყალიბებული იყო არტურ ჯეიმს ბალფურის (1848—1930 წწ.) წერილში როტშილდთან, სადაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა იწონებდა წინა-

<sup>15</sup> The Israel Arab Reader, გვ. 15.

<sup>16</sup> The Middle East Confrontation States, The Hashemite kingdom of Jordan and the west bank. A Handbook, New York, 1980, გვ. 22.

<sup>17</sup> محمد عزة دروزة، حول الحركه العربية الحدیثة. تأریخ مذكرات وتعليقات، المجلدات الاول-الخامس، صيدا 1951—1950.



დადებას პალესტინაში ებრაელთათვის ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე<sup>18</sup>.

ინგლისმა ბალფურის დეკლარაცია გამოიყენა. ერთი მხრით, საიქს-ჰიკოს შეთანხმების იმ მუხლის გასაუქმებლად, რომელიც დაკავშირებული იყო პალესტინაში საერთაშორისო მმართველობის დამყარებასთან, ხოლო, მეორე მხრით, ინგლის-ჰიჯაზის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობდა არაბულ-ისლამური სამეფოს შექმნას. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ბალფურის დეკლარაციამ საფუძველი მისცა ებრაელთა იმიგრაციის გაძლიერებას, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა სხვადასხვა საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაცია ინგლისის დახმარებით, რომელიც ამგვარი ღონისძიებების გატარებით ცდილობდა არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესუსტებას. სიონისტი ლიდერები გამოდიოდნენ ისეთი სახელმწიფოს შექმნის პროექტით, რომელიც თავის ფარგლებში მოაქცევდა პალესტინასთან ერთად ჰიჯაზის რეინიგზამდე არსებულ რაიონებს (ჰაურანიდან აქაბის ყურემდე) ე. ი. იმიერიორდანისის ყველაზე პერსპექტიულ ოლქებს<sup>19</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სიონისტი ლიდერთა ამ გეგმებს თავის დროზე მხარს უჭერდნენ პაშიმიტებიც. ჯერ კიდევ ფეისალის მმართველობის დროს ინგლისის ხელმძღვანელობამ მისი დახმარებით აქტიური მუშაობა გააჩაღა იმიერიორდანისის რაიონების პალესტინასთან მიერთების საკითხის მომზადებასთან დაკავშირებით<sup>20</sup>. ამ გეგმის განსახორციელებლად ემირმა ფეისალმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სიონისტური ორგანიზაციის ლიდერებთან. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ათი წლის შემდეგ, როდესაც ფეისალმა მიიღო ერაყის სამეფო, უარი განაცხადა ამგვარი შეთანხმების არსებობაზე. მაგამა სიონისტური ორგანიზაციის ლიდერებთან ფეისალის მკიდრო კავშირზე მეტყველებენ მისი წერილები. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მიმოწერა ამერიკული სიონისტური ორგანიზაციის ლიდერთან ფრანკფურტერთან, სადაც ის წერს: ჩვენ ვიცით, რომ არაბები და ებრაელები ნათესაურ კავშირში იმყოფებიან თავისი წარმოშობით. ბედნიერი დამთხვევის წყალობით, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ პირველი ნაბიჯები მათი ეროვნული იდეალების განსახორციელებლად.

ჩვენ, არაბები დიდი პატივისცემით ვუყურებთ სიონისტურ მოძრაობას. ჩვენი წარმომადგენლები პარიზში იცნობენ იმ წინადადებებს, რომლებიც წარმომადგენილია სიონისტური ორგანიზაციების მიერ შვეიცარიის კონფერენციაზე, და ჩვენ მათ ვთვლით მისაღებად. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რადგანაც დაინტერესებული ვართ, რომ ებრაელებს გავუწიოთ დახმარება: გულითადად ვუსურვებთ ებრაელებს — კეთილი იყოს მათი მობრძანება საკუთარ სახლში.

თქვენი მოძრაობის ხელმძღვანელებთან, კერძოდ ვეიცმანთან, ჩვენ გვაქვს და ვაგრძელებთ გულითად ურთიერთობას. ის გვეხმარება ჩვენს საქმიანობაში და მე ვთვლი, რომ არაბები ვალდებულნი არიან ვაკეთონ ებრაელებისათვის რაიმე მათი სიკეთის საზღაურად. ჩვენ ერთობლივად ვამუშავებთ გეგმას მან-

<sup>18</sup> The Israel Arab Reader, გვ. 15.

<sup>19</sup> Huzewite I. C. (editor), Diplomacy in the Near and Middle East, vol. II, A Documentary record: 1914—1956, Princeton, 1956, გვ. 43—48.

<sup>20</sup> Bernard Joseph, British rule in Palestine, Washington, 1949, გვ. 74.

ლობელი აღმოსავლეთის მდგომარეობის გადასასინჯად და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საერთო მოქმედება შეავსებს ურთიერთს<sup>21</sup>.

განსაკუთრებით გააქტიურა თავისი მოქმედება ინგლისმა იმპერიორდანიის პალესტინასთან მიერთებისათვის მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის 1919 წ. დასასრულსა და 1920 წ. დასაწყისში დაიდო შეთანხმება კოლონიური სამფლობელოების დანაწილებასთან დაკავშირებით. ამ ახალი შეთანხმების საფუძველზე, 1920 წ. ივლისში, საფრანგეთმა დაიკავა „აღმოსავლეთის ზონის“ დიდი ნაწილი. ფეისალი, რომელიც ამ დროისათვის (1920 წ. 8 მარტს) იყო სირიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციური მონარქი, გაძევებულ იქნა დამასკოდან. 1921 წ. მარტში ინგლისის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ კაიროს კონფერენციაზე, რომელსაც სათავეში ედგა კოლონიის მაშინდელი მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, იმპერიორდანიის საკითხი აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის მახლობელ აღმოსავლეთში<sup>22</sup>.

იმპერიორდანიის რელიგიური ელფერით დაწყებულმა მოძრაობამ ინგლისი აიძულა მიემართა მუსლიმ მეთაურებთან თანამშრომლობისათვის, მათთვის ფეოდალური პრივილეგიებისა და ავტონომიის გარკვეული ფორმის შენარჩუნების პირობით<sup>23</sup>. 1920 წ. დასასრულს ინგლისის მთავრობამ ფეისალს შესთავაზა ერაყის სამეფოს ტახტი, ამასთანავე, ბრიტანეთმა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ემირ აბდალლაჰის პრეტენზიებიც, რომელიც აღრე (1920 წ. 8 მარტს) არაბი ნაციონალისტების მიერ გამოცხადებული იყო ერაყის მეფედ. 1921 წ. 1 მარტს აბდალლაჰი ინგლისელების დახმარებით გავიდა ჰაჯაზის სამფლობელოებიდან და მეორე დღეს დაიკავა ამანი<sup>24</sup>. „ახალი კურსის“, განხორციელებისათვის იმპერიორდანიის რელიგიური თავისი არჩევანი შეაჩერა აბდალლაჰზე. შექმნილი ვითარება ცხადყოფდა, რომ ჰაშიმიტები ეცდებოდნენ არსებული მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ასეთ ვითარებაში, ინგლისმა ყველა ღონე იხმარა, რომ კაიროს კონფერენციაზე აბდალლაჰი ოფიციალურად გამოცხადებულიყო იმპერიორდანიის გამგებლად. კონფერენციის დამთავრების შემდეგ ჩერჩილი შეხვდა აბდალლაჰს და დადო მასთან შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ინგლისმა ვალდებულება იკისრა ახალი ემირისათვის გადაეხადა ყოველწლიური სუბსიდია პოლიციის შესანახად, რის ნაცვლადაც აბდალლაჰი აღიარებდა პალესტინის უმაღლესი კომისრის ძალაუფლებას, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია მისთვის წესრიგის დამყარებასა და უსაფრთხოების დაცვაში.

ტრანსიორდანიის გამოყოფა განსაკუთრებულ სამანდატო ტერიტორიად ინგლისის მიერ მოტივირებული იყო მაკ-მაჰონ ჰუსეინის ხელშეკრულებით,

<sup>21</sup> The Israel Arab Reader გვ. 20—21.

<sup>22</sup> Memoirs of King Abdullah of Transjordan, London, 1950, გვ. 203.

<sup>23</sup> Григоревич И., Ислам и империализм, Ислам и его роль в современной идейно-политической борьбе развивающихся стран Азии и Африки, Москва—Ташкент, 1980, с. 304.

<sup>24</sup> Memoirs of King Abdullah of Transjordan, გვ. 204; Kirkbride A. S., A Crockle of thorns Experiences in the Middle East, London, 1956, გვ. 25.

რომლის თანახმადაც ინგლისი ვალდებულია იღებდა ელიარებინა არაბთა და მოუკიდებლობა<sup>25</sup>.

პალესტინიდან ტრანსიორდანიის გამოყოფა არ ნიშნავდა, რომ ინგლისს გადაწყვეტილი ჰქონდა შეექმნა დამოუკიდებელი იორდანიის სახელმწიფო. იორდანიის შეყვანა პალესტინის მანდატში, სადაც ბალფურის დეკლარაციის საფუძველზე უნდა შექმნილიყო ე. წ. „ებრაული ეროვნული კერა“, წარმოედგენდა დათმობას ინგლისის მხრიდან სიონისტური მოძრაობის ხელმძღვანელებისადმი, რომელთაც ის ეყრდნობოდა ამ რაიონში თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარების დროს. ეს ფაქტი სიონისტების მიერ განიხილებოდა, როგორც მათი პოლიტიკის მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც მიმართული იყო პალესტინის ებრაულ, ბურჟუაზიულ-მემამულურ სახელმწიფოდ გარდასაქმნელად. 1922 წ. სექტემბერში სიონისტი ლიდერების წინააღმდეგობის მიუხედავად ინგლისმა მხარი დაუჭირა წინადადებას სიონისტური კოლონიზაციის სფეროდან იორდანიის ოლქის გამოყოფაზე. დიდი ბრიტანეთის მიერ მიღებული ეს ღონისძიება აიხსნებოდა იმით, რომ ინგლისს თავისი მიზნებისათვის სურდა გამოეყენებინა იორდანიის სტრატეგიული მდგომარეობა. ამას ხელი შეუწყო იორდანიის რაიონში დაწყებულმა სიონისტური კოლონიზაციის წინააღმდეგ მიმართულმა ხალხთა მასების ძლიერმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ედგნენ სხვადასხვა პოლიტიკური საზოგადოებები და პარტიები.

ერთობ გაართულა სიონისტური გეგმების პროპაგანდის გაძლიერებამ შინაპოლიტიკური მდგომარეობა ამ რეგიონში. ლონდონში აბდალლაჰსა და ვეიციმანს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაზე, სიონისტების მხრიდან წამოყენებულ იქნა ტრანსიორდანიის ებრაული დასახლებების შექმნის საკითხი.

ტრანსიორდანიის მოსახლეობა ცხოვრობდა ძველი, ტრადიციული წყობილებით. მომთაბარენი და ნახევრადმომთაბარენი თავის თავს თვლიდნენ კაისიიემურ ტომობრივ ჯგუფად, სადაც ყველა ოჯახი ან ტომი გაერთიანებული იყო ერთმანეთის მოწინააღმდეგე რომელიმე ფრაქციისა. სწორედ აქედან დაიყო სათავე პოლიტიკური პარტიების აღორძინებამ, რომელსაც თან მოჰყვა ცალკეულ ოჯახებს შორის არსებული შუღლი და მტრობა. ამ პარტიათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სირიულ-პალესტინური ორგანიზაციის ერთ-ერთი განშტოება, დამოუკიდებლობის პარტია. მისი ხელმძღვანელობა დაკომპლექტებული იყო არაბი ნაციონალისტებით, რომლებიც ტრანსიორდანიის მოვიდნენ სირიიდან, პალესტინიდან, ეგვიპტიდან და ჰიჯაზიდან, როგორც პოლიტიკური ლტოლვილები<sup>26</sup>. ამ პარტიის ლიდერები ქადაგებდნენ, ერთი მხრით, არაბული ფედერაციის შექმნის იდეას, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო ტრანსიორდანიის, სირიის, პალესტინისა და ერაყის ტერიტორიაზე და, მეორე მხრით, გამოდიოდნენ აბდალლაჰის პრობრიტანული პოლიტიკის წინააღმდეგ. არაბი ნაციონალისტების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო იერუსალიმის მთავარი მუფთი ჰაჯ ამინ-ალ-ჰუსეინი (პალესტინური არაბული პარ-

<sup>25</sup> سليمان موسى، صفحات مطوية معاوقات المعاهدة بين الشريف حسين و بر يطر نباء، عمان 1920—1924; Kedourie E., In the Anglo-Arab Laburinth (The Memahon-Husayn Correspondence and its Interpretations 1914—1939) Cambridge University Press, 1976.

<sup>26</sup> The Middle East Confrontation States გვ. 24.

ტიის ლიდერი). ემირი მხარს უჭერდა 1927 წ. ჩამოყალიბებულ სახალხო პარტიას, ამ პარტიას შემადგენლობაში გავლენიან შეიხებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ ადგილობრივი ტრანსიორდანელები. პარტია მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ეროვნული თავდაცვის პარტიასთან, რომელსაც მეთაურობდა იერუსალიმის მერი.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელი იმპერიალისტები ყოველთვის ვერ პოულობდნენ მხარდაჭერას ისლამის სამღვდელოების მხრიდან. როგორც წესი, მათ მხარს უჭერდნენ ისლამური სამღვდელოების უფრო მეტად რეაქციული წრეები, სამღვდელოების დიდი ნაწილი კი სხვადასხვა ლოზუნგით გამოდიოდა ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ.

მსგავს პირობებში ინგლისელები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ მათ ნიერ ტრანსიორდანიის ტახტზე აყვანილ ემირს. დიდი ბრიტანეთის მდგომარეობას მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა ის გარემოებაც, რომ მმართველი სახელმწიფო პარტია, თავისი არსებობის პირველივე წლებიდანვე მკიდრო კავშირში იმყოფებოდა პალესტინელ მემამულეთა პროინგლისური დაჯგუფების წამყვან ორგანიზაციასთან — ეროვნული თავდაცვის პარტიასთან.

1936 წ. ინგლისის სამანდატო ადმინისტრაციის ყოფილმა მოხელემ არგერ კასტმა წამოაყენა გეგმა პალესტინის გაყოფის შესახებ არაბულ და ებრაულ ნაწილებად, რომლის თანახმადაც პალესტინის არაბული ნაწილი უნდა შეერთებოდა ტრანსიორდანიას. ეს ღონისძიება დიდ ბრიტანეთს საშუალებას აძლევდა უზრუნველყო კონტროლი არაბული, ისე ებრაული სახელმწიფოების ფედერაციის მთავრობებზე. რაც შეეხება პალესტინის ნაწილს იერუსალიმით, ბევრ ლაპმით და ხაიფას პორტით, ის რჩებოდა ინგლისის უშუალო გამგებლობის ქვეშ. მალე ამ პროექტთან დაკავშირებით დაიწყო ინგლის-ტრანსიორდანიის მოლაპარაკებები. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი გეგმა არ მიიღეს არც არაბებმა და არც ებრაელებმა, ამ გეგმის წამოყენებამ უარყოფითი როლი შეასრულა პალესტინის ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიაზე მცხოვრებ ამ ორ ეროვნებას შორის ურთიერთობაზე, რამაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო უკვე 1937 წ. კონფლიქტის მიზეზი გახდა პალესტინის, ერაყის, საუდის არაბეთისა და იემენის არაბების მოთხოვნა უარი ეთქვათ ებრაელებისათვის პალესტინაში შესვლაზე. ქვეყანაში მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით, ინგლისმა უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, რომელსაც მეთაურობდა ლორდი პილი, გადაწყვიტა გაეყო პალესტინა სუვერენულ არაბულ-მუსლიმურ და ებრაულ ნაწილებად. ამ გეგმის შესაბამისად, არაბულ ნაწილში ექცეოდა სამარია, იუდეას დიდი ნაწილი და მთელი ნეჯფი (ისრაელის სამხრეთი ნაწილი) და უერთდებოდა ტრანსიორდანიას. პილის კომისიის მოხსენების გამოქვეყნებამდე, ეროვნული თავდაცვის პარტიამ განაცხადა თავისი გამოსვლის შესახებ უმაღლესი არაბული კომიტეტიდან. თვით აბდალლაჰი დაუყოვნებლივ მიემხრო ეროვნული თავდაცვის პარტიას. მაგრამ მისმა პატივმოყვრულმა გეგმებმა მალე სრული წარუმატებლობა განიცადეს. ტრანსიორდანიის დიწყო დემონსტრაციები და გაფიცვები. შეიქმნა პალესტინის დაცვის კომიტეტი, რომელმაც განაცხადა, რომ ნებისმიერი არაბი პოლიტიკოსი, რომელიც მიიღებდა გაყოფის გეგმას, გამოცხადდებოდა მოღალატედ. ასეთ ვითარებაში ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა პილის გეგმა უარეყო. მაგრამ მალე, 1939 წ., ტრანსიორდანიის მთავრობამ მიიღო ბრიტანეთის ახალი წინა-





დადება ე. წ. „თეთრი ქალაქი“, რომელიც გულისხმობდა პალესტინის შექმნას, სადაც ებრაელები და არაბები ისარგებლებდნენ ერთნაირ უფლებებით. ეს ნიშნავდა, რომ აბდალლაჰი და მაშასადამე, ტრანსიორდანიის ჩათრეული ამოჩნდებოდნენ პალესტინის პრობლემაში. „თეთრი ქალაქის“ მიღებამ კი ხელი შეუწყო ებრაული ელემენტის გაძლიერებას ამ რეგიონში და შემდგომ დასაბამი მისცა ისრაელის სახელმწიფოს შექმნას.

არაბთა ეროვნული მოძრაობის გაძლიერებამ, ებრაელთა ემიგრაციის გაფართოებამ და ამასთან ერთად უკიდურესი მიმართულების ძლიერი სიონისტური მოძრაობის განვითარებამ, რომელმაც მიიღო ანტიინგლისური მიმართულება (სიონისტთა მიერ დემონსტრაციების მოწყობა ინგლისის იმიგრაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, სიონისტური ტერორიზმის გაძლიერება) მიუთითებდნენ იმიერორდანიის ბრიტანეთის პოლიტიკის ერთობ კრიზისულ მდგომარეობაზე.

М. Г. МЕТРЕВЕЛИ

## РЕЛИГИОЗНАЯ ПОЛИТИКА В АНГЛИИ В ЗАИОРДАНИИ

Резюме

Территория Заиордания, постоянно привлекающая внимание многих империалистических держав, в конце XIX в. стала ареной активной миссионерской и просветительской деятельности Англии, стремящейся заручиться поддержкой местного населения в случае захвата их территории, чтобы упрочить свое влияние в этом регионе.

Попытки Великобритании обратить население Заиордания в христианство не имели успеха, поскольку позиции христианства в этом регионе, который как в религиозном, так и этническом отношениях неоднороден, оказались слабыми. Несмотря на это, миссионерская деятельность, развернувшаяся в различных направлениях, упрочила английское влияние, а идея национального возрождения евреев, возникшая в XIX в. посредством британской пропаганды, дала начало сионистскому движению, что со своей стороны и породило арабское национальное движение.

Анализ и оценка узловых моментов политики Англии, ее отношение с крупными европейскими державами, различными сионистскими организациями и исламской верхушкой, ясно показывают, что Великобритания стремилась использовать в своих экспансионистских целях выгодное стратегическое положение Заиордании.

Усиление арабского национального движения, увеличение еврейской иммиграции и возникновение в связи с этим сильного сионистского движения крайнего направления, приобретавшего антианглийскую направленность, свидетельствовали о неудаче британской политики в Заиордании.



M. G. METREVELI

## RELIGION POLICY OF ENGLAND IN TRANSJORDAN

## Summary

The territory of Transjordan, constantly attracting attention of many imperialistic countries, became the arena of missionary and enlightening activity of England at the end of the 19<sup>th</sup> century. England tried to fortify its influence in this region by gaining backing and support of local population in case of occupation of their territories. English influence in this region was empowered by various forms of missionary activity. The idea of Jewish national revival started in 19<sup>th</sup> century by the English compaign in initiated the Zionistic movement, which proveded the arab national movement on the other hand.

The separation of Jordan from Palestine didn't mean that England agreed to the creation of independent state of Jordan. Inclusion of Jordan in the Palestine Mandate where according to the „Balfour Declaration“ the „Jewish National Centre“ was to be formed, was a compromise of England to the leaders of zionist movement, being the support of England in carrying out its colonial policy in this region. This fact was viewed by zionists as the most significant success in their policy of turning Palestine into a Jewish state. But England because of its own policy to use the advantageous strategy location of Jordan had no intention to lose its positions in this region, especially when a powerful people's movement against zionist colonization started there. The created tense atmosphere forced England to make a new decision the establishment of Palestine Region, where Arabs and Jews would have the same rights. Thus, the intensification of Jewish element in this region led to the establishment of state of Israel and Transjordan turned out to be drawn in the Palestine problem.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა



ვახტანგ ითონიშვილი

კავკასიის უძველესი ეთნონიმიდან

(„ჰონთა“ ეთნიკური კუთვნილებისა და „ჰონთა ქვეუნი“  
ლოკალიზაციის საკითხისათვის)\*

კავკასიის უძველესი ეთნონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხის გაშუქება საკმაოდ დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული, ენიდან ჩვენს განკარგულებაში არსებული წერილობითი, ტოპონიმიური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების თუნდაც სკრუპულოზური ანალიზი ყოველთვის არ იძლევა ამა თუ იმ ტომის (თუ ხალხის) ეთნიკური ატრიბუციის ამომწურავად გარკვევისა და მისი სამოსახლო რაიონის ზედმიწევნით ზუსტად ლოკალიზაციის საშუალებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ჭირს იმთავითვე იშვიათი პოლიეთნიკურობით გამორჩეული რეგიონების (პირველ რიგში კი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის) შესწავლა, მით უმეტეს თუ უშუალო დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს საკვლევ ოლქში შორეული წარსულიდანვე დისლოცირებული, თუმცა ისტორიული ასპარეზიდან ნაადრევად გამქრალი, ეთნიკური ერთობა თავისი განსაზღვრების ტერიტორიითურთ. ამდენად, არაა გასაკვირი ის გარემოება, რომ ხაზგასმულ კვლევით არეალში თავმოყრილ პრობლემათა საკმაოდ ფართო სპექტრი კონონზომიერად განაპირობებს აზრთა სხვადასხვაობისა და დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო (თუმცა ჯეროვნად არგუმენტირებულ) შეხედულებათა სისტემატური სტიმულირების ტენდენციას. მაგრამ ამ უქანასკნელის ფონზე სპეციალურ ლიტერატურაში შეინიშნება ცალკეული საკითხების მეტისმეტად ნაჩქარევი და არაიშვიათად ძირეულად მცდარი ინტერპრეტაციის ძალზე არასახარბიელო პრაქტიკაც, რაც მხოლოდ სერიოზულ დაბნეულობას უწყობს ხელს და თანაც აშკარად ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნის ჩვენთვის საინტერესო კვლევა-ძიების ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე. წინამდებარე წერილი სწორედ ამ რიგის ერთი ნიშანდობლივი ხარვეზის გამოვლენას და შევსებას ითვალისწინებს.

ჩრდილოეთ კავკასიის ეთნონიმიის მონოგრაფიული შესწავლის დონეზე თავის დროზე გამოითქვა დღემდე უკომენტაროდ დარჩენილი მოსაზრება, რომ ძველ სომხურ წერილობით წყაროებში (ელიშეს და ფავსტოს ბუზანდის თხზულებები; VII ს. სომხური გეოგრაფია) მრავალჯნის ხსენებული ეთნონიმი „ჰონი“ (**Հոն**) არა მაინცდამაინც ჰუნების, არამედ კავკასიური წარმოშობის

\* მოხსენდა 1989 წლის 2 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას, მიძღვნილ დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიღვაწეობის 900 წლისთავისადმი.



ერთი კონკრეტული ხალხის (ან კავკასიის ხალხთა განსაზღვრული ჯგუფის) აღნიშვნელ სახელწოდებადაც შეიძლება იმსახურებდეს გააზრებას, ხოლო V—VII სს-ის სომეხ ავტორთა ნაშრომებში დამოწმებული „ჰონთა ქვეყნის“ ქვეშ დარუბანდის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე დაღესტნის მიწა-წყალის გარდა ვაინახურ ტომთა განსახლების ტერიტორია და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიც (თუ-შეთი, ფშავი, ხევსურეთი) უნდა იმალებოდეს. ვითარების ასეთნაირი შეფასების წყალობით კი დასაშვებად არის მიჩნეული „ჰონის“ ვითარცა ზოგად-შემკრებლობითი მნიშვნელობით ხმარებული ეთნონიმის ქვეშ ვაინახების წინაპრების ამოცნობაც, რის კვალობაზე პირიქითი ხევსურეთის (კერძოდ მილმახევს და სახელდებული მდ. ანდაქისწყლის ხეობის) ტერიტორიაზე ტომონიმ ხონეს არსებობას ამ რაიონში სწორედ ჰონების (ან ჰონების სახელწოდებით ცნობილი ვაინახების) ოდინდელი ცხოვრების კვალის მანიშნებელი ფაქტის ღირებულება აქვს მინიჭებული. ამასთან, წარმოდგენილი ვარაუდის შესამაგრებლად იქვე მოტანილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცული ცნობა არაგვის ხეობის ბარის ზონაში (სახელდობრ, ისტორიული ხერკის თემის ფარგლებში) ჰონთა დასახლების შესახებ, რაც ამჯერად უკვე არაგვის ხეობის სათავეებში ჰონთა განსახლების მხარდამჭერი საბუთის მნიშვნელობითაა დაწინაურებული<sup>1</sup>.

ცხადია, ჩრდილოეთ კავკასიაში ერთხანს (IV—VI სს.) დამკვიდრებული ჰონების ეთნიკური ვინაობისა და მათი სამოსახლო ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხის ასეთნაირი გადაწყვეტა ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებს, ვინაიდან ეთნონიმ ჰონი (ან ჰუნის) შინაარსის ტრადიციული გაგებიდან მოულოდნელი გადახვევისა და „ჰონსა“ და „ხონეს“ შორის რაღაც კავშირის ძებნის ყოვლად უსაფუძვლო ცდებისათვის სათანადო ნდობის გამოცხადების შემთხვევაში რადიკალურად იცვლება აქამდე შექმნილი ნათელი წარმოდგენა აღმოსავლეთ საქართველოს (და საერთოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის) ზოგიერთი რეგიონის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. მართლაც, თუკი მექანიკურად გავიზიარებთ ერთობ ბუნდოვან მინიშნებას ჰონებთან მაინცდამაინც ვაინახთა წინაპრების იდენტიფიკაციის მიზანშეწონილობაზე, ხოლო ჰონთა ქვეყნის მილმათუშეთის, ხევსურეთის და ფშავის მიწა-წყალსაც დავიანახავთ, მაშინ ხომ ძალუნებურად ისეთი სურათი დაიხატება, თითქოს ხსენებული მხარეების მოსახლეებს შორეულ წარსულში სწორედ ჰონებად სახელდებული ვაინახები წარმოადგენდნენ, რაც ნიადაგ სინამდვილის აშკარა დამახინჯების ტოლფასია. ამდენად, დაბეჭივით შეიძლება ითქვას, რომ განხილული თვალსაზრისი წინასწარი ვარაუდის ჩარჩოებშიც კი ვერაფერში წაადგება საქართველოსა და საერთოდ მთელი კავკასიის ეთნონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებში მართებული ორიენტაციის საქმეს, თუმცა უმჯობესია მისდამი ჩვენი დამოკიდებულება ჰონებისა და ჰონთა ქვეყნის შესახებ არსებული ცნობების გამომზეურების შუქზე გამოიკვეთოს.

როგორც ძველი ჩინური, ბერძნული, რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროების გაცნობა ცხადყოფს, სახელწოდება „ჰონი“ ან „ჰუნნი“ (ჩინური „Hunnu“, ბერძ. „Hunnoi“, ლათ. „Hunni“, „Chunni“ სომხ.

<sup>1</sup> Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 128—130.





„ჩინ“, ქართ. „ჰონი“) თათართა მოდგმის მომთაბარე მესაქონლე ტომების აღმნიშვნელ ეთნონიმს წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. III—I სს-ის მოვლენების გადმოცემასთან დაკავშირებით ჩნდება ჩინურ მატრიანებში. ამასთან, ისტორიულ ავანსცენაზე ჰუნთა არნახული ვაიქტიურებისა და მათი სრული ჰეგემონობის ეპოქაში (ახ. წ. IV—V სს.) აშკარად შეინიშნება ხსენებული ეთნონიმის თავდაპირველი კონკრეტული მნიშვნელობის თანდათანობითი გაფართოებისა და შემკრებლობითი შინაარსის ეთნიკურ ტერმინად მისი ფორმირების ტენდენცია, რომლის ძალით, V—VI სს-ში (და უფრო მოგვიანებითაც) ზოგადი ვაგებით ხმარებული ეთნონიმი „ჰუნი“, უფრო ადრე გამოყენებული „სკეითის“, „სარმატის“ ან „ალანის“ მსგავსად<sup>2</sup>, ხშირად ფარავს როგორც საკუთრივ ჰუნურ-თურქულ ტომებს (მაგ. სავირებს ან სავარებს, საბირებს; სარაგურებს, კიდარიტებს, ონაგურებს, აკაცირებს, ზალებს), ისე მათ კონფედერაციაში გაერთიანებული თურქული, უგორული და ირანული წარმოშობის სხვადასხვა ეთნიკურ ერთობებს (მაგ. ავარებს, ბულგარებს, ბარსილებს, კუთრიგურებს (ან კუთურგურებს). უთრიგურებს (ან უთურგურებს), ხაზარებს, უროგებს, მასკუთებს და ა. შ.).

მართალია ჩინეთის იმპერიასთან ხანგრძლივ ომში (ძვ. წ. III ს.-ახ. წ. I ს.) დამარცხებული ჰუნების ერთი ნაწილის ინტენსიურ მოძრაობას დასავლეთის მიმართულებით და მათ მასობრივ შეჭრას ჩრდილოეთ კავკასიაში და ევროპაში მხოლოდ ახ. წ. IV ს-ში ჰქონდა ადგილი, მაგრამ ესოდენ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ კატაკლიზმათა ხანას, როგორც ჩანს, სულ ცოტა სამი საუკუნით მაინც უსწრებდა წინ ჰუნთა მიგრაციის პირველი ტალღის მიღწევა კასპიისპირეთის დაბლობებამდე და, შესაბამისად, მომთაბარეთა ურდოებს დაქვემდებარება ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ სამყაროსთან. ყოველ შემთხვევაში, რომელი ისტორიკოსი ტაციტუსი (ახ. წ. 50—117 წწ.) თავის „ისტორიაში“ უკვე ასახელებს ჰუნებს (Hunos) პომპეუსის ლაშქართან მებრძოლ ბარბაროსთა (ალანები, ვოთები) გვერდით<sup>3</sup>, ხოლო ახ. წ. II ს-ის ბერძენი ავტორის დიონისე პერიეგეტის „სმოფლიო აღწერილობაში“ კასპიის ზღვის პირას მცხოვრებ ტომთა სიაში (კასპიელები, ალბანები, ჰირკანები და სხვ.) ჰუნებიც (Ουνοι) ფიგურირებენ<sup>4</sup>. ჰუნებს იცნობს აგრეთვე კლაუდიუს პტოლემეოსი (ახ. წ. 161—180 წწ.), რომლის სახელგანთქმულ „გეოგრაფიაში“ ჰუნები იხსენიებიან ამჯერად უკვე ევროპულ სარმატიაში მცხოვრებ ტომთა შორის<sup>5</sup>. მეტად საყუ-

<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ ძველ ბერძნულ, რომაულ და სომხურ წერილობით წყაროებში ეთნონიმების „სკეითის“, „სარმატის“ და „ალანის“ ქვეშ არაიშვითად იგულისხმებთან არა მარტო ირანული მოდგმის, არამედ კავკასიური, და თურქული წარმოშობის ტომებიც (თუ ზალებიც), მათ შორის თვით ჰუნებიც კი.

<sup>3</sup> ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, აღ. გამყრელიძის გამოც., თბ., 1973, გვ. 130.

<sup>4</sup> ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თ. ყაუხჩაშვილის გამოც., თბ., 1967, გვ. 155.

<sup>5</sup> В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ч. I, Греческие писатели, «Вестник древней истории» (ქვემოთ ყველგან ВДИ), № 2, М. — Л., 1948, с. 238).

არაა გამორიცხული, რომ პლინიუს სეკუნდისა (ახ. წ. 24—79) და პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.) ნაშრომებში დამოწმებული ეთნონიმი თურცი (Turcae), რომელიც უპირატესად სარმატულ ტომთა განსახლების არეალში მოქცეულ ეთნიკურ ელემენტს ფარავს, ასევე ჰუნებს შეეფარდებოდეს, თუმცა მათი ლოკალიზაცია ჩრდ. კავკასიაში მეტსმეტად საჭიკმანია.

რადღებთა 293 წლით დათარიღებული ერთ-ერთი სასანიდური წარწერაც, სადაც ლაპარაკია კავკასიაში მყოფ თურქ ხაკანზე, რომელშიც შესაძლოა სწორედ კავკასიაში მცხოვრებ ჰუნთა ხელისუფალი ექვემდებარებოდეს ამოცნობას<sup>6</sup>.

ახ. წ. IV—VI სს-ში ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე ჰუნების კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრებაზე განსაკუთრებით მკაფიო ჩვენებებს შეიცავს ახ. წ. V—VI სს-ის წერილობითი წყაროები, რომლებშიც რელიგიური ასახვა პოვა ხსენებულ მომთაბარეთა მძვინვარების ხანასთან (ახ. წ. IV—VI სს. დასაწყ.) დაკავშირებულმა ისტორიულმა მოვლენებმა, უწინარეს ყოვლისა ჰუნთა დამარბეველმა ლაშქრობებმა ირანისა და ბიზანტიის წინააღმდეგ კავკასიის კლდე-კარების გავლით. თქმულის საილუსტრაციოდ კი გამოდგება პრისკე პანიონელის (V ს.), იოანე მალალას (V ს. ბოლო VI ს-ის დასაწყ.), ფსევდო-ზაქარეის VI ს.), თეოფანე ბიზანტიელის (VI ს.), მენანდრეს (VI ს.), პროკოფი კესარიელის (VI ს.), ევაგრი სქოლასტიკოსის (VI ს.) თხზულებებში დაცული ცნობები, რომელთა მიხედვით კასპიის კარის (ე. ი. დარუბანდის) და დარიალის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიის ვრცელი ტრამალები მთლიანად ჰუნური ტომების მიერ დაკავებულ მხარეებადაა წარმოდგენილი, ხოლო დარუბანდის გადაღმა ლოკალიზებული და ჰუნ-საბირებით (Ουνοι-Σαβιροι) დასახლებული დაღესტნის მიწა-წყალი „ჰუნთა ქვეყანადაა სახელდებული“.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ჰუნებზე არანაკლებ საგულისხმო ცნობებს ვაფიქსირებთ V ს-ის სომხურ საისტორიო ლიტერატურაში (ელიშე, ფავსტოს ბუზანდი, ლაზარ ფარბეცი, მოვსეს ხორენაცი) და VII ს-ის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში, რომელთა თანახმად „ჰუნთა ქვეყანა“ ან „ჰუნთა საბრძანებელი“ ახ. წ. V—VII სს-ში თვალნათლივ ლოკალიზდება იმხანად „ჰონთა კარად ან „ჩორად“ სახელდებული დარუბანდის სიმაგრის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვასა და დარიალს შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე (ძირითადად კი თანამედროვე დაღესტნის დაბლობებზე), საიდანაც „ჰონები“ (ან „ჰუნები“) დროაღრო თავს ესხმიან სპარსეთს<sup>7</sup>. ამასთან, V—VII სს-ში მიღებული ამგვარი ნომინაციის ტრადიციის სიმტკიცეზე დამა-

<sup>6</sup> В. Б. Ковалевская, Кавказ и аланы, М., 1984, с. 95.

<sup>7</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტფ., 1936, გვ. 12—13, 18, 216—217, 258, 263, 270—271, 296; „გეორგია“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, აღ. გამყრელიძის და ი. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1961, გვ. 257, 159; „გეორგია“, ბიზანტიელი მწერლებს ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1965, გვ. 45—47, 72, 129, 131;

Н. В. Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941, с. 165.

<sup>8</sup> Егише, О Вардане и войне армянской, издание К. Н. Юзбашяна, Ереван, 1971, с. 52—53, 111—117, 127, 170; Фавстос Бузанд, История Армении, Спб., 1883, с. 13—15; ლაზარ ფარბეცის ცნობები საქართველოს შესახებ, ლ. ჯანაშიას გამოც., თბ., 1962, გვ. 238; მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, აღ. აბღალაძის გამოც., თბ., 1984, გვ. 170—231; Армянская география VII в. по д. х., издание К. П. Патканова, С.-Петербург, 1877, с. 38; С. Т. Еремян, Армения по Ашхарайцуцу, Опыт реконструкции карты на современной картографической основе, Ереван, 1933 (სომხურ ენაზე), გვ. 102—103.

ჯერბლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ XV—XVIII სს-ის სომხურ საბუთებში დარუბანდი კვლავ „ჰონთა კარად“ ან „ჰუნარაკერტად“ იწოდება<sup>9</sup>.

ჰუნების (ან ჰონების) შესახებ მეტად საგულისხმო მონაცემებს ვადასტურებთ სხვადასხვა პერიოდის ქართულ წერილობით ძეგლებშიც, სადაც „ჰონები“ იხსენიებიან, ერთი მხრივ, ძვ. წ. VI ს-ის, ხოლო, მეორე მხრივ, ახ. წ.-ის V ს-ის ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით. მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში (IX ს.) მოთხრობილია ფარნავაზამდელ ეპოქაში თითქოსდა „ბუნთურქებით“ დასახლებულ ქართლში ჰონთა მოსვლისა და ზანავს (არაგვის ხეობა) მათი დაშენების შესახებ („მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, „ჰო ნ ნ ი, და იხზოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს“<sup>10</sup>). „შუშანიკის წამებაში“ კი საუბარია ვარსკენ პრტიახშის წასვლაზე სპარსეთთან მეომარ „ჰონთა ზედა“ საბრძოლველად<sup>11</sup>. რაც შეეხება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებას“, აქ, მართალია, ჩვენთვის საინტერესო ენონიმი არსად გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ იმავე თხზულებაში არაერთგზის ხსენებული „ხაზარების“ ქვეშ, რომელთაც IV ს-ში ენერგიულად ებრძოდა ქართლის მეფე მირიან III („და უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს. რამეთუ მოვიდოიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარა ფართო და მუნით იწყეს გასვლად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდოიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად მიპრიდოიან ხაზართა მათ მირიანს, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის“<sup>12</sup>), უსათუოდ ჰუნები იგულისხმებიან<sup>13</sup>. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ IV ს-ის 60-იან წლებიდან ჰუნები სწორედ ჩრდილო კავკასიის რეგიონიდან უტევდნენ რომისა და სპარსეთის სამფლობელოებს და აქედან მათ ორი საგრძნობი დარტყმა მიაყენეს სომხეთს და სპარსეთს (397 და 448 წწ-ში<sup>14</sup>), „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა ოსთა მიერ აღმოსავლეთ საქართვე-

9 სომხურ ხელნაწერთა XIV—XV სს-ის ანდერძების (პიშატაკარანებს) ცნობები საქართველოს შესახებ, აღ. აბღალაძის გამოც., თბ., 1978, გვ. 27; ესაი ჰასან ჯალალიანი—ცი, ალვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, ვ. კუცაის გამოც., თბ., 1971, გვ. 12.

საყურადღებოა, რომ გ. შკრეტოშვილი ჰუნარაკერტს (//ჰუნთა კარს) შეეცდომით აიგავებს ზონანთან (Г. Г. Мкртумян, Грузинское феодальное княжество Кахети в VIII—XI вв. и его взаимоотношения с Арменией, Ереван, 1983, с. 64, 92).

10 მოქცევაჲ ქართლისაჲ, „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“, I. შატერდის კრებულ X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979, გვ. 320.

11 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 38.

12 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა... „ქართლის ცხოვრება“ (ქვემოთ ყოფიან „ქც“), ტ. I, ს. ყუბანიშვილის გამოც., თბ., 1955, გვ. 66.

13 ასეთი არამართებული ნომინაცია ელემენტარული ანაქრონიზმით აიხსნება, რითაც მხოლოდ ქართული საისტორიო ტრადიცია არ სცილდავს. ანალოგიური ხასიათის ზარეზებო არაქართული ავტორთა ნაშრომებისთვისაცაა დამახასიათებელი. მაგალითად, მოვსეს კლანჯატაის (VII ს.) თხზულებაში იონონიმ „ჰონის“ ქვეშ ხშირად „ხაზარები“ იმალება (მოვსეს კლანჯატაი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანი-ეტატიშვილის გამოც., თბ., 1985, გვ. 71, 72, 98, 99, 106, 107, 108...), ხოლო ბიზანტიურ წყაროებში ზოგჯერ თურქ-სლავობი „ჰუნებად“ არიან სახელდებულნი („გეორგია“, ტ. VI, ს. ყუბანიშვილის გამოც., თბ., 1966, გვ. 24, 140, 147) და ა. შ.

14 Н. В. Пигулевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 97—98.

ლოსა და ალბანეთის დარბევის შესახებ შესაძლოა სწორედ 448 წლის ჰუნთა-ლაშქრობის, ან, რაც უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, ალანთა და ჰუნთა გაერთიანებული ლაშქრის ამიერკავკასიაში შემოჭრის ანარეკლს წარმოადგენდეს, რაზეც თავის დროზე სამართლიანად იქნა მინიშნებული ერთ-ერთ გამოკვლევებაში<sup>15</sup>. ყოველ შემთხვევაში, თუკი გადამწყვეტ უპირატესობას მაინც იმ აპრობირებულ ვერსიას მივანიჭებთ, რომ ქართულ საისტორიო თხზულებაში მართოდენ ალანთა შემოსევაზე უნდა იყოს ლაპარაკი<sup>16</sup>, ხოლო ამავე დროს დარბანდის გადაღმა მტკიცედ დამკვიდრებულ და სპარსეთის მოკავშირე ქვეყნებისადმი (მათ შორის ქართლისადმი) მტრულად განწყობილ ჰუნებს აღნიშნული სამხედრო ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებაში დანტერესებულ მხარედ ვიგულებთ (აკი წყაროდანაც ვგებულობთ, რომ ქართლის, რანისა და მოვანის „წარტყუნის“ შემდეგ ოსებმა „...განვლეს კარი დარბანდისა, რამეთუ თვთ გზა სცეს დარბანდელთა, და შევიდეს ოსეთს გამარჯუებულნი“<sup>17</sup>), ვახტანგ გორგასლის საპასუხო ლაშქრობის (V საუკუნის 50-იანი წლები) ჭიანჭყისებულ აღწერაზე დაკვირვება უკვე თვალნათლივ ცხადყოფს ქართველ მეფესთან შესაბამელად გამოზადებულ „ოსებსა“ (ე. ი. ალანებსა) და „ხაზარებს“ (ე. ი. ჰუნებს) შორის სამხედრო კავშირის რეალურად არსებობის ფაქტს („...მაშინ მეფეთა ოსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოსეთისასა... მაშინ ოსთარომელ ჰყვეს ნიჭადნი ხაზართანი, მათ თანა ერთი ვოლიათი, სახელით თარჯან...“<sup>18</sup>), რაც თავის მხრივ, საბოლოოდ გვარწმუნებს „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებულ ამ „ხაზარებთან“ ჰუნების უყოყმანო იდენტიფიცირების საჭიროებაში<sup>19</sup>. სხვათა შორის, ასეთივე კუთხით გვმართებს მიდგომა ჭიანჭყის

<sup>15</sup> В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

<sup>16</sup> ფიქრობთ, ასეთნაირი არჩევანი ლოგიკურადაა განპირობებული თუნდაც იმ გარემოებით, რომ სპეცილურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადვალტი ჰუნთა მეორე ლაშქრობის ზუსტი თარიღის შესახებ. სწავლულნი ფიქრობენ, რომ აღნიშნული ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 395 წელს (М. И. Артамонов, История хазар., Л., 1962, с. 50), 415—420 წწ-ში (В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 98), V ს-ის 30-იან წლებში (А. В. Гадло, Этническая история Северного Кавказа IV—X вв., 1979, с. 49) ან 448 წელს (Н. В. Пигулевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 45).

<sup>17</sup> ჭიანჭყის ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, „ქც“, I, გვ. 116.

საყურადღებოა, რომ XI ს-ის ერთ არაბულ თხზულებაში („თარხ ბალ ალ-აბეაბი“) დაცული ცნობის თანახმად ალანები და სირიები (ანუ ბერძნული და რომაული წყაროებით ცნობილი ჰუნ-საირები) კვლავ ერთმანეთის მოკავშირეებად გვევლინებიან, რომელნიც კრობლევი ძალებით თავს ესხმიან შირვანს (იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, с. 54).

<sup>18</sup> ჭიანჭყის ცხოვრება, „ქც“, I, გვ. 151—152.

<sup>19</sup> საყურადღებოა, რომ ქართული წერილობითი ტრადიციის მიხედვით (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბაგრატიონი) ეთნონიმი „ხაზარი“ ფარავს არა მარტო თუჩქელი მოდგმის ტომებს (თუ ხალხებს) (მათ შორის ჰუნებს), არამედ ირანული წარმოშობისა ეთნიკურ მასივსაც, კერძოდ, სვეითებად სახელდებულ მრავალრიცხოვან მომთაბარე ტომებს, რომელთა შემოსევების ეპოქა „მეფეთა ცხოვრებაში“ დასათუტრებელია როგორც „შემოსულა ხაზართა“. ამასთან მხედველობაში მისაღებია ის დეტალიც, რომ ელემენტარულ ანაქრონიზმით გამოწვეული უზუსტობანი, როდესაც „ხაზარი“ წყაროში ფიგურირებს სწორედ ჰუნთა ჰეგემონობის ხანასთან (IV—VI სს.) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების აღწერისას, არაა უცხო არაქართულ ავტორთა თხზულებებისათვისაც. მაგ., XIII ს-ის არაბი ავტორი ზაჰაბი ალ-





ნაშრომში ჩართული კიდევ ერთი საყურადღებო ცნობისადმიც, რბილნი<sup>20</sup> ნახმად ვახტანგ გორგასალმა „...და ი მ ო რ ჩ ი ლ ნ ა ო ვ ს ნ ი და ყ ი ვ ჩ ა ყ - ნ ი, და შექმნა კარლი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და დაადგინნა მცველად მახლობლნი იგი მთეულნი. არა ჳელეწიფების გამოსა- ლვად დითა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვნიერ ბრძანებისა ქარ- თველთა მეფისა“<sup>20</sup>. მართალია, ამჯერად მატაიანეში არაერთგზის ხსენებულ „ხაზარებს“ სრულიად მოულოდნელად ახალი ეთნონიმი ენაცვლება „ყივჩა- ყის“ სახით, მაგრამ ასეთი თვალშისაცემი ანაქრონიზმიც ნიადაგ არ უნდა გვა- ეჭვებდეს „ყივჩაყთა“ ქვეშ ისევ და ისევ ჰუნთა ამოცნობის აუცილებლობაში.

მაშასადამე, ზემოთგანხილული მონაცემების მიხედვით V—VII სს-ის წე- რილობითი წყაროებით ცნობილი სახელწოდება „ჰონი“ ჩრდილო კავკასიის ტე- რიტორიაზე შემოდწეულ „სხვადასხვა ჯურის თურქების და ურწმუნოების“<sup>21</sup> აღმნიშვნელ შემკრებლობით ტერმინად ან უპირატესად დასავლეთ კასპიისპირ- ეთში II—VII სს-ში მყარად დამკვიდრებულ ჰუნურ-თურქული მოდგმის ტომთა კავშირის მისამართით გამოყენებულ ტრადიციულ ეთნონიმად წარმო- გვიდგება. რაც შეეხება „ჰონთა ქვეყანას“, ის არსებული ცნობების თანახმად დერბენტის ჩრდილოეთით მდებარეობდა და ძირითადად თანამედროვე დაღეს- ტნის ზღვისპირა მიწა-წყალს ფარავდა, თუმცა ამგვარი ლოკალიზაცია არ გა- მორიცხავს „ჰონთა საბრძანებლის“ შედარებით უფრო ფართო მასშტაბებში წარმოსახვასაც, რაც გულისხმობს მისი დასავლეთი მიჯნის გადაწევას ალანთა დისლოცირების რაიონებამდე და, შესაძლოა, კიდევ უფრო შორსაც.

ცხადია, მიღებული დასკვნის ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებლად გამო- იყურება იმ მკვლევართა (კ. პატკანოვი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, მ. არტამონოვი) მტკიცებები, რომელთაც თავის დროზე V—VII სს-ის სომხურ წერილობით წყაროებში ხსენებული „ჰონები“ (Հոն) უყოყმანოდ გააიგივეს ჰუნებთან<sup>22</sup>.

მაგრამ ასეთი ლოგიკური იდენტიფიკაციის პარალელურად სპეციალურ ლიტერატურაში ადგილი აქვს „ჰონთა“ ეთნიკური ატრიბუციისა და „ჰონთა ქვეყნის“ ლოკალიზაციის საკითხის ახლებური ინტერპრეტაციის ცდებსაც, რა- საც საფუძვლად უდევს სომხურ წყაროებში დაცული ცნობების რამდენადმე განსხვავებული გაგება. მაგ. კ. ტრევერი ამახვილებს რა ყურადღებას იმ ფაქ- ტზე, რომ სომხურ საისტორიო ლიტერატურაში ჰონები უდავოდ კავკასიური წარმოშობის ტომების გვერდით ფიგურირებენ, ჰონთა სამეფოს ლოკალიზაციას დაღესტნის ტერიტორიაზე (მდ. სულაკსა და მდ. სამურს შორის მოქცეულ. აგრეთვე სულაჯის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალზე) ახდენს, ხოლო ჰო- ნებს კავკასიურ ხალხად (უპირატესად დაღესტნელთა წინაპრებად) თვლის<sup>23</sup>.

კახეიზი V—VI სს-ის ვითარებაზე საუბრისას სპარსეთის მოწინააღმდეგეებად ხაზარებს ასა- ლელებს, მაშინ როდესაც სინამდვილეში აქ ჰუნები იგულისხმებიან (ზაქარია ალ-კახეიზის ცნო- ბები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ო. კეტიშვილის გამოც., თბ., 1975, გვ. 23).

<sup>20</sup> ქ უ ა ნ შ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

<sup>21</sup> აკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, ე. სიხარულაძის გა- მოც., თბ., 1964, გვ. 21.

<sup>22</sup> Л. М. Меликсет-Бек, К истории гуниов в Восточном Закавказье, «До- клады Академии наук Азербайджанской ССР», 1957, № 6, с. 712; М. И. Артамо- нов, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

<sup>23</sup> К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. — VII в. н. э. М.—Л., 1959, с. 192.

ს. ერემიანის შეხედულებით კი სომხურ გეოგრაფიაში დამოწმებული „ჰონები“ შეადგენდნენ სხვაგვარად სავირობად წოდებულ ტომთა მსხვილ კავშირს, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა ხაზარებს, ხოლო მათი სამოსახლო ქვეყანა, ავტორის მითითებით, მდ. ავარიის ყოისუს რაიონში თავსდებოდა<sup>24</sup>.

ვითარების ასეთნაირ შეფასებასთან დაკავშირებით აუცილებელია განიზარტოს, რომ კავკასიის მთის რაიონებში მცხოვრები აბორიგენული ტომების (თუ ხალხების) გვერდით (ან მათ შორის) ჰონთა მოხსენიება ძალზე სუსტი არგუმენტია მაინცდამაინც კავკასიელ მთიელებად ან კავკასიური წარმოშობის ხალხად ჰონების წარმოდგენის სასარგებლოდ, ვინაიდან სომხური გეოგრაფიისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ხარვეზების (საქართველოს მთიანეთის მხარეების შეყვანა ე. წ. სარმატიაში, ქართველი ტომების მცდარი ნომინაცია ხალხებად და სხვ.) გათვალისწინება ძალაუვნებურად გვაეჭვებს აღნიშნულ ფაქტზე ნაჩქარევი დაყრდნობით შორსმიმავალი დასკვნების გაცემების მიზანშეწონილობაში. მაგრამ, რამდენადაც ჩვენს განკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზს ახლავს თან „ჰონთა“ სა-მოსახლო რაიონად დაღესტნის მთიანეთის მიჩნევის ცთუნებაც, ამჯერად გვერდს ვერ ავუვლით ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ჰუნთა ან ჰუნ-სავიროთა და კავკასიის (კერძოდ დაღესტნის) მთიანეთის მოსახლეობის ურთიერთმომართების საკითხსაც.

საქმე ისაა, რომ ჰუნების (უპირატესად კი „ჰუნ-სავიროთა“, „ჰუნ-სავართა“ ან „საბირის ჰუნთა“) დამკვიდრებამ ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე და მათი სრული ჰეგემონობის ხანამ (IV—VI სს.), როგორც ჩანს, გარკვეული კვალი დამჩნია ხსენებული რეგიონის ოროჰიდროტოპონიმიას და ადგილობრივ ეთნონიმიასაც. ამ თვალსაზრისით მეტად სიმპტომატურია იმავე დაღესტნის მიწა-წყალზე — ოდიტგანვე ავტოხტონური კავკასიური ეთნიკური ელემენტით დაკავებულ ტერიტორიაზე — არაერთი თურქული ძირის ჰიდრონიმის თუ ორონიმის ფიქსაცია (მაგ., ავარიის ყოისუ, ანდიის ყოისუ, ყარა-ყოისუ, ყაზი-ყუმუხის ყოისუ, ულუჩაი, სალთაუ, დიულთიდალი და ა. შ.); აგრეთვე ის საგულისხმო ფაქტი, რომ დაღესტნის ხალხები — ყუმუხები, დარგიელები და წახურები თავიანთ მეზობლად მცხოვრებ ხუნძებს (ამ ხალხის საკუთარი სახელწოდებაა „მაარულალ“ რაც ნიშნავს „მთიელს“) ტრადიციულად უწოდებენ ავ არ ლ ი-ს, ა ვ არ ლ ა ნ-ს ან ა ვ არ ბ ი-ს, რაშიც მკვლევარნი ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებში ხსენებული სავარ-ის (სავირ-ის ან საბირ-ის) ანარეკლს ხედავენ<sup>25</sup>. ამასთან, მეტად დამაფიქრებელია ქართველების მიერ ავარიის ყოისუს ხეობის მოსახლეობის აღსანიშნავად გამოყენებული ეთნონიმი

<sup>24</sup> С. Т. Еремян, Армения по Ашхарацуйцу, Опыт реконструкции карты на современной картографической основе, Ереван, 1963.

<sup>25</sup> Народы Кавказа, I, М., 1960, с. 440.

საყურადღებოა, რომ IX—XIII სს-ის არაბულ და ირანულ წერილობით წყაროებში სხე-ნებული „სეირის სამეფო“ და „სარირები“ (ან „სერირები“) ასევე დაღესტნის განსაზღვრულ ტერიტორიას და ადგილობრივ მოსახლეობას (ძირითადად კი მთიელებს) ფარავს (В. Ф. М. И-норский, დსახ. ნაშრომი, გვ. 44, 54, 190, 220, 221; ისთახრი, პოლუდ ალ-ალემი, ჰამ-დლალამ ყაზვინი, ვ. ფუტურჩისი გამოც., თბ., 1957, გვ. 25, 26; აკუთის ცნობები საქართვე-ლოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, გვ. 21, 62), რაც გვაძლევს უფლებას „სარირები“ (ან „სერირები“) სწორედ „სავირებთან“ შეფარდებულ ეთნონიმად წარმოვიდგინოთ.

ხუნძი (ან ლუნძი) და ხუნაგნი ან იმავე რაიონში და მომიჯნავე მხარეში (მდ. ყარა-ყოისუს ხეობაში) დამოწმებული ტოპონიმები — ხუნძახი, ხუნდაში და ლუნიბი, რომლებშიც შესაძლოა შემთხვევით არ იყოს გამოკვეთილი ხუნ ან ლუნ ელემენტები. არანაკლებ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სვანები ოსებს და ბალყარლებს ეძახიან სვჷჷარ-ს<sup>26</sup>, ადიღურ (ჩერქეზულ) ტოპონიმიში დაცული გვაქვს ორონიმი Сынры кыушьхе (ე. ი. „საბირების მთა“)<sup>27</sup>, ხოლო თანამედროვე ჩრდილო ოსეთისა და დაღესტნის ასსრ-ის ტერიტორიაზე დგინდება ტოპონიმების Сапыры ком-ის და Сафири ком-ის (ე. ი. „საბირების ან საფირების ხეობა“)<sup>28</sup> და ჰიდრონიმების სავარის წყალისა<sup>29</sup> და სიმბირის ხევის (ან სთიბირის ხევის) არსებობა. არაა გამორიცხული, რომ დამოწმებულ სახელწოდებებში სწორედ ჩვენთვის ნაცნობი უძველესი ეთნონიმი სავარი (სავირი, ან საბირი) ექვემდებარებოდეს ამოცნობას, რაზეც თავის დროზე უკვე იქნა მინიშნებული ზოგიერთ გამოკვლევაში<sup>30</sup>.

თუკი ასეთნაირ მიგნებებს რამდენადმე სარწმუნოდ ჩავთვლით და ამავე დროს მხედველობაში მივიღებთ იმ დეტალს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში სავირები (სავარები//საბირები) ჰუნურ-თურქული ეთნიკური მასივის შემადგენელ კომპონენტად (ან ჰუნთა კონფედერაციაში შესულ და დროთა განმავლობაში ჰუნთა მიერ ასიმილირებულ უგორულ ან ირანულ ტომად) არის მიჩნეული<sup>31</sup>, ხოლო მათი განსახლების ტერიტორია წერილობითი წყაროების ჩვენებით დარუბანდის კედლის ჩრდილოეთით ლოკალიზდება, ეთნონიმების სავირის (სავარის) და ავარის ფონეტიკური მსგავსების ფაქტი მხოლოდ დაღესტნის მთიანეთის ცალკეულ რაიონებში ჰუნ-სავირთა შეღწევის და ადგილობრივ ავტოხტონურ მოსახლეობასთან მათი ვათქვეფით შეიძლება აიხსნას. არადა, დაღესტნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ნამდვილად არაა

<sup>26</sup> „ქართული ხალხური პოეზია“, II, თბ., 1975, გვ. 132—134, 135, 138 А. И. Робакидзе, Р. Л. Харадзе. К вопросу о сванско-балкарских этнокультурных взаимоотношениях, сб. „О происхождении балкарцев и карачаевцев“, Нальчик, 1960 с. 136; Н. Г. Волкова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 109.

<sup>27</sup> Дж. Н. Кокоев, *Адыгская (Черкесская) топонимика*, Нальчик, 1974, с. 257.

<sup>28</sup> А. Д. Чагаева, *Топонимий Северной Осетии*, I. Орджоникидзе, 1971, с. 188.

<sup>29</sup> ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 38.

ვალ. ითონიშვილის განმარტებით, სოფ. ლარსის ქვემოთ დამოწმებული სახელწოდება „სავარის წყალი“ მთბრბელთა ცნობით იშიფრება როგორც „საზღვრის წყალი“, „...მათი მითითების თანახმად, ძველად აქ (სანიბის ხეთან, დღევანდელი ჩიბის ახლოს) გადიოდა საქართველო-ოსეთის საზღვარი და წყლის სახელწოდებაც ამითი აიხსნებოდა“ (იქვე, გვ. 147). ჩვენი აზრით, „სავარის წყლის“ წარმომავლობის ამგვარი ახსნაც სავსებით ლოგიკურია და არაა სავალდებულო ამჯერად „სავირი“ უსათუოდ „სავირთან“ დავაჯავშროთ. რასაც მხოლოდ წინასწარი ვარაუდის დონეზე ვთავაზობთ მკითხველს.

<sup>30</sup> Н. Г. Волкова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 109; მისივე, *Из Кавказской этнонимии, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“*, XXII (ხელუტობი), თბ., 1985, გვ. 106—107.

<sup>31</sup> М. И. Артамонов, *История хазар*, с. 66; Н. Г. Волкова, *Из Кавказской этнонимии*, с. 106; *История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в.*, М., 1988, с. 93—97.

უცხო ამ რიგის ეთნოტრანსფორმაციული პროცესები, რაც საკმაოდ თვალნათლივ შეინიშნება თუნდაც ყუმუხების ერთ კონკრეტულ მაგალითზე<sup>32</sup>.

მეშასადამე, ანგარიშგასაწევია ის ფერსიაც, რომ ჰუნ-სავირებს (ან ჰუნ-სავარებს) შესაძლოა, მართლაც, შეეღწიათ დაღესტნის მთიანეთში (კერძოდ კი ავარიისა და ანდიის ყოისუს ხეობებში) და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შემდეგ ყოფილი ბარელი მომთაბარეები კანონზომიერად ჩართულიყვნენ ახალი პოლიეთნიკური მასივის ფორმირების პროცესში. მაგრამ მოვლენათა ამნაირი მსვლელობის დაშვება სრულებითაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ აღნიშნული რეგიონი უსათუოდ „ჰონთა ქვეყანასთან“ ვავაიგივოთ, ხოლო დაღესტნის მთებში შესული და იქ დამკვიდრებული ჰონები (ან ჰუნები) მაინცდამაინც კავკასიური წარმოშობის ხალხად (ძირითადად კი დაღესტნელთა წინაპრებად) ვივულოთ, როგორც ამას ზემოხსენებული ავტორები თვლიდნენ მიზანშეწონილად. ვფიქრობთ, ამგვარი ნაჩქარევი დასკვნის ნაცვლად ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა არსებითი სხვაობის დანახვის ცდა, ერთი მხრივ, ცნება „ჰონთა ქვეყანასა“, ხოლო, მეორე მხრივ, ცნება „ჰონთა საბრძანებელს“ შორის, რომელთაგან პირველს უთუოდ „ჰონების“ კომპაქტური განსახლების რეგიონი (ძირითადად დერბენტის გადღმა მდებარე კასპიისპირა დაბლობები) უნდა შეეფარდებოდეს, მაშინ, როდესაც „ჰონთა საბრძანებელი“ შედარებით უფრო ფართო შინაარსობრივი დატვირთვით, უნდა ფარავდეს როგორც საკუთრივ ჰუნებით, ისე სხვა ეთნიკური კომპონენტული დაკავებულ (//ჰუნთა სამხედრო კონფედერაციაში ავართიანებულ სხვადასხვა ტომთა სამოსახლო) ვრცელ მიწა-წყალს. ასეთი სხვაობის დანახვის შემთხვევაში კი, ცხადია აღარ ვაჭირდებოდა დაღესტნის მთიანეთის ხსენებული მონაკვეთის გაზრება სწორედ „ჰონთა საბრძანებლის“ შემადგენელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად, სადაც ადგილობრივ ავტოტონურ მოსახლეობასთან ერთად ჰუნ-სავირებიც ცხოვრობდნენ და არა კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო „ჰონთა ქვეყანად“, რომელიც უდავოდ ბარის რაიონებში, კასპიისპირა დაბლობებზე ლოკალიზდებოდა და თურქულენოვანი ტომების დისლოცირების უმთავრეს ოლქს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, საკვლევ საკითხებში მართებული ორიენტაციისათვის მთავარი იმის დადგენა, თუ სად მდებარეობდა „ჰონების“ (ან „ჰუნების“) ძირითადი სამოსახლო რაიონი და არა იმის გარკვევა, თუ „ჰონთა ქვეყნის“ ფარგლებს გარდა კიდევ სად ცხოვრობდნენ იგივე „ჰონები“.

ამრიგად, ძველ სომხურ წერილობით წყაროებში ხსენებული „ჰონთა ქვეყნის“ (Հոնք) ლოკალიზაცია მართოდენ დაღესტნის მთიანეთის ტერიტორიაზე და „ჰონების“ წარმოდგენა აღნიშნულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრებ დაღესტნელთა წინაპრებად სრულიად დაუშვებელია.

ცხადია, ყოველივე წინათქმულის ფონზე კიდევ უფრო გაუმართლებელია იგივე „ჰონთა ქვეყნის“ ფარგლებში ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანი მხარეების და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების — ხეესურეთის, ფშავის და თუშეთის შეყვანა, ხოლო ამ რაიონების უძველესი მოსახლეობის წარ-

<sup>32</sup> სპეციალურ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ყუმუხების ეთნოგენეზში მონაწილეობდა, ერთი მხრივ, ჩრდილო-აღმოსავლეთ დაღესტნის აბორიგენები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ რეგიონში გვიან შემოსული თურქულენოვანი (უპირატესად ყივჩაყური) მოსახლეობა.



მოსახვის ცდა მაინცდამაინც „ჰონებად“ სახელდებულ ვაინახებად (ან უფრო სწორად, ეთნონიმ „ჰონის“ ქვეშ ამოსაცნობ ვაინახთა წინაპრებად), რასაც მეტისმეტად არადამაჭერებელი არგუმენტაცია („ჰონთა საბრძანებლის“ დასავლეთი მიჯნის დარიალამდე გავრცელების ფაქტის ცალმხრივი გაგება, პირიქითი ხევესურეთის ტერიტორიაზე დამოწმებულ ტოპონიმ ხონესა და ჰონს შორის რაღაც კავშირის გამოძებნის ნაჩქარევი ცდა, ზანავს ჰონთა დასახლების შესახებ არსებული ცნობისათვის არაგვის ხეობის სათავეებში ჰონთა ცხოვრების მხარდამჭერი საბუთის ღირებულების მიჩვენება) უღევს საფუძვლად<sup>33</sup>.

ასეთნაირ დასაბუთებასთან დაკავშირებით აუცილებელია მოკლედ ვანიმარტოს, რომ, მართალია, ჰონთა საბრძანებელი ერთხანს ჩრდილოეთ კავკასიის ბარისა და მთისწინა მხრიდან ნამდვილად ებზინებოდა დარიალს (პროკოფი კესარიელის ცნობით, კი VI ს-ის დასაწყისში ჰუნებს აღნიშნული კლდეკარის ხელში ჩაგდებაც შეძლებიათ<sup>34</sup>). მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მომთაბარეთა სამფლობელოსთან საქართველოს ტერიტორიული დამეზობლების ეს უტყუარი ფაქტი თავისთავად არაფერს ამბობს ჰონთა საბრძანებლის (და მით უმეტეს „ჰონთა ქვეყნის“) ფარგლებში საქართველოს მთის მხარეების — ხევესურეთის, ფშავისა და თუშეთის შეყვანის სასარგებლოდ. ამ თვალსაზრისით მით უფრო არაფერს მოქმელია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცულ ცნობა ზანავს ჰონთა დაშენების შესახებ, რომელიც, მართლოდენ არაგვის ხეობის ბარის ზოლში (და არა ხევესურეთის, ფშავის თუ თუშეთის ტერიტორიაზე) ჰონთა (ან ჰუნთა) დასახლების დამამტკიცებელ საბუთად თუ გამოდგება. ხოლო რაც შეეხება მდ. ანლაქის ხეობაში (პირიქით ხევესურეთში) დამოწმებულ ტოპონიმ ხონეს (რომელიც კლაპროტმა Chona-ს ფორმით დააფიქსირა<sup>35</sup>, ნ. ვოლკოვამ კი ხონი-ს და ხონე-ს ფორმით შეიტანა თავის ნაშრომში<sup>36</sup>), ამ უკანასკნელს არაფერი აქვს საერთო ეთნონიმ „ჰონთან“, ისევე როგორც საკუთრივ ეთნონიმი „ჰონი“, თავის მხრივ, არავითარ სიახლოვეს არ ამჟღავნებს ვაინახურ ეთნიკურ გარემოსთან<sup>37</sup>.

მაშასადამე, ზემოთგანხილული მონაცემების ანალიზი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ძველ სომხურ და ქართულ წერილობით წყაროებში არაერთგზის ხსენებული „ჰონი“ უდავოდ თურქული მოდგმის ტომთა მისამართით გამოყენებულ ეთნონიმს წარმოადგენს, ხოლო „ჰონთა ქვეყანა“ დერბენტის

33 Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, с. 128—130.

34 „გეორგია“, ტ. II, გვ. 46—47.

35 Klapproth J., Beschreibung des östlichen Kaukasus..., „Bibliothek der neuesten und wichtigsten Reisebeschreibungen“. Bd. 50, Weimar, 1814, გვ. 72.

(იხ. აგრეთვე ი. კლაპროტის „მოგზაურობათა“ პირველ ტომში ჩართული რუკა).

36 Н. Г. Волкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—130.

37 სხვათა შორის „ხონესა“ და „ჰონს“ შორის რაღაც კავშირის ძებნა მიზანშეუწონელია თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნული სახელწოდებები ფონეტიკური თვალსაზრისითაც არ აელენენ ერთმანეთთან რამდენადმე თვალშისაცემ სიახლოვეს. მაგრამ თუკი თავს ძალას დავატანდით და მათ შორის მაინც დავინახავდით გარეგნულ მსგავსებას, მაშინ ხომ ძალაუბურად მოგვიწევდა ასეთივე მსგავსების ხაზგასმა, ერთი მხრივ „ჰონისა“, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამოწმებულ ისეთ ტოპონიმებს შორის, როგორებიცაა „ხონი“ (სოფელი იმერეთში), „ხონკორი“ (სოფ. რაჭაში, ამბროლაურის რ-ნში), „ხონა“ (სოფელი ქანეთში), „ხონა“ (ნასოფლარი მესხეთში) და სხვ., რაც თავისთავად ახალი სერიოზული გაუგებრობის წყაროდ იქცეოდა.



ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალზე, უპირატესად კი თანამედროვე და-  
ლესტნის კასპიისპირა დაბლობებზე ლოკალიზებული ისტორიულ-გეოგრაფი-  
ული რეგიონის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად გვევლინება. მართლა,  
იმავე ეთნონიმს მთელ რიგ შემთხვევებში შედარებით უფრო ფართო  
შინაარსობრივი დატვირთვაც აქვს და ის ჩრდილოეთ კავკასიის ვრცელ ტერი-  
ტორიაზე დისლოცირებულ არათურქულენოვან ეთნიკურ მასივსაც ფარავს,  
მაგრამ ამგვარ მცდარ ნომინაციას შედეგად არ მოჰყოლია ჩრდ. კავკასიის მთის  
რეგიონების მოსახლეობის და განსაკუთრებით საქართველოს მთიანი მხარე-  
ების მკვიდრთა მოქცევა საკვლევი ეთნონიმის გავრცელების ტრადიციულ არე-  
ალში, რის კვალობაზე ყოვლად დაუშვებელია „ჰონების“ იდენტიფიკაციის ცდა  
კავკასიის ხალხთა (დალესტნელთა და ვაინახთა) წინაპრებთან და მით უმეტეს  
პონთა ქვეყანაში ხევსურეთის, ფშავის და თუშეთის შეყვანა მაინცდამაინც  
ვაინახთა წინაპრებით დასახლებულ რაიონებად ამ კუთხეების წარმოჩენის პი-  
რობით. ცხადია, ვითარების ასეთნაირი შეფასება ვერავითარ კრიტიკას ვერ  
უძლებს, რაც გვაიძულებს კიდევ ერთხელ შევნიშნოთ, რომ საქართველოს ეთ-  
ნონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების გაშუქებისას მკვლევართ  
გაცილებით უფრო მეტი სიფრთხილე მოეთხოვებათ.

В. В. ИТОНИШВИЛИ

## ИЗ ДРЕВНЕЙШЕЙ КАВКАЗСКОЙ ЭТНОНИМИИ

Резюме

В статье освещены отдельные неясные вопросы Кавказской этнонимии и исторической географии, в частности, этническая принадлежность «хонов» и местонахождение «страны хонов», известных еще из армянских письменных источников V—VII веков. На основе тщательного анализа историко-этнографических данных в труде показана неправомерность попыток некоторых исследователей осмыслить «хонов» народом кавказского происхождения, поспешно идентифицируя их с предками вайнахов и дагестанцев, или же путем совершенно необоснованного включения отдельных горных уголков Восточной Грузии (Хевсурети, Пшави, Тушети) в пределы «страны хонов» представить указанные районы древнейшими областями расселения хонов, т. е. предков вайнахов. Вопреки таким суждениям, в статье доказано, что под этнонимом «хон» (груз. ჰონი, арм. Հոն) как правило, скрываются появившиеся на Северном Кавказе и с IV века твердо здесь обосновавшиеся гунские племена (а иногда и разные племена тюркского или нетюркского происхождения в составе гунского союза племен на Северном Кавказе), тогда как «страна хонов» бесспорно локализуется севернее Дербендской стены и охватывает прикаспийские области современного Дагестана, где и была дислоцирована основная масса тюркоязычного неавтохтонного населения.

V. ITONISHVILI

 FROM ANCIENT CAUCASUS ETHNONYMY (ABOUT THE ETHNICAL  
 ATTRIBUTION AND LOCALIZATION OF „HONS“ AND  
 „HONS COUNTRY“)

## Summary

On the basis of analysis of historical materials and special scientific literature in article is made attempt to ascertain the ethnical physiognomy and real settling area of „Hons“, which had appeared in North Caucasus as a compact ethnical mass of nomads approximately in IV century.

Some investigators were trying to argue, that „Hons“, known still from ancient armenian and georgian writings, were the ethnical ancestors of Dagestan peoples or Vainachs, while the „Hons country“, also mentioned in underlined documents, covered the definite territories of Dagestan and Eastern Georgia (in particular Eastern Georgia mountain districts: Tusheti, Khevsureti, Pshavi).

In spite of such groundless judgements attracted in present article material rather obviously testifies, that above-mentioned „Hons“ were belonged to nomadic ethnical mass of turkic—tatar origin and in all probability they have been settled in highly ample region to the north of Daruband (present-day Derbent) from the enough ancient times (IV c.), which was named as „Hons country“.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ-ეტიოგრაფიისა და ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ.



ქართულ-ბულგარული ეთნოგრაფიული პარალელები I.

(ს უ მ ე ბ ი)

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეთნოგრაფიის სფეროში პრობლემატიკის გაფართოება და ცალკეულ ხალხთა ყოფისა და კულტურის ძირითადი საკითხების ჩაღრმავებული კვლევა წამოჭრის მათი შესწავლის აუცილებლობას როგორც დისციპლინათაშორის, ისე რეგიონთაშორის საფუძველზე. ეს გარემოება კი წინ წევს მნიშვნელოვან ამოცანას — მსგავსება-პარალელიზმის გამოვლენას სხვადასხვა ხალხის ყოფაში დამოწმებული მოვლენებისა და კულტურის ელემენტებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნას როგორც ურთიერთშედარების გზით, ისე მათი განვითარების დინამიკის, ურთიერთკავშირებისა და ურთიერთმოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით. ამგვარი კვლევის შედეგები მოემსახურება ზოგიერთი მათგანის წარმოშობის საფუძვლებისა და მიზეზების გარკვევას, მათი გავრცელებისა, ტრანსფორმაციისა თუ შემდგომი განვითარებისათვის თვალის გადევნებას. ეს კი მოგვეხმარება მათი რაციონალური საფუძვლების გამოვლენასა და თავდაპირველი მნიშვნელობისა თუ არსის დადგენაში, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კულტურის ზოგადი ისტორიის საკითხების კვლევასა და გადაწყვეტას.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მწარმებლური მეურნეობის წარმოშობა-განვითარების შესწავლას, რაც გულისხმობს და მოიცავს სამეურნეო და საზოგადოებრივ-სოციალური ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხების ეთნოგრაფიულ კვლევასაც. ამ მხრივ ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. იმაგდროულად, ქართველი საბჭოთა მეცნიერების (ი. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე) ადრეულსავე ნაშრომებში სათანადო ადგილი უკავია ჩვენი ეროვნული კულტურის ელემენტების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას ძველადმოსავლურ მასალათა გათვალისწინებითა და მათთან შედარება-შეპირისპირებით. ამ გაკვალულ გზას გაჰყვნენ მკვლევართა მომდევნო თაობებიც. მაგრამ კარგა ხნის მანძილზე ქართველთა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის ელემენტების პარალელიზმის შესწავლის საკითხი ჩვენში კვლევის ცალკე საგნად არ ქცეულა. ბოლო ათწლეულებში კი ამ სამუშაოს გეგმაზომიერი ზასიათი მიეცა\*. ამგვარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ძიებათა შედეგებს პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეუძლია თანამედროვეობისათვისაც. ამ თვალთახედვით განსაკუთრებით ფასოვანია კულტურის ელემენტების ფიქსა-

\* 1971 წლიდან ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშავდებოდა გვემით გათვალისწინებული თემები, რომლებიც ეხებოდა ქართველთა, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვის აუზის ხალხთა კულტურის ელემენტების პარალელების გამოვლენა-შესწავლას (ნ. ბრეგაძე, ს. გაბუნია).





ცია, ანალიზი და შედარებითი შესწავლა ცივილიზაციის ისეთ უძველეს სახეობებში, როგორცაა კავკასია და ბალკანეთი, რომელთა ფარგლებში სავსებო მნიშვნელობას იძენს მიწათმოქმედების ასევე უძველეს ცენტრებად მიჩნეული საქართველოსა და ბულგარეთის ტერიტორიებზე დამოწმებული ეთნოგრაფიული პარალელების გამოვლენა.

ბალკანურ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელების შესწავლის აუცილებლობის საკითხი წამოჭრა პოლონელმა ეთნოგრაფმა კ. მოზინსკიმ (1932 წ.). მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება ბალკანეთისა და კავკასიის წეს-ჩვეულებებს შორის პარალელებს და დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მათ ამ ორ რეგიონს შორის კულტურულ-ისტორიული კავშირების ახსნის საქმეში. აღნიშნულსავე პრობლემას ეხებიან თავიანთ ნაშრომებში ბიპანი (1936 წ.), გავაცი (1936 წ.) და კულეშიჩი (1966 წ.). ხოლო პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ქართველ და ბულგარელ მეცნიერთა თანამშრომლობისა, რისკენაც ისწრაფოდნენ აკად. გ. ჩიტაია და პროფ. ხრ. ვაკარელსკი, გადადგმული იქნა 60-ან წლებში, რის შედეგადაც გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიაში ბულგარელი მეცნიერის, ტ. კოლევის სტატია საწეს-ჩვეულებო მასალებში ბალკანურ-კავკასიური პარალელების შესახებ (1971 წ.), ჩვენში კი — ტ. კოლევისა და თ. ჩიქოვანის ერთობლივი პოპულარული ნაშრომი ბულგარეთზე (1972 წ.). ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის საფუძველზე მიმდინარეობს უკვე კონკრეტულად ქართულ-ბულგარული ეთნოგრაფიული პარალელების შესწავლა<sup>1</sup>.

აქვე დავაზუსტოთ, რომ შესაძლებელია სადღეისოდ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ ერთი რეგიონის მასალა წაშლილ-მინავლული, ძნელადღა ამოსაკითხი, თითქმის ამოუცნობიკ კი იყოს, ამიტომ მეორე რეგიონის ყოფილი კულტურის მონაცემებთან მისი შედარებითი შესწავლის დროს ზოგჯერ არა თუ სრულ ანალოგიასთან არ გვექნება საქმე, არამედ ერთი შეხედვით შეუსაბამოც კი გამოჩნდება მათი ერთ ჭრილში წარმოდგენა. მაგრამ მაინც ამ მონაცემების ურთიერთშეჯერებთან და ფაქტორთა რიგის გათვალისწინებით, ზოგჯერ დასაშვებია ჩანს მასალის ჩაღრმავებული, ლოგიკური ანალიზის შედეგად გარკვეული, არცთუ უმართებულო (თუნდაც ჰიპოთეზური) სურათის წარმოჩენა-დადგენა, რამაც შესაძლებელია ნათელი მოჰფინოს საკვლევი საკითხის რომელსამე (ლოკალური თუ ზოგადი მნიშვნელობის მქონე) მხარეს.

ფართოა ამგვარად განსახილველ საკითხთა სფერო. მათ შორისაა ხალხური ავტარული კალენდარი, მასთან დაკავშირებული უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და ტრადიციული წეს-ჩვეულებები, რომლებიც კარგა ხანია

<sup>1</sup> ამ თანამშრომლობის შედეგად: ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ვ. ლაზაროვმა აკად. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით დამუშავდა და დაცვა საკანდიდატო დისერტაცია („მევენახეობა-მეღვინეობის ხალხური კულტურის ბულგარულ-ეთნოგრაფიული პარალელები“), გამოქვეყნდა 2 სტატია ბულგარეთის ეთნოგრაფიულან (Н. А. Б р е г а д з е, Кукерские маски. „Втори международен конгрес по българистика. Доклади, Етнография, С., 1987; მისივე, ბულგარული სიტყვის „კუკერ ეტნოლოგიისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. 137, № 1, 1990) და 2 რეცენზია (ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, „მაინე“, ისტ. სერია, № 1, 1985 და ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, „მეც“, ტ. XXIII, 1987) წიგნზე: В. М а р и н о в, Сарашкият занаят в България, С., 1982.

ეთნოგრაფების, კულტურის ისტორიკოსებისა და ფოლკლორისტების ყურადღების საგნადაა ქცეული.

საწესჩვეულებო მასალამ, რომელიც ხასიათდება შედარებით კონსერვატულობით, მდგრადობითა და ფორმათა ტრადიციულობით, ჩვენ დრომდეც კი შეინარჩუნა შორეული წარსულის რუდიმენტები, წარმართული ხანის ელემენტები და ამდენად გვეწვდის ასევე შედარებით უფრო ხელჩასაჭიდ მასალას ეთნოგრაფიული პარალელების გამოსავლინებლად და მათზე მსჯელობისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა ხალხურ კალენდარულ დღეობებთან დაკავშირებული რიტუალები, თანმზღები აქსესუარებითა და ტექსტუალური მასალათ. თავის მხრივ, ეს დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი, მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის დღიდან მოყოლებული, მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის აგრარულ ყოფასთან. რამდენადაც როგორც ქართველი, ისე ბულგარელი ხალხის ძირითადი საქმიანობა ოდითგანვე იყო სოფლის მეურნეობა, ამდენად მათი კალენდარული საწესჩვეულებო მასალაც ატარებს აშკარად გამოხატულ აგრარულ ხასიათს. ამ წეს-ჩვეულებებში აისახა ხალხის უძველესი წარმოდგენები ბუნების ძალებზე, აგრეთვე სურვილი და მცდელობა ჩააყენოს ეს ძალები თავის სამსახურში, გამოსთხოვოს მათ შემწეობა გამრავლება-ბარაქიანობა-სიუხვის ანუ ზოგადად ოჯახური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

ტრადიციული საწესჩვეულებო მასალა — ეს მეტად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყარო — ფასოვანია არა მარტო ხალხური აზროვნების ისტორიის, მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი ყოფის შესწავლის თვალთახედვით. შედარებით-ისტორიულ ასპექტში განხილული ეს მონაცემები უნდა მოემსახუროს სხვა ყოფითი შოვნების ახსნასაც, მწარმოებლური მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მატერიალური კულტურის ელემენტების წარმოშობა-განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, ეთნოგენეზის პრობლემის კვლევისა და სხვადასხვა ხალხს შორის ვენეტური თუ ეთნოკულტურული კავშირების გამოვლენა-დაზუსტებას.

ზემონახსენები მონაცემების შესწავლას აქვს მეორე მხარეც. პარალელების გამოვლენისა და მათი ურთიერთშედარებითი განხილვის საფუძველზე მიღებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას დრომოქმული ტრადიციებისადმი საღი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად, რისთვისაც აუცილებელია მათი რაობის ცოდნა, მათი მნიშვნელობისა და არსის სწორად ახსნა, მათი შეფასება არა ლიტონი სიტყვებით, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით.

გარდა ამისა, ხალხურ კალენდარულ დღეობებსა და მათ თანმზღებ წეს-ჩვეულებებს უკავშირდება ხალხური ხელოვნების ნიმუშთა რთული კომპლექსი. ესაა: სიმღერები, ცეკვა-როკვა-ფერხულები, თამაშობანი, დრამატული სცენები, სპორტული შეჯიბრებები და ა. შ., რასაც თავის მხრივ, ახლავს საინტერესო კოსტუმები, რეკვიზიტები და სხვა, რომლებიც ყველა ცალკეული დღეობისათვის ატარებს თავისებურ ხასიათს, თუმც კი შესაძლებელი ჩანს მათგან საერთო, მსგავსი ნიშნების გამოყოფაც. აი, სწორედ ამ ხალხურ გასართობთაგან და ტრადიციული დღეობების მხატვრული გაფორმებიდან შეგვიძლია სათანადო გადასამუშავების შემდეგ ბევრი რამ გამოვიყენოთ თანამედროვე მასობრივი დღესასწაულებისათვისაც, დავესესხოთ ჩვენს წინაპრებს მათი ჩვეულებებიდან ესთეტიკურ-სანახაობრივ მხარეს, იმ ელემენტებს, რომლებიც ეროვნულ თა-



ვისებურებებთან ერთად ინარჩუნებს მხატვრულ ღირებულებასაც და მზრდელიობითი ზემოქმედების ძალა.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად მიმდინარეობს აგრარული კალენდარული დღეობების თანამიმდევრული შედარებითი შესწავლა ქართული და ბულგარული მასალების ფონზე და მათში ეთნოგრაფიული ბარალელების გამოვლენა. ამ რიგის სამუშაოდან ამჟამად განიხილება დღესასწაულის სახალწლო ციკლთან დაკავშირებული მასალის ერთი ნიმუში.

აღმ. საქართველოს მთიანეთში ახალი წლის მეორე დღის სასელწოდებაა კუმეტი<sup>2</sup>//კუმეტობა<sup>3</sup>, სვანეთში კი — კუმზტ//კტიმზტ//კტიმტობ//კტიმტარ//კტიმტარე<sup>4</sup>. ლექსიკონში კუმეტი განმარტებულია როგორც „ძალიან ბნელი, ძალიან შავი, სიბნელე“<sup>5</sup>. ფშაური დიალექტით მისი მნიშვნელობაა კვიმატი, მარცხიანი<sup>6</sup>. კვიმატი კი ნიშნავს ავს, ბოროტს, უკულმართს, ბედითსა და ფათურაკიანს<sup>7</sup>. ასევე ძალიან ცუდს, მარცხიანს, მანკიანს უკულმართსა და კვიმატიანს შეესატყვისება ამ დღის სვანური სახელწოდების ზემომოტიანილი ვარიანტები<sup>8</sup>. რატომ შეერქვა ამ დღეს ასეთი სახელი? რა ახსნა შეიძლება შემოგვთავაზოს ამ მხრივ ეთნოგრაფიულმა მასალამ?

თუშეთში კუმეტი მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეა<sup>9</sup>. ფშავეში იგი უქმეა, რომელსაც მკაცრად იცავენ<sup>10</sup>. ხევსურეთში ამ დღეს მარხულობენ ადამიანისა და საქონლის უზარალოდ ყოფნისათვის<sup>11</sup>, იხსენიებენ მიცვალებულებს, ხალოცავს ეწვევიან ნიღბოსნის (ბერიკას) თანხლებით<sup>12</sup>. სვანეთში თუმც კი სამი დღეა კუმეტი — 2—4/1 (რომელთაგან საველე მასალაში აქცენტო ძირითადად 2/1-ზეა), იმავდროულად, ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ირკვევა, რომ წლის განმავლობაში 6 დღე ყოფილა კვიმატიანი, ოღონდ რომელი, ამის შესახებ ცნობა აღარ შემორჩენია ხალხის მეხსიერებას. რაც შეეხება 2/1-ს, იგი უქმე არაა, მაგრამ რადგანაც უკულმართ, ძალიან მარცხიან დღედა მიჩნეული, ამიტომ ცდილობენ არ იმუშაონ. ხალხის რწმენით, ეშმაკს შეშურება ადამიანისათვის ახალი წლის ბედნიერი დღეები და ისინი კვიმატიანად უქცევიან. ამიტომ ეშმაკის საწინააღმდეგოდ ახალი წლის მეორე დღეს დილიდანვე საღამომდე დგამენ ჭამით წყალს სახლის ქვედა სართულის სარკმელზე — ეშმაკი რომ შემოძვრეს, წყალში ჩავარდება და დაიხრჩობათ<sup>13</sup>. სხვა რამ ნიშანდობლივი, ხელშესახები მასალა, რომელიც ახსნის ამ დღის „სიშვესა“ და კვიმატიანო-

2 თუშეთში (დ. გ ი ო რ გ ა ძ ე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987, გვ. 66), ფშავესა (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავე, ტფ., 1934, გვ. 163 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. I, თბ., 1974) და ხევსურეთში (ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ლექსიკონი; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 217; ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი, თბ., 1988, გვ. 84).

3 მთიულეთში (ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ლექსიკონი).

4 ვ. ბ ა რ დ ა ე ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი, ტფ., 1939, გვ. 174—183.

5 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.

6 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ლექსიკონი.

7 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV.

8 ვ. ბ ა რ დ ა ე ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 178, 180—183, 186.

9 დ. გ ი ო რ გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

10 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავე, გვ. 163.

11 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 217.

12 ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

13 ვ. ბ ა რ დ ა ე ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 182, 180.

ბას, არა ჩანს. მაგრამ ქართულსავე სინამდვილეში აღნიშნულთან კავშირში იბყრობს ყურადღებას დღეობათა საგაზაფხულო ციკლში, დღემარხვის პირველი კვირის ორშაბათის სახელწოდება — შავი. ამ დღეს ანუ შავ ორშაბათს ადგილი აქვს ჩვენში გავრცელებული ბერიკაობა-ყეენობის ფინალურ თამაშობას. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ბერიკაობა საფუძველში საახალწლო დღეობა<sup>14</sup> და დავუმატებთ იმასაც, რომ ყეენობის ორშაბათს კუმეტობის დღესაც უწოდებენ, ბლაიხშტიანერის მიერ საკითხის დასმა ახალი წლის მეორე დღისა და შავი ორშაბათის ურთიერთკავშირში განხილვის შესახებ<sup>15</sup> საკვებით ლოგიკური გამონდება, მეორე მხრივ, შავი ორშაბათი კუდიანების დღედაა მიჩნეული<sup>16</sup>. ეს გარემოება მის სახელწოდებაშიც აისახა. ხომ ცნობილია, რომ თავად ავსულები სიშავეს უკავშირდებიან (მათი სინონიმა ბნელი ან შავბნელი ძალა), რაც დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები ასევე ავსულთა დღედ მიჩნეული დიდი ხუთშაბათის სევანური სახელწოდების — შიხარ//შიხრა ცვშ (შავი ხუთშაბათი) — მაგალითზე<sup>17</sup>. აქვე დავაზუსტოთ, რომ შავი ორშაბათიცა და შავი ხუთშაბათიც განეკუთვნება ხალხური კალენდრით სეზონთაშორის გარდამავალ ბუნებაში გარდამტეხ პერიოდს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ყურადღება მიიპყრო საქართველოში დამოწმებულმა ე. წ. ეშმაკეულისა და ავსულთა სხვა დღეებმაც, რომლებიც როგორც გაირკვა, ქართველთა ყოფაში მოქმედი ძველი კალენდარული სისტემების საახალწლო თარიღებთან (20/VII, 15/VIII, 1/IX) კავშირში განიხილება<sup>18</sup>.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის რწმენაც, მათ შორის ბულგარელებისაც, საახალწლო თარიღს (თანამედროვეს თუ ძველს, ოფიციალური თუ ხალხური კალენდრისას) ან კალენდარულ თუ სამეურნეო სეზონთაშორის გარდამავალ დღეებს, ბუნებაში გარდატეხის პერიოდს, ასევე უკავშირებს ავსულებისა და ბოროტ ძალთა გაძლიერებულ თარეშს<sup>19</sup>. და თუმცა მონაცემები ამ საკითხის

14 ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტ. სერია, № 1, 1980; მისივე, Очерки по агротнографии Грузии, Тб., 1982, с. 177—198.

15 ქ. რ უ ხ ა ძ ე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები, მსე, VII, გვ. 197.

16 ხეცურეთში ამ დღეს ურწყის ორშაბათი ეწოდება. ხალხის რწმენით, ურწყებს შეუძლიათ ზიანის მოტანა (აღ. ო ჩ ი ა ი უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 127—129).

17 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 108—110.

სლავები დიდ ხუთშაბათს საიქიოს უკავშირებენ (Л. Раденкович, Символика цвета в славянских заговорах. „Славинский и балканский фольклор“, М. 1989, с. 133).

18 ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ზოგიერთი ტრადიციული წეს-ჩვეულების შედარებითი შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1969.

19 Календарные обычаи и обряды в странах Зарубежной Европы (далее — КОИОСЗЕ). Знание праздники, М., 1973, с. 23, 24, 29, 34, 35, 62, 63, 76, 81, 82, 104, 115, 130, 136, 137, 153, 154, 158, 170, 175, 181, 189, 192, 195, 135, 152., 168, 276, 284, 290, 312, 321, 322, 331; КОИОСЗЕ, Весенние праздники, М., 1977, с. 26, 43, 44, 55, 115, 116, 118, 120, 127, 128, 140, 141, 152, 155, 156, 166, 172, 180, 197, 208, 211, 228, 233, 234, 241, 255, 266, 284, 305, 306, 309; КОИОСЗЕ, Летне-осенние праздники, М., 1978, с. 12, 26, 70, 71, 98, 125—127, 129—131, 137, 138, 146, 160, 166, 175, 186, 192, 208, 245—248, 261, 275; КОИОСЗЕ, Исторические корни и развитие обычаев, М., 1983, с. 47, 48, 52, 94, 108, 125—128; Календарные обычаи и обряды народов Восточной Азии (далее — КОИОНВА). Новый год, М., 1985, с. 36, 39, 79, 94, 95, 162, 192, 210, 220—224; КОИОНВА, Годовой цикл, М., 1989, с. 70, 100—102, 149,



გარშემო ბევრგან საკმარისად იერნაცეალია, რის გამოც ხშირად ურთიერთგანსხვავებულ, სხვადასხვაგვარ გააზრებასთან (ზოგჯერ მოგვიანო ხანის მოვლენებთან) და, ამდენად, მათთან დაკავშირებულ ნაირგვარ წეს-ჩვეულებებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ავსულები უკავშირდებიან ახალი წლისა და გარდამავალი პერიოდის დღეებს, რაც ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ დღეობათა საახალწლო ციკლში ოდითგანვე გარკვეული ადგილი ეთმობოდა შვებნელ ძალაზე თუ საიქიოსა და მიცვალებულზე წარმოდგენებსა და მათთან დაკავშირებულ დროის მონაკვეთს, რომელიც შესატყვისი სახელწოდებით — კუმეტი ანუ შავი — შემორჩა ქართველთა ყოფას. ეს მსჯელობა რომ უფრო სარწმუნო და მისაღები გახდეს, საჭიროა მოიძებნოს დამატებითი, ასევე სარწმუნო და ხელშესახები მასალა, რომელიც იმედროულად ახსნის კიდევ კუმეტის „სიშავის“ ანუ ავსულებთან და საიქიოსთან კავშირის, აგრეთვე საახალწლო ციკლში ამ დღის ჩართვის მიზეზსაც. ამ თვალთახედვით საგულისხმო ჩანს ასევე დღეობათა ზამთრის (შობა-ახალწლის) და გაზაფხულის (ყველიერის) ციკლებთან დაკავშირებული ბულგარული ეთნოგრაფიული მასალა.

ბულგარეთში ხალხური კალენდრის გარკვეულ მონაკვეთს, რომელიც მოიცავს შობა-ახალწლის სადღესასწაულო ციკლს, ე. წ. თორმეტდღიურს (25/XII—6/I), ჰქვია „მრსნია“ (мръсни) ანუ „პოგანი“ (погани) დღეება<sup>20</sup> (რაც ნიშნავს უწმინდურს, ამაზრზენს<sup>21</sup>. გამოდის, ეს სახელწოდებები ჩვენი კუმეტივით მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღეები, რომლებსაც ისინი შეესატყვისება, ასე ვთქვათ, წუნდებულია. აქვე დავაზუსტოთ, რომ პოგანის სახელით ცნობილი დროის მონაკვეთი, თავის მხრივ, იყოფა ნაწილებად, რომელთაგან განსაკუთრებით უწმინდურ, ყველაზე პოგან დღეებად ითვლება დრო შობიდან ახალ წლამდე — 25/XII-1/I.

ბულგარეთში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით ზამთრის ამ მონაკვეთში ლამ-ღამობით დაძრწიან ავი სულები: „სამოდივები“ (самодиви) ანუ ტყის ალები, „კარაკონჯოები“ (караконджоли) ანუ ვამპირები, რომლებიც წარმოშობით საიქიოს უკავშირდებიან. ესენია არაბუნებრივი სიკვდილით და უზი-

151, 158, 229—230; В. В. Соколова, Весенне-летние календарные обряды русских, украинцев и белорусов, М., 1979, с. 228, 231, 236, 240, 241, 243, 251, 253—255; Этнография на България, т. III, София, 1985, с. 102, 104; Р. Попов, Към характеристиката на българските народни вярвания, свързани с периодите на преход към зимата и пролетта, сб. «Этнографски проблеми на народната духовна култура», София, 1989, с. 54, 58, 62, 64, 67, 70, 71.

სამზრ. რუსეთის მოსახლეობის რწმენით, ავსულთა თარეში გრძელდება რამდენამე დღეს — იენობიდან ანუ კუნაღდან მოყოლებული პეტრე-პავლობის ჩათვლითა და საქუბობისაკენ (В. В. Соколова დასახ. ნაშრომი, გვ. 251, 253—255).

<sup>20</sup> П. Маджаров, «Погането» (погани дни) във вярванията и бита на Странджанските села, «Бълг. фолклор», № 4, 1984, с. 91; М. Василева, Народни празници и обичаи, «Этнография на България», т. III, с. 102; М. Габровски, Преходът между старата и новата година у българите, «Этнографски проблеми на народната духовна култура», с. 12; Р. Попов, დასახ. ნაშრ., გვ. 54 და სხვ.

დამოწმებულია ამ დღეთა სხვა სახელწოდებებიც — (дяволски, вампирисани და ა. შ.), აგრეთვე მათი ხანგრძლივობისა და თარიღების ლოკალური ვარიანტებიც: ზოგან ისინი იწყებდა 20/XII (ანუ ძველბულგარული ხალხური კალენდრის ახალ წელს) და ასევე ზოგან მთავრდება 1/I. (Р. Попов, დასახ. ნაშრ., გვ. 54).

<sup>21</sup> С. Б. Бернштейн, Болгарско-русский словарь, М., 1975.

რებლად გარდაცვლილთა — თვითმკვლეელთა, მოკლულთა და იმ მიცვალებულთა სულეები, რომელთა დაკრძალვისას დარღვეული იყო ტრადიციული წესები. ისინი მძლავრობენ უმთავრესად მზის ჩასვლიდან მამლის პირველ ყვივიამდე, ვნებენ პირუტყვსა და ადამიანს, განსაკუთრებით, ბავშვებსა და ფეხმძიმე ქალებს. მრსნი დღეებში ბოროტი ძალების წინაშე უძლურია ქრისტიანული ღვთაებაც, მაგიაცა და შელოცვებიც. ამიტომაც, თუმც კი ავსულთა საწინააღმდეგოდ არ სრულდება საგანგებო რამ რიტუალი, მაგრამ ადამიანის გონებამ მაინც გამოძებნა სხვადასხვა ხერხი მათგან თავდასაცავად. ამისათვის მიმართავენ ზოგიერთ სავალდებულო შეზღუდვასა და აკრძალვას. მაგალითად, ამ დღეებში, განსაკუთრებით შებინდებიდან, ერიდებიან სასაფლაოს, ჭაობების, ნასახლარების, მიტოვებული წისქვილებისა და ზოგიერთი სხვა ადგილისა თუ ყარაკონჯთა შესაძლებელი სამყოფელის სიახლოვეს გავლას, მგზავრობას, სტუმრად სიარულსა და შეყრილობა-გართობებს. ღამით გარეთ არ ტოვებენ არც სულიერსა და არც საოჯახო თუ სამეურნეო ნივთ-იარაღს. ცდილობენ სახლში ყველაფრის დროულად შეზიდვა-დაბინავებას. სახლს კი გარშემოავლებენ ავი ძაღლის დამთრგუნველად მიჩნეული სელისა და კანაფის თოკებს. იმედროულად, ქალები ფხიზლობენ მამლის პირველ ყვივიამდე, სელისა და კანაფის რთვაში ატარებენ დროს და ცეცხლს უკეთებენ ბუხარში, რათა საკვამლე მილიდან არ ჩამოძვრეს უწმინდური. ამავე დღეებში სხეულზე ატარებენ ასევე აპოტროპულ მნიშვნელობისად მიჩნეულ ნიორს. ავბედობისა და სიკვდილის თავიდან ასაცილებლად იკრძალება მატყლის რთვა, შალის ქსოვა, რეცხვა, ბანაობა (ბავშვის დაბანისას წყალში აგდებენ ნაკვერცხალს), ბოსლის გაწმენდა, ნაგვისა და კერიდან ნაერის გატანა, აგრეთვე რაიმეს გასესხება-განათხოვრება, ნათლობა და ჯვრისწერა, ცოლ-ქმრული ურთიერთობა (ბავშვი რომ მახინჯი არ დაიბადოს). თუ ოჯახში მიცვალებულია, მის ქელეს ისღიან მეოცე ან მეორმოცე დღეს; არ იცავენ ქრისტიანული წესით დადგენილ ოთხშაბათისა და პარაკევის სავალდებულო მარხვას და ა. შ.<sup>22</sup>

ავსულთათა დაცვისა და მათი განდევნის უნარი მიეწერება სახალწლო საკარნავალო თამაშობებსა და წეს-ჩვეულებებს. ამ თამაშობათა მონაწილენი და რიტუალთა შემსრულებლები — საწესო ჭკუფის წვერები — ამ დღეებში იზოლირებულად, ქრისტიანული გარემოდან გამოსულებად განიხილებიან. მათ ეკრძალებათ ქრისტიანული სახელების ხსენება, პირჯვრის წერა, ეკლესიაში შესვლა. ნათლიება დღეს განბანვის შემდეგ ისინი უბრუნდებიან საზოგადოებას და კვლავ მისი სრულუფლებიანი წვერები ხდებიან<sup>23</sup>.

<sup>22</sup> М. Арнаудов. Български народни празници, С., 1943, с. 37—38; Хр. Вакрелски, Българските празнични обичаи, С., 1943, с. 129—130; Р. Дражева, Календарни празници и обичаи, «Пирински край», с. 1980, с. 431; П. Маджаров, дасახ. ნაშრ.; М. Габровски, дасახ. ნაშრ.; მისივე, Маскирането в българските новогодишни обичаи, „Българска етнография“, № 3, 1980; Ив. Георгиева, Мирогледът на българския народ от средата на XIX до началото на XX в., „Етнография на България“, т. III, с. 50—52, 54, 55; М. Василева, дасახ. ნაშრ., გვ. 102—104; მისივე, Календарни празници и обичаи, „Капанци“, С., 1985, с. 208—209; Ж. Стаменова, Календарни празници и обичаи, „Пловдивски край“, С., 1986, с. 255; Р. Попов, дасახ. ნაშრ., გვ. 54—57.

<sup>23</sup> М. Габровски, дасახ. ნაშრომები; მისივე, Единството на група новогодишни обичаи у българите, „Български фолклор“, № 3, 1983, с. 43, 44; М. Василева, Народни празници и обичаи, с. 104.

რაზე მიტყველებს ზემომოტიანილი ბულგარული მასალა? რას იძლევა იგი ე. წ. მრსნი ანუ პოვან დღეთა არსის გასარკვევად? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე განვიხილოთ ამ დღეთა წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ ბულგარულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები.

ცნობილია მრსნი დღეთა მნიშვნელობის ახსნის ცდა ქრისტიანობის პოზიციიდან, რომლის მიხედვით ეს დღეები იწყება ღვთისმშობლის სამშობიარო ტკივილებით და მთავრდება ნათლილებით, შობას მოვლენილი იესოს მონათვლით. ე. ი. შობა-ნათლილებას შორის დრო ის დღეებია, როცა ქრისტე მონათლავი იყო<sup>24</sup>. ამდენად, მათი უწმინდურად მიჩნევა თითქოს ბუნებრივი ჩანს. მრსნი დღეების ამგვარმა გააზრებამ ასახვა პოვა ზოგიერთ რევიონში გავრცელებულ მათ სახელწოდებაში — „უნათლავი დღეები“ (некръстени дни)<sup>25</sup>. მაგრამ თუ ვაგინსენებთ, რომ ქრისტე მონათლა არა ჩვილი, არამედ ასაკოვანი, ცხადი გახდება ამგვარი განმარტების უსაფუძვლობა. აღნიშნულთან კავშირში საყურადღებოა შემდეგი მონაცემები. ემყარება რა კოლედართა (მეალილოეთა) სიმღერების მითოლოგიურ საფუძველს, ივ. დობრევი თვლის, რომ პოვანი დღეები შეესატყვისება სამყაროს ქაოტურ ხანას, როცა ხოთნური ძალების დროებითი ბატონობა ამარცხებს შემოქმედებით კეთილ საწყისს, რომელსაც სიმღერებში ხშირად ქრისტიანული პერსონაჟები განასახიერებენ<sup>26</sup>. ოღონდ ივ. დობრევისავე დაკვირვებით, ამ სიმღერებში მოხსენიებული ახალგაზრდა ღმერთი და ღვთისმშობელი არ არიან იდენტურნი ქრისტიანული პერსონაჟებისა, რის საფუძველზეც მ. გაბროვსკი ასკვნის, რომ კავშირი მრსნი დღეებსა და შობას შორის არ შეესაბამება ქრისტიანულ დოგმას<sup>27</sup>. აღნიშნულს დავუმატოთ ისიც, რომ ახალი გამოკვლევების მიხედვით ამ დღეთა ქრისტიანული გააზრების მიღმა იმალება ჰიეროგამიის მოტივთან დაკავშირებული ძველწარმართული წარმოდგენები, შემორჩენილი კოლედართა საწყისო სიმღერებში. სწორედ ძველისა და ახალი წლის ზღვარზე ადგილი აქვს ინცესტს ღვთისმშობელსა და მის ვაჟს შორის — დაბადებას, კვდომასა და ახალგაზრდა წარმართულ ღვთაებად გარდაქმნას. ივ. დობრევის ამ შეხედულების განხილვისას რ. პოპოვი აღნიშნავს, რომ ესაა მოტივი, რომელიც მითოლოგიური თვალთახედვით არსებითად ასახავს ცვლილებას: სიცოცილე-სიკვდილი-სიციცნლე. ამ მითოლოგიის ქრისტიანული შესატყვისობაა: დაბადება-დაბადების შემდგომი, „უწმინდური“ პერიოდი-ნათლობა, ანუ მეორედ დაბადება. ორსავე შემთხვევაში ბულგარელი ხალხის წარმოდგენებში ამ გარდამავალ პერიოდს უკავშირდება ზებუნებრივი დემონური ძალების გაჩენა<sup>28</sup>.

მ. გაბროვსკის დაკვირვებითაც მრსნი დღეები მოიცავს არა მარტო ქაოტურ მდგომარეობას, არამედ ახალი კოსმოსის დაბადებასაც ანუ არა მარტო

<sup>24</sup> П. Маджаров, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 95; М. Габровски, *Преходът между старата и новата година...*, с. 33; Р. Попов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 55.

სხვა ვერსიით, ამ დღეთა ავბედითობას საფუძვლად უდევს თავად მშობიარის, ვითაიკა უწმინდურის, შესახებ შეხედულება (Хр. Вакарелски, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 129).

<sup>25</sup> Р. Попов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 54; *Этнография на България*, т. III, с. 102.

<sup>26</sup> М. Габровски, *Единството на група новогоднишни обичаи...*, с. 43.

<sup>27</sup> М. Габровски, *Преходът между старата и новата година...*, с. 37.

<sup>28</sup> Р. Попов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 55.

დაცემას ბუნებასა და სოციუმში, არამედ მათ აღორძინება-განახლებასაც<sup>29</sup>. იმავედროულად მ. გაბროვსკიმ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მრსნი დღეებში, როცა ცოცხლებს შორის ჩნდებიან მიცვალებულთა სამყაროდან მომდინარე უწმინდური ძალები, კოლედარების დასტის წევრები არიან საახალწლო დღე-სასწაულის არქაული პერსონაჟები — ნიღბოსნები და ინიციაციისათვის შეშხადებულ ე. წ. ერგენებისაგან (ергени) ანუ სასიძოვებისაგან, საცოლედ მოყრილი ჭაბუკებისაგან შედგენილი საწესო ჯგუფების წარმომადგენლები<sup>30</sup>, რომლებსაც კავშირი აქვთ საიქიოსთან<sup>31</sup>. ბოროტ ძალებს არ შეუძლიათ აენონ კოლედართა ჯგუფების წევრებს. მეტიც, ამ საწესო კოლექტივების ერთი ფუნქციითაგანია ხალხის დაცვა საიქიოდან მომდინარე ცუდი გავლენისაგან. საახალწლო წეს-ჩვეულებათა შესრულებისას ვლინდება არა მარტო ბოროტი, არამედ მფარველი ძალების მოქმედებაც, რომელთა შეცნობა აუცილებელია სასურველი კეთილდღეობის მისაღწევად. ეს კეთილი ძალებიც საიქიოდან მომდინარეა და საახალწლო საწესო კოლექტივები ასევე არიან მათი თანამონაწილენი, გვევლინებიან რა გარკვეული თვალთახედვით მათ მეგზურებად. მ. გაბროვსკი ნიღბოსნების წარმომავლობასა და მათ ფუნქციებს საიქიოს უკავშირებს, რის მანიშნებლად მას მიაჩნია რიტუალის შესრულების ტრადიციული დრო — ღამე, როცა ავი სულები ბატონობენ. ამავე თვალთახედვით იგი გ. მიხაილოვსა და ტ. ჟივკოვის ნაშრომებზე დაყრდნობით განიხილავს საწესო პირთა რეკვიზიტსა და მათ მიერ ოქროსფერი ვარაყის გამოყენებას. თვლის, რომ ესაა ნიშანი საიქიოსთან მათი კავშირისა, საიქიოდან მათი წარმომავლობისა. მიცვალებულთა სამყაროსთან საწესო კოლექტივების კავშირის კიდევ ერთ დამადასტურებელ საბუთად იგი თვლის მათ მიერ შესასრულებელი რიტუალური სიმღერების შორეული წარსულიდან მომდინარეობას და ასკვნის, რომ კოლედართა გრძელი გზა საიქიოს გზაა. ამის საფუძველს მას აძლევს საწესო ქმედებათა ამსახველი დიდალი ფოლკლორული მასალის შეჯერების შედეგად ტ. ჟივკოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება კოლედარების საიქიოში ყოფნის შესახებ. მეორე მხრივ, იგი ემყარება იმავე ტ. ჟივკოვისა და სტ. გენჩევის გამოკვლევებს, საიდანაც ჩანს, რომ კოლედარების ფუნქცია მთავრდება საზეიმოდ გაწყობილი ტრაპეზით, რომელიც მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ ხასიათს ატარებს, ყოველივე ამის გათვალისწინებით მ. გაბროვსკი თვლის, რომ ამ კოლექტივისათვის დამახასიათებელი ნიღბების წარმოშობა უნდა აიხსნას საიქიოზე შეხედულებების საფუძველზე, რომ ზოომორფული ნიღბები მოწმობაა წინაპართა სამყოფელსა ანუ საიქიოსა და ნიღბოსანთა შორის კავშირისა და რომ ბულგარული მასალა არ იძლევა აგარარული კულტის საფუძველზე რიტუალური ნიღბების წარმოშობის ახსნის საშუალებას<sup>32</sup>. მ. გაბროვსკისავე აზრით, მშებულობასთან დაკავშირებულ, ბუნებაში რვეულარულ განმეორებათა ზღვრად მიჩნეული მრსნი დღეებისათვის დამახასია-

<sup>29</sup> М. Габровски, Преходът между старата и новата година..., с. 33.

<sup>30</sup> მ. გაბროვსკის აზრით, მრსნი დღეებში ქალის დაძლევის იდეა უკავშირდება ორ მეტნაკლებად დამოუკიდებელ სფეროს — კოსმოგონიურ მითსა და გეაროვნულ საინიციაციო ინტრეტს (ხი. М. Габровски, Преходът между старата и новата година..., с. 33). რაც შეეხება დღეობათა საახალწლო ციკლთან ინიციაციის დაკავშირება-მასადაგებას, იგი კვლევის ცალკე საგანია, რასაც ამჯერად არ შევეხები.

<sup>31</sup> М. Габровски, Маскирането..., с. 45; მისივე, Преходът..., с. 25—27.

<sup>32</sup> М. Габровски, Маскирането..., с. 47.



თებელ ციკლურ განმეორებას ხალხის ტრადიციული აზროვნება უკავშირებს სიახლისაყენ მორიგ შემობრუნებას არა მხოლოდ ბუნებაში, არამედ სოციალურ გარემოსა და შრომით საქმიანობაშიც<sup>33</sup>.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს თუ დროთა განმავლობაში როგორ შეიძლება იქნას ვადაზრებული ესა თუ ის ხალხური წეს-ჩვეულება, ტრადიციული რიტუალები, თუ როგორ შეიძლება ისინი შეეფარდ-შეეგუოს, მიესადაგოს ამა თუ იმ ეპოქის აზროვნებასა და რელიგიურ წარმოდგენებს. რაც შეეხება ათასწლეულთა სიღრმეში ჩასახულ ამ ტრადიციულ ქმედებათა წარმოშობის საფუძველსა და მიზეზს, აგრეთვე ახალ დანაშრევთაგან დაფარულ-მიჩქმალულ მათ თავდაპირველ მნიშვნელობას, ისინი დავიწყებას მისცემია. ხოლო მათ ამოსაცნობად და გამოსავლინებლად საჭიროა, პირველ რიგში, იმის ახსნა თუ რას წარმოადგენს ეს მრსნი დღეები, საიდან მომდინარეა და რატომ უკავშირდება ისინი როგორც საიქიოზე წარმოდგენებს, ისე დღეობათა საახალწლო ციკლს. ამისათვის კი აუცილებელია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, კომპლექსური კვლევა, რეგიონთაშორისი მონაცემების შედარებითი განხილვა.

თუ მრსნი დღეებს ჩვენებურ კუმეტთან მიმართებაში განვიხილავთ, ერთი შეხედვით, საყურადღებო გამოჩნდება ის ფაქტი, რომ ეს დღეები ემთხვევა წლის მართლაც ყველაზე ბნელ დროს — გრძელი ღამეებისა და, შესატყვისად, მოკლე დღეების პერიოდს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ფაქტი მარტივად ხსნის მრსნი ანუ კუმეტ დღეთა წარმოშობის რაციონალურ საფუძველსა და მათი სახელწოდების მნიშვნელობას (თუმც ამგვარი ახსნა უფრო სარწმუნო გამოჩნდებოდა თუ მრსნი დღეების ყველაზე ძლიერი პერიოდი დაემთხვეოდა დროს 22/XII-მდე). მაგრამ აუხსნელი რჩება ხალხში შემორჩენილი რწმენა საიქიოსთან და მიცვალებულის კულტთან ამ დღეების კავშირის შესახებ. პასუხის გასაცემად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საქმე გვაქვს ბუნების მნიშვნელოვან მოვლენასთან — ზამთრის ნაბუნობასთან, როცა იწყება მზის საგაზაფხულოდ შემობრუნება ანუ ზამთრის კვდომა (აქედან, ალბათ, საიქიოსთან კავშირიც), რაც თითქოს სავსებით კანონზომიერად აისახა კუმეტ დღეებში. სწორედ ასეთსავე ახსნას იძლევა მ. გაბროვსკიც, როცა მიუთითებს, რომ მკაცრი ზამთარი, გრძელი ღამეები და მკვდარი ბუნება შეესატყვისება ხალხის წარმოდგენებს უწმინდურისა და საშიშის შესახებ<sup>34</sup>. იმავდროულად, იგი მრსნი დღეებს განიხილავს, როგორც ბუნებაში რეგულარულ განმეორებათა საზღვარს და აღნიშნავს, რომ მათი გადამწყვეტი მნიშვნელობა ციკლურობისათვის განისაზღვრება მზებუდობით, ბუნებაში განახლების დასაწყისით<sup>35</sup>. მისი აზრით, მრსნი დღეებსა და ზამთრის ნაბუნობას შორის მჭიდრო იდეური კავშირია. ქაოსის პერიოდში დროებით გაბატონებული ავი ძალების განდევნას მოყვება ბუნების ახალი აღორძინება<sup>36</sup>. მაგრამ ეს ალბათ მაშინ, თუ ჩავთვლით, რომ კუმეტი დღეები მხოლოდ იმ დროიდან მომდინარეა, როცა საახალწლო დღესასწაულმა ზამთრის სეზონში გადაინაცვლა. გამოდის მანამდე ამ დღეთა არსებობა უაზრო და მიუღებელი ჩანს ან სხვა რამ ახსნას მოითხოვს. ამისათვის კი გავიხსენოთ, რომ საახალწლო დღეობა თავის საფუძველში აგრარულია და საზოგადოების განვითარების ვარკვეულ საფეხურზე იგი ჩამოყალიბდა როგორც

<sup>33</sup> М. Габровски, Преходът между старата и новата година..., с. 29.

<sup>34</sup> იქვე, 83-31.

<sup>35</sup> იქვე, 83-29.

<sup>36</sup> М. Габровски, Единството на група новогодишни обичаи..., с. 43.

ვეგეტატიური ღვთაებისადმი მიძღვნილი 12-დღიანი საგაზაფხულო ღღესასწაული, რომლის მთავარი რიტუალები იყო კვდომა და აღორძინება<sup>37</sup>. ეს თითქმის ორკვირიანი ღღესასწაული მოიცავს ღვთაების კვდომის პერიოდსაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ჩვენამდე შემორჩენილი მრსნი ანუ კუმეტი ღღეები დაკავშირებულია უძველეს აგარარულ ღღეობაში ასახულ წარმოდგენებთან სიკვდილის შესახებ და, ამდენად, შეესატყვისება ღვთაების კვდომისა და აღორძინების შორის პერიოდს ანუ იგი სიკვდილისადმი მიძღვნილი რიტუალების ანარეკლია.

აღნიშნულის მოწმობად გამოდგება მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილ საგაზაფხულო ღღესასწაულთან — ქართულ ბერიკაობასთან და მის შესატყვის ბულგარულ კუკერობასთან — დაკავშირებული სხვა ეთნოგრაფიული მონაცემები. სახელდობრ, ზემოთ ვახსენეთ, რომ საქართველოში ბერიკაობის უკანასკნელი ღღე კუმეტობის ან შავი ორშაბათის სახელითაა ცნობილი. ამას დაეუმატოთ ის ფაქტიც, რომ ბულგარეთში ამ ორშაბათიდან მოყოლებული მთელ კვირას ეწოდება შავი (черна неделя)<sup>38</sup> ხოლო ამ კვირას ცალკეულ ღღეებს — ძაღლის ორშაბათი (песи, псы понеделник)<sup>39</sup> რქიანი ორშაბათი ან კუკერთა ღღე (рогач понеделник, кукуровден)<sup>40</sup> შავი, ცული ან მრუდე სამშაბათი (черен, лош, крив вторък), მრუდე, გიჟი ოთხშაბათი (крива, лудата сряда), ციბრუტი ხუთშაბათი (въртоглав четвъртък), მრუდე პარასკევი (крив петък)<sup>41</sup>. ამ ღღეთა წუნდებულობის აღმნიშვნელ სახელწოდებებს გარდა, მათი მსგავსება პოგან ანუ მრსნი ღღეებთან მქდაენდება სავალდებულო უქმობაშიც, ყოველგვარი საქმიანობის აკრძალვაში<sup>42</sup>. აღნიშნულს დაეუმატოთ, რომ ხალხის რწმენით, ყველიერში კუკერებიც (ბერაკა-ნიღბოსნები), საახალწლო საწესო კოლექტივების მსგავსად, დევნიდნენ ავსულებს<sup>43</sup>. ზემოთქმული კი უნდა იძლეოდეს საფუძველს კუმეტ ღღეთა წარმოშობა დაეუკავშიროთ ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის მოტივს, ამ შემთხვევაში მის კონკრეტულ გამოხატულებას მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაებებზე წარმოდგენების სახით. აქედან გამომდინარე, ეს ღღეები უნდა შეესატყვისებოდეს დროს, როცა ავსულთა მიერ მიტაცებული ღვთაება აღორძინებამდე საიქიოს უკუნეთშია, სადაც ებრძვის ბოროტ ძალებს. ამ შეხედულების ანარეკლად შემორჩენილმა მრსნი ღღეებმა დროთა განმავლობაში დაკარგა ამგვარი შინაარ-

<sup>37</sup> G. Contreau, La magie chez les Assyriens et les Babiloniens, Paris, 1947, p. 71—75; ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის.

<sup>38</sup> Етнография на България, т. III, с. 113.

გერმანიაში ყველიერის კვირის სახელწოდება ეშმაკთანაა დაკავშირებული (КОИОСЗЕ, Весенние праздники, с. 141).

<sup>39</sup> ამ ღღეს ზოგ რაიონში ბოროტ სულთაგან დასაცავად ავორავებენ და ცემენ ბობალზე დაკრულ ძაღლს (Етнография на България, т. III, с. 113; Пловдивски край, с. 262; Пирински край, с. 437).

<sup>40</sup> იმის გამო, რომ კუკერთა თამაშობებში მონაწილეობენ რქოსანი საქონლის ნიღბიანი პერსონაჟები (Етнография на България, т. III, с. 114).

<sup>41</sup> Етнография на България, т. III, с. 114; Пловдивски край, с. 262; Пирински край, с. 437; Капанци, с. 213.

<sup>42</sup> Етнография на България, т. III, с. 113, 114.

<sup>43</sup> Т. Колева, Болгары. КОИОСЗЕ, Весенние праздники, с. 279.

სი<sup>44</sup>. ზოგან გარემოების შესატყვისად, ახლებურად გაიაზრეს ისინი<sup>45</sup>. ზოგან შემცირდა მათი ოდენობა<sup>46</sup> და ა. შ. მაგრამ შემორჩა საიჭიოსთან მათი კავშირის მაუწყებელი ნიშნები, რომლის ფესვები კვდომა-ალორძინების შესახებ შეხედულუბებშია საძებნი, ოღონდ უკვე მომავლევ-ალორძინებად ღვთაებებზე ჩამოყალიბებულ და არა ზოგადად მიცვალებულის კულტზე არსებულ რწმენა-წარმოდგენებში. ეს ფაქტი კი იმავდროულად იძლევა ამ დღეებისათვის დამახასიათებელი საწესო ნიღბოსნობის აგრარული კულტის საფუძველზე ახსნის საშუალებას<sup>47</sup> რასაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უარყოფს მ. გაბროვსკი.

შევეცდები ჩემი ამ ვარაუდების შემაგრებას მრსნი დღეების შესახებ ბულგარული სამეცნიერო ლიტერატურიდან ზემომოტიანილი შეხედულებებითა და მონაცემებით, მეორე მხრივ — ამ უკანასკნელთა განმარტებას კუმეტ დღეთა ჩემეული ახსნის საფუძველზე. სახელდობრ გავიხსენოთ, რომ მრსნი დღეებში: არ იცავენ ქრისტიანული რელიგიით დაწესებულ ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვას; ქრისტიანული ლოცვებიცა და თვით ღვთაებაც უძღურია ავსულთა წინაშე; კოლედართა საწესო სიმღერებში ნახსენები ღვთაებაც და ღვთისმშობელიც არ შეესატყვისებიათ ქრისტიანულ პერსონაჟებს; თვით ამ სიმღერათა შემსრულებლებს, საწესო ჯგუფების მონაწილეებს, ეკრძალებათ ყოველივე ქრისტიანულთან კავშირი; ისინი ქრისტიანულ გარემოდან გამოსულებად იგულისხმებიან; კავშირი მრსნი დღეებსა და შობას შორის არ შეესაბამება ქრისტიანულ დოგმას და ამ დროს შესასრულებელ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა მიღმა იმალება წარმართული წარმოდგენები. ყოველივე აღნიშნული, თავად დროის ამ მონაკვეთის საკმაოდ მჭკრმეტველურ სახელწოდებასთან — „ბოგანი“ — ერთად, ნათლად მიუთითებს მრსნი დღეთა წარმართული დროიდან მომდინარეობაზე და, ამდენად, სწორედ წარმართულ ღვთაებასთან მათ კავშირზე. შესატყვისად, საწესო კოლექტივების რეკვიზიტში წარმოდგენილი ოქროს ვარაყიცი სიმბოლურად უნდა უკავშირდებოდეს და გამოხატავდეს იმ სხევისან ღვთაებას, რომელსაც ეძღვნება საახალწლო აგრარული დღესასწაული. იგი მინიშნებაა სწორედ ამ ღვთაებაზე და არა მიცვალებულთა სამყაროსა ანუ შავბნელ საიჭიოზე. ფერთა სიმბოლიკაც ზომ ამაზე მიტყველებს — ოქრო ზომ სინათლის, მზისა და ღვთაების სიმბოლოა<sup>48</sup>. იმავდროულად, საწესო კოლექ-

44 ამას ხელი შეუწყო საახალწლო დღესასწაულის ზამთრის სეზონში გადასაცვლებამ. რასაც მოჰყვა წლის ყველაზე ბნელ დღეებთან კავშირით მათი ახსნის ზემონახსენები (ცვ. 154) ცდა.

45 მაგალითად, ამ შიშისზარაინი, კუმეტი, შავბნელი დღეების დამთხვევამ შობის დღესასწაულთან, იმავდროულად მათი თავდაპირველი მნიშვნელობის დაიწყებამ, წარმოშვა საველესიო კალენდართან შეგუებისა და ქრისტიანობის პოზიციებიდან მათი მნიშვნელობის ახსნის ცდა (იხ. ზემოთ გვ. 152).

46 მაგალითად, საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ზემომოტიანილ სვანურ მასალას, მხოლოდ და ერთი დღეა კუმეტი. ამასთან, ამ დღის ქართულ სახელწოდებაში არადაა ასახული ბნელეთთან — საიჭიოსთან, მიცვალებულთა სამყაროსთან მისი კავშირი.

47 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ბერძენთა ნიღბები, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1984; Н. Б р е г а д з е, Кукерские маски, „Втори международен конгрес по българисника“. Доклади. Етнография, София, 1987.

48 В. Я. Пропп, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, с. 246, 271, 275; С. С. Аверинцев, Золото в системе символов ранневизантийской культуры. «Византия, Южные славяне и Др. Русь, Зап. Европа», М., 1973, с. 46, 48; Л. Раденкович, დასახ. ნაშრ., გვ. 139.



ტივების წევრები, მიუხედავად მრსნი დღეებისა, დაცულნი არიან და სხვებსაც იცავენ ავი ძალების მოქმედებისაგან, რაც უნდა მოწმობდეს იმას, რომ ისინი თავად განასახიერებენ ღვთიური ძალისა და კეთილი საწყისის მატარებელ, სწორედ მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულის პერსონაჟებს. ხოლო ბულგარულ მკვლევართა მიერ შენიშნულ-ნაჩვენები მათი კავშირი საიქიოსთან, ისევე როგორც თავად მრსნი დღეები, ღვთაების დროებითი სიკვდილის ანუ საიქიოში დროებითი ყოფნის გამომხატულებაა.

ღლეობათა შობა-სახალწლო ციკლთან დაკავშირებული მრსნი დღეები, როგორც ზემოთაც აღინიშნა ემთხვევა ბუნებასა და ადამიანის საქმიანობაში ციკლურ განმეორებათა ზღვარს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). სწორედ ასევე სეზონთაშორის დაკავშირებული რიტუალები<sup>49</sup>, რომლებიც დაედვა საფუძვლად კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლაზე და მომაკვდავ-აღორძინებად ღვთაებებზე წარმოდგენებს და, შესატყვისად, ძველშუამდინარულ 12-დღიან სახალწლო დღესასწაულს. სწორედ ამ დღესასწაულში პოულობს, ალბათ, ახსნას ის ფაქტიც, რომ საშობაო თარიღით დაწყებული ჩვენი სახალწლო ღლეობათა ციკლიც 12-დღიანია<sup>50</sup>. აღნიშნულის მოწმობა უნდა იყოს არა მარტო შობა-ახალწლის ციკლთან, არამედ სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა დროს გავრცელებული (ოფიციალური თუ ხალხური) კალენდრების წლის დასაწყისთან დაკავშირებული, ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ე. წ. თორმეტდღიურობაც<sup>51</sup>.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება ზოგადად ავსულთა ბატონობის დღეებს, მათ მისადაგებას სეზონთაშორის გარდამავალ პერიოდებთან. როგორც ზემოთ ითქვა, ბოროტ ძალთა თარეში ძირითადად ემთხვევა სხვადასხვა, ოფიციალური და ხალხური, კალენდრით წლის დასაწყისს, დრო-ჟამის წლიური ციკლის ზღვრულ, გარდამავალ თუ სამეურნეო სეზონთაშორის დღეებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გავისენოთ, რომ მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული საფუძველში სახალწლოა. მისი მთავარი რიტუალები, მათ შორის კვდომა-აღორძინებისა და ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის შესატყვისიც, მეორდება ხალხის ყოფაში დამოწმებული ყველა კალენდარული ჟამთაღრიცხვის დასაწყისში. ამიტომაც ბუნებრივია ზემოაღნიშნულ სეზონთაშორის დღეებთან ავსულთა დაკავ-

<sup>49</sup> ნ. ბ რ ე ა ძ ე, ბერეკობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 60—61.

<sup>50</sup> თუმც კი, ცხადია, რომ დრო-ჟამის სრბოლასთან ერთად ამ ძველადმოსავლურმა 12-დღიანმა სახალწლო დღესასწაულმა ვერ შემოინახა თავი საწყისი სახით. აღარ შემოგვრჩა ტრადიციულად დაწესებული, ღვთა მიხედვით თანამიმდევრული შესრულება უძველესი რიტუალებისა, რომელთაგან ნაწილი დღიკარგა, ნაწილმა განიცადა ცვლილებები ზოგჯერ დაწარბე-დანამატის სახითაც, რაც განპირობებული იყო ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის თავისებურებებით.

<sup>51</sup> მაგალითად, ფინელებთან წელიწადი იწყებოდა 28/X და სახალწლო წეს-ჩვეულებები სრულდებოდა 12 დღის განმავლობაში. შობა-ახალწლის ციკლის მსგავსად ასევე თორმეტდღიურად (двенадцатидневье) მოიხსენიება სამეცნიერო ლიტერატურაში ევროპის ხალხებში (ფართოდ გავრცელებული ივანობის ანუ მზის სახალხულო ნაბუნიაობას დღესასწაული

КОИОСЗЕ, Исторические корни..., а. 46—48, 108-110) რომელიც უძველესი კალენდარული ნისტემის სახალწლო თარიღია (С. И. Селешников, История календаря и хронологии, М., 1972, с. 44, 49; ნ. ბ რ ე ა ძ ე, ბერეკობის ისტორიის შესწავლისათვის,





შირება. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, თავისთავად ყველა ზემონახსენები დროის მონაკვეთი ბუნებაში გარდატეხის, მზისა და მთვარის მოძრაობის რომელიმე გარდამავალი თარიღის თანხვედრილია. ამგვარ ასტრონომიულ დღეებში კი ბუნებაში მოქმედი მაგნიტური ვილების მერყეობასა და აქტივიზაციას უნდა ჰქონდეს ადგილი, რაც ალბათ, შეუმჩნეველი არ დარჩენია ხალხს. მაგრამ მისთვის ძნელი ასახსნელი იყო ბუნების ამ მოვლენით გამოწვეული სათანადო სიტუაციების ნამდვილი მიზეზი, ამიტომაც მიაწერა ყოველივე ავსულთა თარეშ-მოქმედებას, რაც საფუძვლად უნდა დაედებოდა წარმოდგენებს შავხელ ძალებთან სეზონთაშორისი დღეების კავშირის შესახებ და რაც შემდგომში დაუკავშირდა მომაკვდავ-ალორძინებადი ღვთაების კულტს. მოგვიანებით კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, იულიანური კალენდრის შემოღების შემდეგ ე. წ. თორმეტდღიურში შემავალი კუმეტი ანუ მრსნი დღეები დაუკავშირდა ზამთრის სეზონს. ისინი კარგად მიესადაგა დეკემბრის მიწურულს — სეზონთაშორის გარდამავალ ჟამს, ზამთრის ნაბუნობის ყველაზე მოკლე დღეებისა და გრძელი ღამეების პერიოდს, რამაც შესაბამისი ასახვა პოვა კიდევ ბულგარელი ხალხის მითოლოგიურ აზროვნებაში.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნული მისაღებია, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით უკეთ შემონახული ბულგარული და თითქმის წაშლილი შესატყვისი ქართული ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთშეჯერება და ამის საფუძველზე მსჯელობა გვეხმარება შობა-ახალწლის ციკლის დღეობასთან დაკავშირებული საწესხვეულებო გადმონაშთის ახსნაში. კერძოდ, საშუალება გვეძლევა ადამიანის მიერ უძველესი დროიდანვე ბუნების მოვლენათა ციკლურობაზე დაკვირვების შედეგებისა და მათზე დამყარებული, წარმართული ხანიდან მომდინარე ძველადმოსავლური აგრარული დღესასწაულის ირგვლივ არსებული მონაცემების გათვალისწინებით გამოვავლინოთ დღეობათა გაზაფხულისა (ყველიერის) და ზამთრის (შობა-ახალწლის) თორმეტდღიან ციკლებში შემავალ კუმეტ დღეთა წარმოშობის საფუძველი და თავდაპირველი არსი.

Н. А. БРЕГАДЗЕ

## ГРУЗИНСКО-БОЛГАРСКИЕ ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ ПАРАЛЛЕЛИ. I

(«Кумети»)

Резюме

На современном этапе развития этнографической науки возникает необходимость не только междисциплинарных, но и межрегиональных исследований проблем, что со своей стороны ставит вопрос об изучении этнографических параллелей и их рассмотрении в сравнительном аспекте с учетом различных факторов, способствующих выявлению основ и причин возникновения, а также путей распространения, трансформации и дальнейшей эволюции ряда элементов культуры. Подобные историко-этнографические изыскания представляются особо важными на территории Грузии и Болгарии, т. е. в пределах таких древнейших очагов цивилизации, как Кавказ и Балканы.



Из ряда вопросов, входящих в сферу грузинско-болгарских этнографических параллелей, на сей раз рассматриваются зафиксированные у грузин в новогоднем и масленичном циклах праздников дни, именуемые «кумети» (букв.: черный, мрачный, зловещий, неудачный...), в связи с которыми привлекают внимание известные у болгар «погани» или «мръсни дни», имеющие место во время святок. Сравнительное изучение грузинских и болгарских этнографических материалов, относящихся к вышеупомянутым дням, дают возможность расшифровать, вскрыть их суть и смысл, показать, что существование этих дней объяснимо цикличностью природных явлений, легшей в основу представлений о смерти и воскрешении, связанных впоследствии с культом умирающего и воскресшего божества, в посвященном которому двенадцатидневном празднике, «кумети» («погани дни») были осмыслены как период, когда похищенное злыми силами божество до воскресения находилось в преисподне, в обители мертвых.

N. A. BREGADZE

GEORGIA-BULGARIAN ETHNOGRAPHICAL PARALLELS. I  
(„KUMET“ I)

Summary

Comparative study of ethnographical material related to the period of time called „Kumeti“ in Georgia and „pogani dni“ in Bulgaria allows to suggest that: 1) Its existence can be explained by a cyclic character of natural phenomena being the basis of the idea of death and revival reflected further in worship of the dying and reviving deity. 2) „Kumeti“ days taking place in the devoted to the deity festival cycle were interpreted as a period, when the deity stolen by the evil forces remained in nether world, the place of dead.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ავ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სფლიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

გაეო ხუციშვილი

ლაიოზ ტარდი და ქართველ-უნგრელთა ნათესაობის  
პრობლემა

დიდი ხანი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე (1990 წ. თებერვალი) უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს ისტორიის დარგში მეტად ნაყოფიერად მუშაობდა უნგრელი მწერალი და მეცნიერ-ისტორიკოსი, პროფესორი ლაიოზ ტარდი. ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მას და მის ნაშრომებს, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას ეძღვნება. ლ. ტარდის მოღვაწეობა შეფასებულია მრავალ წერალში, ხოლო „ცოტად თუ ბევრად მაინც თავმოყრილი ცნობები“ ქართველ მეცნიერებს მიაწოდა გ. შარაძემ ფურნ. „მნათობში“<sup>1</sup>. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ლაიოზ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა ჯერჯერობით ჯეროვნად შესწავლილი მაინც არ არის.

აკად. ალ. ბარამიძის აზრით, ლაიოზ ტარდი ერთ-ერთი პირველთაგანია ჩვენი დიდი ეროვნული კულტურის დამფასებელ და მოამაგე უცხოელ ავტორთა შორის<sup>2</sup>. ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინათ (მას შემდეგ უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა უნგრელი მეცნიერის ქართველოლოგიური ძიებანი), წიგნში „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“ ს. თურნავა წერდა: „ლაიოზ ტარდის მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობა რომ გავაშუქოთ, ამისათვის საჭიროა დაიწეროს მთელი წიგნი, მეცნიერი ამას იმსახურებს... უფრო გვიან, ალბათ სპეციალისტები გამოსცემენ ცალკე წიგნს დიდ მეგობარ მოღვაწეზე“<sup>3</sup>.

ლაიოზ ტარდისათვის საკმაოდ კარგად იყო ცნობილი უნგრულ ისტორიო-გრაფიაში არსებული თვალსაზრისი უნგრელ-ქართველთა ნათესაობის შესახებ. ჯერ კიდევ უნგრეთის მეფე მატიაშის ეპოქაში (1458—1490 წწ.), როგორც ეს ისტორიკოს იანოზ ტუროცის ქრონიკებიდანაც ირკვევა, გავრცელდა მოღური ჰიპოთეზა, რომელიც უნგრელებს და ქართველებს ერთი წარმოშობის ხალხებად მიიჩნევდა. ამაზე მეტყველებს აგრეთვე უნგრულ ჰუმანისტთა მიერ შემუშავებული ე. წ. „სკვითური თეორია“, რომლის მიხედვით უნგრელთა ერთ-ერთ პირველსაცხოვრებელ ადგილად კავკასია და კერძოდ, საქართველოა მიჩნეული.

სწორედ ამ საკითხს იკვლევდა ლ. ტარდი თავის ქართველოლოგიურ ნაშრომებში, რომლებშიც მდიდარ და მის მიერვე ახლადგამოვლენილ წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლა საქართველოთი დაინტერესებული მრავალი უნგრელი მეცნიერ-მოგზაურის მოღვაწეობა. ცნობილია, რომ იგი პრობლემის შესწავლისას დიდ სიფრთხილეს, დაკვირვებას და სიდინჯეს იჩინდა.

1 გ. შარაძე, ლაიოზ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა, „მნათობი“, 1980, № 12, გვ. 169—176.

2 ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, თბ., 1983, გვ. 351.

3 ს. თურნავა, საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978, გვ. 243.

რა თქმა უნდა, სავსებით ბუნებრივია, ლ. ტარდის დაინტერესება, უნგრელთა პირველსაცხოვრისის ძიებით კავკასიაში, რამეთუ პრობლემის ხანდაზმულობის მიუხედავად, ეს საკითხი დღემდე ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლულად არ მიაჩნდა ამ სფეროში მრავალი შრომის ავტორის და საყოველთაოდ ცნობილ ქართველოლოგს. იგი ამას საგანგებოდ უსვამს ხაზს თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წიგნში<sup>4</sup>. ლ. ტარდი არ იყო ერთადერთი თანამედროვე ისტორიკოსი-მეცნიერი ვინც ამ პრობლემებზე მუშაობდა. ამ პრობლემების შესწავლაში სამაგალითონი არიან ლაიოშ ლიგეტი, დიორდ დიერფი და სხვ. მაგრამ ლაიოშ ტარდს ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ჯერ ერთი, იმ უდიდესი როლის გამო, რომელიც მისმა ნაშრომებმა შეასრულა ევროპისათვის საქართველოს გაცნობის საქმეში და, მეორეც, იგი იყო ქართველოლოგი და უფრო კონკრეტულად იკვლევდა უნგრელი ხალხის ისტორიის ამ საინტერესო ნაწილს საქართველოსთან კავშირში.

გრძნობდა რა საკვლევი თემის აქტუალობას და, აგრეთვე, მასზე მუშაობის თანმტლებ სირთულეებს, ლაიოშ ტარდიმ პირადი შთაბეჭდილებები შეავსო მის წინამორბედ უნგრელ მეცნიერ-მოგზაურთა ჩანაწერებიდან. ზოგი მათგანი მისივე მცდელობით გამოვლინდა და სათანადო ადგილი დაეთმო მათ მონათხრობ ფაქტებს მის ნაშრომებში.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელზეც ახალგაზრდა უნგრელმა ქართველოლოგმა დაწერა თავისი პირველი გამოკვლევა იყო იანოშ ორლაი<sup>5</sup>.

ი. ორლაი, თავისი წინაპრების ძველი საცხოვრებელი ადგილის ძიების მიზნით, რამდენჯერმე ეწვია საქართველოს. იანოშ ორლაიმ, ბოლოს, უკვე განწმენილ, იაკშიჩ გერგეისთან ერთად იმოგზაურა კავკასიაში და მთელი თავისი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები აღწერა ლათინურ ენაზე წიგნში „ჩემი მოგზაურობის შესახებ 1815 წელს ხერსონში, ტაირისში, ამიერკავკასიის რესპუბლიკაში, მოზდოკში, ყიზლარში და აგრეთვე სხვა საქმეებზე“. ეს წიგნი არ დაბეჭდილა, ხოლო ხელნაწერების ნაწილი დაიკარგა. ლ. ტარდიმ ი. ორლაის შემორჩენილ ზოგიერთ წერილზე და თანამედროვეთა გადმოცემებზე დაყრდნობით აღწერა ი. ორლაის მოგზაურობა კავკასიის ქვეყნებში.

ლ. ტარდის აზრით, ი. ორლაის ჩანაწერებში საინტერესოდ და შესანიშნავად არის გადმოცემული მისი მოგზაურობის მიზანი და შთაბეჭდილებები. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „...ნამდვილად დიდი დანაშაულია, თუკი ვინმე არ დაინტერესდება და არ შეეცდება თავისი სამშობლოს წარსულს გაეცნოს, თუგინდ ეს დიდ სიძნელეებთან იყოს დაკავშირებული. როდესაც 1791 წელს ბალტიის ზღვის სანაპიროს გავლით პეტერბურგში ჩავედი, მაშინვე უნგრელების მონათესავე ხალხის ისტორიის შესწავლა დავიწყე. შემოვიარე ლაფლანდია, ფინეთი, კავკასია, ურალის მთიანი მხარე და საკუთარი თვალით ვნახე ძველი უნგრეთის კვალი. იმ მხარეში, რომელიც დონის, კავკასიის მთებსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს, დავათვალიერე უნგრული ქალაქების ნანგრევები“<sup>6</sup>.

<sup>4</sup> Tardy L., *Kaukázusi madyar tükör*, Bp., 1988, გვ. 31—40.

<sup>5</sup> Tardy L., *Orlay János, Communications ex Bibliothecal Hist.*, Med., Hung., 1959.

<sup>6</sup> ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 19—20.



შეუძლებელია, ცალკე არ დავასახელოთ დიორდ რადოსთან ერთად 1963 წელს გამოცემული წიგნი „იანოზ ბეშეს მოგზაურობა“<sup>7</sup>, რომელიც ეძღვნება უნგრელ მოგზაურთა ჩამოსვლას საქართველოში. იანოზ ბეშესადმი ინტერესი კი დამსახურებულია, რამდენადაც მან XIX საუკუნის დასაწყისში მრავალი საინტერესო ჩანაწერი დატოვა საქართველოს შესახებ. იგი ღრმა პატივისცემით წერს ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ: „ქართველები ნამდვილად ღირსი არიან, რომ მათ უფრო ახლო გაცნონ, დააფასონ მათი ცოდნა და გამოცდილება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელოვნებაში. ეს შრომისმოყვარე ხალხი შესანიშნავად ამუშავენს მიწას, დიდი სიყვარულით უვლის ვაზს და აყენებს საუცხოო ღვინოს“<sup>8</sup>.

იანოზ ბეშეს უნახავს უნგრელ წინაპართა კვალი დონისა და შავი ზღვისპირა მცხოვრებ კახაელებში. მისი ცნობით, ლეკებში ჯერ კიდევ ცოცხლობს ხსოვნა იმ უნგრელებისა, რომლებსაც კავკასიის მთებში უცხოვრიათ. ასეთივე პასუხი მიუღია მას მთის სხვა მცხოვრებთაგან. აქედან ჩანს, ასკენის ლაიოზ ტარდი, რომ კავკასიაში უნგრელებს კარგად იცნობდნენ<sup>9</sup>.

მომდევნო წლებში ლაიოზ ტარდი, კვლავ დიორდ რადოსთან თანამშრომლობით, აგრძელებს საქართველოში მყოფ უნგრელ მეცნიერ-მოგზაურთა სახელების გამოვლენას, მათი ჩანაწერების მოძიებას, დამუშავებას და ა. შ., მათ მიაკვლიეს სრულიად ახალ, საინტერესო და საყურადღებო მასალას. ამის საფუძველზე მათ გამოაქვეყნეს ერთობლივი სტატია „საქართველო უნგრელთათვის“<sup>10</sup>. ნაშრომში პირველადაა ერთად თავმოყრილი ცნობები იმ უნგრელთა ძველი საცხოვრებელი ადგილის ძიების მიზნით და მათზეც, ვინც შორეულ საქართველოში მოხვდა შემთხვევით, ანდა მივლინებით. ასეთები იყვნენ: იოჰან შილტბერგერი, პეტერ ბედიცი, მიჰაი ტურკოლი, იოჟეფ რენცი, იშტვან ნოგელი, იენო ზიჩი, ბელა პოშტი, დეჩი მორტი, ჩუდაკ ბერტალონი და სხვ.

1965 წელს ბუდაპეშტში დაიბეჭდა ლაიოზ ტარდის წიგნი „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (1968 წ. გამოიცა ქართულადაც). ნაშრომი მოცულობით პატარაა, რის გამოც ვერ ვხედავთ მასში ამ ფართო თემის მთლიანად გაშუქებას. იგი მოიცავს უნგრეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს და გვაწვდის ზოგიერთ ახალ ფაქტს მის შესახებ. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი უნგრელ მოგზაურთა ჩანაწერებს, რომლებშიც იგი ეხება საქართველოს ისტორიას, ბუნებას და, რაც მთავარია, მოცემული აქვს ქართველ-უნგრელთა ნათესაობის იდეის ამსახველი ცნობები. წიგნში მოყვანილია 1884—1902 წლებში 7-ჯერ საქართველოში ნამყოფი უნგრელი მოგზაურის დეჩი მორტის სიტყვები: „ნუთუ არ შეგხვედრიათ მთებს შორის უნგრელების მონათესავე ტომები ან გარკვეული ნაწილი თავის ეროვნებას ჩამოცილებული ხალისა და რამდენად ჩანს აქ ჩვენი წინაპრების კვალი?“<sup>11</sup>.

<sup>7</sup> Rodo Dy., Tardy L. Világjáró Besse Jénos, Bp., 1933.

<sup>8</sup> ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 22.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 22—23.

<sup>10</sup> Д. Радо, Л. Тарди, Грузия глазами венгров, сб. „Литературные взаимосвязи“, Тб., 1965, т. I, гв. 197—202.

<sup>11</sup> ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 25.



ლ. ტარდი მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე ერთგულად იკვლევდა დასახელებულ პრობლემას. იგი გზადაგზა, სხვადასხვა ასპექტით თუ მეთოდით ცდილობდა გადმოეცა საინტერესო მასალები ამ საკითხზე, რომელთა ცალ-ცალკე განხილვა შორს წაგვიყვანდა. ამისათვის შესანიშნავი „გამოსავალია“ დავასახელოთ მისი წიგნი „ძველი ჩანაწერები ჩვენს ქვეყანაზე“<sup>12</sup>, სადაც თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული შრომები უნგრელ მოგზაურთა კავკასიასა თუ საქართველოში ჩამოსვლის შესახებ და სხვა შინაარსის მასალები.

ლ. ტარდის აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარეობს, რომ უნგრელი მეცნიერ-მოგზაურების უმრავლესობა, თითქმის ყველა, ჩრდილო კავკასიაში ან საქართველოში მრავალ საერთოს პოულობდა უნგრელ და ქართველ ხალხებს შორის. ისინი ძირითადად საერთოს ხედავდნენ ამ ორი ერის ადამ-წესებში, ხელოვნების ზოგიერთ დარგში, გარეგნობასა, ენასა (განსაკუთრებით ოსურს) და სხვ. ზოგიერთი მათგანის ცნობით, უნგრული ქალაქების ნანგრევებიც კი არსებობდა თითქოს კავკასიაში.

საკითხისადმი სხვადასხვა კუთხით მიდგომა, ამ რთული პრობლემის ახსნის სურვილი ავტორთა უდავო დაკვირვებულობაზე მეტყველებს, მაგრამ ამ აღმოჩენებს უნგრელი მკვლევარებისათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია, ვინაიდან ვერ გამოავლინეს ის კეშმარიტი საბუთები, რომლებიც დაამტკიცებდნენ მათ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას. ასე, რომ ეს ჰიპოთეზა დღესაც ჰიპოთეზად რჩება.

ლაიოშ ტარდისა და მის თანამემამულე მკვლევართა მცდელობის შეფასებას შესანიშნავად მიესადაგება აკად. არნოლდ ჩიქობავას სიტყვები: „ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება. ჰიპოთეზა კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია თუ ამ კვლევა-ძიებამ მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გაარკვია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, თუ ახალი პერსპექტივა დასახა“<sup>13</sup>.

აღნიშნული ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს, ანუ შევებებით ლაიოშ ტარდის იმ ნაშრომებს, რომლებშიც ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს უნგრელი მეცნიერის არა მარტო ზემოდასახელებული პრობლემით დაინტერესება, არამედ მისი კვლევითი საქმიანობის ფართო დიაპაზონი, პირველწყაროების, ლიტერატურისა და უცხო ენათა შესანიშნავი ცოდნა, და რაც ყველაზე მთავარია, განსაკუთრებული მონდომება თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ქართველ-უნგრელთა ნათესაობის საკითხების შემდგომ შესწავლა-განვითარებაში.

უნგრელმა მკვლევარმა ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობის დროს გამოავლინა გრავანილი, რომელშიც მოთავსებულია XVI ს-ის I მეოთხედში უცნობი ავტორის მიერ ხელით დახატული და გაფერადებული მსოფლიო რუკა. მასზე საქართველო აღნიშნულია შავად და კასპიის ზღვებს შორის „კუმანიის თათრების“ სახელწოდებით. აქვეა ლათინური წარწერა „საქართველო ანუ ანტიკური უნგრეთი“. ლაიოშ ტარდის წინაშე ბუ-

<sup>12</sup> Tardy L., Régi hirünk a világban, Bp., 1979.

<sup>13</sup> ა. რ. ჩიქობავა, ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი..., კრებული: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, თბ., 1976, გვ. 187.



ნებრივად წამოიჭრა კითხვა: როგორ აეხსნა ეს ლაკონური ცნობა, ვინ იყო რუკის ავტორი და როგორ მოხვდა რუკაზე ასეთი მცდარი წარწერები?

მართალია, უნგრულ ისტორიოგრაფიაში (დიორდ დიორფი, ლასლო ბენდეფი, იოკეფ ტური) მიღებულია აზრი აღმოსავლეთიდან დასავლეთში უნგრელთა ტომების გადასახლების დროს ნაწილის კავკასიაში დარჩენის შესახებ, მაგრამ საკითხი მაინც გაურკვეველი რჩებოდა. ზემოაღნიშნული კითხვის საპასუხოდ ტარდის უნდა შეესწავლა ევროპაში შედგენილი საქართველოს ძველი რუკები, წერილობითი წყაროები, ლიტერატურა და ა. შ., რასაც შესაინიშნავად გაართვა თავი. მან აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა უნგრულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე<sup>14</sup>: ლ. ტარდის აზრით, რუკის ავტორი იყო ნიურნბერგის უნივერსიტეტის პროფესორი იოჰან შონერი (1477—1547), რომელიც, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა საკმაოდ გავრცელებულ ზებირ ვერსიას უნგრელების პირვანდელ სამშობლოდ საქართველოს მიჩნევის შესახებ და მხოლოდ ამის საფუძველზე გააკეთა ასეთი დაუჟვირვებელი, უსაფუძველი წარწერა რუკაზე.

ლ. ტარდიმ უნგრულ-კავკასიური პრობლემის კვლევისას, ჩვენი აზრით, აღმოაჩინა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, „ხელმოსაკიდი“ გარემოება. მან ყურადღება გაამახვილა XIII—XV სს-ში შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გადაწოლილი გენუისა და ვენეციის (პირველ რიგში კათა და ტანა) სავაჭრო კოლონიებში ტყვეთაყიდვის საკითხებზე, კერძოდ კი, ტყვეთა ეთნიკურ შემადგენლობაზე. საქმე ისაა, რომ ოქროს ურდოს მიერ დამორჩილებული ხალხები: ყივჩაღები, თათრები, რუსები, ჩერქეზები, ჯიქები, ალანები და ლეკები შეადგენდნენ ტყვეთა მთავარ კონტიგენტს (მათ შორის გვხვდება აფხაზიც და ქართველიც), რომელიც აქედან დასავლეთ ევროპაში გადაჰყავდათ<sup>15</sup>. უნგრელმა მკვლევარმა, დასახელებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლობის გვერდით გამოავლინა უნგრელი წარმოშობის ხალხიც და ამ თემას მიუძღვნა მონოგრაფია: „ტყვეებით ვაჭრობა თათართა ქვეყანაში და უნგრელები XIII—XV სს.“<sup>16</sup>. წიგნში საუბარია აგრეთვე, უნგრელ-თათართა პოლიტიკურ, მისიონერულ და სხვა სახის კონტაქტებზე.

ნაშრომში მეცნიერი ძირითადად ეყრდნობა მ. ბალარდის, გ. ბრატინის, რ. დელორტის, ვ. ჰეიდის, ჩ. ვერდინდერისა და სხვა უცხოელ ავტორთა ცნობებს, რომლებშიც უნგრელები მადიერების, მაჭარების ან მანიარების სახელით არიან ფიქსირებული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს კოლონიებში გასაყიდ ტყვეთა შორის და იხსენიებიან როგორც შავი ზღვის მხრიდან წარმოშობილი ხალხი. მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ლ. ტარდი გამორიცხავს უნგრელი ტყვეების აქ მოხვედრის შესაძლებლობას უნგრეთის ევროპული სახელმწიფოდან და მათ მიაკუთვნებს სამშობლოს ძებნის დროს სადაც კავკასიაში დარჩენილ (მცხოვრებ) უნგრელთა ეთნიკურ ჯგუფს.

<sup>14</sup> იხ. ლ. ტარდი, იოჰანეს შონერისა და მისი მიმდევრების (XVI საუკუნის I მეოთხედის) გეოგრაფიული რუკები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № I.

<sup>15</sup> იხ. თ. ბერაძე, საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1983, გვ. 22—39.

<sup>16</sup> Tardi L., A tatárországi rabszolga kereskedelem és a magyarok a XIII—XV, Században, Bp., 1980.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ფაქტის მიხედვით ლ. ტარდის თვალსაზრისი ლოკუტურია: თუ XIII—XV სს. ტყვედ მოხვედრილი უნგრელები არ არიან ევროპელები და მოიხსენებიან ჩერქეზების, ჯიქების, ალანების და ლეკებს შორის ე. ი. მათ გარკვეულ ნაწილს კავკასიაში უნდა ეცხოვრათ.

მოგვიანებით უნგრელმა პროფესორმა გენუის სახელმწიფო არქივში მიაკვლია 1310 წლით დათარიღებულ, იტალიურ ენაზე შედგენილ, მეტად საინტერესო დოკუმენტს — ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, რომელშიც საუბარია 17 წლის გოგონას, კატერინას, „ეროვნებით მაიარის“ შესყიდვის შესახებ კაფას სავაჭრო კოლონიაში.

ამ დოკუმენტის საფუძველზე დაწერილ სტატიაში<sup>17</sup>, ლ. ტარდი, პირველ რიგში ასაბუთებს ეთნიკური სახელების მაიარისა და მაჯარის იდენტურობას, აქედან გამომდინარე კი, ტყვე კატერინას უნგრელად მიიჩნევს. მისი დაკვირვებთ, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს უნგრელთა წინაპრების განსახლებაზე კავკასიაში.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის, არ ხერხდება კავკასიაში დარჩენილ უნგრელთა ეთნოსის დადგენა-დაზუსტება, მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ლოკალიზაცია. ლ. ტარდი მიიჩნევდა, რომ ჯერ კიდევ მრავალი მსგავსი დოკუმენტისა თუ სხვა სახის მასალის გაცნობაა საჭირო, რათა მეცნიერულად დამტკიცდეს და საბოლოოდ შუქი მოეფინოს შორეული საუკუნეებიდან მომავალ უნგრულ-კავკასიურ პრობლემას.

Р. Т. ХУЦИШВИЛИ

## ЛАЙОШ ТАРДИ И ПРОБЛЕМА ГРУЗИНО-ВЕНГЕРСКИХ РОДСТВЕННЫХ СВЯЗЕЙ

Резюме

В статье рассматриваются труды известного представителя венгерской историографии, писателя и общественного деятеля Лайоша Тарди (1914—1990), в которых говорится о родственных отношениях грузинского и венгерского народов.

История взаимных контактов Грузии и Венгрии уходит вглубь веков, и поиск их истоков связан с вопросом этногенеза венгров. Одним из древнейших мест расселения венгров считаются Северный Кавказ и северное побережье Черного моря. Некоторые венгерские ученые были твердо убеждены, что их предки — до того как поселились на территории современной Венгрии — жили в Грузии, и поэтому считали грузин родственной венграм нацией.

Все имеющиеся данные приводятся в работе скорее как материал для дальнейшего исследования.

<sup>17</sup> T a r d y L., A Keleti megyarok madzsar neve egy 1310. évi kaffai olasz okiratban, „Antik tanulmányok“, 1981, XXVIII köt, 33. 205—210.



R. KHUTSISHVILI

## LIOSH TARD AND THE PROBLEM OF RELATION BETWEEN GEORGIAN AND HUNGARIAN PEOPLE

### Summary

The article describes the works written by famous Hungarian outstanding, historian and writer Liosh Tard (1914—1990). This works are about the relative connections between Hungarian and Georgian people.

The relation between Georgians and Hungarians has a long history. To search the beginning of this relation is connected with the Hungarian ethnogeneses. One of the oldest living place for Hungarians is supposed the northern parts of the Caucasus and the Black Sea. Some of the Hungarian scientists were deeply assured that their ancestors before settling down on the Hungarian territory would have been living in Georgia. That's why they considered Georgians to be their relative nation.

The facts given in this article are exposed as the work of the future research.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილებამ

გაგაბლა ნათელაძე

1944 წელს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან  
დეპორტირებული მოსახლეობის რაოდენობისა და  
ეროვნული შემადგენლობის შესახებ

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცნობების გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის დამკვიდრების, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში საისტორიო მეცნიერების წინაშე დგას ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისადმი ახლებური მიდგომის, განსაკუთრებით კი უახლესი წარსულის კრიტიკული გააზრების, ე. წ. თეთრი ლაქების შევსების აუცილებლობა. ამ მეცნიერული ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ აქამდე უცნობი დოკუმენტური წყაროების მოძიებისა და მისი ჩაყენებით საისტორიო კვლევა-ძიების სამსახურში.

ერთ-ერთი ასეთი, საისტორიო მეცნიერებისათვის უცნობი დოკუმენტური წყარო ეხება საქართველოს უახლესი ხანის, თუ შეიძლება ითქვას, ტაბუდადებულ საკითხს — მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების გასახლებას, რომელიც განხორციელდა 1944 წლის 15 ნოემბერს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 30 ივლისის დადგენილებით.

პარტიული არქივის ფონდებში ჩვენ მივაკვლიეთ ორ — 1956 წლის ნოემბრისა და 1957 წლის სექტემბრის თვით დათარიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც მოიცავენ, ჩვენი აზრით, ზუსტ და იდენტურ მონაცემებს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან გასახლებულთა რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, თუმცა შინაარსობრივად ეს ორი დოკუმენტი არა თუ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ საპირისპირო დებულებებსაც კი შეიცავს. ეს ვარემოება, ჩვენი აზრით, უფრო ზრდის ამ დოკუმენტების ნამდვილობასა და სანდოობას.

მიზანშეწონილად მივიჩნევთ ერთი, დროის მიხედვით უფრო ადრინდელი დოკუმენტის პუბლიკაცია, კერძოდ, 1956 წლის 9 ნოემბრით დათარიღებულისა. ამ დოკუმენტის გამოქვეყნება აუცილებლად ვცანით იმის გამოც, რომ პრესაში ადგილი ჰქონდა თვით ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ არა სწორი მონაცემების დამოწმებას გასახლებულთა რაოდენობის შესახებ ყოველგვარი დოკუმენტური წყაროს მითითების გარეშე. იქნებ წინამდებარე პუბლიკაციამ საბოლოოდ შეიტანოს სიცხადე მოცემულ საკითხში.

„სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 30 ივლისის დადგენილებით ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ახალქალა-

ქის რაიონებიდან, აგრეთვე აჭარის ასსრ რაიონებიდან ეროვნული ნიშნის მიხედვით გასახლებულ იქნა 15568 ოჯახი — 69869 კაცი, მათ შორის თურქი — 13434 ოჯახი — 57782 კაცი; ქურთი — 1830 ოჯახი — 8627 კაცი, ხემშილი — 304 ოჯახი — 1462 კაცი\*.

მათვან ქ. ბათუმიდან — თურქი — 84 ოჯახი

ქურთი — 75 „

ხემშილი — 6 „

ს უ ლ 165 ოჯახი

ბათუმის რაიონიდან — თურქი — 346 ოჯახი

ქურთი — 472 „

ხემშილი — 231 „

ს უ ლ — 1049 ოჯახი

ქობულეთის რაიონიდან — თურქი — 70 ოჯახი

ქურთი — 198 „

ხემშილი — 34 „

ს უ ლ — 302 ოჯახი

ქედის რაიონიდან — თურქი — 44 ოჯახი

ქურთი — 12 „

ხემშილი — 5 „

ს უ ლ — 61 ოჯახი

ხულოს რაიონიდან — თურქი — 124 ოჯახი

ქურთი — 35 „

ხემშილი — 28 „

ს უ ლ — 61 ოჯახი

ახალციხის რაიონიდან — თურქი — 2609 ოჯახი

ქურთი — 389 „

ს უ ლ — 2998 ოჯახი

ადიგენის რაიონიდან — თურქი — 5643 ოჯახი

ახალქალაქის რაიონიდან — თურქი — 614 ოჯახი

ქურთი — 155 „

ს უ ლ — 769 ოჯახი

ასპინძის რაიონიდან — თურქი — 3743 ოჯახი

ქურთი — 488 ოჯახი

ს უ ლ — 4231 ოჯახი

ბოგდანოვკის რაიონიდან — თურქი — 157 ოჯახი

ქურთი — 6 „

ს უ ლ — 163 ოჯახი

\* ხემშილი რუსულენოვანი და ზეპირმეტყველებაში დამახინჯებული სახელია ჰემშენები-სა, რომლებიც მკვლევართა აზრით (ნ. მარი წ. ბაწაში და სხვ.) არიან ეთნიკურად სომხები, ხოლო რელიგიის მიხედვით მუსულმანი სუნიტები. ისინი ისტორიულად ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მკვიდრობდნენ და შემორჩენილან მაღალმთიან ნაწილში მდ. ჭოროხის დასავლეთით. ამიტომ სრულიად ბუნებრივად ჩანან, ციტირებული დოკუმენტის მიხედვით, მხოლოდ მთიან აჭარაში და შავი ზღვისპირეთის — ბათუმის და ქობულეთის რაიონებში, ქ. ბათუმში.

დოკუმენტი ხელმოწერილია საქართველოს სსრ პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული, სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილებების გამგის მიერ.

დოკუმენტის მანქანაზე გადაბეჭდილი ასლი, რუსულ ენაზე დაცულია პარტიულ არქივში (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 31, ს. 248, ფურც. 1—2.

დოკუმენტი გამოყენებულია ჩვენს წერილში — ერთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის დაზუსტების შესახებ, სახალხო განათლება, 1989 წლის 26 ივლისი.

М. В. НАТМЕЛАДЗЕ

## О ДЕПОРТАЦИИ В 1944 Г. МУСУЛЬМАНСКОГО НАСЕЛЕНИЯ ИЗ ПОГРАНИЧНЫХ РАЙОНОВ

### Резюме

Предлагаемая публикация архивного документа, выявленного автором, содержит конкретные данные о численности и национальном составе т. н. спецконтингента, высленного из пограничной полосы Грузии, в частности, из Ахалкалакского, Аспиндзского, Адигенского и Богдановского районов, а также по г. Батуми и Батумскому, Кобулетскому, Кедскому и Хулойскому районам Аджарской АССР. 15 ноября 1944 г. из этих районов были выслены 15.568 семей, 69.869 человек, в том числе турки 13.434 семей, 59.780 человек, курды 1830 семей, 8627 человек и хемщины 304 семей, 1462 чел.

Публикуемый документ, содержащий аналогичные сведения по каждому из упомянутых районов, должен послужить источником научного исследования данного вопроса, внеся, таким образом, ясность в имевшейся в публикациях прессы различных толкований численности высленного в 1944 г. из пограничной полосы Грузии компактных групп населения.

М. В. НАТМЕЛАДЗЕ

## CONCERNING DEPORTATION OF MUSLEM POPULATION FROM BORDER REGIONS OF GEORGIA IN 1944

### Summary

The given publication of the archive document, found out by the author, contains concrete data about the number and the national structure of the so called «special contingent» evicted from the border regions of Georgia particularly from the Akhalkalaki, Akhaltsikhe, Aspindza, Adigeni and Bogdanovka regions, as well as from the city of Batumi and the Batumi, Kobuleti, Kedi and Khalo regions of the Adjara ASSR. From these regions on 15 November, 1944, 15 568 families constituting, 69 869 people were



evicted, among them 13 434 Turkish families amounting to 50 780 people, 1830 Kurdish families of 8 627 people and 304 Khamshine families of 1462 people.

The published document containing analogous data respectively about all the above-mentioned regions should serve as a source of scientific research of the given problem, thus clarifying various interpretations mentioned in publications concerning the number of compact groups of the population evicted from the border regions of Georgia in 1944.

პირამ ურანაშვილი

**სიმონ ჯანაშიას კონცეფცია საქართველოში კლასიციზმისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ**

საბჭოურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ზოგად, თეორიულ პლანში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი დღემდე გაურკვეველია. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზებით. მტკიცედ დამკვიდრდა სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც არქაული კომუნისტური საზოგადოების დაშლის შემდგომ და შედეგად წარმოიშვა მონათმფლობელური საზოგადოება ორკლასიანი სტრუქტურით (მონათმფლობელები და მონები). სახელმწიფო კი თითქოს ჩამოყალიბდა ძირითადად იმიტომ, რომ გაბატონებულ კლასს იგი ესაჭიროებოდა მონების ჩახშობის მიზნით. აღნიშნული შეხედულება თითქოს ეფუძნება ფრიდრიხ ენგელსის შრომას „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. სინამდვილეში ფ. ენგელსმა თავის ნაშრომში აჩვენა, ლ. მორგანის თეორიის შუქზე, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სურათი კონკრეტული, სახელდობრ, ძველ საბერძნეთსა, რომსა და გერმანელებში. უნივერსალური გზის ჩვენების პრეტენზია კი ფ. ენგელსს არ ჰქონია და იმხანად არც შეეძლო ჰქონოდა თუ როგორ წარმოიშვა კონკრეტულად კლასები და სახელმწიფო ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში და ა. შ. ეს, ზევრი ძხრივ, დღემდე გაურკვეველია, მით უმეტეს მაშინ იყო, როცა აღნიშნული ნაშრომი იწერებოდა. ძველ საბერძნეთსა და რომში გვაროვნული წყობილების დეზინტეგრაცია — დაშლას და კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებში (აქ არ ვეხებით მიკენურ პერიოდს). სულ სხვანაირი იყო ამ დროს საზოგადოების ტექნიკური დონე (ფართოდ გავრცელდა რკინის მეტალურგია), გარემომცველი ისტორიული გარემო. ასევე სხვაგვარი, ვიდრე მაგალითად აღმოსავლეთში, იყო გეოგრაფიული პირობები. ასეთ წინამძღვრების არსებობისას გაძლიერდა ტენდენცია მონათმფლობელური საზოგადოების განვითარებისა, ე. ი. კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების სპეციფიკური გზისა.

საერთოდ არქაული, პირველყოფილი საზოგადოების შემდგომ კლასობრივი საზოგადოების, შესაბამისად სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება სხვადასხვანაირად ხდებოდა. ამის თაობაზე აშკარად, ნათლად წერდნენ ჯერ კიდევ თვით ენგელსი, კ. კაუცკი, გ. პლენხანოვი. მით უფრო ჩანს აღნიშნული პრობლემა დღეს. მის შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს თანამედროვე დასავლეთში. მაგრამ ყოველივე ეს ე. წ. საბჭოურ მეცნიერებისა და ფილოსოფიის ყურადღების მიღმა რჩება. ე. წ. საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა პრიმიტიული — მეცნიერების საწინააღმდეგო იდეოლოგია, რომლის ერთ-ერთ შეურყეველ დოგმად კლასებისა და სახელმწიფოს



ფოს ნაჩვენები სურათი ითვლებოდა და ითვლება. იგი მტკიცედ დამკვიდრდა ვ. ი. ლენინისეული ბროშურის „სახელმწიფოს შესახებ“ და ი. ბ. სტალინის „ნაშრომის“ „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ გამოქვეყნების შემდგომ. მეცნიერების შესაბამისი ფაქტები ლაგდებოდა წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, მისგან გადახვევა კი ერესად, მწვალებლობად ითვლებოდა. ახლა მოვიდა დრო თავისუფალი აზროვნებისა, მაგრამ ე. წ. საბჭოთა ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და ფილოსოფოსები მაინცდამაინც დიდად არ იწუხებენ თავს პრობლემის გასაცხადებლად.

თავის დროზე, როგორც ვიცით, საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემა დასვა და თავისებურად გადაწყვიტა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა, მაგრამ მიხედვით გადაწყვეტაში ბევრი რამ გაურკვეველი რჩებოდა. წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვას შეეცადა 30-იან წლებში სიმონ ჯანაშია. ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული იყო ვ. ი. ლენინის ბროშურა „სახელმწიფოს შესახებ“, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნავდით, საბედისწერო როლი შეასრულა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის კვლევა-ძიებაში. ამრიგად, სიმონ ჯანაშიას წინაშე დიდი იდეოლოგიური და პოლიტიკური სიძნელეები იდგა. თუ იგი გაჰყვებოდა ვ. ი. ლენინისეულ სქემასა და აზრებს, მაშინ, ცხადია, სიძნელენი მოიხსნებოდა და ყველაფერი „ნათელი“ იქნებოდა. მაგრამ სიმონ ჯანაშია სხვა გზით წავიდა.

ნაშრომში „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“ (გამოქვეყნდა 1932 წელს) სიმონ ჯანაშია შეეხო სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების საკითხს. მაგრამ ნაშრომში საუბარია ზოგადად, ისე რომ ჩამოთვლილი არაა კონკრეტული საზოგადოებანი (ფორმაციები). ამდენად, არც პირველ კლასობრივი ფორმაციის შესახებაა გარკვეულად ნათქვამი. ჩვენთვის საინტერესო საკითხი აღძრულია ამავე ხანებში დაწერილ ნაშრომში „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში“. აქ ვკითხულობთ: „ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველყოფილ, გვაროვნულ საზოგადოების ნანგრევებზე კლასობრივი საზოგადოება ყალიბდება. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის პირველი ფორმა მონობაა“ (ლენინი). მაგრამ განვითარების ადგილობრივი სპეციფიკურ პირობების წყალობით მონობა ზოგან სამონათმფლობელო საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციის სახეს იღებს, როგორც მაგ., რომსა და საბერძნეთში, „რომელნიც მთლიანად მონობაზე იყვნენ დამყარებულნი“ (ლენინი). სხვაგან კი იგი ადრევე ფეოდალიზმში გადადის. რამდენადაც დღეს-დღეობით ამის თქმის უფლება გვაქვს, საქართველოში მეორე მოვლენას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართველ ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ იგი აქ მთლიან ფორმაციად ჩამოყალიბებულიყო. გვაროვნულ წყობილებას ფეოდალიზმი ცვლის“<sup>2</sup>. ჩანს, სიმონ ჯანაშია ჩაეჭიდა ერთ ადგილს ვ. ი. ლენინის ბროშურიდან, სადაც საუბარია პირველყოფილი საზოგადოებიდან პირდაპირ ფეოდალიზმზე გადასვლის შესახებ, თუმცა ლენინის ძირითადი აზრი იყო მკაცრად დეტერმინირებული თანამიმდევრული ცვლა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისა, მათ შორის პირველყოფილი საზოგადოების შემდგომ მონათმფლობელობის განვი-

1 იხ. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 103—107.

2 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 132.

თარების თაობაზე. როგორც მოტანილი ციტატიდან ვხედავთ, ადგილი აღარ რჩება სპეციფიკურ ფორმაციას, რომელსაც კაცობრიობის აღმავალ ევოლუცი-  
 აში პირველყოფილ საზოგადოებასა და ანტიკურ, მონათმფლობელურ საზოგა-  
 დოებას შორის უკავია ადგილი. მთავარია, რომ სიმონ ჯანაშია ითვალისწინებდა  
 „ადგილობრივ, სპეციფიკურ პირობებს“, სადაც ხდებოდა პირველი კლასობრი-  
 ვი ფორმაციის განვითარება. ამდენად, იგი შორს იდგა საკითხის დოგმატიკური  
 გაგებისაგან.

იბერიის (ქართლის) შესახებ სტრატონისეული ცნობილი ადგილის ინტერ-  
 პრეტაციისას სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის საპირისპიროდ ასკვნია, რომ  
 იქ „წარმოდგენილია არა გვაროვნული საზოგადოება თუნდაც რღვევის გზაზე  
 დამდგარი, არამედ გარკვეული კლასობრივი საზოგადოება ერთგვარ გვარო-  
 ნულ ვადმონაშთების მქონე“<sup>3</sup>, „უეჭველია, ამ ცნობაში ნაგულისხმევია არა  
 გვაროვნული საზოგადოების ერთფეროვან ერთეულთა განსაზღვრული კრე-  
 ბული, არამედ, დიფერენცირებულ, დანაწევრებულ საზოგადოების სოცია-  
 ლურად განსხვავებული ერთეულები“<sup>4</sup>.

საყურადღებოა სიმონ ჯანაშიას აზრი კლასების წარმოშობის თაობაზე სო-  
 ციალური ფუნქციების შესრულების მიხედვით. ჯერ კიდევ პირველყოფილი  
 გვარის შიგნით ხდება ქურუმთა სოციალური ფუნქციის დაწინაურება, რისი სა-  
 ფუძველიც იყო, ცხადია, რელიგიური კულტის აღსრულება<sup>5</sup>. იქ სადაც ირიგა-  
 ცია დიდ როლს ასრულებდა, სიმონ ჯანაშიას თანახმად, ქურუმთა ფუნქციონირება  
 უფრო ძლიერდებოდა და შესაძლებელია იგი ცალკე წოდებად ან კასტად ჩამო-  
 ყალიბებულიყო<sup>6</sup>. ასევე უნდა მომხდარიყო იბერიაში. მეტიც, მსგავსი პროცე-  
 სის სათავეს იგი ხედავდა ქართველთა ადრინდელ საცხოვრისში (სიმონ ჯანა-  
 შია იმხანად მიგრაციის თვალსაზრისს იზიარებდა). პოლიტიკურადაც გაბატო-  
 ნებულ ძალად იქცა ქურუმობა და ამდენად „სახელმწიფოსაც მეტ-ნაკლებად  
 თეოკრატიული ხასიათი ჰქონდა“<sup>7</sup>.

აქ წამოჭრილი აზრები შემდგომ განვითარებას პოულობს 1933 წელს და-  
 წერილ ნაშრომში „ადრეული ფეოდალიზმი“, სადაც სახელმწიფოს წარმოშობა  
 დაკავშირებულია სატაძრო მეურნეობებში დასაქმებულ მონათა ჩახშობის სა-  
 ქიროებასთან. იგი წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, მაშასადამე, რომ მეფის ხელისუფ-  
 ლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესებისა და საჭიროებათა  
 ნიადაგზე აღმოცენდა უპირველესად“<sup>8</sup>. თუ როგორ უნდა ჰქონოდა ადგილი  
 კლასების წარმოშობას, ამის ნათელსაყოფად სიმონ ჯანაშია იშველიებდა მერ-  
 შინდელ ანალოგიას „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით (როსტომ ბიბლიურის  
 სოციალური აღზევების მაგალითზე). იგი არ გამორიცხავდა უცხო თემების  
 დაპყრობის ფაქტორსაც. დაპყრობილი თემების მიწები გადაირიცხებოდა სა-  
 მეფო ფონდში, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა დაყმევებას განიცდიდა.  
 კერძოდ, ასე ჰქონდა ადგილი სიმონ ჯანაშიას თანახმად სტრატონის მიერ აღ-  
 წერილ მეოთხე გენოსის შემთხვევაში.

3 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 137—138.

4 იქვე, გვ. 138.

5 იქვე, გვ. 145.

6 იქვე, გვ. 146.

7 იქვე, გვ. 145.

8 იქვე, გვ. 164—165.





ამდენად, სტრაბონის ხანის ქართლის (იბერიის) საზოგადოების წესი ერთგვაროვანი, „უნიფიცირებული“ არ ყოფილა. პირველი გენოსი — სამეფო საგვარეულო ექსპლუატაციის უწყვედა მეოთხე გენოსს, რომელიც მიწაზე იჯდა. ეს უკანასკნელი განიცდიდა ფეოდალურ ექსპლუატაციას. ამდენად, ამ ფენების ურთიერთობაში, სიმონ ჯანაშიას შეხედულებით, წარმოიშვა ფეოდალური წარმოების წესი. მსგავს ვითარებას იგი ბევრგან ხედავდა მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სინამდვილეში. მეორე გენოსი — ქურუმობა ცხოვრობდა მონათმფლობელური წარმოების წესის პირობებში. საზოგადოების ძირითად წარმოების წესს განასახიერებდა მესამე გენოსი, წვრილი მწარმოებლებისა და იმავდროულად მეომრების სახით. შესაბამისი ეპოქის იბერიის (ქართლის) საზოგადოების სოციალური სტრუქტურა სიმონ ჯანაშიას მიხედვით ასე წარმოიდგინებოდა: სამეფო საგვარეულო, ქურუმობა, დამოუკიდებელი მწარმოებლები, „სამეფო მონები“ და საკუთრივ მონები, ხელოსანთა და ვაჭართა ფენები.

დასკვნის სახით კი „ადრეულ ფეოდალიზმში“ ვკითხულობთ: „ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ გარკვეული და ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის სახე არ მიუღია. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომელნიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკური ბატონობის ფორმაც თეოკრატიის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლობელური წესს, რომელიც იყო ქურუმთა ბატონობის საფუძველი, არასოდეს არ მიუღია, როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო“<sup>9</sup>. სიმონ ჯანაშია სოციალური ევოლუციის მსგავს სურათს ხედავდა დასავლეთ საქართველოშიც. ამას იგი დაასკვნოდა ამ რეგიონში თეოკრატიული მომენტის არსებობით.

შეიძლება აღინიშნოს ს. ჯანაშიასეული კონცეფციის სუსტი ადგილები. სტრაბონის ხანის იბერიის (ქართლის) საზოგადოება არ იყო გვაროვნულიდან ფეოდალიზმზე გარდამავალი საზოგადოება, არამედ საესეებით სპეციფიკური ტიპის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა. მიუხედავად სხვადასხვა ეკონომიკური წყობებისა (არა წარმოების წესებისა) საზოგადოების ტიპს, ფორმაციულ სახეს განსაზღვრავდა სათემო და სამეფო საკუთრება, როგორც დომინანტური ეკონომიკური წყობა და, ამდენად, წარმოების წესი. მაგრამ უფრო აღსანიშნავია შემდეგი: სიმონ ჯანაშია სწორად მიუღდა საკითხის შესწავლას, განიხილავდა რა მას კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში და არა ზოგადად როგორც ვ. ი. ლენინისეულ ბროშურაში იყო და როგორც იმხანად ფართოდ ვრცელდებოდა. სიმონ ჯანაშია შორს იდგა „უნიფიცირებული“ კლასობრივი წარმოების წესისა და შესაბამისად ორკლასოვანი სოციალური სტრუქტურის წარმოდგენისაგან. აღნიშნულის საპირისპიროდ საკითხს იგი მიუღდა ეკონომიკის მრავალწყობიანობის თვალთახედვით.

აღნიშნული თვალსაზრისი კიდევ უფრო დეტალურად არის გადმოცემული ნაშრომში „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, რომელიც 1937

<sup>9</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 173—174.



წელს გამოქვეყნდა, ასევე ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ (დაიბეჭდა 1935 წელს).

ზემოთქმულისაგან განსხვავებით ბევრად უფრო სუსტია სიმონ ჯანაშიას შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე. ჩვენ ზემოთ დავინახეთ თუ როგორ წარმოდგინა მას ეს პროცესი, სახელდობრ, თითქოს ქურუმთა წოდებამ თუ კასტამ იგი შექმნა მონათა დასათრგუნავად. ამდენად, სახელმწიფოს წარმოშობის აუცილებლობა მხოლოდ აღნიშნული ფუნქციის შესრულებასთან არის დაკავშირებული. სხვაგან სიმონ ჯანაშია სპეციალურად ეხებოდა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს ლაზიკასა (ეგრისში) და აფხაზეთში. მაგრამ აზრი ვერც აქა ვანეითარებული სათანადო მიმართულებათ. კერძოდ, ვერ იქნა ნაჩვენები გვაროვნული ორგანიზაციის (სისტემის) ტრანსფორმაცია ქართულ სინამდვილეში, სახელმწიფოს ფუნქციები.

შემდგომ წლებში პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარება ე. წ. საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, უაღრესად გამწვავდა. თავისუფალი აზროვნება თუნდაც ისეთი „უწყინარი“ საკითხის გარშემო როგორცაა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა გამოირიცხა. ი. ბ. სტალინის აღნიშნული ბროშურის გამოქვეყნების (1938 წელი) შემდეგ დაკანონდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების საბჭოური სქემა და შესაბამისად პირველი (ფორმაციული თვალსაზრისით) კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ტიპის წარმოშობის საკითხიც. ეს გარემოება აისახა სიმონ ჯანაშიას ნააზრევშიც.

გიორგი სოსელიასადმი პასუხში (გამოქვეყნებულია სიმონ ჯანაშიას შრომების V ტომში) სიმონ ჯანაშია უკვე უარს აცხადებდა საზოგადოებრივი კლასების სოციალური ფუნქციების შესრულების საფუძველზე წარმოშობის თვალსაზრისზე. იგი წერდა: „მკითხველის საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ფრაზა (!) არამართო მცდარია, არამედ სრულიად შემთხვევითი ჩვენი შეხედულებებისათვის“<sup>10</sup>. 1938 წელს დაწერილ სადისერტაციო თეზისებში აღნიშნულია, რომ საქართველოში ფეოდალიზმს წინ უძღოდა საზოგადოება, სადაც წამყვანი სოციალურ-ეკონომიკური წყობა სპეციფიკური მონათმფლობელური ურთიერთობები იყო<sup>11</sup>. კლასობრივი სტრუქტურა იწყება მონათმფლობელებითა და მონებით<sup>12</sup>. შესაბამისად ლაპარაკია მონათმფლობელურ პოლიტიკურ ფორმაზე<sup>13</sup>, ე. ი. სახელმწიფოზე.

ნაშრომის „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ რედაქციისეულ მინაწერში ვკითხულობთ, რომ ავტორს განზრახული ჰქონია ეს გამოკვლევა შეეგვსო და განეგრძო. ამ მიზნით საავტორო ეგზემპლარში ჩაინახულ თავისუფალ ფურცლებზე სიმონ ჯანაშიას შეუტანია შენიშვნები და დამატებები<sup>14</sup>. ერთგან წერია: „ფორმაციები, რა უსწრებს ფეოდალიზმს საქართველოში. მონათმფლობელობა. „მოკლე კურსი“<sup>15</sup>. 1940 წელს გამოქვეყნებულ იქნა „საქართველოს ისტორია“ (ხელნაწერის უფლებით) მის პირველ გამოცემას კი ადგილი ჰქონდა სამი წლის შემდეგ. სახელმძღვანელოს მეორე თავი ასეთ სათაურს ატარებს: „ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფო-

10. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, 1987, გვ. 510.

11. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 6, 1988, გვ. 200.

12. იქვე, გვ. 202.

13. იქვე, გვ. 206.

14. იქვე, გვ. 297.

15. იქვე, გვ. 303.



ები“. აქ ვკითხულობთ: „იმდროინდელი ქართლი მონათმფლობელურმა სახელმწიფო იყო“<sup>16</sup>, „ასეთივე იყო საზოგადოებრივი წყობილება კოლხეთის ბარში“<sup>17</sup>, „ბარში მონათმფლობელობა იყო გაბატონებული“<sup>18</sup>. წიგნში ლაპარაკია ქართლისა და კოლხეთის მონათმფლობელურ სახელმწიფოებზე (პოლიტიკური წყობილების მნიშვნელობით)<sup>18</sup>. მომდევნო თავში („ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“) აღნიშნულია: „საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, მონათმფლობელობა ფეოდალიზმით შეიცვალა“<sup>19</sup>.

როგორც ვხედავთ, სიმონ ჯანაშიას აზრებში საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია მოხდა. ჩვენთვის გაურკვეველი რჩება ეს ცვლილება ბუნებრივი, იმანენტურია თუ ზემოდან თავსმოხვეული. მთავარია შემდეგი: სიმონ ჯანაშია სწორად მიუდგა სოციალური კლასების წარმოშობის საკითხს, განიხილა რა იგი მრავალწყობიანობის თვალსაზრისით. ფეოდალიზმის განვითარება სწორად განიხილებოდა თავისუფალი მეთემე გლეხობის (მესამე გენოსის) სოციალურადიფერენციაციის გზით. აღნიშნული მომენტები ურყევია და შესულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

16 საქართველოს ისტორია, 1943, გვ. 67.

17 იქვე, გვ. 67.

18 იქვე, გვ. 76.

19 იქვე.



**ახალი აღმოჩენა ბოლაშქოში**

არქეოლოგიური გათხრები ბოლაშქოში, თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთ დასახლებაში (ხეთ, ხათუსა, ხეთების სამეფოს დედაქალაქი), რომელთაც საფუძველი ჩაუყარა ჰ. ვინკლერმა 1906 წლის 21 ივლისს, დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს და ახალი მნიშვნელოვანი აღმოჩენებით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ხეთების — ანატოლიის ამ ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობის შესახებ. გათხრების პირველსავე დღეებში გამოვლენილ იქნა 2500-მდე ლურსმული თიხის ფირფიტა და ფირფიტის ფრაგმენტი. მათი რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. დღეს ხეთოლოგთა განკარგულებაშია ბოლაშქოს „არქივა“, რომელიც ათეულ ათასობით ფირფიტას ითვლის.

უკანასკნელ წლებში წარმოებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის დამახასიათებელია მზარდი ინტერესი თვით ქალაქის ისტორიისადმი. 1978 წლიდან არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გადაინაცვლეს ბოლაშქოს ჩრდილოეთი ნაწილიდან მის სამხრეთში. ამ ეპოქალური მნიშვნელობის გამოკვლევათა შედეგები საშუალებას აძლევს ბოლაშქოს დღევანდელ მნახველს თვალნათლივ წარმოიდგინოს ხეთების დედაქალაქის განვითარების სურათი, მისი გეგმაზომიერი ზრდა. 1986 წელს დასრულდა ტაძრების სამხრეთი რაიონის გამოკვლევა. სწორედ აქ, იერკაპის ხეთური ხანის ქალაქის კედლის შიდა ნაწილას სარესტავრაციო სამუშაოების დროს, ამავე წლის 20 ივლისს (ბოლაშქოს არქეოლოგიური გათხრების ზუსტად ოთხმოცი წლისთავზე) პ. ნევემ იპოვა ბრინჯაოს ფირფიტა, მასზე აღბეჭდილი სრულად შემონახული უნიკალური ხეთური ლურსმული ტექსტით, რომელიც ხეთოლოგიაში უკანასკნელი წლების ერთ-ერთ დიდ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ მას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ფირფიტის აღმოჩენის ადგილი 35 მ-ით არის დაშორებული სფინაქსების ქიშკრიდან. ბრინჯაოს ფირფიტა მართკუთხაა (35×23,5 სმ), იწონის 5 კგ-ს, ერთ-ერთ მოკლე გვერდზე კუთხეებში აქვს თითო ნახვრეტი (1,8 სმ დიამეტრის). თითოეულში გაყრილი იყო 31 სმ სიგრძის და 13 რგოლისაგან შემდგარი ბრინჯაოს ჯაჭვი, რომლის ბოლოზეც მიმაგრებული უნდა ყოფილიყო ბეჭედი (ტექსტის თანახმად, ფირფიტა დამოწმებული იყო ორი ბეჭდით).

ტექსტი ფირფიტის ორივე მხარეზეა შესრულებული. თითოეული მხარე ორ სვეტად არის გაყოფილი. ლურსმული ნიშნები, როგორც ჩანს, პრაიალა ზედაპირზე სატენის მსგავსი იარაღით არის აღბეჭდილი. თითოეული სვეტი შეიცავს დაახლოებით თანაბარი რაოდენობის სტრიქონებს (101, 102, 98), ვარდა IV სვეტისა, რომელშიც 51 სტრიქონია. ასეთია ფირფიტის გარეგნული სახე<sup>1</sup>. რაში მდგომარეობს ფირფიტის უნიკალურობა, მისი აღმოჩენის მნიშვნელობა?

<sup>1</sup> ფირფიტის ტექნიკური და პალეოგრაფიული დახასიათებისთვის იხ. H. Otten, Die Bronzetafel aus Beşazköy. Ein Staatsvertrag Tutḫalijas IV, Wiesbaden, 1988, 1—3.



ჩვენს წინაშეა ხეთური ორიგინალური ტექსტი ხელშეკრულებისა, რომელიც ხათის მეფემ თუთხალია IV-ემ (დაახლ. ძვ. წ. 1280—1250) დაღო თარხუნთასას<sup>2</sup> მეფესთან, ქუთუნთასთან. ბოლახქოის არქივში საკმაო რაოდენობით არის აღმოჩენილი ხეთური ტექსტები, ე. წ. „სახელმწიფო ხელშეკრულებებისა“, რომლებსაც ხეთების მეფეები დებდნენ როგორც მეზობელი, ასევე ახლო აღმოსავლეთის სხვა, უფრო შორეული ქვეყნების მმართველებთან. ისინი (დიპლომატიურ კორესპონდენციასთან ერთად) წარმოადგენენ ძირითად წყაროს ხეთების სამეფოს დიპლომატიის ისტორიის შესასწავლად. ყველა ეს ტექსტი, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით შემონახულია თიხის ფირფიტებზე და უბეჭდოა. ეს არის ასლები ორიგინალებიდან, რომლებიც, როგორც ჩანს, ლითონის (ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის) ფირფიტებზე იწერებოდა<sup>3</sup>. ბექლითაც აგრეთვე ხწორედ ორიგინალებს ამტკიცებდნენ. ამით უნდა აიხსნას ის, რომ არც ერთ თიხის ფირფიტაზე აღბეჭდილ ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული, რომ ტექსტს ჰქონდა ბეჭედი. ამიტომ ეს უკანასკნელი ვარემოება ფირფიტების დაზიანებით და ფრაგმენტულობითაც შეიძლება აიხსნას. ასეთ ვითარებაში აღმოჩენა ბრინჯაოს ფირფიტისა, რომელზეც სრულად შემონახული ორიგინალური ხეთური ტექსტია ჩაწერილი, ბექლით დამტკიცებული, მოულოდნელ და ბედნიერ შემთხვევას წარმოადგენს. ალბათობა იმისა, რომ მომავალში შეიძლება კიდევ აღმოჩნდეს ლითონის ფირფიტაზე აღბეჭდილი ტექსტი ძალზე მცირეა, რადგან სავარაუდოა, რომ მათ აღნობდნენ ხოლმე და ხელახლა იყენებდნენ. ტექსტი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი ახალი, დღემდე უცნობი კუთხით აშუქებს ძვ. წ. XIII საუკუნის II ნახევრის ხათის სამეფოს შიდა პოლიტიკურ სიტუაციას, დინასტიურ ურთიერთობებს, მიგვანიშნებს სამეფო კარის ინტრიგებზე, რომლებიც თან ახლდა თუთხალია IV-ის ტახტზე ასვლას. ტექსტი საინტერესოა აგრეთვე ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა საკითხების შესასწავლად.

თარხუნთასა ხეთურ ტექსტებში ჩნდება ძვ. წ. XIII ს. I ნახევრიდან, როცა მუჰათალიმ (თუთხალია IV-ის ბიძამ) დატოვა ხათის დედაქალაქი — ხათუსა და სამეფო რეზიდენცია თარხუნთასაში გადაიტანა. მისი შვილის, ურთხითესუფის (მურსილი III), ხანმოკლე მეფობის დროს (დაახლ. ძვ. წ. 1310—1304) ისევ ხათუსა დედაქალაქი, მაგრამ თარხუნთასას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკურ და საკულტო ცენტრს. ხათუსილი III (დაახლ. ძვ. წ. 1304—1280), თუთხალია IV-ის მამა, ტახტიდან თავისი ძმის-შვილის — ურთხითესუფის ჩამოგდების შემდეგ იძულებული იყო ანგარიში გაეწია თარხუნთასასთვის და შეექმნა იქ სამეფო, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა ხათის დიდ მეფეზე. ტექსტებიდან ვგებულობთ, რომ ხათუსილი III-ემ უფლისწული ქურუნთა (სავარაუდოა, მუჰათალის შვილი, ურთხითესუფის უმცროსი ძმა)<sup>4</sup> თარხუნთასას მეფედ დასვა და მასთან ხელშეკრულებაც დაღო. ბრინჯაოს ფირფიტის თანახმად კი, თუთხალიამ (სავარაუდოა, ვამეფებისთანავე) განაახლა მამამისის მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელიც

<sup>2</sup> ამ ტოპონიმს ზოგიერთი მკვლევარი კითხულობს როგორც „დათასა“. იგი მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში, დაახლ. თანამედროვე ქ. ყარაბაღთან.

<sup>3</sup> შტრ. მაგალითად, ცნობილი ხელშეკრულება ხათუსილი III-სა და ეგვიპტის ფარაონ — რამსეს II-ს შორის, რომლის რამსესათვის გადაცემული ტექსტი ვერცხლის ფირფიტაზე ყოფილა შედგენილი.

<sup>4</sup> იხ. H. Otten, დასახ. ნაშრომი, გვ. 3—4.





განამტკიცებს ქურუნთას როგორც მეფის პოზიციებს თარხუნთასას<sup>5</sup> ქვეყანას<sup>6</sup> და სამაგიეროდ ერთგულებას აკისრებს ხათის დიდი მეფის და მისი შთამომავლობის მიმართ. თუთხალია კი, თავის მხრივ, მაქსიმალურ დათმობებზე მიდის. ის ვალდებულებები, რაც ჩვეულებრივ, ვასალიტეტის პრინციპით შედგენილი ხეთურ ხელშეკრულებებით არის განსაზღვრული, მინიმუმამდე დაჰყავს: საგრძნობლად შემსუბუქებულია თარხუნთასას ქვეყნის მეფის სამხედრო ვალდებულებები; მას არ მოეთხოვება პერიოდულად გამოცხადება ხათის სამეფო კარზე ერთგულების ნიშნად; არ ევალდება ხარკი ან ძღვენი და ა. შ. თუთხალია უფართოვებს მას ქვეყნის საზღვრებს მეზობელი ტერიტორიების ხარკზე, თავისუფლებას ანიჭებს მეგვიდრის ამორჩევის საკითხში, სტატუსით ქარგამიშის (ქარხემიშის) მეფეს უტოლებს და სხვ. საქმე ის არის, რომ ხათის მეფე ქურუნთაში ხედავდა რეალურ მეტოქეს, რომელსაც კანონიერი პრეტენზია შეიძლებოდა განეცხადებინა ხათის სამეფო ტახტზე<sup>7</sup> და ამიტომ ცდილობდა მისი გულის მოგებას, თუთხალიას შიშს, როგორც ჩანს, რეალური საფუძველიც ჰქონდა. არ არის გამორიცხული, რომ უზურპატორი მეფის, ხათუსილი III-ის, სიკვდილის შემდეგ განხეთქილება მომხდარიყო ორი ძმის — ხათუსილი III-ისა და მუვათალის შთამომავლებს შორის. ის, რომ ამ შიდადინასტიურ ინტრიგებში ქურუნთაც აქტიურად მონაწილეობდა, ჩანს 1985—87 წლებში ბოლახქოიში (ასიოდე მეტრის დაშორებით ბრინჯაოს ფირფიტის აღმოჩენის ადგილიდან) ნაპოვნი ხეთური საბეჭდავიდან<sup>8</sup>. სიტყვები, რომლებიც მის ანაბეჭდზე იკითხება — „ქურუნთა, დიდი მეფე, ლაბარნა, მზე“ — იმაზე უნდა მიუთითებდეს.



რომ თარხუნთასას მეფე არ დაკმაყოფილებულა იმ „წყალობებით“, რაც მას უზურპატორმა ბიძამ და ბიძაშვილმა უბოძეს და ოფიციალურად გამოუხატავს პრეტენზია ხათის დიდ მეფობაზე, შესაბამისად, დაურღვევია წინამდებარე ხელშეკრულებაც. ტექსტში არ არის შემორჩენილი ცნობები ქურუნთას რეალური მეფობის შესახებ, და იმაზე, თუ რა ბედი ეწია მას. ყოველ შემთხვევაში, თუთხალიამ შეინარჩუნა სამეფო ხელისუფლება ხათის ქვეყანაში, ხოლო უფრო გვიანდელი ხელშეკრულება, რომელიც ხათის დიდმა მეფემ (თუ ვინ, არ არის

5 სუფილულოჟმა I-ის დროიდან ქარგამიშისა და ხალფაში (ჩრდ. სირიული სამთავროები) მეფობდნენ ხეთური სამეფო დინასტიის წარმომადგენლები.

6 იხ. შაგალითად, ტექსტის თარგმანი.

7 საბეჭდავი თარიღება ძვ. წ. XIII ს-ის ბოლო ათწლეულით (იხ. H. Otten, დასახ. ნაშრომი, გვ. 4).

(ცნობილი) დაღო ულმი-თეშუბთან<sup>8</sup>, თარხუნთასას მეფესთან, როგორც ჩანს, შედეგი იყო ქურუნთასა და თუთხალის შორის განხეთქილებისა.

ბრინჯაოს ფირფიტა B<sub>0</sub> 86/299 თარგმანი<sup>9</sup>

ანუ ამბობს თაბარნა<sup>10</sup> თუთხალია, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, გმირი, ძე ხათუსილისა, დიდი მეფისა, მეფისა ხათის ქვეყნისა, გმირისა, შვილი-შვილი მურისილისა, დიდი მეფისა, მეფისა ხათის ქვეყნისა, გმირისა, შვილი-შვილის შვილი სუფილულოუმასი, დიდი მეფისა, მეფისა ხათის ქვეყნისა, გმირისა, შთამომავალი თუთხალისი, დიდი მეფისა, მეფისა ხათის ქვეყნისა, გმირისა<sup>11</sup>.

როდესაც მამაჩემმა — ხათუსილიმ ურხი-თესუფს, მუვათალის ძეს, მტრობა დაუწყო და იგი სამეფო ხელისუფლებას ჩამოაშორა, ქურუნთას (მარიდან) არავითარი ცოდვა არ ყოფილა (ჩადენილი). რა დანაშაულიც არ უნდა ჩადენა ხათის ხალხს, ქურუნთას (ხელი) არასოდეს არ (ერია) მასში. მუვათალის მეფეს, ის თავიდანვე მამაჩემისთვის ჰყავდა გასაზრდელად მიბარებული და მას მამაჩემი ზრდიდა თავიდანვე.

ხოლო როდესაც მამაჩემმა ურხი-თესუფი სამეფო ხელისუფლებას ჩამოაშორა, მამაჩემმა ქურუნთა წაიყვანა და ის თარხუნთასას ქვეყანაში მეფედ დასვა. ხელშეკრულება, რომელიც მას მამაჩემმა დაუღო, (იმის მიხედვით), როგორც დაუდგინა საზღვრები, მამაჩემმა შექმნა ხელშეკრულების ფირფიტა და ის ქურუნთას აქვს (ხელთ... ამის შემდეგ თუთხალია ჩამოთვლის დასახლებულ ადგილებს — „ქალაქებსა“ და „ქვეყნებს“, რომლებიც ძველი (მამამისის) ხელშეკრულების თანახმად, ესაზღვრებოდნენ თარხუნთასას ქვეყანას. გზადაგზა შეაქვს შესწორებები, აფართოებს რა ქვეყნის საზღვრებს).

კლდის მარადიულ ნაგებობასთან<sup>12</sup> დაკავშირებით, მამაჩემმა მარასანთას<sup>13</sup> პირით გადაწყვიტა: „ქურუნთა კლდის მარადიულ ნაგებობას ახლოს არ უნდა (გაეკაროს)!“ მამაჩემმა მარასანთასთვის ფირფიტა შექმნა და ის მარასანთას აქვს (ხელთ). ის კი არ იცოდა მამაჩემმა კლდის მარადიული ნაგებობის შესახებ, (თუ) რა (არის) აღბეჭდილი ამინდის ღვთაების ტაძარზე (და, რომ მომავალში ქურუნთასთვის კლდის მარადიულ ნაგებობაზე ასვლა არ გახდებოდა (შესაძლებელი). მაგრამ ისე მოხდა, (რომ) მამაჩემმა სიტყვა, (აღბეჭდილი ტაძარზე), მოისმინა. მამაჩემმავე უარყო (საკუთარი) გადაწყვეტილება და რო-

8 ბ. ოტენის ვარაუდით (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 32), ულმი-თეშუბი იყო ქურუნთას ძმა და მისი მომდევნო მეფე თარხუნთასას ქვეყნის.

9 ტექსტის ტრანსლიტერაცია და გერმანული თარგმანი კონენტარებათ გამოცემულია ბ. ოტენის მიერ (იხ. დასახ. ნაშრომი).

10 ხეთების მეფეთა ტიტული (ხათური წარმოშობის).

11 ტექსტის დასაწყისში მოცემულია თუთხალია IV-ის გენეალოგია მისი მამა — ხათუსილი III (დაახლ. ძვ. წ. 1304—1280), პაპა — მურსილი II (დაახლ. ძვ. წ. 1345—1315), დიდი პაპა — სუფილულოუმა I (დაახლ. ძვ. წ. 1380—1346) და დიდი პაპის პაპა — თუთხალია (II) (ძვ. წ. XV ს.). თითოეული მოხსენიებულია ახალი სამეფოს ხანის მეფეთა ტიტულებით.

12 ბ. ოტენის აზრით, იგულისხმება გარდაცვლილი მეფის — მუვათალის საკულტო ადგილი, მავსოლუეში. ხათუსილი III-ს, როგორც შემდგომი სტრიქონებიდან ჩანს, აუკრძალავს მუვათალის შთამომავლობისთვის მიცვალბული წინაპრის კულტზე ზრუნვა და აღნიშნულ ნაგებობაში შესვლა, რათა სიმბოლურად ხელი შეეშალა მათთვის ტახტზე კანონიერი პრეტენზიების განხორციელებაში (იხ. H. Otten, დასახ. ნაშრომი, გვ. 243—44). თუთხალია უბრუნებს მათ ამ უფლებას (იხ. ქვემოთ).

13 მისი ვინაობის შესახებ ტექსტი არაფერს გვეუბნება.



დესაც მე, თუთხალია — დიდი მეფე მეფე გავხდი, კაცი გავგზავნე და კლდის მარადიული ნაგებობის შესახებ, როგორც (ეს) ამინდის დავთრების ტაძარზეა აღბეჭდილი. მან ის შეიტყო: კლდის მარადიულ ნაგებობაზე ასვლა ქურუნთასთვის მომავალში არ გახდება (შესაძლებელი). ფირფიტა კი, რომელიც მარასანთას (ხელთ) აქვს, თუ ისე მოხდება, რომ (მარასანთა) მას მოიტანს, ის (ე. ი. ფირფიტა) მას არ უნდა წაერთვას!

თარხუნთასას ქვეყანაში (მის იმ ოლქში), რომელიც მდ. ხულაიას ქვეყნის ნაწილია (?), (მდ. ხულაიას ქვეყნიდან) წვრილფეხა რქოსანი საქონლის პატრონი არ უნდა გადავიდეს! და თუ (ვინმე) მდ. ხულაიას ქვეყნიდან (საქონელს) გამოდევნის დიდ მთის საძოვრებზე (და) მარილზე, მას (ე. ი. ქურუნთას) საძოვრებზე უფლება არ უნდა წაართვან! ის თარხუნთასას ქვეყნის მეფეს (აქვს) მიცემული, ხოლო მარილი აგრეთვე მან უნდა აიღოს ხოლმე. (. . . .)

(ამის შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ხათუსა იღებს თავისთავზე თარხუნთასას ღვთაებებზე ზრუნვას და ათავისუფლებს ქურუნთას ღვთაებებისთვის შესაწირის მიტანისგან).

ხოლო, მე, თუთხალია, დიდი მეფე, ჯერ კიდევ სანამ გავმეფდებოდი, მე და ქურუნთა უკვე მაშინ დაგვამეგობრა ღვთაებამ და ჩვენ მაშინ უკვე ძვირფასი და საყვარელი ვიყავით. (ერთმანეთისთვის) და ჩვენ ფიცის (კაცები) ვიყავით (ერთმანეთს შევფიცეთ): „ერთმა მეორე უნდა დაიცვას!“ ამ დროს კი მამაჩემს (ჩემი) უფროსი ძმა ჰყავდა ტახტის მემკვიდრედ დანიშნული<sup>14</sup>. ხოლო მე იმ დროს მეფობისთვის ჯერ არ ვყავდი დანიშნული. მაგრამ ქურუნთა (უკვე) იმ დროს მე მიცავდა და პირადად მე შემდეგნაირად შემომოფიცა: „თუ მამაშენი შენ მეფობისთვის არ დაგნიშნავს, რომელ თანამდებობაზეც (არ უნდა) დაგნიშნოს მამაშენმა, მე სწორედ შენ დაგიცავ და შენი მსახური (ვიქნები). მე კი ქურუნთას შემდეგნაირად შევფიცე: „მე კი შენ დაგიცავ“.

ხოლო როდესაც მამაჩემმა ჩემი ძმა, რომელიც ტახტის მემკვიდრე უფლისწულად ჰყავდა დანიშნული, ჩამოიშორა და მე დამნიშნა მეფობისთვის, როდესაც მამაჩემმა ქურუნთას და მე (ურთიერთ) პატივისცემა და საყვარული შეგვატყო, მამაჩემმა ჩვენ წაგვიყვანა და დაგვაფიცა: „ერთმა მეორე უნდა დაიცვას“ და (რადგან) მამაჩემმა დაგვაფიცა, ჩვენ — თითოეული ერთმანეთისთვის ფიცის კაცები ვიყავით. მე ქურუნთა მიცავდა. ფიცი, რომელიც მან ჩემს წინაშე დადო, სრულებით არ დაურღვევია. მე კი, მზემ<sup>15</sup>, მას შემდეგნაირად ვუთხარი“. „თუ მე ღმერთები მცნობენ (და) მეფე გავხდები, შენ ჩემგან სიკეთეს ნახავ“.

ხოლო როდესაც მამაჩემი ღმერთი გახდა<sup>16</sup>, რადგანაც ქვეყნები ვანზე გადაგნენ, ქურუნთა იმ დროს მზად იყო, (რომ) ჩემთვის მომკვდარიყო და მე მიცავდა. ფიცი, რომელიც დადებული ჰქონდა, სრულებით არ დაურღვევია.

ხოლო როდესაც ღვთაებამ მე ამიყვანა (სამეფო ტახტზე) და მეფე გავხდი, ქურუნთასთვის ხელშეკრულება შემდეგნაირად შევქმენი: (ის) დასახლებული ადგილები, რომლებიც მამაჩემის ხელშეკრულების ფირფიტაზე არ აღინიშნება, ის დასახლებული ადგილებიც) მინდვრებით, ყანებით, „დეპორტირებულე-

<sup>14</sup> ის, რომ თუთხალია არ ყოფილა ხათუსილის უფროსი ვაჟიშვილი და თავიდანვე ტახტის მემკვიდრედ განსაზღვრული, დღემდე უცნობი იყო.

<sup>15</sup> „მზე“, „ჩემი მზე“ — „ახალი სამეფოს“ ხანის ხეტების მეფეთა ტიტული.

<sup>16</sup> ე. ი. გარდაიცვალა.

ბით<sup>17</sup> — ყველაფრიანად ქურუნთას, თარხუნთასას ქვეყნის მეფეს, გადავეცი სამსახურისთვის. ვინც კი მდ. ხულოიას ქვეყანაშია, ყველა ქურუნთას, თარხუნთასას ქვეყნის მეფეს, ეკუთვნის სამსახურისთვის. კვლავ ხელსაყრელი საზღვრები დაედღვინე მას, კლდის მარადიული ნაგებობა დაეუბრუნე და მომავალში კლდის მარადიულ ნაგებობას ქურუნთას შთამომავლობას ვერავინ წაართმევს!

დაე, ეს ხელშეკრულება ქურუნთასთვის, თარხუნთასას ქვეყნის მეფისთვის, მომავალშიც (ძალაში) იყოს! სანამ ეს (ხელშეკრულება ძალაში იქნება და) თუთხალია, ხათის ქვეყნის (მეფე), (შენს) მეფობას დაიცავს, თუთხალიას შთამომავლობამ ქურუნთას შთამომავლობის თარხუნთასას ქვეყანაში მეფობა ასევე უნდა დაიცვას! ის დასაღუბად და დასამცირებლად არ უნდა გაწიროს! როგორც მე, თუთხალია — დიდი მეფე ვიცავ ქურუნთას, დაე, ამიერიდან ჩემმა შვილმა, ჩემამ შვილიშვილმა ქურუნთას შთამომავლობა ასევე დაიცვას! როგორც მე ვიცავ ქურუნთას, და თუ მას რაიმე გაუჭირდება, მე (მას) აუუნაზლაურებ (დანაკლისს), თუ ქურუნთას შთამომავლობას რაიმე გაუჭირდა, დაე, ჩემმა შვილმა, ჩემმა შვილიშვილმა ის (დანაკლისი) ასევე აუნაზლაურონ და ის დასაღუბად და დასამცირებლად არ გაწიროს!

ხოლო დიდ ტახთან<sup>18</sup> (დაკავშირებით) შეთანხმება (ისეთივე) უნდა იყოს (როგორც) ქარგამიშის ქვეყნის მეფისთვის არის): თარხუნთასას ქვეყნის მეფეზე დიდი (მხოლოდ) ერთი (კაცი) — ტახტის მემკვიდრე უფლისწული<sup>19</sup> უნდა იყოს, შემდგომში სხვა არავინ (არ უნდა იყოს) მასზე დიდი! დაე, მეფის (სტატუსის განმსაზღვრელი) წესი, რომელიც ქარგამიშის ქვეყნის მეფასთვის (არის) სწორი (სამართლიანი), თარხუნთასას ქვეყნის მეფისთვისაც ის იყოს სწორი!

რაც (შეეხება იმას, რომ) მამაჩემის ხელშეკრულების ფირფიტაზე შემდეგნაირად (არის) აღნიშნული: „რომელ ქალსაც მოგათხოვებს შენ დედოფალი, თარხუნთასას ქვეყანაში სამეფო ტახტზე მის ვაჟიშვილს აიყვან“ — როდესაც ხელშეკრულების ფირფიტა შექმნეს, ის ქალი ქურუნთას მამაჩემის წინაშე ვერ კიდევ არ ჰყავდა შერთული. ახლა კი ქურუნთა იმ ქალს შეირთავს, თუ მას არ შეირთავს, ეს სიტყვა (აღ) არ იქნება ძალაში. რომელი ვაჟიშვილიც არ უნდა ცნოს მან — (იქნება) ის ვაჟიშვილი იმ ქალისგან, თუ ვაჟიშვილი რომელიმე სხვა ქალისგან, ვაჟიშვილი, რომელიც ქურუნთას მოესურვება და, რომელსაც ქურუნთა ცნობს, თარხუნთასას ქვეყანაში მეფედ ის უნდა დანიშნოს. ამ საქმესთან დაკავშირებით, ქურუნთას ვერავინ უხელმძღვანელებს.

დაე, ქურუნთასთვის, მისი შვილისთვის (და) მისი შვილიშვილისთვის. ეს ხელშეკრულება იყოს: მე, მზე, შენს შვილს არ გავადებ, ხოლო შენს ძმას ან სხვა ვინმეს არ მივიღებ. თარხუნთასას ქვეყანა, რომელიც შენ მოგეცი ის შემდგომში შენივე შთამომავლობას ექნება, მას (ქვეყანას) არ წაართმევენ. თუკი შენი შვილი, შენი შვილიშვილი, რომელიმე, შემდგომში შეცოდავს, ის ხათის ქვეყნის მეფემ სასამართლოზე უნდა დაკითხოს. თუ მას ცოდვა ექნება, ხათის ქვეყნის მეფის ნება-სურვილი როგორც (იქნება), ისე უნდა მოექცნენ მას. სახლს და ქვეყანას კი მას არ ჩამოართმევენ და (ხათის მეფე) მათ სხვა (გვარის) შთამომავლობას არ მისცემს, ხოლო რაც შეეხება თარხუნთასას ქვეყანას, შემდეგნაირად არის დადგენილი: „მომავალში თარხუნთასას ქვეყნის სამეფოს მუ-

<sup>17</sup> ხეთების მიერ დაპყრობილი რაიონებიდან წაყვანილი მოსახლეობა.

<sup>18</sup> იფულისხმება ხათის სამეფო ტახტი.

<sup>19</sup> იფულისხმება ხათის დიდი მეფის მემკვიდრე.

ვათალის შთამომავლობას ვერავინ წაართმევს“. ის, ვინც ამას ვააკეთებს და მას მუვათალის სხვა შთამომავალს მისცემს, ქურუნთას შთამომავლობას კი მას წაართმევს, ვინც ამ საქმეს ჩაიდენს, დაე, ის ხათის ამინდის ღვთაებამ და არინას მზის ქალღმერთმა<sup>20</sup> გაანადგურონ! ფარხუნთასა ქვეყნის სამეფოს მომავალში მხოლოდ ქურუნთას შთამომავლობა უნდა ფლობდეს. ხოლო ის უნდა ფლობდეს მას, (ვინც) ვაჟიშვილის შთამომავლობაა, ქალიშვილის შთამომავლობას კი არ აიყვანენ (სამეფო ტახტზე). თუკი ქურუნთას შვილს, მის შვილიშვილს, რომელიც თარხუნთასას ქვეყანაში მეფედ ზის, თუ ღვთაების სიტყვით<sup>21</sup>, ვინმეს არახელსაყრელი ვითარება შეექმნება და თარხუნთასას ქვეყნის სამეფოს (სხვას) გადასცემს, ქურუნთასვე შთამომავალი უნდა აიყვანოს (სამეფო ტახტზე) და ის თარხუნთასას ქვეყანაში მეფედ დასვან! (მუვათალის) რომელიმე სხვა შთამომავალს კი მას არ მისცემენ. თუ კი მას (ე. ი. ქურუნთას) შთამომავალი ვაჟიშვილის (ხაზით) არ ჰყავს, ქურუნთას ქალიშვილის შთამომავალი უნდა მოძებნონ და, თუ ის მეზობელ ქვეყანაში(ა), ის იქიდან უნდა დააბრუნონ და თარხუნთასას ქვეყანაში მეფედ ის უნდა დასვან.

თუკი თუთხალიას შთამომავალს, რომელიც ხათის ქვეყანაში მეფედ ზის, რამე გაუჭირდება, ქურუნთას შთამომავალი, რომელიც თარხუნთასას ქვეყანაში ზის მეფედ (მზად უნდა იყოს, რომ) მისთვის მოკვდეს! როგორც ქურუნთა იცავდა თუთხალიას, დაე, ამიერიდან ქურუნთას შთამომავლობამ თუთხალიას შთამომავლობა ასევე დაიცვას! ხოლო ქურუნთას შთამომავლობა თუთხალიას შთამომავლობამ, დაე, ასევე დაიცვას, ის დასალუბად და დასამცირებლად არ გაწიროს! თუკი თუთხალიას შთამომავალს რაიმე გაუჭირდება, და ის ხათის ქვეყნის მეფობიდან გადაგება, ქურუნთას შთამომავალმა, რომელიც თარხუნთასას ქვეყანაში მეფედ იქნება, დაე, ხათის ქვეყნის (ახალ) მეფეს მტრობა დაუწყოს (და) მსახურად (ქვეშევრდომად) არ გაუხდეს!

მდ. ხულაიას ქვეყნის ეტლოსნები და (ქვეითი) ლაშქარი, რომელიც ხათის ქვეყანაში ხელისუფლებას ჰყავს შენთვის (დადგენილი), ისინი მამაჩემმა, ხათუსილინ, მას (ე. ი. ქურუნთას) გაუტყმა. მეც, მზემ, დიდმა მეფემ, მას ის გავუტყმე. მომავალში მას (მოეთხოვება, რომ) ხათის ქვეყნის ლაშქრობაში (მისი მხრიდან) 100 ქვეითი წავიდეს, ხელისუფლების მხრიდან კი მას (უფრო დიდ) ლაშქარს არ მოსთხოვენ. თუ მას როდისმე ლაშქარს მოსთხოვენ, (მხოლოდ) 100 ქვეითი უნდა მოსთხოვონ, ეტლოსნები(ს) (მიწოდება) კი მისთვის (სავალდებულო) არ არის. თუკი ხათის ქვეყნის მეფეს რომელიმე (მისი) თანასწორი რანგის (მმართველი) აუმბობდება ან მე, მზე, ამ ქვემო ქვეყნიდან<sup>22</sup> სალაშქროდ წავალ, მას 200 ქვეითისგან (შემდგარი) ლაშქარი უნდა მოსთხოვონ, ხოლო გარნიზონში ისინი არ იმსახურებენ.

და რაგან მთელი ქვეყანა<sup>23</sup> მას (ეკუთვნის) და ის მისთვისვე მთლიანად წინა სასაზღვრო ადგილს (წარმოადგენს), თუ დახმარების (შესახებ) სიტყვა როდისმე დაიძვრება, მდ. ხულაიას ქვეყნისაგან დახმარებას არავე მოითხოვს. (ი) დასახლებული ადგილებისთვის, რომლებიც ხათის ქვეყანაში, მთა ხუფათ-

<sup>20</sup> ხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაებები.

<sup>21</sup> იგულისხმება ღვთაების ნება.

<sup>22</sup> სახელწოდება „ქვემო ქვეყანა“ აღნიშნავდა ხეთების სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას.

<sup>23</sup> იგულისხმება თარხუნთასას სამეფო, რომელიც განიხილებოდა როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი სასაზღვრო ოლქი ხეთების იმპერიისა.

ნუგვანთას ქვეყანაში, ქიცუვანთას ქვეყანაში... რომელშიც არ უნდა იყოს, ამინდის ღვთაება ფინასასის, ფარასის ღვთაებას, იხუითას იშთარს, თარხუნთასას ქვეყნის მეფის მარადიული კლდის ნაგებობას, მის სახლს ეკუთვნის, მათ(თვის) სახანი და ლუცი<sup>24</sup> არ იქნება. დახმარების (შესახებ) სიტყვა მათ(თვის) არ იარსებებს. რა სახანი და ლუციც არ უნდა იყოს, მათ მიმართ (ამ ვალდებულებების მოთხოვნას) ვერაინ დაუბრუნდება. თარხუნთასას ღვთაებებისთვის (ე. ი. მათი ინტერესებიდან გამომდინარე) გავათავისუფლე მე (ისინი). (. . . .)

როდესაც მე, მზემ, თარხუნთასას ქვეყნის მეფის სახანი და ლუცი თარხუნთასას ღვთაებებისთვის გადავსინჯე, ისინი მძიმე (და) მისთვის დაუძლეველი (აღმოჩნდა). ღვთაების საქმე<sup>25</sup>, რომლის (შესრულებასაც) თარხუნთასას ქვეყნის მეფე თარხუნთასაში უზრუნველყოფს, ის (შეესაბამება) საქმეს, დაწესებულს ხათუსას, არინას, ციფალანდას (ღვთაებებისთვის). (ის), რაც მამაჩემმა მისცა ქურუნთას, რაც აგრეთვე მე, მზემ, მას მივეცი — რადგანაც ღვთაებების რიტუალები და (საკულტო) ცერემონიები მძიმე (შესასრულებელი გახდა) — ის ამინდის ღვთაება ფინასასისთვის, შარუმასთვის — ამინდის ღვთაების ძისთვის და თარხუნთასას ყველა ღვთაებისთვის (ე. ი. მათა ინტერესებიდან გამომდინარე) მივეცი მას. ის გავათავისუფლე და ვერაინ წაართმევს მას რამეს. სახანსა და ლუცის მისგან ვერაინ აღდბს, ხოლო ვინც ქურუნთას შთამომავლობას თარხუნთასას ქვეყნის სამეფოს წაართმევს და მას დაამცირებს ან (მის) დაღუპვას გადაწყვეტს, ან რაც მამაჩემმა და მე, მზემ, მივეცი მას, (იქიდან) რამეს წაართმევს, ან ამ ფირფიტის (თუნდაც) ერთ სიტყვას შეცვლის. დაე, იმას არინას მზის ქალღმერთმა და ხათის ამინდის ღვთაებამ ხათის ქვეყნის სამეფო წაართვან!

(რაც შეეხება) ამ ხელშეკრულების ფირფიტას, რომელიც მე შენთვის შევქმენი, შეხედე, ამ საქმისთვის ათასი ღვთაება(ა)<sup>26</sup> კრებაზე მოხმობილი. დაე, მათ დაინახონ და ისმინონ და მოწმეები იყვნენ: მზის ღვთაება ცისა, არინას მზის ქალღმერთი, ამინდის ღვთაება ცისა, ამინდის ღვთაება ხათისა, ლაშქრის ამინდის ღვთაება . . . . და თუ შენ, ქურუნთა, ფირფიტის ამ სიტყვებს არ დაიცავ და მე, მზეს, შემდეგში კი ჩემი, მზის, შთამომავლობას (მათ) ბატონობასთან დაკავშირებით არ დაიცავ ან ხათის ქვეყნის მეფობას მოითხოვ, ან ვინმე მე, მზეს, ან ჩემი, მზის, შთამომავლობას ხანის ქვეყანაში მეფობასთან დაკავშირებით ზიანს მოგვიტანს, ხოლო შენ მას კეთილად მოექცევი და მას მტრობას არ დაუწყებ, დაე, შენ ამ ფიცის ღვთაებებმა შენს შთამომავლობასთან ერთად გაგანადგურონ! თუკი შენ, ქურუნთა, ამ ფირფიტის სიტყვებს ყურად იღებ (დაე), მე, მზე, შემდგომში კი ჩემი, მზის, შთამომავლობა ხათის ქვეყანაში ბატონობას ისურვებს და შენ მათ დაიცავ, დაე, ამ ღვთაებებმა შენ (შენსავე) საკეთილდღეოდ დაგიცვან და შენ ჩემი, მზის, ხელში დაბერდე!

ხოლო (ის), ვინც ამ ქვეყანაში ქურუნთას ზიანს მოუტანს და მას (ე. ი. ქვეყანას) წაართმევს ან შემდეგში მას ქურუნთას შთამომავლობას წაართმევს, ან მას საზღვრებს შეუვიწროებს, ან მას (იქიდან) რაც მე მას მივეცი, რამეს წაართმევს, ან ამ ფირფიტის (თუნდაც) ერთ სიტყვას შეცვლის, დაე, ამ ფიცის

<sup>24</sup> ნატურალური და შრომითი ბეგარი.

<sup>25</sup> იგულისხმება კულტმსახურება. აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში თარხუნთასა, საკულტო მნიშვნელობით, გათანაბრებულია ხეთების სამეფოს მთავარ საკულტო ცენტრებთან.

<sup>26</sup> სახელწოდება „ათასი ღვთაება“ აღნიშნავდა მთელ ხეთურ პანთეონს.



ღვთაებებმა ის მოსპონ! რაც მე, მზემ, ქურუნთას — თარხუნთასას ქვეყნის მეფეს მივეცი (და) რა საზღვრებიც დავუდგინე, მომავალში ქურუნთას შთამომავლობას მას ვერავინ წაართმევს. მეფე(ც) მას თავისთვის არ აიღებს (და) თავის ვაჟიშვილს არ გადასცემს, რომელიმე სხვა შთამომავალს არ მისცემს. გერავინ გაასაჩივრებს ამას სასამართლოზე. დაე, მომავალში თარხუნთასას ქვეყნის სამეფო მხოლოდ ქურუნთას შთამომავლობას ჰქონდეს! ვინც კი მას ზიანს მოუტანს და მას რამეს წაართმევს, დაე, ის ამ ფიცის ღვთაებებმა მის შთამომავლობასთან ერთად მოსპონ!

ეს ფირფიტა (ქალაქ) თავაში ნერიკაილის<sup>27</sup> — უფლისწულის, ხუციას<sup>28</sup> — მცველთა მთავარის, ქურაქურას — უფლისწულის, ანი — თემუბის — ქარგამისის მეფის (და ა. შ. ჩამოთვლილი არიან მაღალი მოხელეები სამეფო კარზე), ლაშქრის ყველა სარდლის, „ათასის თავის“, მაღალი მოხელეებისა და მთელი ოჯახის წინაშე დაწერა ხალვაცითიმ — მწერალმა, უქიელი ლუფაქის ძემ.

ეს ფირფიტა კი შექმნილია (როგორც) მეშვიდე ასლი და არინას მზის ქალღმერთისა და ხათის ამინდის ღვთაების ბეჭდით (არის) დამტკიცებული. ერთი ფირფიტა არინას მზის ქალღმერთის წინაშე, ერთი ფირფიტა ხათის ამინდის ღვთაების წინაშე, ერთი ფირფიტა ლევვანის წინაშე, ერთი ფირფიტა ქიცუვათნას ხეფათის წინაშე, ერთი ფირფიტა ამინდის ღვთაება ფიხასასის წინაშე, ერთი ფირფიტა ცითხარისა წინაშე სასახლეში დევს. ერთი ფირფიტა კი ქურუნთას — თარხუნთასას ქვეყნის მეფეს აქვს თავის სახლში.

#### ირინა ბაბიშვილი

<sup>27</sup> ხათუსილი III-ის ძე, როგორც ჩანს, თუთხალია IV-ის უფროსი ძმა, რომელიც ორ ხეთურ ტექსტში ტახტის მემკვიდრე უფლისწულად იხსენიება.

<sup>28</sup> სავარაუდოა, რომ თუთხალია IV-ის ძმა იყო.

## სამხრეთ ოსეთი: შეწყდეს კალაღობა!

ასეთი იყო „იზვესტიაში“ 13 თებერვალს გამოქვეყნებული მიმართვის ტექსტი, რომლის კომენტირება მთხოვეს, მაგრამ ამ მიმართვის პაწაწინა ტექსტში იმდენი შეუსაბამობაა, რომ სწორედ ასეთ პუბლიკაციაზე ითქმის კომენტარი ზედმეტიაო, თუმცა არც მისი სრული დღმილი გვერდის ავლა ივარგებს, ალბათ; ამიტომ შევეცდები მიმართვაში თავშეფარებული ზოგიერთი დებულების ქვეტექსტი ხმამაღლა წავიკითხო, ხოლო ზოგიერთი ფრჩხილი გავხსნა. იმედი მაქვს, რომ ეს ოსი ხალხისათვის და პირველ რიგში საქართველოში მცხოვრები ოსებისათვისაც არ იქნებ ზედმეტი. ჭაშნიკად ჯერ ეს იყოს: „სამხრეთ ოსეთის პოზიცია ობიექტურად არის გაპირობებული ისტორიული, ეთნიკური და გეოგრაფიული ფაქტორებით და აქ უაზროა იდეოლოგიური საფანელი სიძება“ — აცხადებენ ავტორები და იქვე „ოსმა ხალხმა, რომელმაც მრავალი საუკუნე იცხოვრა ამიერკავკასიაში, შეინახა ერთგულება თავისი ინდოევროპული კავშირებისადმი“, რამაც „ჩააყენა ის საერთოდ ამიერკავკასიური პოლიტიკური ტენდენციის ოპოზიციაში“, და „მოსწონთ თუ არ მოსწონთ ეს ფაქტი... ასეთია ოსი ხალხის ისტორიული ბედი“. როგორ მოგწონთ? აქ ოსი ხალხის „პოზიცია“ და „ოპოზიცია“, „ისტორიული ბედი“ და „იდეოლოგიური საფანელი“ — აღარ ვკითხულობთ ვისა აქვს უფლება იმსჯელოს მთელი ხალხის სახელით, ან საიდან შეიძლება ვიცოდეთ მთელი ხალხის პოლიტიკური ტენდენცია თუ ენობრივი პრინციპებისადმი „ერთგულება“. ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ ცალკეული პიროვნების ან ვარკვეული მიზნით შეკავშირებული (როგორც ამ შემთხვევაში) რამოდენიმე პიროვნების ტენდენცია რაიმეს ძიებისადმი, ამ შემთხვევაში „ინდოევროპული კავშირების“ ძიებისადმი, ისიც მაშინ, როცა ეს პიროვნებები თავიანთ „ტენდენციას“ თუ „ერთგულებას“ საჭაროდ აცხადებენ, თანაც ცენტრალური პრესის ისეთ უმაღლეს ორგანოში, როგორიც „იზვესტია“ (ჰმ! „სამხრეთ ოსეთის თემას საკულდაგულოდ გვერდს უკლისო ყოველგვარი ორიენტაციის ცენტრალური პრესის ორგანოები“ — დალოცვილებო! „იზვესტიაზე“ ცენტრალური ორგანო ნეტა სხვა რომელი გვეულებათ საბჭოთა კავშირში!). მეცნიერებამ იცის, სადამდე მიიყვანა გერმანელი რასისტება (თაშისტები) ამ „ინდოევროპული კავშირების“ ძიებამ, ხოლო ისტორიას ახსოვს და ვერც ვერასოდეს დაივიწყებს, თუ პოლიტიკურად რითი დამთავრდა ეს ავადსახსენებელი ტენდენცია. სწორედ ეს „ინდოევროპული კავშირება“ და ედო იდეოლოგიურ საფუძვლად ნაცისტების მანიაკლურ სურვილს დამტკიცებინათ არიული რასის უპირატესობა, აეხსნათ სხვა ხალხის (ანუ „დაბალი რასების“) დაპყრობის, დამორჩილებისა და მოსპობის აუცილებლობა, რამეთუ ფაშისმის — მეცნიერებასთან ზღვრამეტყუელი — „იდეოლოგიები“ გასაოცარი დაჯინებით ამტკიცებდნენ, რომ „ენა და კულტურა სულია რასის“, რომ მხოლოდ წმინდა სისხლის არიელებს შეეძლოთ შეექმნათ ინდო-ევროპული (Id. ინდო-ევროპული) ენა და მსოფლიო ცივილიზაცია, სხვებს მხოლოდ მათი ვადმოღებისა და ათვისების უნარი თუ შესწევთ, ხოლო უფრო დაბალ რასებს კი ამის უნარიც არ გააჩნიათ. ეს იყო მათი „თეორიები“ ქეაქუთხედი — ასეთი იყო მათი იდეოლოგიური მრწამსი; სხვათა შორის, ამ რამდენიმე ხნის წინათ, ერთმა ტვინამღერებულმა ოსმა სტატიაც კი გამოაქვეყნა, რომელშიც არიულ რასაზედაც იყო მსჯელობა, მათს უპირატესობაზედაც, სვასტიკურ ემბლემაზეც და დიდიხნის წინათ დასამარებული და სისხლი დაობებული რასისმის სხვა ატრიბუტებზედაც — მაგრამ განათლებულმა მკითხველმა ზიზღ-

ნარევი დუმილით აუარა მას გვერდი და აი, ისევ „ინდოევროპული კავშირების ერთგულებას“ გვახსენებენ ავტორები. ხომ ვიცით, ერთმა მუჭა მინიკებმა როგორ აუშლდრიეს გერმანელ ხალხს გონება, ხომ ისიც ვიცით რა ფასად დაუჯდა აკობრიობას და პირველ რიგში კი თვით გერმანელ ხალხს ამ „დღეობაში“ ერთგულება; ახლა რა, კავკასიელ ინდოევროპელებს მოეუწამლოთ ამ კვაზიმეცნიერული შხამით ჭკუა-გონება?!

ქეშმარიტად მეცნიერული სურათი კი, სინამდვილეში, გაცილებით უფრო მარტივია და ნათელი: ენაცა და კულტურაც შეიძლება გავრცელდნენ თვით ხალხის (აღამიანების) გავრცელების გარეშე (მთელი ინვლსურნოვანი, ესპანურნოვანი, არაბულნოვანი საყაროა ამის მაგალითი), ხოლო თვით ხალხი არასოდეს არ ვრცელდება მათი გავრცელების გარეშე. კავკასია იბერულ-კავკასიური ენების სამშობლოა; ინდოევროპული ენის აკვანი კი, როგორც ცნობილია, კავკასიაში არ დარჩეულა და ამდენად, ის აქ შემდგომ გავრცელებული ან კავკასიისათვის უცხო ხალხების მიერ შემოტანილი უნდა იყოს; თუ ოსებს მხოლოდ ინდოევროპელებად (Id. ინდო-ირანელებად) მოვიხსენიებთ (როგორც ამას მიმართვის ავტორები სჩადიან) ამით კავკასიელებისადმი მათს უცხოობას ვალიარებთ და მათი „ოპოზიცია“ კავკასიის ხალხებისადმი და მათი „ერთგულება“ ინდოევროპული კავშირებისადმი“ „მეცნიერულად“ ახსნილი ხდება; მაგრამ განსხვავებული დასკვნებია მიღებული თვით ოსა ხალხის ამ (ინდოევროპულნოვანი თუ ინდო-ირანულნოვანი ადამიანების) კავკასიელებთან გენეტიკური, ანთროპოგენეტიკური თუ ანთროპოლოგიური კავშირების კვლევის შედეგად. ისინი ზუსტად თავსდებიან კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების ვარიაციების ფარგლებში და განეკუთვნებიან კავკასიონსა (დღეობელი და ნაწილობრივ ჭავის მიდამოებში გადმოსახლებული ოსები) და ჩრდილოეთ კავკასიის ბარის ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და ოსების (ირონელების) გარდა გვხვდება ჩერქეზების, ყაბარდოელებისა და ინგუშების ზოგიერთ ავტოქტონურ ჯგუფებში; ასეთია მათი ანთროპოლოგიური თუ ანთროპოგენეტიკური შესწავლის ძირითადი შედეგი. ახლა რა ვქნათ? რა საგნიერი საყარდენი მივცეთ ენათმეცნიერული კავშირებისადმი „ერთგულებასა“ და ანთროპოლოგიური კავშირებისადმი ორგულობას („ოპოზიციას“)? როგორ მოვიქცეთ? მოვწყვიტოთ ოსი ხალხი მათს სისხლითა და ხორციით მონათესავე კავკასიის ხალხებს და ინდოევროპული კავშირების საძიებლად გაფუშვათ, თუ დავანებოთ ხალხს თავი, ნუ ავუშლვრვეთ მათ გონებას მეცნიერული ტერმინოლოგიით (ინდოევროპული ლინგვისტიკა იქნება ეს თუ ეთნიკური ანთროპოგენეტიკა), გადავიტანოთ ჩვენი თეზები თუ ანტითეზები „ყველა ორიენტაციის ცენტრალური პრესისა“ თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ფურცლებიდან სამეცნიერო პრესის ფურცლებზე და მივცეთ მათ საშუალება იცნოვრონ კავკასიის ჭაღარა ერების ძმურ ოჯახში, იმერონ იქ, სადაც მათ ემღერებათ, იცეკვონ ისე, როგორც მათ ეცეკვებათ, ინათესავონ და ინათლიმამონ იმათთან, ვინც მათ მოსწონთ, უყვართ და გული მიუწევთ, თორემ, როგორც მიმართვის ავტორებს, ისე ყოველ ქართველს ახსოვს, რამდენი ათასი უდანაშაულო ქართველის სისხლი დაიღვარა საქართველოში — მე ხაზს ვუსვამ საქართველოში და არა ოსეთში, 1921 წელს „დღევანდელის ანალოგიურ სიტუაციაში“ და ნუღარ შეგვახსენებენ მას — ქართველი ხალხი შემნლობა და მიმტყვებელი, მაგრამ პატიება დაიწვევებას არ ნიშნავს.

Т. Н. БЕРАДЗЕ. МОРЕПЛАВАНИЕ И МОРСКАЯ ТОРГОВЛЯ  
 В СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ, Тбилиси, Мецниереба, 1989, 288 с.

Мореплавание, являвшееся в добуржуазную эпоху самым мобильным средством коммуникации, в наибольшей степени способствовавшим общественному прогрессу, должно было сыграть чрезвычайно важную роль в судьбах тех стран, которые имели выход к морю и к каковому, несомненно, принадлежала владевшая черноморским побережьем Грузия. Именно морской обмен, морская торговля определили материальные, прежде всего финансовые накопления, послужившие основой удивительного феномена — Грузинского Ренессанса. Поэтому следует приветствовать появление новой монографии Т. Н. Берадзе, известного специалиста по истории средневековой навигации. С выходом его книги научная общественность, по существу впервые, получает возможность судить о масштабе овладения Грузией Черным морем, об уровне включенности грузинского царства в единую культурно-историческую среду средиземноморской цивилизации.

Грузинские мореплаватели, как свидетельствует приводимое исследователем «Житие Георгия Мтацминдели», пользовались сообщениями по Черному морю уже в XI в.; в XIII—XV в. они посещали Трапезунд и Константинополь, Кафу и Тану. Интенсивность сообщений была таковой, что привела к складыванию в столице Византийской империи постоянного грузинского поселения (с. 74, 79). Грузинским навигаторам был знаком и знаменитый путь «из варяг в греки», каковым царевна Грузии, выданная замуж за князя Изяслава Мстиславича, была доставлена в Киев и каковым монеты царя Давида Куропалата были занесены в Прибалтику (с. 76, 77). Историк извлекает из небытия имена грузинских капитанов и судовладельцев, прокладывавших курсы через Черное море, выявляет группы ремесленников-судостроителей, занятых на местных верфях. Автор скрупулезно реконструирует морскую терминологию Грузии. Эта часть исследования, важная уже по задачам создания словаря средневековой морской лексики, показывает, что Грузия не оказалась в стороне от «революции в навигации» XIV—XV в.<sup>1</sup>, охватившей Италию и Испанию. Здесь также на смену галере, с ее удлиненными пропорциями, малой парусной оснасткой, весельным движением, приходит новый тип «круглых» судов (ჭურჭელი), с большей устойчивостью и с более высокими мореходными качествами; вводится рулевое управление (სიპონ), появляется буссоль.

Особое значение имеет та часть книги, которая посвящена вопросам исторической географии и основана на изучении средне-

<sup>1</sup> Borghesi V. *Il Mediterraneo tra due rivoluzioni nautiche (secoli XIV—XVII)*. Firenze, 1976.





вековых морских карт и портоланов. К внушительному списку источников, привлеченных автором, можно было бы добавить, пожалуй, лишь публикацию греческих лоций А. Делатте<sup>2</sup>. Вызывает поддержку полемика с румынским медиевистом Г. Брэтиану, полагающим, что держава Ильханов имела выход к Черному морю в «Аквисис», тогда как этот пункт находится на берегу Персидского залива (с. 46). Представляет интерес интерпретация названия «Черное море», встречающегося в Грузии только с XVII в., как переосмысление средневековой традиции обозначения: «Великое море» (Mare Maggiore), то есть большое, могучее, страшное. Хотя, может быть, здесь не стоило бы забывать традиционной символики цвета: «черным» обозначался север; это море и лежало на севере с точки зрения средиземноморского мира.

Говоря о взаимоотношениях Грузии с итальянскими морскими республиками, исследователь справедливо ставит вопрос о различном правовом статусе итальянского присутствия на Кавказе: это могли быть колонии или фактории, как в Севастополе (87—99), фондако, гавани и якорные стоянки; большая же часть известных итальянцам пунктов на Кавказе оказывалась просто навигационными ориентирами. Весьма ответственно мнение Т. Н. Берадзе об отсутствии генуэзского квартала в Севастополе, хотя, кажется, колония, характеризующаяся административным самоуправлением, наличием консульского дворца, лоджии, церкви, кладбища, немыслима без определенной экстерриториальности, без выделенности итальянского поселения из общей топографии города, без территориальной отграниченности в виде стен и башен, без замкнутого пространства со своей юрисдикцией и правом гражданства, соотношенным с правом Кафы и Генуи<sup>3</sup>.

Наконец, немалую ценность книге Т. Н. Берадзе придает введение в научный оборот большого количества источников как на западноевропейских, так и на восточных, в особенности на кавказских языках. Единственным, достойным сожаления недостатком, пожалуй, являются опечатки в именах, географических названиях, датах.

В целом, рецензируемая монография, безусловно, выдающееся явление в медиевистике.

ЕМАНОВ А. Г.

<sup>2</sup> Delat e A. Les portulans grecs: In 2-e tt.—Bruxelles, 1948—1958.

<sup>3</sup> Buongiorno M. L'amministrazione genovese nella „Romania“: Legiasl azione—M ijtature—Fiasco. Genova. 1977.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება

1991 წლის 5 თებერვალს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების უკიდურესად გამწვავებამ, ბუნებრივია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობაზე დაცემი იქნა. ეს აშკარად იგრძნობოდა განყოფილების წევრთა — აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების გამოსვლებში. განყოფილების საერთო კრების წინაშე გასული, 1990 წლის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიშებით წარდგინდა აკადემიკოსები — ა. ავაქიძე, ვ. ბერიძე, ა. გუნია, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. ხიდაშელი, წევრ-კორესპონდენტები — გ. გიორგაძე, პ. ზაქარაია, გ. თევზაძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, დ. მუსხელიშვილი, შ. ნადირაშვილი, ა. სურბეღლაძე, ვ. შამილაძე, ლ. ჭილაშვილი, დ. ხაჩტარაშვილი, ა. ჭავჭავაძე, ო. ჭავჭავაძე, ს. კობახიძე.

საერთო კრებაზე გაანალიზებულ იქნა განყოფილების წევრთა მიერ 1990 წელს გაწეული მრავალმხრივი საქმიანობა. შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, გამოქვეყნდა მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები. აღინიშნა მათი მონაწილეობა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და თათბირების მუშაობაში. ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად განყოფილების წევრები აქტიურ და სასარგებლო საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდნენ, ქვედითად მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში. გამოსვლებში აღინიშნა შეშფოთება რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობის გამო. გაიშარათა მსჯელობა კრიზისიდან გამოსვლის გზებისა და საშუალებების შესახებ. გადწყდა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ, მისმა ყველა სამეცნიერო დაწესებულებამ და წევრმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი საქართველოს სახელმწიფოებრი-

ვი დამოუკიდებლობის აღდგენას და ყოველმხრივ დაეხმარონ ეროვნულ პარლამენტს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისაკენ აღებული კურსის განხორციელებაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ მოიწონა და მაილო ცნობად განყოფილების წევრთა 1990 წლის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიშები მათი შემდგომ საქმიანობაში გათვალისწინებით.

სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციული სრულყოფის მიზნით საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ მიზანშეწონილად მიიჩნია დემოგრაფიის სოციოლურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის, როგნებათშორისა ურთიერთობების კვლევის ცენტრისა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის გაერთიანება. განყოფილებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ დაწესებულებათა ბაზაზე შეიქმნას ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებაზე მწვავე მსჯელობა გაიშარათა შიდა ქართლში იმპერიული ძალების მიერ პროვოცირებული ოსი ექსპრემისტების მასშტაბური ანტიქართული გამოხდომების შესახებ. გამოსვლებში აღშფოთებითა და გულისტკივლით აღინიშნა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წლების განმავლობაში უგულვებელყოფილი იყო საქართველოს ინტერესები. ეს დაწესებულება თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულია ოსი ეროვნების წარმომადგენლებით, სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა ოსური პრობლემატიკით შემოიფარგლება, არ შეისწავლება ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ისტორიული ძეგლები და ა. შ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება:

1. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის შესაბამისად შეეცვალოს სახელწოდება სამხრეთ



6124/48.

စာစောင် ၂ စာစောင်.

  
စာစောင် ၇၆၁၉၇  
စာစောင် ၇၆၁၉၇၇